


ე



ალექსანდრ პოტიორაციი

ალექსანდრ პოტიორაციი

ე

ISBN 978-9941-16-385-2



9 789941 163852



გამოცემლობა  
„საქართველოს მაცნე“

ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶକାରୀଙ୍କ ପ୍ରଦୀପ ପାତ୍ର



ალექსანდრ პოლიომპინი

გე

ვრცელი მოთხრობა

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“  
თბილისი 2014

ბავშვობიდანვე ობოლი ვასილი კარამანოვი ცხოვ-  
რებაში ადამიანთა მრავალ სისაძაგლესა და სიმდაბ-  
ლეს წააწყდა. გაბოროტებული, თავის თავს ერთ-ერთ  
**მათგანად** არ მიიჩნევს და იწყებს ადამიანთა მოდგმის  
შემლახავ მტკიცებულებათა ძიებას. როგორ გამოას-  
წოროს მდგომარეობა, როგორ დააჩქაროს ევოლუცია,  
როგორ შეუწყოს ხელი ახალი, უმაღლესი სახეობის  
გონიერ არსებათა წარმოქმნას?.. – აი, ეს გახლავთ  
მისი საფიქრალი. ალექსანდრ პოტიომკინის ფილო-  
სოფიურ-ფსიქოლოგიური ვრცელი მოთხრობა მსოფ-  
ლიოს თითქმის ყველა ენაზეა თარგმნილი, მასში აღნე-  
რილია, თუ როგორ მიედენება ამაღლვებელი  
პროცესები გმირის ცნობიერებაში, მისი თამამი ინტე-  
ლექტუალური და ზნეობრივი ძიებები.

ყდის გაფორმებისთვის გამოყენებულია სალვადორ  
დალის ნახატი „გეოპოლიტიკური ყრმა, რომელიც ახა-  
ლი ადამიანის დაბადებას ჭვრეტს“.

© ა. პოტიომკინი 2004

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ 2014

© ი. რეზნიკოვი

ISBN 978-9941-16-385-2

**ღმერთი იშვა კაცად,  
რომ კაცი ღმერთად ქცეულიყო!**  
ვასილი დიდებული, IV საუკუნე

„უნდა დავფიქრებულიყავი. ბოლოსდა-  
ბოლოს ყველაფერი ცხადი გახდა, ლოგი-  
კურ მწკრივად დალაგდა და ცნობიერებაც  
დამშვიდდა. მეჩვენებოდა, თითქოს საკუ-  
თარი მეს ადრინდელმა ძიებამ, სიყრმიდანვე  
ასე რომ მჭირდებოდა და მაწვალებდა, თა-  
ვისი გზა მონახა. არასოდეს მიფიქრია,  
რომ ჭეშმარიტება ასე მოულოდნელად შე-  
მოიჭრებოდა ჩემს ცნობიერებაში. თუმცა  
ყველაფერი უბრალოდ და სწრაფად მოხდა,  
როგორც საერთოდ ხდება ხოლმე: ერთხელ  
დილით ჩემს საწოლში გამეღვიძა და –  
შეიძლება ითქვას, თავს დამატყდა სამო-  
მავლო ცხოვრების ორიგინალურად გადაწ-  
ყვეტა. თითქოს ვიღაცის დამაჯერებელი  
სმა ჩამთვის გაუგებარი განზრახვით ჩამ-  
ძახოდა, რომ მე, ვასილი კარამანოვმა, ოც-  
დაშვიდი წლის მამაკაცმა, ლრმა განცდებით

წელში გაწყვეტილმა, საკუთარი თავის ამ წუთისოფელში დამკვიდრებაზე უნდა ვიფიქრო და მხოლოდ ასე აღვასრულებ ჩემს იდუმალ დანიშნულებას. და თან რუსეთის მიყრუებულ პროვინციაში კი არა, არც ჭალარა ნიღაბაფარებულმა სადმე სურვუტში, ან იაკუტიაში, ალდანსა და ბერკაკიტს შორის გადებულ საავტომობილო მაგისტრალთან მდებარე სოფელში, არამედ დედაქალაქში, სტაროვაგანკის ჩიხის მეტოვის ბუდრუგანაში. იმ ქუჩაზე, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ცნობილი მოქალაქეები ტკეპნიდნენ, სახელმწიფო ბიბლიოთეკის, ყველაზე უფრო დედაქალაქური შენობის, ფანჯრების მოპირდაპირედ. იქ, სადაც ადამიანები ანთებით დაავადებულ ჩემს ტვინში მონაბერი ცოდნისაგან განსხვავებულ ცოდნას ეწაფებიან. ოჟ, ამ მკითხველებმა – სტუდენტებმა, პროფესორებმა დაინტერესიგენციის სხვანარმომადგენლებმა – რომ იცოდნენ, რა ვინატრე მაშინ! ოჟ, რომ წარმოედგინათ, რა საგმირო რამ გადავწყვიტე! ასე სასწრაფოდ რისი გაკეთება მსურს?! რაში ვპოვებ ჩემს სიმშვიდეს?! ისინი იფიქრებდნენ, რომ ჩემზე იდუმალი

ძალები მოქმედებენ, საჯაროდ დაიწყებ-დნენ იმის მტკიცებას, რომ ძლიერი ზეწო-ლისა და სხვათა გავლენის გარეშე ადამიანი ვერ შესძლებდა ამის კეთებას; რომ მე მო-ჯადოებული ვარ, გავგიუდი, სრულიად დავკარგე ჭკუა; რომ ჩემს ამ სვლას განა-პირობებს მაღალი ჰონორარი; რომ მე მწყურია დავუმტკიცო ჩემს თავს, დღევან-დელ ან მომავალ მსოფლიოს, საკუთარი პიროვნების განსაკუთრებულობა, საზოგა-დოების სამსჯავროზე გამოვიტანო ვასილი კარამანოვის შინაგანი ძალა და ნება და არა მეცნიერულად დადასტურებული ჭეშ-მარიტება! მაგრამ რაში მჭირდება ეს ყო-ველივე?! სისულელეა! აუცილებლად აღ-ვასრულებ ჩანაფიქრს. არ არსებობს ამ ქვეყნად ადამიანი, მე რომ შემაჩერებს. დიახ, ჩემი გადაწყვეტილება მოულოდნელი გახლდათ. ერთი დღის, ან თუნდაც ერთი კვირის წინ არაფრით ველოდი კვანძის ასეთ გახსნას. მაინც რა იყო მანამდე – თი-თოეული დღე და მთელი ჩემი ცხოვრება? განა ცხოვრება არ მეხმარებოდა საკუთარი თავის პოვნაში? განა მან არ მასწავლა იმის ძიება, რასაც საზოგადოება განიკითხავს?

საკუთარ სახეიროდ ნაბიჯის გადადგმა? ერთხელ, ადრეულ ბავშვობაში ეკლესიის ჭიშკართან გავიგონე ჩემი მისამართით ნასროლი ფრაზა: „საძაგელი ბიჭი!“ ამის შემდეგ გონებაში ვაგროვებდი ამბებს, რომლებიც ამტკიცებდნენ ჩემს საძაგლობას. როცა ხუთი წლის ვიყავი, მამაჩემმა ფინელი ტურისტი ქალი გააუპატიურა და მის ქმარს სხეულის დაზიანება მიაყენა. კომუნისტურმა თემიდამ იმისთვის, რომ ჩრდილოელი მეზობლისა და საკუთარი მოქალაქეებისთვის დაემტკიცებინა ქვეყნის შეუდრევლობა და საბჭოთა სამართლის სიმკაცრე, გამოიტანა განაჩენი: სასჯელის უმაღლესი ზომა. ის დახვრიტეს. მაშინ ყველა გარშემო მყოფი „მოქალადის ნაშიერს“ მეძახდა. ექვსი წლის ასაკში დედაც დავკარგე: ამგვარი სამარცხვინო ყოფის გამო ის ნარკოტიკებს მიეძალა – დანაყილ ყაყაყჩოს თესლს, რომელიც ჩვენში მიწის ყოველ გოჯზე იზრდებოდა და ოცდარვა წლისა თრიაქის გადამეტებული დოზისაგან გარდაიცვალა. მას შემდეგ ყველამ, ვინც ეს ამბები იცოდა და ასეთი ქალაქში უმეტესობა გახლდათ, „საძაგელი ბიჭი“ შემარ-

ქვა. შვიდი წლის ასაკში შაბათობით, როცა ორთოდოქს ებრაელებს მკაცრად ეკრძალებათ საქმის კეთება, შემოვივლიდი ხოლმე მათ ბინებს, რათა ღუმელში ცეცხლი გამეჩალებინა, ამენთო შუქი, დამეჩება შეშა, ამედულებინა ჩაი. ამისთვის ისინი ნამცხვარს და ხანდახან ფულსაც მაძლევდნენ. ო, ეს დიადი გამოცდა იყო! „მართალია, ის დამნაშავეთა ოჯახიდანაა, მაგრამ მაინც რას უნდა აკეთებდეს ეს ნაბიჭვარი ებრაელთა სახლებში? ასეთები უნდა გეზიზღებოდეს!“ – ლაპარაკობდნენ უბანში. უფრო და უფრო მომწონდა, რომ თანატოლებს ჩემთან ურთიერთობას უშლიდნენ, არ აძლევდნენ ნებას, ჩემთან ეთამაშათ, სახლში დავეპატიუებინე, ან საჭმელი გაეყოთ! ვამაყობდი იმით, რომ დირექტორი დაკითხვას მიწყობდა, თუ რას ვაკეთებდი შაბათობით იუდეველებთან. გულში დავცინოდი მასწავლებლებს, რომლებიც მოითხოვდნენ, არ მევლო უცხო რჯულის ხალხთან. მაგრამ რატომ ხდებოდა ეს, ამაზე არც დაფიქრებულა ვინმე, არავის სურდა, რამე შეეგნო და გაეაზრებინა. ეს ყოველივე მათში მხოლოდ ზიზღსა და

სიძულვილს იწვევდა. ამ სიძულვილს ყველაფერში ვგრძნობდი – სადაც თუ საზეიმო დღეებში გამჭოლ და აგდებულ გამოხედვაში, ენიდან მომწყდარ წყევლასა და უამრავ აკრძალვაში: მიმელო ფრიადი ან თუნდაც კარგი შეფასება, მომეთხოვა საჭმლის ზედმეტი ულუფა სასკოლო ბუფეტში, საჩუქრებით სავსე საახალწლო პარკი, შურდულით მენადირა ფრინველებზე. არაერთხელ მომხდარა, როცა აღდგომას ეკლესიაში შესული, გამოვუგდივარ იქიდან სიტყვებით: „აქ რა გინდა, გველის წინილო! გაეთრიე ტაძრიდან!“ არა მხოლოდ ადამიანებს ვეზიზლებოდი, ჯიშიანი და მანანალა ქუჩის ძალლებიც საშინელი სიძულვილით მიყეფდნენ, მათი ეშვები თითქმის ეხებოდა ჩემს ფერმკრთალ და გალეულ სხეულს. ბოროტი კრაზანებიც თვს ისე დამტრიალებდნენ, როგორც კალიები პურის ყანებს. ღრიანკალებიც ძვრებოდნენ ჩემს დაძენძილ ფეხსაცმელში, რომ ეკბინათ; ბატებიც კისერწაგრძელებულნი და მუქარით ფრთებაფართხალებულნი, მტკიცნეულად ძიძგნიდნენ ჩემს პატარა ფეხებს; ცბიერი ყვავებიც გახარე-

ბული მწიწვნიდნენ წითურ თმებს. როცა ვიხსენებ ჩემი ბიოგრაფიის ამ სურათებს, როგორც ბავშვობისას, ახლაც პატივისცემით ვიმსჭვალები საკუთარი თავის მიმართ: შვიდი წლისას უკვე კონფლიქტი მქონდა მთელ სამყაროსთან! როგორ მოხდა ეს? როგორ შეიძლებოდა ასეთი გრძნობა გაჩენილიყო ჩვეულებრივი ბავშვის ცნობიერებაში? მართალია, ჩემი სამყარო მაშინ დიადი კომუნისტური იმპერიის სივრცეში ჩაკარგული პატარა პროვინციული ქალაქით შემოიფარგლებოდა, მაგრამ ადამიანური განცდები პლანეტის მეგაპოლისებზე ნაკლებად როდი მღელვარებდა აქ. მე ვიზრდებოდი და ჩემთან ერთად უტიფრობაც იზრდებოდა. საზოგადოების სიძულვილის ახალი ტალღა რომ გამომეწვია, რისკენაც გააზრებულად და სისტემატურად ვისწრაფოდი, ცხრა წლის ასაკში, საზაფხულო არდადეგების დროს, სასაკლაოზე დავიწყე მუშაობა. ამ სამუშაოს, ჩვეულებრივ, ჩამოსულები ასრულებდნენ ხოლმე და სწორედ მათ მიმიყვანეს იქ. თავდაპირველად მცირეკალიბრიან თოფსაც არ მანდობდნენ, მაგრამ ერთხელ, სადილობისას, როცა სა-

ნიტრები არყის ჭიქებს ერთმანეთს ურახუნებდნენ, მე თვითონ დავავლე ხელი თოფს და ვესროლეძალლს, რომლისაგესიულობაც მეტად თვალში საცემი იყო. ძალლმაც ერთი დაინკრიტუნა და ქვაფენილს უსულოდ დაენარცხა. კაცებმა დასჭყივლეს: „ბრავო!“ ამ ამბის შემდეგ გავთამამდი და უფრო თავდაჯერებით ვიქცეოდი ქალაქის ქუჩებში: თუ განაწესით მხოლოდ უპატრონო, მანანწალა ძალლების ხოცვა იყო დასაშვები, მე ყველას ვკლავდი და უპირველესად მათ, ვისგანაც წყენა მახსოვდა. აბა, ვინ დამიცავდა ობოლს საკუთარი თავის გარდა. თუმცა მხოლოდ შურისძიება როდი მამოძრავებდა, მსურდა ჩემს მიმართ ძლიერი სიძულვილი დამეთესა გარშემომყოფებში. მსურდა თვითონაც ვყოფილიყავი მარტოხელა მანანწალა მყეფარი, რომლისთვისაც ყველას შეეძლო ქვის სროლა ან ლანძღვაგინების დადევნება. აი, საიდან დაიწყო ყველაფერი! აი, სად იწყება ჩემი რთული გზა იმ გადაწყვეტილების მიღებამდე, გუშინ რომ დამატყდა თავს. ადრეული ბავშვობიდან მიტაცებდა კონფლიქტი ჩემსა და საზოგადოებას შორის; ეს გატაცება,

როგორც ჩანს, მთელი სიცოცხლე თან გამყვა. ათი წლისამ ისეთი რამ ჩავიდინე, თანატოლებსაც კი შევძულდი. საფეხბურთო მატჩმა ჩვენი ქალაქის გუნდსა და ობოიანსკის „კოლოსს“ შორის თავიდანვე მაყურებლის ინტერესი გამოიწვია. ტრიბუნები გადაჭედილი იყო. თუმცა... სტადიონს სულ ორი ტრიბუნა ჰქონდა: დასავლეთისა და აღმოსავლეთის. აღმოსავლეთით, საფეხბურთო კარს უკან მთელი მოედნის სიგრძეზე სამმეტრიანი აგურის კედელი აღმართულიყო. ჩრდილოეთის კარს კი მეტალის ხუთმეტრიანი ბადე იცავდა. ვიცოდი, რომ ფეხბურთზე ვერაფრით მოვხვდებოდი: აბა, სად მქონდა ობოლს ბილეთის ფული! ამ დღისთვის მოვნახე ალესილი მახათი, დავიმალე საერთო სარდაფის კარს უკან აღმოსავლეთის კედლიდან რვა მეტრის მოშორებით და ველოდი მატჩის დაწყებას. სეზონის დასაწყისში ფეხბურთელები ბურთს ხშირად აცილებენ ხოლმე კარს. მე, ათი წლის ვასილი კარამანოვმაც, ზუსტად ეს გავთვალე. მატჩის დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ბურთი კედელს გადმოსცდა და შეიძლება ითქვას, პირდა-

პირ ჩემს ხელებში მოადინა ზღართანი. მა-შინვე სამჯერ-ოთხჯერ ვუჩხვლიტე მახა-თი, კარგად დასანახი ადგილისაკენ ვისროლე და კვლავ გავუჩინარდი. ერთი წუთის შემდეგ კედელზე გვერდითი მსაჯი გამოჩნდა. დამჩვარული ბურთი რომ დაი-ნახა, ახლის მოსატანად ვიღაც ნორჩი სპორტსმენი გაგზავნა, თვითონ კი მთავარ მსაჯს აცნობა, ბურთი წვეტიან საგანს და-ეცაო. თამაში განახლდა. ათი წუთის შემ-დეგ ეპიზოდი განმეორდა. დაუჯერებელი სიხარულით ჩავარჭე ბურთში მახათი; მერე კვლავ ძველ სამალავს მივაშურე. ისევ გამოჩნდა გვერდითი მსაჯი, ისევ ატყდა ყვირილი, რომ ახალი ბურთია საჭირო. პირველ ტაიმში იგივე შემთხვევა ოთხჯერ განმეორდა. მეორე ტაიმის დაწყების წინ კედელზე ვიღაც სპორტსმენი შემოჯდა. „რა, ბურთს უთვალთვალებს?“ – გავიფიქ-რე მე. – „ახალი ხერხია საჭირო!“ როცა მხუთე ბურთი გადმოფრინდა სტადიონის კედლიდან, „ყარაული“ კედელს ჩამოჰყვა. რა თქმა უნდა, ის ბურთისკენ, მაშასადამე ჩემსკენაც, ზურგით მოფოფხავდა. წამში ბურთს დავტაცე ხელი და იქვე მდგარი მა-

ღალი ალვის ფოთლებს შევეფარე. დიდი  
ხნის ძებნის შემდეგ, სპორტსმენმა მე შემ-  
ნიშნა ხეზე და მკითხა: „ეი, ბიჭო, გესმის?“  
ხომ არ დაგინახავს, სად გადავარდა ბურ-  
თი?“ ბურთი კი ხშირ ფოთლებში მე ჩავ-  
მალე, ჩამოვძვერი ალვიდან და ხაზგასმუ-  
ლად მორჩილი გამომეტყველებით ხელები  
გავშალე: თითქოს ამ დროს რაღაცით ვერ-  
თობოდი, მაგალითად, ტოტიდან ტოტზე  
გადავინაცვლე და არაფერი შემინიშნავს.  
ისე კი გავიფიქრე: „არ მიშვებთ სტადიონზე,  
გეზიზლებით, მაწვალებთ – ახლა თვითონ  
გაწვალდით.“ „მისმინე, – მითხრა სპორტს-  
მენმა, – მე კედელზე ავძვრები, შენ კი აქ  
უყარაულე! ბოლო ბურთილა დაგვრჩა.“ –  
„მერე ფეხბურთს როგორდა ვუყურო? –  
გულუბრყვილო სახით ვკითხე მე. „გინდა,  
კეფაში გითავაზო? აქ იდექი, თორემ ყუ-  
რებს აგახევ! გიცნობ, ვინც ხარ, შე ყიუ-  
რების მოახლევ ადგილობრივი სასაკლაო-  
დან!“ – ბრძანების კილოთი დამგესლა მან.  
ამ დროს გავიფიქრე: „აჟ, მიცანი! ახლა  
მიყურეთ, რას გიზამთ! – მაგრამ ასე  
ვუთხარი: – კარგი, ბიძია, ბურთებს ვუყა-  
რაულებ. ოღონდ, ნუ მცემთ.“ თუმცა სრუ-

ლიად სხვა აზრმა გამიელვა თავში: „გაბედე  
და ხელი დამაკარე, კედლიდან ჩამოგაგდებ!  
გამომივიდა ვაუკაცი, ბიჭს ცემით ემუქ-  
რება! მხოლოდ ოცდახუთი კილო თუ ვარ!  
ჰმ, გმირი!“ სპორტსმენი კედელზე ახოხდა  
და დაიყვირა, რომ ბურთი ვერ იპოვნა და  
დაცვა გააძლიერა. თხუთმეტი წუთის  
შემდეგ ბურთი ისევ ჩემს მხარეს გადმოფ-  
რინდა. მე მივირბინე, ავიტაცე, მახათი  
აღარ მქონდა, ხეზე დავტოვე. ბურთი გაც-  
ვეთილი აღმოჩნდა, ტყავი გადახეხილი  
ჰქონდა, ხელიგულებს ხორხოშელად ედე-  
ბოდა. „ამბობთ, რომ ბოლოაო?“ – ვიკითხე  
მე. „სწრაფად გადმომიგდე, ჩვენი გუნდი  
აგებს. ოცი წუთი დარჩა. სწრაფად!“ სპორ-  
ტსმენს შევხედე და კვლავ ვკითხე: „რამ-  
დენი ხართ სტადიონზე?“ „გადმოაგდე  
ბურთი, ბიჭო! სამი ათასი გულშემატკიცარი  
გელოდება. გადმოაგდე, თორემ ახლავე  
ჩამოვალ...“ „სამი ათასი, ამბობ? –  
ვაგრძელებდი მე. – „ჰო, სამი. იქნებ მეტიც.  
გადმოაგდე!“ – „სამი ათასი და ერთი ვასკა  
კარამანოვის შემოშვება არ შეგეძლოთ  
სტადიონზე! არ მოგცემთ ბურთს! აი  
თქვენ, ხვიშტი!“ – დავიყვირე მე და მოვ-

ქუსლე. მაშინ ჩემსას მივაღწიე: მატჩი ჩაი-შალა. ერთ კვირაზე მეტ ხანს დამდევდნენ. ფეხბურთის ადგილობრივი მწვრთნელი, მეტსახელად – ტულა, თუმნიანსაც კი შეჰპირდა მას, ვინც გამასილაქებდა. ლამით ქალაქის პარკში საქანელა ნავში მეძინა, დღისით კი – გარეუბანში, თხილნარში ვი-მალებოდი, მეცხრე დღეს მილიციის კაპი-ტანმა, პოდობედმა, ბავშვთა ოთახში რომ მუშაობდა, გამომიჭირა. მოტოციკლით მი-მიყვანა თავის ოთახში და გაუგონარი სისასტიკით დამახია ყურები. ჩვენებური საძალლეთის ეს ფანდი არასოდეს დამა-ვიწყდება. როცა ჩემი ყურები უზარმაზარ პელმენებს დაემგვანა, მან ტაქტიკა შეც-ვალა და მოითხოვა, დამეყოლიებინა დეი-დაჩემი, ვისთანაც ვცხოვრობდი, დაეწერა თხოვნა – აღზრდისათვის საჭირო სახსრე-ბის უქონლობის გამო – ჩემი ბავშვთა სახლში გაგზავნის შესახებ. „სად არის ბავშვთა სახლი?“ – ვკითხე ცრემლების ყლაპვით, თუმცა უკვე სხვა რამეზე ვფიქ-რობდი. იმ წუთას უსაშველოდ მინდოდა, მალე დამემთავრბინა მასთან ურთიერთობა. სწორედ მაშინ ბავშვთა ოთახში დამეუფლა

ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი სწრაფვა სიმარტოვისაკენ. გარშემო ხომ ყოველივე ასე უცხო და მტრული იყო! „დეიდაჩემი ამგვარ განცხადებას არ დაწერს,“ – გულ-წრფელი სინანულით ვუთხარი პოდობედს. „როგორ თუ არ დაწერს? რატომ?“ – ყური ცქვიტა ჩასუქებულმა, უშნო კაცმა და თან ქონის, ნივრისა და სამოგონის სუნს ბოყი-ნიც ამოაყოლა. „ვინ შეუგროვებს ბოთ-ლებს? ვინ ჩააბარებს ტარას, „იმბირულზე“ რომ ეყოს. უარყოდ ერთი დღეც ვერ იცხოვრებს. უქმეებზე ებრაელებთან დავ-რბივარ და ფულით ვამარაგებ. ხოლო სადაგ დღეებში ბოთლებს ვაგროვებ.“ ამ სიტყვებზე კაპიტანმა თავისი უშნო თავი მოიქექა, როგორც ჩანს იფიქრა, რამდენიმე ადგილას დარეკა და ამჯერად სხვა რამ შემომთავაზა: „მაშინ, ნაძირალავ, შენ და-წერე განცხადება მილიციის უფროსის სა-ხელზე, რომ დეიდაშენი, რა ჰქვია... ჰქლა-გეა სვიაუსკაია, შემდეგ კი – პ. ს. – მეურვის მოვალეობას არ ასრულებს. გამუდმებით სვამს, ალკოჰოლიკია და ამიტომ შიშველ-ტიტველი და მშიერი დაწანწალებ. გაიგე? მოგიძებნით საუკეთესო ბავშვთა სახლს,

მას კი უახლოეს შრომით-სამკურნალო პროფილაქტორიუმში გავამწესებთ. რამდენი წლის არის?“ „მოხუცია, – ვუპასუხე, – რამდენიმე წლით უფროსია ჩემს გარდაცვლილ დედაზე. ოცდაათზე მეტის არის. მაგრამ მე არასოდეს ჩავაბარებ მას მაგ პროფილაქტორიუმში. მართალია, ბავშვთა სახლში მირჩევნია, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ საკუთარი დეიდა გავწირო. არა! ნებიმიერ ფასად ამის კეთება არ შეიძლება, მით უმეტეს, ჩემთვის!“ – „მით უმეტეს შენთვის, რატომ?“ – ცნობის წადილით მკითხა პატარა ტანის პოდობედმა. „მე ხომ მარტოხელა ვარ. ასეთმა ადამიანმა კი თავის ფანტაზიებს გასაქანი არ უნდა მისცეს, ეს სახიფათოა.“ როგორც ჩანს, მილიციის კაპიტანმა ვერაფერი გაიგო. ისევ მოიქექა შეთხელებულ-თმიანი კეფა, კვლავ მირეკმორეკა აქეთიქით და განმიცხადა: „ნედრიგაილოვის ბავშვთა კოლონიაში გაემგზავრები, სუმის სამხრეთით მდებარეობს. მართალია, იქ ცამეტი წლიდან ამწესებენ, შენ კი თერთმეტისაც არა ხარ, თუმცა არც ეს უბედურებაა გადაულახავი, დოკუმეტებში

დაბადების თარიღს შევცვლით. ახალ მეტ-რიკას გადმოგცემთ. დეიდაშენს, პელაგია სვიაჟსკაიას უიზრინის შრომით-სამკურ-ნალო პროფილაქტორიუმში ეტაპით გავ-გზავნით. თქვენს ბინაში კი უბნის ახალ ინსპექტორს შევასახლებთ. თითოეულის ცხოვრებას გავაუმჯობესებთ, როგორც პარტია გვასწავლის! და რაც მთავარია, ქალაქს ნაგვისგან გავწმენდთ.“ ასე და ამ-გვარად, 14 აპრილს უკანმოუხედავად დავ-ტოვე მშობლიური პუტივლი, დაუსწრებლად დავემშვიდობე დეიდაჩემს, სათნო, მაგრამ მუდამ მთვრალ ქალს. კაპიტანმა პოდო-ბედმა სახლშიც კი არ გამიშვა ნივთების წამოსალებად. ჭირსაც წაუღია ის ძონძები, მაგრამ სამუდამოდ დავკარგე მშობელთა ფოტოები. ასე გავხდი ადამიანი არსაიდან. სწორედ ასეთი უპატრონო, მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი, მძიმე ბავშვობისა-თვის განწირული, მარტოხელა და თავზე-ხელალებული, მილიციის სერუანტის თან-ხლებით ჩამიყვანეს ქალაქის ტიპის დაბა ნედრიგაილოვოში და ბავშვთა კოლონიაში ჩამაპარეს. განსხვავება ბავშვთა სახლსა და კოლონიას შორის საგრძნობი გახლდათ.

ბავშვთა სახლის მცხოვრებნი სამოქალაქო ტიპის მოზარდები იყვნენ, რომელთაც ამა თუ იმ მიზეზით დაკარგეს მშობლები: ზოგს ისინი ვიეტნამსა და ახლო აღმოსავლეთის ომებში დაღუპოდათ, ზოგი ლოთი იყო, ზოგი პროსტიტუციით ირჩენდა თავს, ზოგიც დიდი ხნით სასჯელმისჯილი გახლდათ და ამდენად, განწირული. ბავშვთა სახლებს სახელმწიფო მეურვეობდა, ხოლო ჩვენ კოლონიაში, თითქმის საპატიმრო პირობებში ვიმყოფებოდით. შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტიდან ვიკვებებოდით და ვიმოსებოდით, ხოლო ჩვენს ყოველ ნაბიჯს სამეთვალყურეო კოშკურიდან, მართალია, უიარალო, მაგრამ შინაგანი ჯარის გასიებულსიფათიანი პროპორშჩიკები ადევნებდნენ თვალს. მცირენლოვანთა კოლონიაში სამასამდე მოზარდი იმყოფებოდა, მათ შორის აღმოვჩნდი მეც, ვასილი კარამანოვი. მიუხედავად სიხარულისა, რომ გარშემომყოფთა წრე შევიწროვდა და აქაური სამყარო – უფრო გასაგები, ცხოვრება კი უფრო გაუსაძლისი შეიქნა, მეც ნაკლებისტერიული გავხდი და გავძლიერდი. ისეთ რამეებს ვაწყდებოდი ყოველდღიურად,

რომელთა აღქმაც ჩემს ბავშვურ ცნობიერებას არ სურდა. რაში სჭირდებოდა, მაგალითად, ზრდასრულ, დაკუნთულ მამაკაცს ფეხით შესდგომოდა ჩემნაირ ღლაპს? ან ეიძულებინა, ცხვირით შეესრუტა უცხიმო, წყალ-წყალა შეჭამანდი? ანდა უსაპნო, ზედმეტი რეცხვისაგან გაშავებულ ზენარქვეშ ბალლინჯოები შეესხა? ძილი შეეწყვეტინებინა გამუდმებული შეძახილით: „ადექით!“, სიტყვა „სკპ“-ზე ანანიზმით დავკავებულიყავით, ტალახი აგველოკა მათი ჩექმებიდან? ნუთუ იმიტომ, რომ ყარაულებს ეცინათ, როცა ბალლინჯოები ჩვენი სისხლით ძლებოდნენ? ნუთუ იმიტომ, რომ სიხარულით აღფრთოვანებულიყვნენ, როცა ჩვენს გამხმარ ნეკნებს მათი ფეხები ეხებოდა? ან განეცადათ ორგაზმი, როცა ჩვენი ენები მათი კირზის ჩექმებს ლოკავდნენ? ტუჩები ენუნნათ, როცა ჩვენ – მშივრები – პატარა ცხვირებით ლეშისგან აყროლებულ წვნიანს ვისრუტავდით? როგორ უნდა გამეგო სამყაროსთვის, რომლისკენაც გამეტებით მიბიძგეს? და საერთოდ, რა უნდა მეფიქრა ადამიანებზე? ვინ არიან ისინი? რა ურჩხულები არიან? რად უნდა

ნარმომედგინა თავი მყობადში? ადამიანად, თუ რაღაც სხვა არსებად? – ადამიანად თუ ვირთხად, თაგვად, უირაფად, ან მგლად? მაინც – როგორად? რად უნდა ვიქცე მომავალში? - ვფიქრობდი ჩემთვის. – ნუთუ ამ საქონლის მსგავს ტიპებად? თუკი მოვუსმენ, შევეცდები გავუგო და გავამართლო ისინი, ეს ხომ ნიშნავს, რომ ჩადენილი დანაშაული, ქცევა და აზროვნება ვაპატიო მათ. და თუ ვაპატიებ, მეც მათ-ნაირი გავხდები. მაგრამ მე ხომ კატეგორიულად ვეწინაალმდეგები ამას. არ მსურს! მეშინია! მეორე მხრივ, რა აზრი აქვს ალმფოთებასა და განცდებს? საკუთარი თავი უნდა ვეძებო!“ მეოთხეს ნაცვლად, ძლივ-ძლივობით რომ ვასრულებდი პუ-ტივლში, მეხუთე, ყველაზე დაბალ კლასში ალმოვჩნდი. ჩემს გარშემო სამყაროს შევიწროებამ სიხარული და შინაგანი სიმშვიდე ვერ მომიტანა. პუტივლის ვრცელ სამყაროში გაცილებით მეტი შასაძლებლობა მქონდა, შევბრძოლებოდი უცხო ადამიანთა აგრესიას, ჩემი **მეს** წინაალმდეგ რომ იყო მომართული. საძაგელ კრუხის პალო პო-დობედსაც კი – ნედრიგაილოვოს ალმზრდე-

ლებთან შედარებით – მეტი ღირსება ჰქონდა. ის, მართალია, ზიზღითა და უხეშად, მაგრამ მაინც მელაპარაკებოდა; სამართლის სუბიექტად მაღიარებდა, თუმცა იქვე მაგრძნობინებდა, რომ მიუფურთხებია ჩემი სამოქალაქო სტატუსისათვის; მიყურებდა, როგორც ჭნავს, რომელსაც შეიძლება ურტყა, – მაგრამ ცემის დასასრულს აუცილებლად თაფლაკვერს გიჩვენებდა. თუმცა აქ კოლონიაში რომ აღმოჩენილიყო, უსათუოდ ამ უკულმართ „აღმზრდელებს“ შეეკვრებოდა. ბავშვთა ადგილობრივი კოლონია ადამიანთა სულისა და ხორცის მოკვდინების პოლოგონს უფრო წააგავდა. ამ პირობებში შეიძლებოდა კია რაიმე ადამიანურზე გეოცნება? წაგევითხა წიგნი, აღფრთოვანებულიყავი მუსიკით, შეყოვნებულიყავი ცნობილი მხატვრის ნამუშევართან, დაგუფლებოდა შემოქმედებითი გატაცება, ჩაღრმავებოდი აკადემიურ ცოდნას? შეგყვარებოდა ვინმე? განა შეიძლებოდა ისეთ დღეგამწარებულ არსებაში, როგორიც მე ვიყავი, სიყვარული გაჩენილიყო? არა, ქალის მიმართ კი არა, თუნდაც ცხოვრების, ბუნების, ან ბოლოსდაბოლოს,

საკუთარი თავის სიყვარული? ასეთ დაფლეთილ სულში, როგორიც ჩემი გახლდათ, შეიძლებოდა პოეტური სტრიქონი ან მელოდია დაბადებულიყო? თუ ჩემი გამოცდილებით ვიმსჯელებთ, არავითარ შემთხვევაში, არასოდეს! ბავშვთა კოლონის აღსაზრდელებს სამაგალითო ქცევისათვის ექვს თვეში ან წელიწადში ერთხელ სახლში, მშობლებთან აბრუნებდნენ. რისი იმედი უნდა მქონოდა მე, ვასილი კარამანოვს? სახლი – არა, მშობლები – არა, ხსოვნა – მწარე, არც – ვინმე მეურვე! ვინ წაიყვანდა ასეთ უშნოს, შეუხედავს, ასეთი წინაპრების პატრონს? კოლონიაში ნამყოფს, თერთმეტი წლისას? მაშინ ჯერ კიდევ არ დამოგზაურობდა ჩვენს ქვეყანაში უცხოელთა ბრძო, აქაური ბიჭების შვილად აყვანა რომ სურდათ. რუსეთის საელჩოს ვაშინგტონში ჯერ არ დაენერგა საახალწლო ზეიმების ტრადიცია შვლად აყვანილი რუსი ბავშვებისათვის. საზოგადოებამ ჩვენი ფასი ჯერ არ იცოდა. მართლაც და, რა უნდა ღირებულიყო ადამიანი ჩვენს ქვეყანაში? ბავშვი, მოზრდილი ადამიანი, ან თუნდაც – მთელი ერი? გროშები, კაპიკები, კიტრის ნაფცქვე-

ნი! მე თვითონაც არ ვიცოდი, რა ფასად უნდა გამეყიდა საკუთარი თავი, მით უმეტეს, საზღვარგარეთ. – როგორც შემდეგ გამოვლინდა, საკმაოდ დიდ თანხად! და ამგვარი შესყიდვის მსურველიც მრავლად აღმოჩნდა. სამოცდაათიან წლებში კი არა, ოთხმოციანებში რომ დავბადებულიყავი, სულ სხვაგვარად ვიცხოვრებდი. და მიზნებიც სხვანაირი მექნებოდა, ისეთი კი არა, ახლა რომ მაქვს! მართალია, ჩემს გრძნობებს ვფარავდი, ვცდილობდი, საკუთარი თავისთვის აღვირი ამომედო, მაგრამ კოლონიაში ერთი მასწავლებელი მაინც შევათვალიერე, შესახედად სიმპათიური, კეთილი და მომღიმარე. ვიფიქრე, რომ ის შესანიშნავი დედა იქნებოდა. მისი გამხედვა ძალიან მიზიდავდა. . . მაისის ერთ საღამოს უცებ მომიახლოვდა რეჟიმის უფროსი, მაიორი პანტიუხოვი. „ეი, წითურა, – გამოსცრა კბილებიდან, – ამბავი მომიტანეს, რომ ანაშას ეწევი. თხუთმეტი დღით კარცერი გამოგიწერე. თუმცა კამერაში მარტოობა შემიძლია, ოცდაათ-დღიანი საველე სამუშაოებით შეგიცვალო, შემიძლია ერთი ტომარა კარტოფილი-

სათვის გირაოში ჩაგაბარო. კოლონიაში ანაშის მოწევის ნება ვინ დაგროვ?“ სახტად დავრჩი. მცველის დაუფარავმა თავ-ხედობამ მაიძულა იმავე ტონით მეპასუხა: „მე არასოდეს არ მომიწევია არც სიგარეტი, არც ანაშა და არც ჰაშიში ჩამიდვია პირში. საიდან უნდა მქონდეს ამის ფული? მაგრამ თქვენთან კამათს არ ვაპირებ. კარცერს ვირჩევ, მარტო ვიჯდები.“ – „თავხედო! რა უმსგავსობაა! – ცოფები გადმოყარა მაიორმა. – რა, ერთი თვე კარცერში გინდა დალპე? საკუთარ განავალში სიარულს აპირებ დილიდან სალამომდე? კამერაში ჰარაშასაც კი არ მოგცემ! ნაძირალა! საგუშაგოზე! პროპორშჩიკთან ერთად სე-მიხატოვის მამულში წახვალ. შენი სამუშაო დღე დილის რვიდან საღამოს ათ საათამდე გაგრძელდება. რამეს თუ დააშავებ – ოცდაათი როზგი გელოდება. სემიხა-ტოვთან ექვსი კავკასიური ნაგაზი გიდა-რაჯებს დღისით და ღამით. გაქცევას და-აპირებ და, ნაკუნებად გაქცევენ. ასე რომ, დახმარება არსაიდან გელის. გახსოვდეს: თუნდაც ერთი საჩივარი, ერთი მინიშნება შენს ცუდ ქცევაზე და წამსვე მარტო

აღმოჩნდები კარცერში. მთელი ზაფხულით. ჭლექი გარანტირებული გექნება. “პანტიუ-ხოვის ამ ტირადის შემდეგ განა შეიძლება გჯეროდეს, რომ ადამიანი ღვთიური ქმნილებაა, ბუნების გვირგვინია? რომ ის გონიერია, რომ ჩვენ ერთნაირები ვართ? სრული სისულელეა! ამის არასდროს მჯეროდა, არც ჭკუით, არც გულით ვაღიარებდი ამ პოსტულატს. საკუთარ თავს მივაკუთვნებდი რა სხვა ბიოლოგიურ არსებას, ვცდილობდი გავთავისუფლებულიყავი უმძიმესი აზრისაგან, რომ მეც ადამიანად გავჩნდი ამ ქვეყნად და პირველად განვაცხადე კატეგორიულად: „არა, მე ადამიანი არა ვარ და სრულიადაც არ ვგავარ იმ ხალხს, გარს რომ მახვევია. ჩემი თავი არაადამინურში, სხვა ჰიპოსტასში უნდა ვიპოვო. იქ, სადაც არ არის და არც მექნება ის განცდები, რომლებიც ბავშვობიდან მანამებდა.“ ამ მოულოდნელი აზრით აღელვებული ვიდექი მაიორ პანტიუხოვის წინაშე. მაისის ქარი ჩემს წითურ თმაში დანავარდობდა. თბილოდა, ძალუმად ვიტ-მასნიდი ტუსალის ჩვეულებრივ სამოსს; და რატომლაც მთელი ტანით ციებიანივით

ვლანკალებდი. დამამცირებელი სცენის-თვის თავი რომ დამეღწია, ყოველგვარი ცნობისწადილის გარეშე უაზროდ გავხედე ნედრიგაილოვოს შემოგარენს. ადგილობრივი ხეობების დამრეც ფერდობებზე ახლადმოხნულ შავ მიწაზე ადამიანები დაფოთარობდნენ. აქ უფრო ინტერესით დავაკვირდი: მათ შორის ბავშვები არ იყვნენ. „ვიზრდები“ – გავიფიქრე მე. ამგვარად, პირველად მოვხვდი იძულებით სამუშაოზე. არა, სასამართლოს კი არ მოესაჯა ეს, არამედ ერთი გულნამცეცა ნაძირალის, კოლონიის აღმზრდელ პანტიუხოვის ნებით ხდებოდა ყოველივე. „წაეთრიე საგუშაგოზე, წითურო ლეკვო!“ – რეალობაში დამაბრუნა მაიორმა. მნარე ნერწყვის ყლაპვა-ყლაპვით, მდუმარედ წავჩანჩალდი საგუშაგოსკენ. თუმცა უნდა ითქვას, რომ მაშინ, ბავშვობაში, ნერწყვი სულ მნარე მქონდა, თითქოს სისხლმდენი იარიდან უონავდა. მოგვიანებით ამან გაიარა. ახლა ის მაშტოთებდა, რომ ადამიანებთან ურთიერთობა უსასრულო პროცესი გახლდათ. „ოჰ, ნეტავ, მალე დამთავრდებოდეს ეს!“ „ასეთი ტაატით ლუკმა-პურს

ვერ მოიპოვებ, აქოთებულო!“ – გაისმა მაიორის ლრიალი. მე უკვე ვისწავლე, რომ გულთან ახლოს არ უნდა მიმეტანა მსგავსი შეურაცხყოფა, ამიტომ ნაპიჯი არ ამიჩქარებია. საყარაულოსთან ჩემს შესახვედრად პროპორშიკი დაიძრა. მასში განსაკუთრებული არაფერი იყო, ისე, ჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ: ლოთური და ბოროტი გამოხედვა, უფერული და უაზრო თვალები, არყისაგან დასიებული მძიმე მუშტები. ქუდი ისე ასწეოდა კინკრიხოსკენ, თითქოს გადმოვარდნას ლამობდა; ჩექმების ნაცვლად სპორტულები ეცვა; ბრინჯაოს ბეჭდები თითებზე მჭიდროდ მოსჯდომოდა. „დაიძინებ ფარდულში თივაზე – ულტიმატუმივით წარმოსთქვა მან. – აკრძალულია სახლის პატრონებისთვის რაიმეს თხოვნა. მათ არაფერი უნდა გაიგონ შენი მდგომარეობის შესახებ: გშია თუ გწყურია, გეშინია თუ არა, დაიღალე თუ არა, ოცნებობ თუ არა. ყველა ეს აზრი საკუთარ წითურ გოგრაში შეინახე. იმედია, გამიგე?“ – მითხრა და კეფაში წამომარტყა, – თუ კითხვა გაგიჩნდა, ყველაფერი მე მკითხე. გავიგებ თუნდაც ერთ საჩივარს, ან ხელ-

მძღვანელობა შენ გამო მისაყვედურებს, ჩამქრალი კირის ორმოში ჩაგიძახებ! გაზაფხულობით ასეთი კირის ორმოები აქ მრავლადაა. წაეთრიე! ჩქარა! ნიურკა ალბათ უკვე მელოდება, მე კი შენ უნდა მიგიყვანო ადგილზე. ფუი!“ „როგორ ჰგავს ყველა ერთმანეთს! – გავიფიქრე მე – მხოლოდ სახე, ტანი და ჩინები ეცვლებათ, თორემ სიტყვებს ყველა ერთნაირად ისვრის. თითქოს ვინმე უცნობი ავტორის ტექსტი დაზუტხოთ! ეჭ, ამგვარი რამის წაკითხვის სურვილიც არ მაქვს! ღმერთმა ნუ ქნას, ამის დაზუტხვა მეც დამავალონ!“ ძლივს ვეწეოდი დიდი ნაბიჯებით მიმავალ სამოქალაქო ფეხსაცმლიან სამხედროს. „ისე მაჩქარებს, რომ ჩემი კუთვნილი ფაფის საღამოს ულუფაც გადაავიწყდა. მართალია, წყალ-წყალაა, მაგრამ თბილი მაინცაა!“ – გამიელვა თავში – თუმცა იქნებდიასახლისი გამიმასპინძლდეს.“ ქალებთან ურთიერთობის არავითარი გამოცდილება არ მქონდა. მხოლოდ გალოთებული დეიდა და რამდენიმე მასწავლებელი თუ მაგონდება. ისინი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალბატონებად ითვლებიდნენ, რომლებიც ჩემ-

ნაირ ქუჩის მანანწალებთან მიახლოებასაც ვერ ბედავდნენ. ან ათი წლის ბიჭს რა ურთიერთობა უნდა მქონოდა ქალებთან! თან მასწავლებლებთან!.. ძალიან ჩქარა დავრწმუნდი, რომ მნარედ ვცდებოდი ვახშმისა და მამულის მეპატრონების გამო. არა, **მათი** ცხოვრება ასე როდია მოწყობილი! როცა ასკილის ხშირ ბუჩქებს გავუსწორდით, ძალების გააფთრებული ყეფა შემომესმა. უეცრად ვიღაცის ბანმა დასჭექა: „სიჩუმე!“ ერთი წუთის შემდეგ იმავე ბანმა ისევ გაიმეორა ბრძანება. ქოფაკებმა ყეფა შეწყვიტეს და ღრენაზე გადავიდნენ. ასე ბოროტად მხოლოდ კავკასიური ნაგაზები იღრინებიან – ამასთან, კბილებსაც აკრაჭუნებენ. რამდენადაც მახსოვს, ამ დროისთვის ძალების ნაკლებად მეშინოდა: მშობლიურ ქალაქში ისინი ხშირად დამდევდნენ. ჩემი, ჭეშმარიტი ტყავისმხდელის, შურისძიება წარსულს ჩაბარდა. ბუჩქებს მიღმა ცხოველთა ძლიერი სხეულები დავლანდე. ქოფაკები მეტალის ღობესთან ავობდნენ, თუმცა მათი სიშმაგე მხოლოდ პროპორშჩიკს აშინებდა. და სულ კუთავდა: „ოჰ, უფროსო, დააყუჩე ძალე-

ბი!“ ამ დროს ლობესთან გამოჩნდა მოხუცი კაცი. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ის ასეთად მეჩვენა. „რაო, ქეციანო, მომიყვანე ბიჭი? რატომ ასე გაჩხიკული? შესძლებს კია ეს დღეში თორმეტ საათს მუშაობას? მე აქ ბავშვთა დასასვენებელი სახლი კი არა მაქვს! ორიოდ დღეს გამოვცდი და თუ შედეგი ვერ მივიღე, გამოვცვლი. ხვალ საჩივრით მივაკითხავ პანტიუხოვს, ასეთი მჭლე ბიჭი რომ გამომიგზავნა. ეს მცირე-წლოვანი რა მშრომელი უნდა იყოს? აიღე სამოგონი, ტილიანო, და მოუსვი აქედან! ნიურკა დიდი ხანია გელოდება ალბათ. შენ კი, დასჯილო, მომყევი! – მომმართა მე. კაცმა ფარდულში მიმიყვანა, თივაზე მიმითითა და გასასვლელისკენ წავიდა. „სადაა საჭმელი, წყალი, ტუალეტი?“ – მივაძახე მე. „რა, წითურო, სანატორიუმში მოხვედი, თუ პიონერთა ბანაკში? როცა ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებისთვის ვიბრძოდით, თაგვებს ვჭამდით. შიმშილი მძვინვარებდა! აი, კუთხეში ერთი ტომარა ქერია. კბილები მაგარი გაქვს, თან გაიწმენდ. რა პატიმარი ხარ ამისთანა, ტუალეტს რომ კითხულობ. გახვალ ფარდულიდან!... ადგილი დიდია.“

– „ძალლები?“ – კვლავ დავუგდე კითხვა. „ძალლები, ძალლები! მალე შეეჩვევით ერთმანეთს. ხვალ დილით რვა საათზე გაგაღვიძებ, ლორებს სალაფავი უნდა მისცე. მერე ბოსტანი უნდა გამარგლო, მინდორში გახვიდე. ბევრი სამუშაო გექნება უსაქმოდ ყიალს და არაფრის მომცემ გაკვეთილებზე დროის კარგვას, ეს სჯობია“. – ამოანთხია და წავიდა. მეტი არაფერი უთქვამს. „კარგი, – გავიფიქრე მე, – ფარდული საცხოვრებელს უნდა დავამსგავსო.“ აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ მხოლოდ თერთმეტი წლის ვიყავი, საბუთებით – ცამეტის, ცხოვრებისეული გამოცდილებით კი – თვრამეტისაც. ჩვეულებრივი მოვლენაა: ობოლი ბავშვები სწრაფად იზრდებიან. ამიტომ საქმიანად მოვათვალიერე ჩემი სამყოფი. ფარდულში არავითარი სანათლე – არც წავთის ლამფა, არც სანთელი არჩანდა. მაისის შუა რიცხვებში ცხრა საათისთვის ღამდებოდა. „ესე იგი, – გადავწყვიტე მე – მალე სრული სიბნელე ჩამოწვება.“ და ქერიანი ტომრის ძებნას დავეჩეარე. ამისთვის დიდი დრო არ დამჭირვებია: ახალტალახშემშრალ თოხს უკან

ძუით დაკემსილი ტომარა ეგდო. თავდაპირველად ნამიანი, ჩახურებული, სხვა მარცვალშერეული ქერის ჭამა არ მინდოდა. მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ჯერ ნელ-ნელა შევავლე ხელი, მერე კი საუკეთესო მარცვლებს დავუწყე ძებნა, ბოლოს რამდენიმე კბილითაც მოვსინჯე. თანდათან გამიტაცა ამ საქმემ, მარცვლებს უკვე გულმოდგინედ ვარჩევდი, ძალიან მალე დავიტენე ჯიბეები და ყბებიც ავამუშავე. ახლა არ მსურს მათი გემოს გახსენება, მაგრამ ისე გეტყვით, რომ ამ ასაკში პრაქტიკულად ყველფერს უმად, მკვახეს ვჭამდი და განსაკუთრებულად რომელიმე საკვები არ მიყვარდა. ჩემი კუჭი ყველაფერს ამუშავებდა: მწარე ტყის წაბლით, შაქრის ჭარხლით, მაჟალო ვაშლით, უმი კარტოფილითა და მწყრის კვერცხით დაწყებული, კოცონზე შემწვარი იმ შავი შაშვებით დამთავრებული, რომლებსაც გვიანი შამოდგომითა თუ ზამთრობით შურდულით მრავლად ვხოცავდი. ერთადერთი სასუსნავი, რომელზეც ხელი მიმინვდებოდა, კომბოსტოს ხიკვი გახლდათ. მზის ჩასვლისას, როცა მეწამული მზე მომაბეზრებელი ალით თვა-

ლებში გიჭყიტინებს, კოლმეურნეობის მინდორზე გავდიოდი, ვეძებდი კომბოსტოს პატარა თავებს, გულდაგულ ვაცლიდი ფართო ფოთლებს ხიკვამდე და ვეთხოვებოდი რა წითლად მოღაულაჟე ვეება დისკოს, გემრიელად ვახრამუნებდი. წყვდიადი რომ დაისადგურებდა და ჭამაც აღარ მინდოდა, ვუბრუნდებოდი პუტივლის დაცარიელებულ ქუჩებს. მარტოხელა ცხოვრებამ სიბნელეს მიმაჩვია. ამ დროს თავს უსაფრთხოდ ვგრძნობდი. ხოლო როცა ქუჩებს უკანასკნელი ადამიანებიც ტოვებდნენ, მე სრულიად მარტო დავაბიჯებდი ღამის ქალაქში და თავი ამ ცხოვრების ბატონ-პატრონად მიმაჩნდა. ო, როგორ მსიამოვნებდა საკუთარ თავთან პირისპირ დარჩენა და ბატონობა ტკივილამდე დაცარიელებულ სამყაროზე!.. პირველ ღამეს ფარდულში არაფერი დამსიზმრებია. იშვიათად მეღვიძებოდა, როცა ცხვირში თივის ბუნუნი მიღიტინებდა. დილით ის კაცი უფრო მოღუშული ჩანდა, ვიდრე გუშინ საღამოს. მხოლოდ დამიყვირა: „ადე, წითურა ლეკვო!“ – უნდილად ჩაიქნია ხელი, – მანიშნა, რომ სწრაფად გავყოლოდი და გასასვლე-

ლისკენ გაემართა. ავჩქარდი. ამ დროს რა-ლაც დაუჯერებელი მოხდა: კავკასიური ნა-გაზები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ მზად იყვნენ, მე და პროპორშჩიკი ნაკუნწებად ვექციეთ, მეგობრულად გამოქანდნენ, ბავ-შვურ სხეულზე მომეგლისნენ და თან გამომყვნენ. ერთმა ძალმა ხელიც ამი-ლოკა! ეს ჩემს ცხოვრებაში პირველი კოც-ნა იყო. ვერ დავიჯერე! მაგრამ ძალმა ისევ ამლოკა. სიხარულისაგან გადავირიე! მეორე ძალს ცხვირით ჩემს სახესთან უნდოდა მოახლოება. ასე ფერებაში მიმიყ-ვანეს სალორემდე. რაღაცის გაურკვეველ სიმბოლოდ მეჩვენა ეს ამაღელვებელი ამ-ბავი. მინდოდა ვიღაცისთვის გამეზიარებინა ჩემი სიხარული: ცხოვრებაში პირველად მომეფერნენ, თუნდაც არა ადამიანები, არამედ ძალები. მაგრამ ირგვლივ არავინ იყო. და უცებ ვიგრძენი, რომ არავის აღარ ვეძებდი და არც არავინ მჭირდებოდა. **მე** მსიამოვნებდა დიალოგი ნახევრად მშიერ, მცირენლოვან, მაგრამ საკუთარი გამოცდი-ლებით დაბრძენებულ ვასილი კარამანოვ-თან, რომელიც თავის არაადამიანურ სტატუსს ეძებდა, თუმცა გარეგნულად

ადამიანებს ჰგავდა. ამ შინაგან დიალოგს, თავდაპირველად გართობად, უცნაურობად თუ მივიჩნევდი, მალე მივხვდი, რომ საუბარი ერთისა მეორე **მესთან** შინაგან აუცილებლობად მექცა. განა შეუძლია ჩვეულებრივ ადამიანს ამის წარმოდგენა: მთელი ცხოვრება მხოლოდ საკუთარ თავთან ისაუბროს? ყველა ფსიქიურად დაავადებულს მიწოდებდა! პარანოიით შეპყრობილს! გონიერივად ჩამორჩენილს! თუმცა მე სრულიად ჯანმრთელი ვიყავი. ან ვის უნდა დავლაპარაკებოდი საღორის ცარიელ სივიწროვეში? ან პუტივლში, ან ბავშვთა კოლონიაში, სიძულვილის ატმოსფეროში, ჩემს გარშემო რომ შემოჯარულიყო? თუკი ქვეყანას სიძულვილით უყურებ, შეიძლება, რომ მასთან ურთიერთობის სურვილი გაგიჩნდეს? გახდე მისი შემადგენელი ნაწილი? რა თქმა უნდა, არა! თავდაპირველად საღორის ბინადრებიც მტრულად შემხვდნენ. მწარედ ვინანე, რომ ადრე ლორის ხორცი იშვიათად მხვდებოდა თევზზე ან ჯამში. ვაი, რომ არც ასეთი მზარეულები მყავდა და არც მატერიალური შესაძლებლობა მიწყობდა ხელს. და მიტოვებული

მცირენლოვანის მტანჯველ ფიქრებში პირველად გაჩნდა შემოქმედებითი აზრი: უკეთესი იქნებოდა დუჟინისთვის კი არა, ერთი დიდი ლორისთვის მოგევლო. თოორმეტი ლორიდან თუ თითოეული ორას კილოგრამამდე იწონის, ერთი ახალი ჯიშის ლორი სამ ტონამდე მაინც იქნება. მელორეობა გაცილებით უფრო რენტაბელური გახდება! მეც სიამოვნებით ვიყოლიებდი ასეთ ვეებერთელა მეგობარს. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ არსებობს მეცნიერება – გენეტიკა – რომ სწორედ ის დამეხმარება ვიპოვო ჩემი თავი. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ეს, ერთი შეხედვით, გამოუსადეგარი ცხოველები არაჩვეულებრივი მეგობრები აღმოჩნდნენ. ისინი ჩემთვის უფრო ახლობელნი შეიქნენ, ვიდრე კეთილი ნაგაზები. მერე ფიქრით უფრო შორსაც წავედი: ადამიანთა შორის ცხოვრებას ლორებთან ყოფნას ვამჯობინებდი! ერთი კვირის შემდეგ ფარდულიდან სალორის ბაქანზე გადავსახლდი და ძალიან კომფორტულადაც ვგრძნობდი თავს, რადგან კოლტმა გულთბილად მიმიღო. ის კაცი იშვიატად მხედავდა, ყოველ მეორე დღეს

მცირე მოწყალება მხვდებოდა ხოლმე მის-  
გან: გამხმარი პურის ყუა, რამდენიმე და-  
უეუილი ხახვი, ორიოდ კარტოფილი და  
ხამსა – წვრილი თევზი. თუმცა მე მშიერი  
არ ვიყავი: ქერის ტომარა, რკო, ნახარში  
ღორებისათვის – ყველაფერი მრავლად  
მქონდა. ჭამის საკითხი არ მაღელვებდა.  
სხვა საქმით ვიყავი დაკავებული, საკუთარ  
თავთან საუბრით ვთვრებოდი. ერთხელ  
საღამო ხანს ღორების დასარწყულებლად  
ჭიდან წყალი მომქონდა. ძალლებიც მომ-  
დევდნენ. ისინი თითქმის ყოველთვის  
მაცილებდნენ ამ სვლაგეზზე. თავდაპირ-  
ველად ვფიქრობდი კიდეც, რომ მყარაუ-  
ლობდნენ, კვალში მომყვებოდნენ, რათა  
არ გავქცეულიყავი, ანდა ჩემი ბიჭური  
ცელქობა შეეზღუდათ. თუმცა ცელქობის-  
თვის დრო სად მქონდა! ბოლოს მივხვდი,  
რომ ვცდებოდი. ჩვენს შორის გაურკვეველი  
მეგობრული კავშირი დამყარდა. ცნობილია,  
რომ სხვადასხვა ჯიშის ცხოველები ერთ-  
მანეთს, ადამიანებთან შედარებით, უფრო  
სწრაფად უახლოვდებიან. ძალლები გაშმა-  
გებით უღრენდნენ ხალხს, ხშირად საკუთარ  
პატრონსაც, მაგრამ მე მიცავდნენ და მე-

ფერებოდნენ. მათთან ასეთმა ურთიერთობამ კიდევ ერთხელ დამიმტკიცა: განსჯა, რომ მე ადამიანი არა ვარ, ჭეშმარიტია. ჰოდა, მივდივარ წყლიანი სათლებით, უცებ კარი იღება და შემოდის ის მასწავლებელი, ვისი კეთილი გამოხედვაც სენტიმენტალურ აზრებს აღმიძრავდა. გავულიმე, მინდოდა, სათლები მიწაზე დამეწყო და მივსალმებოდი. მაგრამ ქალმა შემომხედა, თვალები დახარა, ბოროტი გამომეტყველება მიიღო, მხოლოდ ძალლებს დაუცაცხანა: „ადგილზე, მოღალატეებომ!“ – და გამშორდა. არ გასჩენია არავითარი სურვილი, გაჩერებულიყო, რამე ეთქვა, რამე ეკითხა ჩემი ცხოვრებისა და სწავლის შესახებ. მე გავშეშდი და უკან განაწყენებული ხმით დავადევნე: „გამარჯობა, ანა კლიმენტიევნა! ეს მე ვარ, ვასილი კარამანოვი ნედრიგა-ილოვოს კოლონიიდან.“ ჩემკენ არც მოუხედავს. ისე ჩამიარა, თითქოს არც ვარსებობდი. თითქოს მის წინაშე ცოცხალი არსება კი არა, მინდვრის სარეველა, ქარისაგან გაშიშვლებული ბაბუანვერა იდგა. ამ ამბავმა მაიძულა უფრო და უფრო შემძულებოდა კაცობრიობა; სურვილმა, სხვა

არსებად ვქცეულიყავი, ახალი ძალით იფეთქა. ბატონის სახლში საღამოს მწარე ეპიზოდმა კიდევ ერთხელ დამაფიქრა: თუ რომელ ბიოლოგიურ ჯგუფს მივეკუთვნებოდი? ავადმყოფური ჩაძიებით დავიწყე საკუთარ თავში ხასიათისა და ცნობიერების ისეთი თვისებების ძებნა, ადამიანთა მოდგმისაგან ფუნდამენტურად რომ განმასხვავებდა. მაგრამ ანთებით შეპყრობილი გონი, შურისძიების გარდა, არაფერს მკარნახობდა. „ეს როგორ შეიძლება, – ვშთოთავდი მე, – ამ ქალს დედად აღვიქვამდი და არა მარტო საკუთარ დედად, არამედ კოლონიის ყველა ბინადარისა, ის კი პანტიუხოვის ჯიშისა აღმოჩნდა!“ ამ დროს ძალლმა თითები ამილოკა, თითქოს ყველაფერს მიმიხვდა. გონს მოვეგე, წყლიან სათლებს ხელი დავავლე და საღორისკენ წავათრიე. ჩემი სამუშაოდან სახლამდე, რომელშიც მასწავლებელი შევიდა, ორმოცდაათიოდე ბავშვური ნაბიჯი თუ იქნებოდა. „ვისთან მიდიოდა? – გავიფიქრე მე, – იმ კაცთან? საერთოდ, ვინ ცხოვრობს ამ სახლში? როგორ გამოიყურება ჩემი პატრონი? ვის ეკუთვნის ეს ვეება ხის სასხლე?“

რატომლაც დავასკვენი, რომ მუდამ მოღუშული კაცი ამ გადაკარგული მიწების ზედამხედველი იყო: როგორც ჩანს, მისმა სიმკაცრემ, სიხარბემ და უცხვირ-პირობამ დამარწმუნა ამაში. რომ გამერკვია, ვინ გახლდათ ამ მამულის პატრონი, გადავწყვიტე, დავლოდებოდი დაღამებას და შემეჭყიტა სახლის ფანჯრებში. საღამოს მეცხრე საათი იქნებოდა. საღორეში წყალი შევიტანე, ვარცლებში ჩავასხი, გამოვედი ბაქანზე, ანუ ნედრიგაილოვოს სლენგით, სადგომზე და მარცვლებზე გავწექი. კოლონიის საშხაპეში სხეულზე ჩამონადენი ცხელი წყლის ნაკადივით მჩხვლეტდა შვრია. ეს მსიამოვნებდა კიდეც. და სიამოვნება რომ გამეხანგრძლივებინა, აქეთ-იქით ვტრიალებდი, კანზე მოკრულ მარცვლებს ვიცლიდი, რომ ხელახლა შემეგრძნო მათი ჩხვლეტა, შეხება. ძალიან მინდოდა ლაპარაკი, გაუთავებელი ლაპარაკი. ჩემს თავთან საუბარს საკუთარი **მეს** გაყოფის პრინციპზე ვაგებდი. იმ წლებში მივხვდი, რომ განსჯა და საკუთარ თავთან საუბარი სხვადასხვა რამაა. თითოეული მათგანი იმდენად ორიგინალურიდა დამოუკიდებელი

გახლავთ, რომ ხელსაყრელ დროსა და განსაკუთრებულ შინაგან მდგომარეობას მოითხოვს. სრულ დაბნელებამდე საათიღა რჩებოდა; ეს ერთი საათი აღნიშნული საუბრისათვის სავსებით მაკმაყოფილებდა. ამასთან, თვალ-ყურს ვადევნებდი ბილიკს, სახლიდან წინკარამდე რომ მიდიოდა. წარმოთქმული, საკუთარი და სხვისი, აზრები მეტად გულუბრყვილოდ მეჩვენა, სამაგიეროდ, ღრმა და გულწრფელი იყო. ანდა რა სიბრძნე მოეთხოვებოდა თერთმეტი წლის იმ მოზარდის აზრებს, რომელმაც მხოლოდ ორი წიგნი წაიკითხა: კოსტანიანის „ფეხსაცმლის მოდელირება: ტყავი მხატვრის ხელში“ და მარგარიტა გის „გადამფრენი ფრინველები“? აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული წიგნები იმ ქაღალდის გროვაში ვიპოვე, რომელიც ჩემმა თანატოლებმა მოიტანეს მაკულატურის ჩაბარების სასკოლო გეგმის შესასრულებლად. რატომ ამოვირჩიე მაინცდმაინც ეს წიგნები? თითქმის არასოდეს მქონია ფეხსაცმელი... არა, სრულიად ფეხშიშველი კი არ ვიყავი, სანაგვეზე გადაყრილი გაცვეთილი „ბაშმაკებით“ დავდიოდი და ამიტომ ყოველთვის

რამდენიმე ზომით დიდი მეცვა. ხშირად „პაშმაკები“ ცალ-ცალი იყო, სხვადასხვა ფერისა და მოყვანილობის. როგორც ადრე მოგახსენეთ, შურდულით მოვიპოვებდი არსობის პურს. ძირათადად, მწყერზე, შაშვზე, გნოლქათამასა და გარეულ მტრედზე ვნადირობდი. თუ პირველ წიგნში ვეძებდი ნორმალურად როგორ შემემოსა ფეხი, მეორე შემთხვევაში – როგორ გამეზარდა მონაგარი, რათა ჩემი და დეიდაჩემის კუჭები ამომევსო. სიღარიბემ და გაუთავებელმა ბრძოლამ არსებობისთვის აამოქმედა ორგანიზმის დაცვითი ფუნქცია: როგორ შევგუებოდი შიმშილს, სიმარტოვეს, სიცივეს, მეძებნა ახალი ხერხები, მომეპოვებინა ყველაზე აუცილებელი. „გახსოვს, – ვკითხე საკუთარ თავს, – პუტივლის ქუჩებში ხეტიალისას, როგორ არჩევდი, შესახედაობისა და ჩვევების მიხედვით, მამაკაცებს, მამად რომ გამოდგებოდნენ. მაშინ გეჩვენებოდა, რომ ის კი არ დახვრიტეს, არამედ სადლაც მიიმალა, რომ ეთვალთვალა შენი ცხოვრებისთვის, ქცევისთვის, გამძლეობისთვის. გეჩვენებოდა, რომ სადაცაა გამოჩნდება, მოგეხვევა, გიყიდის ტანსაცმელს, ტკბილე-

ულს და დაიწყება ახალი ცხოვრება. რამ-დენჯერმე შეარჩიე კიდევ სასურველი მამა, მაგრამ ამის იქით საქმე არ წასულა. ვერ შესძელი, გელიარებინა მამობის კან-დიდატებთან საკუთარი არჩევანი“. – „რა თქმა უნდა, ამის დავიწყება როგორ შე-იძლება?! მახსოვს, როგორ გადმოხეთქა ცრემლმა, როგორ მეხუთებოდა სული სასონარკვეთილს“. – „ის თუ გახსოვს, ერთხელ უცხო ქალი რომ მოგეწონა და დედა დაუძახე, მან კი პასუხად გესროლა: „მომწყდი თავიდან, ჩერჩეტო! რა, თაფ-ლაკვერი გინდა გამომტყუო?“ მერე კი დაამატა: „დამეკარგე აქედან, პატარა თაღლითო.“ ასეა, შენ მრავალჯერ იწვნიე იმედგაცრუება. ხომ არ დაგვიწყებია, მთე-ლი მეოთხედი როგორ დარბოდი ხვა-ტაიკოს ბინაში, მასწავლებლისთვის ცხელი წვნიანი, კოტლეტები და ტკბილეული რომ მიგეტანა, მას კი სამიანზე მაღალი ნიშანი არ ულირსებია შენთვის და არც არასოდეს მიუპატიუებიხარ თავის ხემსზე? თუმცა ფოსტის უფროსის, შტუჩკინის უნიჭო ვაუ-სა და წყალსაქაჩის უფროსის მოსულელო ქალიშვილს ხუთიანებს უწერდა და ხაშა-

შიან ბლითებსაც სთავაზობდა.“ – „ყველა-ფერი მახსოვს, ჩემი ბავშვობის ყოველი დღე ზედმიწევნით შემომენახა გონებაში! ისიც კი მახსოვს, საბავშვო ბალის უფროს ჯგუფში, პირველად როგორ ვიგრძენი უსამართლობა და იქნებ – მტრობაც – ჩემ მიმართ. ჩვენს ეზოში ათამდე თუთის ხე იდგა. დამამზადებელმა კანტორამ საბავშვო ბალს აბრეშუმის ჭია გადასცა, რათა ბავშვებს მათვის მოევლოთ და თუთის ფოთლები ეჭმიათ. ყოველ ოთხ კვირაში ერთხელ აბრეშუმის ქათქათა აბლაბუდით შემოსილ პარკს ბალი კანტორას აბარებდა. ჩემი თანატოლები, რომლებიც ამ საქმეს ასრულებდნენ, ვახშამზე დამატებით ერთ კოვზ ხილფაფასა და პურის გუნდას იღებდნენ. საბავშვო ბალის აღმზრდელებმა ერთხელაც არ მიმიშვეს აბრეშუმის ჭიის მაგიდასთან. ისინი ამ საქმეს ანდობდნენ მეზობლის გოგო-ბიჭებს, ან თავიანთ ახლობელთა და ნაცნობთა შვილებს. ასე რომ, არც ხილფაფა, არც პურის დანამატი არ მინახავს. ყველა უფროსს რატომდაც უნდოდა, კეფაში წამოერტყა ჩემთვის ან გაველანძლე, ხოლო აღმზრდელები მხო-

ლოდ იმიტომ მეძებდნენ, რომ დამამცირებელი საქმე დაევალებინათ. იქნებ ჩემი მშობლების საქციელის გახსენება უბიძგებდა მათ ამისკენ. ახლა მაგონდება, როგორ შემაჩერეს გოგონების ჩაფსმული ნიფხვები, რომ მათ სახლში მიმეტანა და იქიდან მშრალები წამომელო. ვის უნდა დაავალო ასეთი რამ, თუ არა ობოლს? ამის გამო ხომ არავინ განიკითხავს მათ! არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემთვის ვინმეს მადლობა დაგაეხადა, გამოეწოდებინა ხაშხაშიანი ფუნთუშა, ან ყურძნის კიმპალი! **ისინი** მხოლოდ მიღრენდნენ: „რატომ ჩაიდინა მან ეს?“ და თავში მირტყამდნენ, თითქოს მე ვიყავი გოგონების უსაქციელობაზე პასუხისმგებელი. ალბათ ეჩვენებოდათ, თითქოს მამაჩემს უთავაზებდნენ ალიყურს, თითქოს დედას მიღანძღავდნენ. იქნებ მე თვითონ, ასე გამხდარი და წითური, ვინვევდი გარშემომყოფთა გაღიზიანებას? სწორედ პუტივლის ნომერ მესამე საბავშვო ბაღში პირველად გამინია გულმა სიმარტოვისკენ, თითქმის ყოველთვის თანატოლებისა და აღმზრდელებისაგან მოშორებით, განმარტოებით ვიჯექი. მხოლოდ

მზე მეალერსებოდა, მხოლოდ ცელქი პეპ-ლები მიღვიძებდნენ ინტერესს ცხოვრები-სადმი. – „შემორჩა, თუ არა შენს მეხსიერებას, საბავშვო ბაღში ხატვის გაკვეთილზე ადგილობრივი გაზეთის „პუტივლის პრავ-დის“ კორესპონდენტი რომ შემოვიდა? მან ხელი დაავლო შენს ნახატს და გაკვირვებით შესძახა: „რა მშვენიერი კრემლის კედელია! რა ჰქვია ბიჭუნას? ამ ტალანტის შესახებ აუცილებლად უნდა დაიწეროს!“ მასთან უცებ მიიჭრა აღმზრდელი და აღნიშნა: „კრემლის კედელი ვიქტორ ვიპორკოვმა, „სუმსოფტექნიკის“ უფროსის ვაუმა, დახა-ტა.“ შენ გაჩუმდი და განზე გადექი. – „დიახ, ასეთი რამ არ გავიწყდება ადამიანს. მეორე დღეს გაზეთში გაჩნდა წერილი, რომ ხუთი წლის ვიტია ვიპორკოვი ხატვის გაკვეთილზე გუმოდგინედ ხატავდა კრემ-ლის კედელს.“ ანდა მეორე შემთხვევა: „ვიღაცამ უფროს ჯგუფელთაგან მეზობე-ლი სახლის ფანჯარა ჩატეხა. საბავშვო ბაღის ადმინისტრაცია აფორიაქდა: სახლის მფლობელი მნიშვნელოვან სამეურნეო თა-ნამდებობაზე მუშაობდა, ხოლო ის, ვინც ეს ჩაიდინა, პარტიული ბოსის შვილი გახლ-

დათ. პრობლემა რომ მოეგვარებინათ, – აბა, მნიშვნელოვან სამეურნეო თანამდებობაზე მყოფ კაცს რაიონული მასშტაბის პარტიულ ლიდერთან ხომ არ დააპირისპირებდნენ! – პედსაბჭომ დაადგინა: დაისაჯოს ვასკა კარამანოვი. და სამი საათით კუთხეში მუხლებზე დამაყენეს. აქ კიდევ ერთი უსამართლობა მოხდა. სასჯელი საათ-ნახევრით გაიზარდა, რადგან გატეხილი ფანჯრის პატრონმა მოისურვა, თვითონ ენახა დასჯილი და ყური აეწია მისთვის. ის კი უფრო გვიან მობრძანდა, ვიდრე დათქვა. ამიტომ ვახშამზე არ გამიშვეს და თან ორიოდე მტკივნეული დარტყმაც მივიღე კეფაში – უფროსს მძიმე ხელი ჰქონდა. მაგრამ მე გამაკვირვა სამეურნეო მუშაკის ტუჩებზე მომდგარმა ქაფმა. ის კეფაში მირტყამდა და ლრიალებდა: „წითურო მამაძალლო, გიჩვენებ, როგორ უნდა ამტვრიო სხვისი ფანჯრები! გადაგვარებულთა ნაშიერო, დედას გიტირებ!“ მაშინ გავითიქრე: „აი, გავიზრდები და არც ერთ ფანჯარას არ დაგიტოვებ მთელს!“ – „რა თქმა უნდა, დაპირება არ დაგავიწყდა.“ – „როგორ დავივიწყებდი?

ვალს გადახდა უნდა! სამი წლის შემდეგ ნათლისლების ყინვებისას მის სახლში ყველა მინა დავლენე. როცა მსხვრევის წერიალი მესმოდა და მინის ნატეხები ნამქერისკენ მიფრინავდა, მეჩვენებოდა თითქოს უფროსი მეურნის კბილები ცვიოდა და აღმზრდელი ქალების ღაწვებს კაწრავდა და სერავდა. „აი, ესეც თქვენ!“ – გამიელვა თავში. – „ჩემი აზრით, საკმაოდ ჩამობნელდა.“ – „მართალი ხარ, უნდა ავდგე, რომ ვნახო, ვინ ცხოვრობს ამ სახლში.“ წამოვდექი, სათლიდან წყალი მოვხვრიპე, ენაზე შვრიის რამდენიმე მარცვალი დავიყარე და საღორიდან გამოვედი. ხის სახლამდე ორმოცდაათიოდე ნაბიჯი სწრაფად გავიარე. პირველად აღმოვჩნდი აკრძალულ ზონაში – მამულისა და ჩემი ბედის მეპატრონის სახლთან. მანამდე ჩემი საცხოვრისი ფარდულით, საღორით, ბოსტნით, ნახევარ ჰექტრამდე მინდვრითა და მათკენ მიმავალი ბილიკებით შემოიფარგლებოდა. აქ ყოველდღიურად ვშრომობდი და ნებისმიერი მიმართულებით შემეძლო გადაადგილება. მაგრამ სახლის პატრონის ბინასთან მიახლოება მკაცრად მეკრძალებოდა. ცო-

ტა უფროსი რომ ვყოფილიყავი, თავს ყმად ჩავთვლიდი. მაგრამ ბავშვობაში ჩემი გონება სხვა განცდებით იყო აღსავსე. როცა სახლს მივუახლოვდი, მივხვდი, რომ ოთახებში შეხედვა რთული იქნებოდა. ჩემი სიმაღლე – ას ორმოცდაათ სანტიმეტრამდე – ჩანაფიქრის ასრულების საშუალებას არ მაძლევდა. მიმოვიხედე: ჩემს გვერდით ვაშლის ხე ყვაოდა. ლია ვარდისფერ ფურცლებს ნიავი მაისის პეპლებივით დააფრიალებდა. როგორც კი ვაშლის ხეზე ავძვერი, მაშინვე შევნიშნე ანა კლიმენტიევნა. მომეჩვენა, რომ ის, შიშველი, მამაკაცის მხრებზე იჯდა, ფეხებით მის კისერს შემოხვეოდა, ხელები კი კეფაზე შემოეწყო. მაშინ ჯერ არ მესმოდა, რას ნიშნავდა ადამიანთა სხეულების ასეთი უცნაური მდგომარეობა. ქალაქის პარკში არაერთხელ მინახავს მიწაზე განოლილი საყვარლები, მაგრამ შიშვლები – არასოდეს. „ნუთუ ის მისი ცოლია?“ ან იქნებ ამ ურჩხულის საყვარელი? რა გამოდის, ეს მან შემათვალიერა ჩუმი, მორჩილი კარამანოვი და ურჩია პანტიუხოვს, მასთან მსახურად, ყმად დავეყენებინე? რომ დამეპურებინა და დამე-

სუფთავებინა მისი საქონელი, მომევლო ბოსტნისთვის, გამემარგლა მინდორი? უფასოდ, უჭმელად, ლოგინისა და პირადი თეთრეულის გარეშე? უსიტყვოდ! ყველაზე მორიდებული: გამარჯობა, გაგიმარჯოს და ნახვამდის?! მოყვასის ამგვარი დამცირებისთვის თითოეული **მათგანი** მზადაა. მაგრამ მე სხვა ვარ! ურცხვობა ჩემთვის სირთულეს არ წარმოადგენს. არა, მე ამ ჯიშისა, ადამიანური ცომისგან მოზელილი, არ გახლავართ. არ მყავს დედ-მამა. იქნებ ეს იდუმალ ძალთა წინასწარგანზრახულებაა? რაღაც კოსმიურმა გონმა ინება, შეექმნა ჩემნაირი არსება – კაცთმოძულე? მე კი სულელი, მისი კეთილი სახის შემხედვარე, დედობრივ ალერსზე ვოცნებოდი! რაში მჭირდება ეს ყველაფერი? კრეტინი! მე ხომ სხვა რამისკენ უნდა ვისწრაფოდე. ესე იგი, ის არის სემიხატოვა! მერე რა? ციხის ბადრაგი კეთილშობილი სახით! მემამულე მორალისტის მანტიით! ასე... თერთმეტი წლის ასაკში კიდევ უფრო დავრწმუნდი ჩემს არაადამიანურ წარმოშობაში. მოზარდისთვის გაუცხოება უფრო მძიმეა, ექსპრესიულია, ვიდრე იგივე

გრძნობის გამოხატვა მოზრდილებში. აღ-  
შვილთებული ჩამოვძვერი ხიდან და წავ-  
ლასლასდი ფარდულისაკენ. ალალად რომ  
გითხართ, ჩემს აღმოვთებულ გონებაში  
კონკრეტული გეგმა ჯერ არ მომწიფე-  
ბულიყო. თუმცა საკუთარი **მეს** სწრაფვას  
აგრესიულობისკენ ძლივს ვიკავებდი. რა-  
ტომ გავქანდი საღორისაკენ? არ ვიცი.  
შევედი ჩემს ძველ სამყოფში: ინერციით  
მივედი ნავთის ლამპასთან. თითებით მოვ-  
ძებნე ასანთი. და მოულოდნელად გონება  
გამინათა აზრმა: იქნებ მეპატრონის სახლი  
გადავწვა? ერთი ადამიანი რომ იწვის,  
გულის სილრმეში სხვებს უხარიათ! **მათი**  
არსიც ხომ ეს გახლავთ: ვინც კარგად იყო,  
ახლა ცუდადაა, – და ზეიმობენ. ბავშვები-  
ვით უხარიათ. გული უჩუყდებათ, სია-  
მოვნების ცრემლებს აფრქვევენ. ამგვარად,  
მე სამუდამოდ გამოვეთხოვები ადამიანთა  
მოდგმას. ეს გამოსათხოვარი ალი ახალი  
არსების სულს გაანათებს, დედამიწის  
სრულიად ახალი ბინადარის დაბადების  
ბიძგად იქცევა. ჩემი უნიკალური მდგო-  
მარეობის სიმაღლიდან დავუწყებ თვალ-  
თვალს, მთვრალი ჩასუქებული მეხანძრეები

როგორ მშვიდად დაიწყებენ პრანდსპო-  
იტების გაშლას; უანგიანი ონკანები როგორ  
გადმოაფურთხებენ წყლის ორიოდ წვეთს,  
ჩაახველებენ, რომ მერე დიდხანს – კაპი-  
ტალურ შეკეთებამდე – ისევ დაყუჩდნენ;  
ნამდინარევი მეზობლები როგორ გამოფე-  
ნენ თავიანთ კმაყოფილ სიფათებს, რომ  
მოიპოვონ დადებითი ენერგია ძილის გა-  
საახლებლად; დამწვარ-დაზარალებულთა  
ყვირილი როგორ ჩაიკარგება გახარებული  
ბრბოს შეძახილებში. ამ მოულოდნელმა  
იდეამ გამახარა. მთელი თერთმეტწლიანი  
ცხოვრების განმავლობაში ამაზე ბედნიერი  
აზრი არ მომსვლია. ასეთი გადასარევი  
გადაწყვეტილებით აღფრთოვანებულმა,  
ხელი დავავლე ასანთს, შემდეგ – ერთ  
შეკვრა თივას და საძულველ მობინადრეთა  
სახლთან დავყარე. ფანჯრიდან გამომა-  
ვალმა სუსტმა შუქმა საშუალება მომცა,  
რამდენიმე ნაფოტი მეპოვა. თივაზე არყის  
ხის ნაფოტებიც შემოვდე, ნაფოტებზე –  
კვლავ ცოტაოდენი თივა და ასანთს გავ-  
კარი. ალმა ნელ-ნელა ძალა მოიკრიბა.  
ცეცხლმა პირველი სართულის მორების  
ლოკვა დაიწყო. „იქნებ მამაჩემის დანაშაუ-

ლის საფუძველიც სწორედ ადამიანთა სიძულვილი იყო? იქნებ დედაჩემის თვითმკვლელობაც ამავე მიზეზით აიხსნება?“ უცებ სულ სხვა აზრი ამომიტივტივდა ბავშვურ გონებაში: „მეც იგივეს ვაკეთებ, მაგრამ მე ხომ ადამიანი არა ვარ! ამ ქმედებით ხომ საკუთარ თავს ვაადამიანებ? არა! უარვყოთ ყველაფერი ადამიანური! როგორც ჩანს, ამისკენ ჩემში ჩარჩენილმა ადამიანურობამ მიბიძგა. ჩემი მშობლების ქცევაც ხომ წმიდა ადამიანური ქცევაა!“ შემეშინდა. შემეშინდა იმისა, რომ ახალი არსი, რომლისკენაც ასე ვისწრაფოდი, ადამიანურად საზიზღარი არ გამხდარიყო. საღორისკენ გავიქეცი, წყლიანი გობი ავიტაცე, ცეცხლისკენ გავვარდი და ზედ დავაქივლე. ერთი გობი წყალი არ ეყო. დავიწყე ჭისკენ და უკან სათლებით სირბილი, რომ ცეცხლი ბოლომდე ჩამექრო. ძალლები უჩუმრად დამყვებოდნენ, თითქოს თანამიგრძნობდნენ, ესმოდათ, რაც ჩემს სულში ხდებოდა. როცა დავრწმუნდი, რომ ხანძრის საშიშროება აღარ არსებობს, საღორისაკენ წავჩანჩალდი, რომ მეგობარ ღრუტუნებს გამოვთხოვებოდი. მერე ნაგაზებს მოვეხ-

ვიე, როგორდაც მშვიდად, საზეიმოდ გამოვალე ეზოს კარი და დავტოვე იქაურობა. „ახლა საით წახვალ, ვასილ? – ვკითხე ჩემს თავს, – საკუთარი თავის ძიებას დავიწყებ! დროა! უკვე დროა! მშვენიერია, რომ ამას თერთმეტი წლის ასაკში ვიწყებ, თორემ შეიძლება ვერც მომესწრო!“ მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ სამყაროს ადამიანის შესაქმნელად ცამეტი მილიარდი წელიწადი დასჭირდა. თუმცა როგორი არაეფექტური ქმნილება მიიღო! დიდი საცთური ერგოთ წილად თაობებს – ადამიანში ადამიანური შეეცვალათ. მაგრამ ეს საქმე დამუხრუჭდა, არა და არ დაიძრა. ადამიანთა მოდგმის წარმომადგენელთა თვითკვამაყოფილება, მათი არასრულფასოვანი გენეტიკური ან-სამბლი უმთავრესი წინაღობა აღმოჩნდა სრულყოფილების მისაღწევად. ვიღაცამ ხომ უნდა დაიწყოს ეს საქმე! მხოლოდ დროსა და მუტაციის სივრცეს რომ მიეცეს გასაქანი, რამდენი ათასი წელი დასჭირდება ისეთი არსების შესაქმნელად, რომელიც ადამიანთა უზნეო მოდგმას შეცვლის!.. ნედრიგაილოვოს კოლონიის მასწავლებლის სახლის გადაწვის მცდე-

ლობა, მომდევნო დღეს განსჯისა და დისკუსიის საგნად იქცა. ტყეში მძინარე მიპოვეს, გამროზგეს, კარცერში ჩამაგდეს, მკაცრად ამიკრძალეს ცხელი საკვების მიღება, სეირნობა, აბანო – ხუთშაბათობით. პანტიუხოვმა, რაც შემპირდა, ამისრულა: კარცერში პარაშასაც კი არ მიდგამდნენ. საკუთარი პრობლემების მოგვარება კამე-რაში მიხდებოდა... რუსეთში იურიდიული პასუხისმგებლობა თოთხმეტი წლის ასაკი-დან შედის ძალაში. მე თერთმეტის ვიყავი, გაყალბებული საბუთებით – ცამეტის. მაგრამ ეს ვითარება პანტიუხოვს, სემიხა-ტოვსა და კოლონიის სხვა მესვეურებს სუ-ლაც არ აშფოთებდათ. იურიდიულად პა-სუხისმგებელ პირად რომ ვეღიარებინე, ისევ შემიცვალეს მეტრიკა, რომელშიც ჩემი დაბადების ახალი თარიღი შეიტანეს. და აი, ასე უცებ ვიზრდებოდი! ჩემი საქმე გაყვითლებულ და ჩამოხეულ შპალერიან პატარა ოთახში სამ წუთს მოისმინეს. მოსამართლემ, დალლილმა, კბილებდაჭია-ნებულმა და ისეთივე ფერის სახის მქონემ, როგორიც ოთახი იყო, სწრაფად ჩაიკითხა განაჩენი და ხუთი წლით გამამწესა არა-

სრულწლოვან დამნაშავეთა კოლონიაში, ქალაქ პერევოზში, რომელიც მდინარე პი-ანაიაზე მდებარეობდა. ამის შემდეგ როგორი დამოკიდებულება უნდა მქონოდა ადამიანებისადმი? შემეძლო **მათი** პატივისცემა? მინდოდა კი ადამიანთა მოდგმას დავმსგავსებოდი? არა და არა! არასოდეს! უნდა ითქვას, რომ ეს აზრი გონიერაში ადრეული ბავშვობიდან ჩამისახლდა. და ისეთი არაფერი მომხდარა ჩემს ცხოვრებაში, შეხედულება რომ შემეცვალა. როგორც ცენტრალური გაზეთი „პრავდა“ ჰგავდა პუტივლის, ნედრიგაილოვოსა და პერევოზის პრესას, ასევე ამ პროვინციული ქალაქების მცხოვრებთა ფსიქოლოგიაც მსგავსი გახლდათ. **მათ** მენტალობაც საერთო ჰქონდათ, გინდ პროვინციაში ეცხოვრათ, გინდ ცენტრალურ ქალაქში. როგორც კი პერევოზში მოვხვდი, მაშინვე ხათაბალაში გავები. კოლონიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მოითხოვეს, მკლავზე წითელი ქსოვილი შემება და მთელი დღე ბანაკის ტერიტორიაზე, საძინებელ ბარაკებს შორის მევლო და თან ისე, რომ ყველას დაენახა ჩემი წითელი

სახვევი. ესე იგი, საქვეყნოდ მეღიარებინა ჩემი ლოიალობა და მზადყოფნა ადმინისტრაციასთან თანამშრომლობასა და სხვა პატიმრების წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. მცირენლოვანი დამნაშავენი კი მთხოვდნენ, არავითარ შემთხვევაში არ ჩამედინა ეს. „ბარაქში ამათთან ვიყო, – ვფიქრობდი მე, – და ჩავუშვა ისინი კაბინეტში მსხდომებთან? იქნებ ეს ადამიანური ლოგიკაა, მაგრამ არა ჩემი. განა ადამიანს შეუძლია, ვასილი კარამანოვის მეგობარი იყოს? მე მგონი, ამგვარი მონაცემები მას არა აქვს.“ ჩემი ყოყმანი არც ერთ პარტიას არ მოეწონა: ერთმა ჯგუფმაც და მეორემაც ჩემი ცემა გადაწყვიტა. ერთნი დღისით მცემდნენ, მეორენი – ღამით. ბანაკის საავადმყოფოში ასი დღე მომიხდა წოლა, ხოლო ოქტომბრის ბოლოს, როცა გამოვკეთდი, ადგილობრივ საქვაბეში მეცეცხლურის თანამდებობაზე გამამწესეს. სიმარტოვისკენ სწრაფვა გამიმძაფრდა. ასე მონოტონურად, საბანაკო ცხოვრებისგან მოშორებით გავატარე თითქმის ხუთი წელი. ბანაკში ერთადერთი ვიყავი, ვისაც არასოდეს მიუღია სასურსათო ამანათი,

არ გაუხსნია არც ერთი წერილი, ერთად-ერთი – ვინც მშობლებთან შესახვედრად არ გამოუძახიათ, ვინც ვადამდე არ გაუთავისუფლებიათ. მაგრამ მე გახლდით ის ერთადერთიც, ვინც რამდენჯერმე გადაიკითხა სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნები. ჩემმა ფანტაზიებმა და მიდრეკილებებმა სწორედ აქ იჩინა თავი. სწავლა არ მინდოდა, რადგან ადამიანებთან ურთიერთობა იყო საჭირო. მე კი დუმილი მსურდა. მხოლოდ ვფიქრობდი. საკუთარ თავს ვესაუბრებოდი. ზამთარ-ზაფხულ თითქმის არ გამოვდიოდი საქვაბედან: ვშრომობდი, ვმსჯელობდი, ვარსკვლავიან ცას შევცქეროდი. არც შემინიშნავს, როგორ გაფრინდა ხუთი წელი! მოულოდნელად მომთხოვეს, ჩამებარებინა პატიმრის სამოსი და დამეტოვებინა აქაურობა. ამ სიახლემ სულაც არ გამახარა: წასასვლელი არსად მქონდა. მაგრამ არც აღვშეფოთებულვარ, რადგან არაფერი მაკავშირებდა არც ბადრაგთან, არც პატიმრებთან. ჩემთვის ყველაფერი სულერთი გახლდათ. ჩემი თავის პოვნა პატიმრობაშიც შემეძლო, თუმცა თავისუფლება მეტ გასაქანს მაძლევდა. რეუიმის

უფროსის თანდასწრებით დავიწყე გახდა: მოვიცილე ბუშლატი, კიტელი, მერე – მძიმე „ბაშმაკები“, წინდები, შარვალი, პერანგი, მაისური. როცა ნიფხვის გახდა დავიწყე, ის უცებ აყვირდა: „სდე-ე-ექ! ახლავე კარცერს გამოგინერ, თხუთმეტი დღით, ოფიცრის შეურაცხყოფისათვის!“ – „თქვენ თვითონ მთხოვეთ, ბანაკის უნიფორმის ჩაბარება! მე მხოლოდ ბრძანებას ვასრულებ.“ – „წადი და საქვაბეში გაიხადე! შენი ჭორთვლიანი სხეულის დემონსტრირება გინდა, თუ რა? გაეთრიე!“ – „არაფერი მაქვს ჩასაცმელი“ – დუნედ წარმოვთქვი მე. – „როგორ თუ არაფერი?“ – გადაირია ის. – „ისე! მე ობოლი ვარ. როცა აქ მოვხვდი, ჩემი სიმაღლე 159 სანტიმეტრი იყო, ახლა – 182-ია.“ – „მე არა მაქვს უფლება, სახელმწიფო ქონების მითვისების ნება რომ დაგროვ!“ მაიორმა, როგორც ჩანს, ბუღალტერიაში დარეკა და იკითხა: „კარამანოვს რამე ერგება? ცხრა მანეთი და ოცდაათი კაპიკი? მისი ფორმა რა ლირს? როგორ? უკან დასაბრუნებელ ბილეთთან ერთად ოცდასამი და ორმოცი? არავითარი პირადი ტანსაცმელი არ გააჩნია. უნდა

დავთვალოთ.“ „მთელი ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ ცხრა მანეთი და რაღაც კაპიკები გამოვიმუშავე? ნუთუ თავისუფალ მოქალაქესაც ასე უხდიან?“ – გამიელვა თავში. ბუღალტერიამ ჩამომართვა გაქონილი ბუშლატი, რომელიც ხუთი მანეთი ღირდა, სამაგიეროდ, მომცა შემოვლის ფურცელი. მასში ეწერა, რომ ჩემი მოკრძალებული კაპიტალის დაანგარიშებისას დამიტოვეს პატიმრის სამოსი. გამომიწერეს სამოცდაათი მანეთი, ყარაულმა კარი გამოაღო და მომაძახა: „მოუსვი აქედან, უდღეურო!“ ასე და ამგვარად, თექვსმეტი წლის ასაკში (დოკუმენტებით – ცხრამეტი წლისა) გამათავისუფლეს. კიტელის ჯიბეში საბუთები ჩავიდე – ცნობა გათავისუფლების შესახებ, ყალბი მეტრიკა და უსიხარულოდ გავეცალე ჭიშკარს. მოღრუბლული ცა, როგორც არასდროს, ისეთი რუხი მეჩვენა. გამვლელთა მოღუშული სახეები, თითქოს-და შეფიქრიანებული სიარული და კიდურების ნერვული მოძრაობები სევდიან განწყობილებას იწვევდა ჩემში. “ნუთუ ასეთი საზიზღრობა და განწირულებაა აქ თავისუფლად ცხოვრება? როგორ შეუძლიათ

**მათ** ამგვარ უსამართლო სამყაროში იარ-  
სებონ? თან ასეთი გაუკულმართებული  
ცნობიერებით? **მათ** ხომ არავითარი მო-  
მავალი არა აქვთ! რაღაც ხომ უნდა  
მოიმოქმედონ. მაგრამ შესწევთ კია ამის  
ძალა? – ამოტივტივდა ფიქრი. ქალაქის  
ქუჩებში მივაბოტებდი, არ ვიცოდი, საით  
მედო გზა, რა გეზი უნდა ამეღო – წა-  
სასვლელი არსად მქონდა. ჩემს წინ ვეება  
რუსეთი განფენილიყო, მაგრამ ადგილი,  
სადაც მელოდნენ, ანდა, რომლისკენაც  
უნდა მესწრაფა, არსად ჩანდა. მოულოდ-  
ნელად მოვხვდი ღია ბაზარში, დაქანებული  
დახლებით. გამყიდველი ქალები კარტო-  
ფილს, ჭარხალს, გამხმარ სოკოს, შალის  
წინდებსა და მოსახვევებს სთავაზობდნენ  
მყიდველებს. ვიღაც ქუშად მზირალი მა-  
მაკაცი ნაჯახებს, მეორე – ბარებს, მესამე  
– თოხებსა და სამთითებს ჰყიდდა. ბაზარმა  
არაფრით დამაინტერესა. შემოვუარე მას  
და გასასვლელისაკენ გავემართე. აქ  
რამდენიმე ძველი ავტობუსი ადგა. ერთ-  
ერთის ტრაფარეტზე ამოვიკითხე: პერე-  
ვოზი – კნიაგინინი. მანქანის კარიდან

ვკითხე მძღოლს: რა ლირს მგზავრობა?“ – „ოცდაათი კაპიკი“ – მიპასუხა მან. „მაშინ წამოვალ“. – „ამოდი. ბილეთი გინდა?“ – „არა“. – „შენგან ორი შაურით ნაკლებს ავიღებ“. რამდენიმე წუთის შემდეგ ავტობუსი ვოლგისპირა ქლაქისკენ მიმაქროლებდა. ასე დაიწყო ჩემი ცხოვრება კნიაგინინში. პირველ ხანებში ავტობუსებში დავიდე ბინა. დასაძინებლად უკანა გრძელი სკამის ქვეშ ვწვებოდი, დღისით კი ქუჩებში დავხეტიალებდი. ერთი კვირის შემდეგ ტარის ქარხანაში დავიწყე მუშაობა. მომცეს ჩაქუჩი, ლურსმნები, მომიჩინეს ადგილი, შემასწავლეს არყის ბოთლების ჩასაწყობი ხის ყუთების დამზადება. თითოეულ ყუთში ათ კაპიკს მიხდიდნენ. პირველ დღეებში ათ ყუთზე მეტს ვერ ვაწყობდი, მაგრამ შემდეგ კვირას ჩემს სამუშაო მაგიდაზე თხუთმეტი-ჩვიდმეტი ყუთი იყო ჩამწკრივებული. როცა დათბა, მალულად ტარის საამქროში გადავბარგდი. ჩემი თვიური ხელფასი ორმოცდაათ მანეთზე ცოტა მეტს შეადგენდა. ამ დროისათვის მეორეული საქონლის ბაზარზე ნახმარი ტანსაცმელი შევიძინე, მივიღე ცივილური სახე,

გათავისუფლების ცნობით კი – პასპორტი და იმ პრობლემაზე დავიწყე ფიქრი, ყველაზე მეტად რომ მაღლვებდა. მივხვდი, რომ განათლების გარეშე შეუძლებელია საკუთარი თავის შეცვლა, ყოველივე ადამიანურის ჩამოცილება და ახალ არსებად გადაქცევა. ბანაკში წავიკითხე ყველაფერი, რაც იყო და თან – რამდენჯერმე, რადგან იქ წიგნებს ათ-თხუთმეტ წელიწადში ერთხელ ცვლიდნენ. ძირითადად, მოჰქონდათ პატრიოტული ლიტერატურა, რომლებშიც ადამიანსა და მის საქმეს განადიდებდნენ. ეს თემები არ მაინტერსებდა, მაგრამ საკუთარ თავზე ძალდატანებით მაინც ვკითხულობდი, რადგან მიზნად ვისახავდი: მესწავლა კითხვა, რომ **მათ** ცხოვრებას ჩავწვდომოდი და სისტემატურად მებრძოლა ახალი გონიერი არსების ჩამოყალიბებისათვის. ძველთაძველ პატარა ქალაქს, რომლის ღერძსაც იმპერიის დროიდან ამშვენებდა დიდებული ცხენ-ირემი, შესანიშნავი ბიბლიოთეკაც ჰქონდა. პირველად სწორედ აქ გავეცანი სერიოზულ წიგნებს. ამჯერად მთელ ჩემს თავისუფალ დროს ბიბლიოთეკის დარბაზებში ვატარებდი.

ადამიანები არ მხიბლავდნენ: მეგობრები არ მყავდა, გოგონებს არ ვხვდებოდი და მათ საზოგადოებას არ ვესწრაფოდი. ერთი შეხედვით, ჩემი დღეები ერთფეროვანი იყო, სინამდვილეში კი მუდმივად მღელვარე ძიებაში ვიყავი ჩაფლული. ამ პროვინციული ქალაქის ბიბლიოთეკა, ერთგვარად, ინტელექტუალური თავისუფლებისათვის განმანყობდა. პირველმა აზრმა, რომელმაც გენეტიკის შესწავლისკენ მიბიძგა, გამოანათა როლანდო კრისტოფანელის „მიქელ-ანჯელო ხელის დღიურების“ კითხვისას. ეს სურვილი ადამიანური შურით – და სხვა არაფრით, გახლადათ გამოწვეული. მე გავკიცხე ჩემი თავი არათანმიმდევრულობის გამო, რომ ჯერ კიდევ ჩამრჩა გულში რაღაც ადამიანური, – და დავიწყე გენიალურობის საიდუმლოს ძებნა. სწორედ ამ შეუცნობელის ძიებამ ჩამიყვანა დედაქალაქში. ყველაფერი მეტად პროზაულად მოხდა: მე შეუფერებელი კითხვებით მივმართავდი ადგილობრივ ბიბლიოთეკარებს, მაინტერესებდა წიგნები, რომლებიც ამიხსნიდნენ გენიალობის ბუნებას. ლიტერატურა ამ თემაზე კნიაგინინში არ იყო. და

ვიღაც მოხუცმა ქალმა მიკარნახა: „ყმან-ვილო, მოსკოვში გაემგზავრეთ. დედაქა-ლაქის ბიბლიოთეკებში იპოვით ყველა-ფერს, რაც გჭირდებათ“. სხვათა შორის, მან ისე გაკვირვებით შემავლო თვალი, თითქოს უცხო რამ იხილა. როგორც ჩანს, უცნაურ მკითხველად ვეჩვენე: ყოველ საღამოს მხოლოდ წიგნი მეჭირა ხელთ, გოგონებს ყურადღებას არ ვაქცევდი, სულ მარტოდმარტო ვიყავი და უცებ გენეტი-კით დავინტერესდი. ამასთან, არა მეცნიე-რების შესავლით, არამედ მისი დელიკატუ-რი ნაწილით – გენიალურობით. ნებისმიერი, ვინც დაინტერესებულია აღნიშნული თე-მით, უცხო ადამიანში ალბათ სიფრთხილეს იწვევს. რაში სჭირდება ეს? ხომ არ შეი-შალა? იქნებ სხვაც ისეთი რამ მოითხოვოს, ნორმალურს რომ არ შეეფერება? მაშინ რა ვქნა? მოკლედ, 199... წლის 21 აგვისტოს შევიძინე საერთო ვაგონის ბილეთი, ტო-მარაში ჩავყარე ჩემი მცირე მონაგარი და მოსკოვს გავემგზავრე. მართალი გითხრათ, ჩემთვის სულერთი იყო, სად და როგორ ვიცხოვრებდი. არსებობისთვის საჭირო პი-რობებზე მოთხოვნილება არ გამაჩნდა. ერ-

თადერთი, რისკენაც ვისწრაფოდი, რაც მთელი არსებით მსურდა, სიმარტოვე იყო. უფროდაუფრო მხიბლავდა ჩემი სიჯიუტე, მხიბლავდა ჩემი მწყობრი, უკომპრომისო აზროვნება, შორეულ ბავშვობაში რომ ჩაისახა. ვისთან მივემგზავრებოდი დედაქალაქში? ვინ მელოდა იქ? სად ვიპოვიდი თავშესაფარს? მე ხომ არც ერთი ნაცნობი არ მეგულებოდა ამ მეგაპოლისში! ეს ხდებოდა არამხოლოდ იმიტომ, რომ არ მყავდა ნათესავი, არამედ იმიტომაც, რომ მე და ადამიანს არ შეიძლებოდა გვქონოდა სიახლოვე. როგორც ოლდუვაიელებისა და პითეკანთროპების ერთობლივი ცხოვრება, პირველთა გადაშენებით დასრულდა, როგორც პითეკანთროპებისა და ნეანდერტალელების კონტაქტმა, პითეკანთროპების გაქრობამდე მიგვიყვანა, როგორც ნეანდერტალელთა კრომანიონებთან კავშირი ვერ მოხერხდა და ნეანდერტალელებმა შეწყვიტეს არსებობა, ისევე ადამიანისა და ჩემს ურთიერთდაპირისპირებაში პირველი ლეთაში უნდა დაინთქას, მხოლოდ ისტორიის ფურცლებზე დარჩეს და არქეოლოგთა ინტერესის საგნად იქცეს. ჩვენ ერთად

ვერასოდეს ვიცხოვრებთ! მათ ამის შესახებ ჯერჯერობით არაფერი იციან, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ ჩემს ნათქვამში! ამითომაც სულერთი იყო, სად ვიცხოვრებდი მოსკოვში. მე იქ ცოდნის შესძენად მივემგზავრებოდი და სხვა არაფერი მაინტერესებდა. მხოლოდ დახვავებულ წიგნებს ვხედავდი ჩემს წინ და სხვა რამის შემჩნევა არ მინდოდა. იმხანად მეჩვენებოდა, რომ სრულიად მარტო ვარ იმ სწრაფვაში, რომელსაც ახალი არსების შექმნამდე უნდა მივეყვანე. ობლად დარჩენილმა, ძალიან ადრე გადავწყვიტე, გავცლოდი ყოველივე ადამიანურს და აქ, კნიაგინინში განსჯის შედეგად დავასკვენი: კენიის ხეობა ოლდუვაიში ავსტრალოპითეკების ნაშთები აღმოაჩინეს, რომელნიც მილიონ-ნახევარი წლის წინ გაჩნდნენ; გერმანიის ხეობა ნეანდერტალში ჰომინიდების ნარჩენებს მიაკვლიეს; მათ ას ორმოცდაათ ათას წელიწადს იარსებეს და სახელად „ნეანდერტალელები“ მიიღეს, საფრანგეთის მღვიმე კრო-მანიონში თანამედროვე ტიპის ადამიანთა ადგილსამყოფელი იპოვეს, ადამიანებისა, რომელნიც ორმოცი ათასი

წლის წინ ცხოვრობდნენ და „კრომანიონელები“ უწოდეს. მე პუტივლში დავიბადე, ესე იგი, ჩემს ბიოლოგიურ სახეობას, ულაპარაკოდ შეიძლება, „პუტივლელები“ დავარქვათ. ანთროპოლოგიურ თანმიმდევრობაში აკადემიური მემკვიდრეობითობაც ხომ უნდა დავიცვათ! უნდა მოგახსენოთ, რომ ამგვარმა განსჯამ სასონარკვეთოლებაში ჩამაგდო: პუტივლიდან მოსკოვამდე ოთხასი კილომეტრი მაინც იქნება და იქ უნდა გავიცნო ჩემი მეორე ნახევარი, პუტივლელების მოდგმას რომ დავუდო სათავე? მოსკოვში? მაგრამ გათხრების შედეგად აღმოჩენილ ადამიანთა ნაშთების ადგილსამყოფელი ხომ რამდენიმე კილომეტრით იყო შემოფარგლული. ჩემს შემთხვევაში კი სივრცე ასჯერ იზრდება! მაგრამ შეიძლება სწორედ მოსკოვში შევხვდე პუტივლელ, ნედრიგაილოველ ან კნიაგინინელ ქალს – მაშინ ყველაფერი დაემთხვევა, ანთროპოლოგიური ლოგიკა გაიმარჯვებს: პუტივლელები ადამიანებს შეენაცვლებიან! სიყვარული ამ შემთხვევაში არავითარ როლს არ ასრულებს – მთავარი ახალი მოდგმის წარმოქმნაა – რა

შუაშია აქ სენტიმენტალური გრძნობები? მე მოვალე ვარ, აღვასრულო ჩემი დანიშნულება. მოვალე ვარ! და სულერთია, რა გარეგნობა ექნება ჩემს მეორე ნახევარს. განა გარეგნობას შეუძლია გავლენა იქონიოს ასეთ ფუნდამენტურ გადაწყვეტილებაზე? მე ხომ ადამიანი არა ვარ! მე ხომ ვამაყობ ჩემი უნიკალური სტატუსით! სრულყოფილებისაკენ სწრაფვა ადამიანის – არსებული ბიოლოგიური სახეობის – ცნობიერების ჩარჩოებში ვერ თავსდება. უკვე ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ კრომანიონელის უკეთესობისაკენ შეცვლა წარმოუდგენელია. როგორც კონიაკის მუხის კასრებში დაძველება მხოლოდ ორმოცდახუთ წელიწადს შეიძლება, მერე კი მუხის არომატი ვეღარ ერევა სასმელს, ასევე ადამიანის ადამიანობაც ორმოცდახუთი ათას წელზე მეტს ვერ გასტანს. მისი ინტელექტი და კულტურა ვეღარ შესძლებს განვითარებას. მუტაცია ხანგრძლივ ეფექტს ვერ იძლევა, თვითსრულყოფა აღარ ხდება. სწორედ ეს გახლავთ ევოლუციის ერთი ციკლის დასასრული და ახალი მოდგმის დაბადება. ამ ფიქრებით

მივიჩქაროდი მატარებლისკენ. მოსკოვამ-დე საერთო ვაგონის ბილეთის ღირებულება სამი მანეთი და ოცი კაპიკი იყო. შევედი ვაგონში, ვიპოვე ჩემი ადგილი, ავძვერი ზედა თაროზე, თავქვეშ ბარგით სავსე ტომარა ამოვიდე და ფიქრით დაღლილს, სწრაფად და ღრმად ჩამეძინა. ზმანებათა მისტიკა ჩემი სფერო არ გახლავთ, მაგრამ სწორედ მატარებელში, რომელიც მოსკო-ვისკენ მიმაქროლებდა, უცნაური რამ მესიზმრა. სიზმარმა იმდენად აღმაფრთო-ვანა, რომ მსგავსი ტკბობა მანამდე არას-დროს განმიცდია. როგორც კი დასიზ-მრებულ მოსკოვში აღმოვჩნდი, წამსვე დამეუფლა მისი ხილვით მოგვრილი სია-მოვნება. უზარმაზარი ქალაქი, ფართო მო-ასფალტებული გზები, სხვადასხვა მარკის ავტომობილები, რომელთა შესახებ არც არაფერი მსმენია და არც მინახავს; საზ-ღვარგარეთული საქონლით დატენილი მაღაზიები; რესტორნები, რომლებიც მსოფლიოს ყველა დელიკატესს გვთავა-ზობენ; ელიტარული ავეჯით გაწყობილი ბინები; ოქროცურვილი ქანდაკებებით მორთული კრემლის კაბინეტები; ბიბლი-

ოთეკები წიგნადი ფონდების მრავალ-ფეროვნებით; დედამიწისა და ჰაერსაწინი-ნააღმდეგო დაცვის უახლესი სისტემები – ყველაფერმა ამან, რუსეთის მივარდნილი პროვინციიდან ჩამოსულ ჭაბუკს, თავგზა არ ამიბნია, თუმცა ძალიან გამაკვირვა. ყველაზე დიდი სიხარული სხვა რამემ მომგვარა: ამ სიუხვის მეგაპოლისს, დოვ-ლათიანობის ამ გიგანტურ ინფრასტრუქ-ტურას, ყოფილი საბჭოთა იმპერიის დედა-ქალაქის გამაოგნებელი გაქანების კაპიტალს, – ყველაფერს, რაც მთელი სიცხადით წარმომიდგა თვალწინ, მთავარი აკლდა: მოსკოვი სიცარიელით იყო აღ-სავსე. ჩემდა გასახარად, აქ არც ერთი ადამიანი არ ჩანდა! **ისინი** გამქრალიყვნენ! აორთქლებულიყვნენ! არსებობა შეეწყვი-ტათ! სწორედ ამ უცნაურმა გარემოებამ მომგვარა უკიდეგანო სიამოვნება. მთელი ეს თხუთმეტმილიონიანი ქალაქი ჩემი სა-კუთრება გამხდარიყო, მაგრამ მე ის არა-ფერში მჭირდებოდა, გამოუსადეგარი იყო. ვუყურებდი ამ ადამიანურ სიმდიდრეს და მიხაროდა, რომ **მათი** დრო დასრულდა, რომ ახალი ტიპის არსება – პუტივლელი –

შემოიჭრა ამ სამყაროში, რათა თავიდან შეექმნა ის. სრულიად განსხვავებულ ფიზი-ოლოგიურ და მორალურ საფუძველზე! ისევე, როგორც დღევანდელი ადამიანები შორეულ წარსულში გამოქვაბულ თაბუნში, კარმელის მთაზე რომ იშვნენ, ოცნებობდნენ ადამიანური სამყაროს შექმნაზე. და **მათ** ეს მოახერხეს! მეც მოვახერხებ! მე ხომ სრულიად სხვა არსება გახლავართ! როგორც მე მოვედი **მათ** – ადამიანთა – შესაცვლელად, ისე პუტივლელების შესაცვლელად მოვლენ სხვები, რათა ეს სამყარო თავის სურვილისამებრ დაალაგონ. დედამიწა ხომ ცამეტ მილიარდ წელიწადს კი-დევ იარსებებს. კიდევ რამდენი ბიოლოგიური სახეობა გაჩნდება, რომ ერმანეთს შეენაცვლოს! აქ წინააღმდეგობები უსარგებლოა, ბარიკადებს ვერ ააგებ! რაც უფრო ადრე მიხვდებიან ადამიანები ამას, მით უფრო უმტკივნეულო იქნება **მათი** გარდასვლა სხვა სამყაროში! ასეთია ბუნების კნონი! ზოგიერთ მათგანს ესმის კი-დეც, რომ ადამიანებს მომავალი არა აქვთ, რადგან მათ ტვინს სრულყოფა აღარ შეუძლია. ჰიპოსტასი დარღვეულია. ამ

მოდგმის დასასრული მოახლოებულია. როგორ მოიქცეოდა ადამიანი, ჩემს ადგილას რომ ყოფილიყო: სრულიად მარტო ასეთ უმდიდრეს ქალაქში, როგორიც მოსკოვია? დღეს? კრემლის საუკეთესო აპარტამენტებში დასახლდებოდა, მიისაკუთრებდა მოჩუქურთმებული პალატის ძვირფასეულობას; ყოველდღიურად გამოიცვლიდა მანქანას; მოახდენდა ზარაფხანის – „მანეტნი დვორის“ – პრივატიზაციას; გახდებოდა ცენტრალური ბანკის მფლობელი; იწონიალებდა მეგაპოლისის გარეუბნებში და ყველგან მდიდრულ აგარაკს წამოჭიმავდა; ლეიბს ოქროთი დატენიდა, ბალიშს – თვალ-მარგალიტით. ფაბერჟეს საღდგომო კვერცხით უონგლიორობას მოჰყვებოდა; ფეხის საწმენდი ტილოს ქვეშ კონსტიტუციას მოათავსებდა; საკუთარ პორტრეტს დაბეჭდავდა და ყველა მოედანზე, სახლსა თუ ბინაში გამოკიდებდა. საკუთარ პერსონას „CC-ის ტიპის რაკეტებით დაიცავდა; წითელ მოედანზე რამდენიმე „МИГ-ს“ განათავსებდა; კრემლის ყველა კოშკთან „Т-90“ ტიპის ტანკს დააყენებდა; კრემლის სახლების ყველა სა-

დარბაზოს „გრადის“ დანადგარს მიუჩენდა; საკუთარი რეზიდენციის სახურავზე ჰაერ-საწინააღმდეგო კომპლექს „სტრელას“ დაადგმევინებდა, ხოლო საძინებელში – ვერტმფრენ „ჩორნაია აკულას“, მომსვლელებს რომ სცოდნოდათ, ვინ არის ის, რაზეა წამსვლელი და რა ძალას ფლობს! სახელმწიფო კავშირგაბმულობის ეთერით, „ИТАР ТАСС-ის“ არხებით საკუთარ თავს პრეზიდენტად, გენერალურ მდივნად, პარლამენტის თავმჯდომარედ, უმთავრეს რუსად, ქვეყნის ჭიპად გამოაცხდებდა! აი, ეს გახლავთ ადამიანის არსი: უსაზღვროდ გაზრდილმა მოთხოვნილებებმა, სურვილმა – ფლობდეს ყველა სასრგებლო და უსარგებლო ნივთს – ჩვენსა და ადამიანთა ყოფას შორის შლაგბაუმი დაუშვა... გავაცნობიერე რა ეს, გამიჩნდა მოთხოვნილება, დამეყვირა: კმარა, ამხანაგებო! ბასტა, ბატონებო! თქვენი დრო დამთავრდა! ჩვენი დრო დადგა! ჩემი ბიოლოგიური მოდგმა სულ სხვა ცივილიზაციას შექმნის! ჩემს სიძულვილს იმ გარემოს მიმართ, რომელიც გარს მერტყა, საზღვარი არ გააჩნდა. ამის მაგალითს ისტორია მაძლევდა: როგორც

შუმერთა კულტურის წარმომადგენელი გაუგებარი იყო ბერძენთათვის, როგორც რომაელთათვის დიდ გამოცანას წარმოადგენდნენ ეტრუსკები, ხოლო რომაელები ბარბაროსებისათვის იზგოებად იქცნენ, როგორც ბარბაროსები შეცვალეს შუა საუკუნეების, ხოლო შემდეგ – აღორძინების ხანის ადამიანებმა, როგორც აღორძინების ხანის ადამიანებმა დაიხიეს უკან კაპიტალისტების ზენოლისას, როგორც ბურუჟიაზიულ მენტალობას შეენაცვლა სოციალისტური, როგორც სოციალისტებმა დაუთმეს გზა გლობალისტებს, – ასევე თანამედროვე ადამიანიც მძაფრი წინააღმდეგობის გარეშე გაუთავისუფლებს ცხოვრებისეულ სივრცეს პუტივლელებს. ამ ლოგიკურ თანმიმდევრობაში იყო ჩემი ძალა. ჩვენ მხოლოდ გვეჩვენება, რომ შუმერთა, რომაელთა ან აღორძინების ხანის ადამიანთა და გლობალისტებს შორის არ არის მნიშვნელოვანი სხვაობა. სისულელეა! ისინი სრულიად განსხვავდული არსებები არიან. ერთნი ღირსებას იცავენ, მეორენი – კაპიტალს, ერთნი თავს სულიერებას სწირავენ, მეორენი – ძალმომრეობას,

ერთნი ქრისტიანული რელიგიით იბოჭავენ თავს, მეორენი – აბსოლუტურ თავისუფლებას ქადაგებენ, ერთნი ხელისუფლებისათვის იბრძვიან, მეორენი – ანარქიისთვის. მაგრამ ეს ერთი მოდგმის – *homo sapiens*-ის – აზროვნების პარადოქსებია, ერთი ერის მუტაციაა – გონიერ ადამიანთა ერის. თუმცა ეს არაზუსტი, მაღალფარდოვანი განსაზღვრება! ახლა სულ სხვა ეპოქა უნდა დადგეს, პუტივლელების ეპოქა, კოსმიზმით დაღდასმული და გამორჩეული – *homo cosmikus* არსებებისა, რომელთაც შეეძლებათ ქვეყნიერების ყველა გაუგებრობა ახსნან. და არა მხოლოდ შეიმეცნებენ მას, არამედ თავისუფლად გადაადგილებასაც მოახერხებენ ამ უზარმაზარ კოსმიურ სივრცეში. შესძლებენ, გახდნენ მისი ბატონ-პატრონნი, ბუნების ჭეშმარიტი გვირგვინნი და არა – საცოდავი, მახინჯი თვითმარქვიები. გაჩენის პირველივე დღიდან *homo sapiens*-ებს ხომ ერთი რამ ჩაებეჭდათ გონებაში: სასურველი სინამდვილედ გაასაღონ. განა ბუნების გვირგვინი თავს უფლებას მისცემდა, რომ გამოეგონა ამდენი ღმერთი, მეფე, ბელადი,

კუმირი და კერპი პლანეტაზე თავისი არ-  
სებობის განმავლობაში? მითხარით, პო-  
დობედებს, პანტიუხოვებს, სემიხატოვებს,  
ხვატაიკოებს, შტუჩკინებს, ვიპორკოვებსა  
და მათნაირებს შორის, რომლებითაც გა-  
დაჭედილია რუსეთი, რომელია ბუნების  
გვირგვინი? რომელი მათგანი შეესაბამება  
გონიერ ადამიანთა სტატუსს? შეუძლიათ  
კი მათ საკუთარი თავისა და სამყაროს  
შემეცნება? განა შეიძლება ეშმაკობა, სი-  
ხარბე და სიძულვილი დომინირებდეს გო-  
ნიერ არსებაზე? და საერთოდ, თუ არსე-  
ბობს ყველა ადამიანურ მატერიაში გონი?  
როგორც ჩანს, მხოლოდ იშვიათ შემთხვე-  
ვაში. სადღაც ამოვიკითხე, რომ **მათი** ის-  
ტორიის მანძილზე ათასი გენიოსით გა-  
ამდიდრეს სამყარო. ასი ათასი წლის  
განმავლობაში – ეს თითქმის ოცდაათი  
მილიარდი ადამიანია – და მხოლოდ ათასი  
გენიოსი! ცოტაა, ძალიან ცოტაა! გე-  
ნიოსების სიაც საეჭვოა. არადამაჯე-  
რებელი ნუსხაა! სათუო! ბორის გოდუნო-  
ვი, იმპერატორი კარლ მეხუთე, ალექსეი  
ერმოლოვი, გლებ უსპენსკი, თეოდორ  
რუზველტი, ვირჯინია ვულფი, შარლ დე

გოლი, ალექსეი ტოლსტოი, სამუელ კოლ-რივი, მაზარინი და ა.შ. მათი შედარება განა შეიძლება ნამდვილ გენიოსებთან, ისეთ მწვერვალებთან, როგორებიც იყვნენ: კანტი, ბეთჰოვენი, დოსტოევსკი, ნიუტონი, ლევ ტოლსტოი, მენდელეევი? ასეთები კი ასზე მეტი არც იყო. ასი ათასი წლის განმავლობაში! ესე იგი, ათას წელიწადზე ერთი გენიოსი! განა **მათ** აქვთ უფლება გონიერ არსებებად იწოდებოდნენ? ის, რაც *homo sapiens*-თან არის დაკავშირებული, ძალიან არადამაჯერებელია, უკიდურესად გადამეტებულია, წინააღმდეგობრივია და არ შეეფერება სინამდვილეს. საკმარისია, ვუთვალთვალოთ **მათ**, რომ დავრწმუნდეთ: გონების დეფიციტი საყოველთაოა. მძაფრი მოთხოვნილება გონიერებაზე ყველა დროში იგრძნობოდა, დღეს – მით უმეტეს, როცა თითოეული მათგანი გაიხსნა და სამყაროს დასანახად გამოფინა თავისი შინაგანი ბუნება. ამჟამად, როგორც არასდროს, ჩქარობს თავისი არსის სააშკარაოზე გამოტანას. გარეგნულად *ის* თავისუფალია და **მისი** მოხილვა გულ-დინჯად შეიძლება. და რას ვხედავთ?

ასობით მიღიონ წელიწადს ყალიბდებოდა ადამიანი – და ასეთი განხიბლვა! წარსულშიც და დღესაც! მაგალითად, გორბაჩოვმა **მათ** თავისუფლება აჩუქა, **ისინი** კი სრულიად მოუმზადებლები, გაკოტრებულები აღმოჩნდნენ ამისთვის. თავისუფლებამ ადამიანები დაამცრო, უსუსურნი და დაკომპლექსებულნი გახადა. შეუმდგარი *homo sapiens*-ი, ეგრეთ წოდებული გონიერი არსება – უნდა გადაშენდეს, ისტორიაში გადაბარგდეს. როგორც გადაშენდნენ სინატროპები, გარეული ხარები, ირბისები, პრეევალსკის ცხენები, თურანული ვეფხვები. ბუნებაში ხომ ყოველთვის ჩნდება რაღაც ახალი! ყოველი ცხოველი მაქსიმალურ ზღვრამდე ვითარდება, მერე ბერდება და სამუდამოდ ქრება. ასე უნდა მოხდეს ადამიანებთან მიმართებაშიც. და არა სადღაც შორეულ მომავალში, არამედ დღესვე, ახლავე. მე მზად ვარ დავაჩქარო ეს პროცესი!.. ამ ხილვისას ვიღაც მხარზე შემეხო. გამეღვიძა და ჩემს წინ მატარებლის გამცილებლის დაუიებული სიფათი დავინეხე. თვალები გადმოკარკლული ჰქონდა, შუბლი ნაკანრებით დაღარული, თვალი –

ახალჩალურჯებული. ჩემი ზმანებები წამსვე გააპქრა, შინაგანი მინოლოგი შეწყდა, ყელი ჩამენვა და ჩავახველე. „ადექი! რას დაღრძობილხარ? მოგზაურობა დასრულდა. მოუსვი აქედან! თუ ძილი გინდა, გადაიხადე. ორი მანეთი საღამომდე!“ – შემომიტია მან. უკმაყოფილო იმით, რომ ძველ ცხოვრებაში დამაბრუნეს, ჩამოვძვერი ზედა თაროდან. თუმცა დამაიმედებელმა აზრმა, რომ უკვე მოსკოვში ვარ, მაიძულა ამელო ჩემი ნახევრად ცარიელი ტომარა და გავსულიყავი ვაგონიდან. „ეი, წითურა! შე გამოშტერებულო, ქუდი დაგრჩა! წაიღე, ტილები არ დამიტოვო აქ!“ – მომაძახა გამცილებელმა. „ერთი მაგისიც!“ – გავიფიქრე, არაფერი მიპასუხია, ისე დავუყევი ყაზანის სადგურის ბაქანს. სასიამოვნო სიზმრის შემდეგ მძიმე სევდამ შემიპყრო: მოსკოვი უხალხოდ? როგორ არა! რა გამამასხარავებელი ხილვა მქონდა მეგაპოლისის მისადგომებთან?! თუმცა ეს ვინმეს სურვილით ხომ არ ხდებოდა, რომ დაეცინა პუტივლელი თავდაჯერებული ჭაბუკის-თვის? შეხედე **მათ**, რამდენი არიან! ვერც დათვლი! თავბრუ დამეხვა, წამომაზიდა,

გადანერწყვება და ტარის საამქროში გადანაცვლება მომინდა, ოლონდ იმისთვის კი არა, რომ არყის ბოთლებისთვის, ბოსტნეულისა და ხილისთვის დამემზადებინა ტარა, არამედ თითოეული **მათგანისთვის** შემეჭედა ყუთი. რა საზიზლრობაა ადამიანთა თავმოყრა! არასოდეს ვიფიქრებდი, რომ ამდენი არიან. ამ დროს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ **მათი** დრო მართლა დასრულდა. ჭირსაც წაულია! და საერთოდ, რატომ უნდა ვიფიქრო მათზე? მე ხომ ჩემთვის ვარ! ჩემი მიზანი – პროცესის დაჩქარებაა. მოვალეობის გრძნობამ რეალობაში დამაბრუნა. დედაქალაქში ხომ იმისთვის ჩამოვედი, რომ ადამიანთა შორის საუკეთესოთა ცოდნას დავუფლებოდი. მხოლოდ ამის შემდეგ შემეძლება, შევქმნა დედამიწელთა ახალი მოდგმა, რომელიც მაკროკოსმოსის შემეცნებისთვის იქნებიან მზად. აუცილებელია წარსული თაობების ცოდნის გაზიარება, რომ ახალი ერა მოვაახლოვოთ. ჯერჯერობით ზუსტად არ ვიცოდი, როგორ უნდა მომხდარიყო ეს. მაგრამ ვგრძნობდი: გარკვეულ მომენტში ეს თავისთავად გან-

ხორციელდებოდა. ვოცნებობდი და მზად ვიყავი, მეყვირა: „მე ვასილი კარამანოვი, სრულიად ახალი არსება ვარ! გამოვდივარ მთელი კაცობრიობის – ფხიზელი და მთვრალი, შემოქმედი და ფსკერზე დაშვებული ადამიანების – წინააღმდეგ. ამ ქვეყანას დიადი მისით მოვევლინე – ადამიანთა იმ ქვეყნად გამგზავრებისას ჩირალდნით გავანათო ცარგვალი“. ამ დროს, იმედითა და სიამაყით აღსავსე, მივუახლოვდი მოსკოვის მეტროს სქემას. „რა უნდა ვიპოვო აქ, – გამიელვა თავში, – ეს ხომ უცნობი სამყაროა ჩემთვის! მე კი მხოლოდ კუთხეს, პანია ოთახს, ღამის გასათევს, მიტოვებულ ეზოს ვეძებდი. აბა, მეტრო რით დამეხმარებოდა?“ არ მქონდა არავითარი საქმე, არც – სადმე წასასვლელი და ყოველგვარი იმედის გარეშე დავიწყე სადგურთა დასახელების კითხვა. უცებრუკის ცენტრში აღმოვაჩინე სადგური „ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა“. „აი, რა მჭირდება! – გამიელვა თავში. – სადგურს სახელი მის პატივსაცემად დაარქვეს... ეს ალბათ წარმატებას მიქადის“. ამ ფიქრით შევდგი ფხი ესკალატორზე და

მითითებულ მისამართზე გავემგზავრე. ამდენი ხალხი ჯერ არ მენახა. მგზავრთა სწრაფმა ნაკადმა წინიბურას ვოლგისპირა ველებზე კალიების შემოსევა გამახსენა. ხოლო ხალხით დატენილი ვაგონები მოხუცი ნეხვატაიკოს მიერ ქალიშვილისთვის გაგზავნილ ხაშხაშიან რულეტს წააგავდა. მოსკოვის მეტროში მეც საკონდიტრო ნაწარმში მოთავსებული ხაშხაშის ერთი მარცვალი მეგონა თავი. ხოლო, როცა მატარებელი წყვდიადში ჩაინთქა, ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ადამიანის ხელით შექმნილ ჯოჯოხეთში მოვხვდი. მანამდე განუცდელმა პანიკამ მოიცვა ჩემი არსება. დამკრატის ძალით მაწვებოდნენ ყოველი მხრიდან, ჩამომხმარი სხეული შიშის გორგლად ქცეულიყო. ერთი ჩემი სხეულის მამაკაცურ ნაწილს ჩააფრინდა; მეორე – ჩემს ცარიელ ჯიბეში ძვრებოდა. ვიღაც დედაკაცი წამახული ქუსლით ფეხზე მებჯინებოდა. სხვა – ჩიტბატონებიან გალიას მხარზე მადებდა. ადამიანები სულაც არ მერიდებოდნენ, უფრო მეტიც, მიზან-მიმართულად მაფრქვევდნენ ამონასუნთქს – ზოგი – წინაკის, ზოგი – ხახვისა და

ზოგიც – ნივრის სურნელს. უცებ მომეჩვენა, რომ ჩემგან დაბეგვილი ხორცის მომზადება სურთ, კიდევ ცოტა და შემხრაკავდნენ საზარელ ტაფაზე, ხოლო წვის ენერგია *homo cosmicus*-ის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. თავს ვეღარ ვიკავებდი. „ეს როგორ შეიძლება? – ვფიქრობდი მე. ჯერ არაფერი გამიკეთებია, რამდენი რამ მაქვს დაგეგმილი! მინდოდა, ჩემი ცხოვრება პუტივლელთა დამკვიდრების-თვის მიმედვნა. პატიმრობისას, როცა დროს საცეცხლეში ვატარებდი, სულ ვოცნებობდი „იქსის ფსკერზე“, იმ ბედნიერ დროზე, კაცობრიობა მთლიანად რომ გაქრებოდა. მინდოდა, **მისთვის** ხელი დამექნია: „აბა, კარგად, ბოროტო კაცო! იმედია, აღარასოდეს შევხვდებით.“ ამ დროს დინამიკებიდან ხმა შემომესმა: „სადგური ლერმონტოვსკაია“, შემდეგი სადგური – „კოროვსკაია“. მატარებელმა წყვდიადიდან გაჩახჩახებულ დარბაზში ამოყვინთა, დაამუხრუჭა, კარები გაიღო, ერთმა ბრბომ ვაგონიდან გამიტანა, მეორემ – შემიტანა და მგზავრობა გაგრძელდა. მგზავრთა წნეხისგან მოგვრილი შიში თანდათან

გამიქრა. და აი, ესენი თავის თავს გონიერ ადამიანებად თვლიან? მათი ქცევა ინტელექტის გამასხრებაა. გადახარხარებაც კი მომინდა, ჩაბერვა დიდი და საჩვენებელი თითებით შეკრულ წრეში. მინდოდა, სიხარულისგან დამესტვინა ადამიანთა სულიერი სიღატაკის აშკარა მაგალითის გამო. და მეყვირა: „ყოჩალ, ჭკუის კოლოფებო! ეი, თქვენ, ეგრეთ წოდებულო გონიერო არსებებო! იჩქარეთ სასფლაოსკენ! თქვენი დროც მოვიდა!“ თუმცა ეს ემოცია საკმაოდ სწრაფად გაქრა და ჩემს მეზობლად მდგომთა თვალიერება დავიწყე. გავითიქრე, რომ სასარგებლო იქნებოდა მოსკოველთა უცნობი სახეების ყურება. იქნებ რამე განსაკუთრებულს, სუმის ტიპთაგან განსხვავებულს, წავანწყდე. „იქნებ ჩემიანები ვნახო? – გამიელვა თავში. – არა უბრალოდ პუტივლელი, არამედ ჩვენიანი პუტივლელი, კრომანიონების შესაცვლელად რომ მიიჩქარის!“ ჩემი ზეიდეით გატაცებულსა და ჩაფიქრებულს, უცებ შემომესმა: „სადგური „ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა“. შემდეგი სადგური – „კროპოტკინსკაია“. დიდხანს აღარ მიფიქრია, ბაქანზე გამო-

ვედი, ზემოთ ავედი, ქუჩაში აღმოვჩნდი და დავინახე დოსტოევსკის ქანდაკება. უბე-დური, ისე უხერხულად იჯდა, თითქოს სკამს ლურსმანი ამოშვეროდა და მსოფლიოს უდიდეს მწერალს ერჭობოდა. „ასე აფასებენ **ისინი** თავის რჩეულებს?“ გავი-ფიქრე. ძეგლს უკან, გზის გადაღმა ფი-რუზისფერ შენობაზე აპრა მოჩანდა: „რსფსრ-ს უმაღლესი საბჭოს მისაღები“. „ძველი იმპერიის ნარჩენები“. – გამიელვა თავში. გავიხედე მარჯვნივ და – ას მეტ-რში კრემლის კოშკი აღმართულიყო. გამახ-სენდა, ბავშვური წყენა, როცა საბავშვო ბალის აღმზრდელებმა იცრუეს ადგილობ-რივ უურნალისტებთან, რომ ნახატის ავ-ტორი ვასკა კარამანოვი კი არა, ვიტკა ვიპორკოვი იყო. „არაფერია გასაკვირი, ამ ძუძუმწოვრებში ტყუილის გენი დომინი-რებს.“ – დაბნეულს ამის აღიარებალა შემეძლო. მერე უკან მივბრუნდი: საკმაოდ დიდი სვეტები აღმართულიყო პოდიუმზე. შენობის ფრონტონის მთელ სიგრძეზე – აღბათ დიდ მწერალთა და მეცნიერთა – ქვის ქანდაკებები იყო განლაგებული. რამ-დენიმე შევიცანი, მაგრამ უმეტესობას

პირველად ვხედავდი. „აი, ეს არის ბიბლიოთეკა. რამხელაა! მთელი ცხოვრება არ გეყოფა, რომ საცავებში შენახული ყველა ფოლიანტი წაიკითხო!“ – გავიფიქრე უცებ. თუმცა ცოდნის ტაძარში შესვლა არ მიჩქარია. შენობის მარცხნივ, მეორე მხარეს წავჭოდიალდი და სხვა მოულოდნელად წამოჭრილ თემაზე დავიწყე ფიქრი: *homo cosmicus*-ის თვალთახედვით, რამდენად მართალია, გძულდეს ყველაფერი ადამიანური, გამუდმებით აჯერებდე თავს საკუთარ უპირატესობაში ცხოველთა ამ ტიპთან შედარებით, ცხოვრებას ადამიანთა მოდგმის გაქრობასა და პუტივლელთა დამკვიდრებას უძღვნიდე და ამასთან ერთად, მიიღებით მათი და მათ წინარე ცივილიზაციათა ცოდნის შესწავლისაკენ? ესე იგი, ადამიანთა შორის ეძებდე მრჩევლებს **მათივე** მოდგმის მოსასპობად? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოიყენო მათი გამოკვლევები **მათივე** წინააღმდეგ. რამდენადაც ეს მორალი ადამიანთა ტიპს ახასიათებს, მისაღებია თუ არა იგივე მომავლის არსებისათვის, რომელთაც თავს მივაკუთვნებ? თუ შევაპრუნებთ ამ ფრა-

ზას, აპსოლუტურად მიუღებელია? ამ უბრალო, მაგრამ მოულოდნელ კითხვას სრულიად მოუმზადებელი შევხვდი. შემდეგ კვლავ საწყის წერტილს დავუბრუნდი: იმისთვის, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ადამიანების სხვა, მიღმიერ სამყაროში გარდასვლა და **მათ** მაგიერ ახალი, უფრო ძლიერი და გონიერი არსებების დამკვიდრება, აკადემიური განათლებაა საჭირო. ყველა წიგნი კი **მათი** განსჯის პროდუქტია. მაგრამ თუ ცოდნა მხოლოდ ადამიანურია და მე მას უნდა დავეყრდნო საკუთარი მეთოდოლოგიის შესამუშავებლად, მაშინ ადამიანი რატომ არ არის გონიერი? იქნებ ადამიანთა მხოლოდ მცირე ნაწილი – თუნდაც ნახევარი პროცენტი – შეიძლება ელიტურ კატეგორიას მივაკუთვნოთ? მაშინ ეს ელიტა, ალბათ შესაძლოა, თან წავიყვანოთ *homo cosmicus*-თა სამყაროში. თანახმა ვარ, რომ ჩვიდმეტი წლის მარტოხელა ჭაბუკის, რომელმაც მხოლოდ საბანაკო და საქალაქო ბიბლიოთეკების წიგნები გადაიკითხა, უცნაური განსჯა, შეიძლება, გულუბრყვილობად მოეჩვენოს კაცს. თუმცა ახალი სამყაროს შექმნის

იდეა პირთამდე მავსებდა, და ვისწრაფოდი ამ გზით გამეგრძელებინა სვლა. გამეძლიერებინა ძიება, გამეღრმავებინა ცოდნა. დედაქალაქის ცნობილი ბიბლიოთეკის გარშემო სიარულისას პირველად დაფიქრდი იმაზე, რომ ჩემი სიძულვილი ადამიანთა მოდგმისადმი, უმწიფარი და ძალიან პირადული გახლდათ, მხოლოდ წიგნებსა და შრომაზე იყო დაფუძნებული. „ვნახოთ, რას შემომთავაზებენ წიგნები ჩემს მთავარ კითხვაზე პასუხის გასაცემად, რამდენად მართალია ჩემი ახალგაზრდული კონცეფცია, რომ პუტივლელებმა სასწრაფოდ უნდა შეცვალონ კრომანიონელები“. და მაინც... ძალიან მაფიქრებდა მოსკოვის წიგნთსაცავის ფართობი და ტევადობა. ზოგჯერ მეუფლებოდა სურვილი, წავსულიყავი ყაზანის სადგურზე, მომექებნა მატარებელი, გამცილებლისთვის ორი მანეთი მიმეცა და საერთო ვაგონის ზედა თაროზე გამეტარებინა დღე, მერე ვოლგაზე დავბრუნებულიყავი, რათა სასოწარკვეთილებისთვის დამეღწია თავი, რომ გულითა და გონებით არ მიმეღო ადამიანთა მოდგმა! არ მეღიარებინა მისი უფლება

*homo cosmicus*-ებთან თანაარსებობის შესახებ. დამსხვრეული ოცნებები ხომ ყველაზე დიდი საშინელებაა დიადი იდეით გატაცებული გონისათვის! ამ დროს დავთიქრდი: რა მოხდება თუ ცოდნის სასახლეში დაცული წიგნები ჩემი აზრის ჭეშმარიტებას დაადასტურებენ და ეს ჩემგან გადამწყვეტ ქმედებას მოითხოვს? არ ვიცი, ზუსტად როგორის, მაგრამ უკიდურესად მამაცურის, დიადის, **ჩვენი** თავლთახედვით, მაგრამ საშინელის, **მათი** მორალიდან გამომდინარე? თუკი გავიგებ, რომ გონიერი წიგნები ადამიანების მიერ კი არა, უცხო სამყაროში მოულოდნელად მოხვედრილი პუტივლელების მიერ არის შექმნილი? ხომ ცნობილია, რომ ზოგჯერ კარტოფილით მოთესილ მინდვრებზე უცებ პურის სავსე თავთავი ამომზევდება! რა? – მთელ სამყაროს სუფრა უნდა გავუშალო და ღვინოში შხამი შევურიო? არა! ეს მეტის-მეტად ადამიანური ხერხია. პუტივლელს ამის კეთება არ შეუძლია. მაშინ მხოლოდ სასწაულს უნდა დავვჯერდე: მაგალითად, ორი სქესიდან ერთი შევქმნა. ქალთა ან მამაკაცთა? არა, უმჯობესია, ქალთა! ანდა

ყველანი ერთ დღეს რომ დაბერდნენ! ყველა ადამიანი უცებ ოთხმოცი წლის გახდეს! იქნებ სჯობია მღვდლებს, მოლებს, რაბინებსა და ბრაჟმანებს ისეთი ძალა მივცე, რომ ყველას წინ წარუძღვნენ მიღმიერ სამყაროში? ეს ხომ ადამიანთა ფანდია! ან cosmicus-ების სასწაული? არა, ეს **მათი** სტილია. **მათ** ხომ სწამთ! ითხოვენ რწმენის თავისუფლებას! ჰოდა, ა, ბატონო, ინებეთ! ანდა იქნებ შობადობას შევუქმნათ წინაღობა: ქალებს კვერცხუჯრედი ამოვაცალოთ, მამაკაცებს – სპერმატოზოიდი! ანდა რამე ზეინტელექტუალური გავაკეთოთ: მაგალითად, ათჯერ, ან სულაც ასჯერ ავასწრაფოთ დედამიწის ბრუნვა თავისი ღერძის გარშემო. მაშინ დღე-ღამე 0,24 საათის ტოლი იქნება! ეს ორ წუთნახევარია დღეში, ხოლო წელიწადში – ცხრაას თორმეტი წუთი. გადავიყვანოთ ეს ადამიანთა ბიოლოგიურ შესაძლებლობებზე – ესე იგი, ისინი ორმოცდაათ დღეში გაქრებიან. **მათი** ცხოვრებისეული რესურსი დასრულდება! ანდა სულაც რაღაც თხუთმეტი გრადუსით შევამციროთ ან გავზიარდოთ ტემპერატურა პლანეტაზე.

ერთ-ორ წელიწადში ისინი ამოწყდებიან. ანდა სამგზის, თუ ხუთგზის არა, გავაძლიეროთ ეჭვიანობის, შურისა და შურისძიების გენი. ერთმანეთს ყელებს გამოსჭრიან! ან გავზარდოთ მათი კვების გენი, მისი ზემოქმედება ფსიქიკაზე – ამ შემთხვევაში, ერთმანეთს გადაჭამენ; ანდა პირიქით, შევამციროთ ეს გენი და თან ამან გონებაზეც ნაკლებად რომ იმოქმედოს, მაშინ მათში დისტროფია განვითარდება და **ისინი** ისტორიის ანალებში ჩაიკარგებიან. რა ძლიერ არიან დამოკიდებულნი ადამიანები სტაბილურობასა და ბუნების ჰარმონიულობაზე! ერთი მცირე ცვლილება და მორჩა, **ისინი** აღარ იარსებებენ! განა რა არის პლიუს-მინუს თხუთმეტი გრადუსი, თუკი ცნობილია, მზის მაღალი და ღია კოსმოსის ნულთან მიახლოვებული ტემპერატურები! მაშინ ჯერ კიდევ ვერ წარმომედგინა, რა მომივიდოდა თავში ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ. შიშით ავკანკალდებოდი, დედაქალაქის ბიბლიოთეკის წინ მდგარი! შეიძლებოდა, წამში გავჭალარავებულიყავი! ერთი სიტყვით, ძალიან მახარებდა ადამიანების „გა-

პუტივლელების“ იდეა; გულში ჩამივარდა თამამი აზრი *homo sapiens*-ის კვლევის ფორმებისა და მეთოდების შესახებ; ფრთებს მასხამდა ადამიანთა ზიზღი საკუთარი პერსონისადმი; მომწონდა ის პატარ-პატარა ნაბიჯები, რომელთაც ვდგამდი სანუკვარი მიზნის მისაღწევად. არა, ჯერ არა მაქვს გარკვეული გეგმები, ერთის გარდა. ჩემს ტვინს მთავარი აზრი ბურღავდა: სწრაფად გავნათლდე, რომ პუტივლელთა მორალის თანახმად, გადავწყვიტო, რა მოვიმოქმედო ადამიანთა მიმართ. დაველოდო **მათ** გადაშენებას ბუნებრივი გზით, თუ ინტელექტუალური მეთოდებით დავაჩქარო ეს პროცესი. თუმცა მოსვენებას მიკარგავდა სხვა, მეორეხარისხოვანი პრობლემა, როგორ მოვიქცე **მათთან** ამჟამად? ალბათ გავაგრძელებდი ფიქრით თვითგვემას, ვალენტინ სეროვის სახლ-მუზეუმთან რომ არ შევჩერებულიყავი. ჩემი ყურადღება კედლზე გამოკრულმა განცხადებამ მიიპყრო: „ვეძებთ მეეზოვეს“. ახლა ვერაფრით ვიხსენებ, რამ მიბიძგა სტაროვაგანკის ჩიხისკენ შემეხვია, მაგრამ ფაქტია ამ მუზეუმის წინ არმოვჩნდი.

დირექტორის კაბინეტში შესვლისთანავე წარვუდექი მას: ვასილი კარამანოვი, ვოლ-გისპირა კნიაგინინიდან. შემიძლია ვიმუ-შავო მეეზოვად“. – რამდენი წლის ხარ? – მითხა დირექტორმა – გამხდარმა, მი-ნისფერსახიანმა ქალმა. – ამბობენ, რომ წითურები მოჩხუბრები და ხელმრუდები არიან. ჩვენი მუზეუმის გასაქურდად ხომ არ გამოგვზავნეს? – „არა, მე მოსკოვში არავის ვიცნობ. დოკუმენტებით – ოცის ვარ!“ – „დამნაშავეთა ვოლგისპირულ დაჯ-გუფებაზე რას იტყვი? თქვენს ატამანს რა ჰქვია? ტორმუზი? თუ თერმოსი?“ – „ასეთებს არ ვიცნობ“. – „მუშაობის სტაუი გაქვს?“ – დიახ! ხუთი წელი ცეცხლფარეშად ვმუშაობდი. მერე წელინადზე მეტ ხანს შემფუთავ ქარხანაში ყუთებს ვამზადებდი.“ – „არმიაში მსახურობდი?“ – „არა!“ – „რა, თავი გაარიდე?“ – „არა, ხუთი წლით გა-დამივადეს.“ – „მიზეზი?“ – „ხუთი წელი მცირენლოვანთა კოლონიაში გავატარე. გადავადება სასჯელის ვადის თანაბარია.“ – „ჰომ, ასე. – გააგრძელა ქალმა, – ესე იგი, ციხეში იჯექი? რისთვის?“ – „პირადი საკუთრება გადავწვი.“ – „მსხვერპლი და

დაზარალებული იყო?“ – „არა, არ იყო.“ – „დიდი მატერიალური ზარალი მიაყენე?“ – „არა, ცეცხლი თვითონ ჩავაქრე.“ – „რატომ მატყუებ? აბა, რისთვის მოგისაჯეს ხუთი წელი?“ „არ ვიცი. თუმცა იქ არც ისე ცუდი იყო, წიგნებს მაინც ვკითხულობდი. თუ თქვენ მეეზოვე გჭირდებათ, მზად ვარ გემსახუროთ.“ – „სვამ?“ – „არა.“ – „მოსკოვში სად ცხოვრობ?“ – „არსად. მხოლოდ დღეს დილით ჩამოვედი.“ – „ნათესავები გყავს?“ – „არა.“ – აბა, სად გაათევ ღამეს?“ – „ფარდულში, სადაც ცოცხებს და თოვლის ასახვეტ ნიჩბებს ინახავთ. პირობებთან შეგუება არ გამიჭირდება.“ მოკლედ, მუზეუმში შტატის თანამშრომელთა სიაში გამოსაცდელი ერთი თვის ვადით ჩამწერა. ასე გავხდი მეეზოვე დედაქალაქში. ასი მეტრით ბიბლიოთეკიდან და ორასი მეტრით კრემლიდან მოშორებით. სეროვის მუზეუმი თვრამეტ საათამდე იყო ღია. ყოველ დღეს სამკითხველო დარბაზში ვატარებდი. სწორედ აქ, ახალი წიგნების წაკითხვის შემდეგ საკუთარ თავს უფრო კრიტიკულად შევხედე. როცა გავიგე, რომ სენსანსმა ხუთი წლის ასაკში შესანიშნავი

მუსიკა დაწერა; რომ ექვსი წლის ფრენს ჰამილტონი – მომავალში ცნობილი ანთროპოლიგი – საჯაროდ ზეპირად კითხულობდა „ილიადასა“ და „ოდისეას“; რვა წლის გრიბოედოვმა უნივერსიტეტში ჩააბარა; თხუთმეტი წლის ლერმონტოვმა დაასრულა „დემონის“ მეორე რედაქცია, ხოლო ჩვიდმეტი წლის ასაკში უკვე „მასკარადზე“ მუშაობდა; რომ ასევე ჩვიდმეტი წლის რენე დეკარტმა გენიალური „დეკარტის კოორდინატები“ აღმოაჩინა; გალილეიმ კი იმავე ასაკში – ქანქარის რხევის იზოქრონულობა; მენდელსონ-ბარტოლდიმ სიმფონიური უვერტიურა „ზაფხულის ღამის სიზმარი“ შექმნა; რომ ერაზმ დარვინმა თვრამეტი წლის ასაკში დაწერა ნაშრომი „ზოონომია“ – მესაკუთარი თავის შემრცხვა. ვიგრძენი ის გამოწვევა, რომელსაც ადამიანები მთავაზობდნენ. თითქოს ერთ-ერთი მათგანი დაბეჯითებით მეკითხებოდა: „შენ კი – პუტივლელო, რა შეგიძლია? საცეცხლურში ნახშირის შეყრა, ყუთების დაჭედება, წარსულის მოაზროვნეთა წიგნების კითხვისას ბიბლიოთეკის სკამზე შარვლის ცვეთა? და ამავე დროს ჩვენი ანთროპოლოგიური

მოდგმის ლანძლვა?! თვითონ ვინ ხარ? რა არის შენში განსაკუთრებული, განსხვავებული ადამიანთაგან? მართალია, უღალი თმა რუსეთში არც ისე ხშირად გვხვდება. ვადასტურებ, შენ არ ეძებ მატერიალურ გამორჩენას. იმასაც ვადასტურებ, რომ შენ არ გაინტერესებს კარიერა, პარტიები, ბიზნესი, ადანიანებთან ურთიერთობა, საკუთარი გარეგნული მხარე. კამპანიებს შენ სიმარტოვეში კითხვა გირჩევნია, არ სვამ, არ ეწევი, არ ეტანები ნარკოტიკებს. მაგრამ ასეთები ხომ ბევრია! შენთვის უმჯობესია წამოწვევე წიგნით ხელში და არა – ქალთან. შენ უფრო ოცნებობ, ვიდრე ახორციელებ შენს გეგმებს. კიდევ რა? რაში მდგომარეობს შენი განსაკუთრებულობა? რა არის შენში Cosmikus-ის? განსჯა, რომ განერიდო ყველაფერ ადამიანურს? რომ განაწყენებული ხარ? შეურაცხყოფილი? ასეთები ბევრია ქუჩაში და სასაფლაოზეც! შენი ტვინი ადამიანის ტვინისაგან განსხვავებულად მუშაობს? მაგრამ სად არის ამის საბუთი? ჯერ კიდევ არა გაქვს შექმნილი რაიმე უნიკალური პროდუქტი! არავინ იცის შენი გეგმებისა

და შენს შესახებ. ადამიანებს შეუძლიათ შენს მოსვლას ყურადღებაც არ მიაქციონ. დამადასტურებელი საბუთების წარდგენა ხომ არ ძალგიდს! მოხვედი ამ სამყაროში, თუ გუშინ გარდაიცვალე, მოკვდები ხვალ თუ ორმოცდაათი წლის შემდეგ, ვის აინტერესებს? შენ ხომ თვითონაც არ აქცევ ყურადღებას ბუზის გაფრენას, ძალლის ყეფას, ახალდაბადებულის ტირილს! აბა, ვის მოუვა თავში, შენ დაგაკვირდეს? ყური მიუგდოს შენს აზრებს? წარმოდგენები კრომანიონთა გადაშენების შესახებ მხოლოდ შენს ანთებით შეპყრობილ ცნობიერებაში არსებობს. ხალხი ბედნიერია! ის ოცნებობს, რომშეიცვალოს, გაიუმჯობესოს ცხოვრების პირობები, მატერიალური თვალსაზრისით. გუშინ თუ ერთი მანეთი ჰქონდა, ხვალ – ასი და ათასი უნდა. მორჩა! პრობლემები, რომლებზეც შენ ფიქრობ, მათ არ აინტერესებთ! აბა, წარმოიდგინე ის, რისი დანახვაც არ შეიძლება! გვაჩვენე, რაში მდგომარეობს შენი აღმატებულება! ადამიანთა სამყაროზე სრული შთაბეჭდილების მისაღებად ჩაუღრმავდი კრიმინალს, გაეცანი კულტურას, პოლიტიკას, მეცნიე-

რებას, რასაც გინდა! იმოქმედე, დაამკვიდრე შენი უნიკალური სახეობა *cosmikus-o*. შემთხვევით წამოჭრილმა საუბარმა საკუთარ თავთან პირველად დამაწყებინა სასწაულის ძებნა არა გარემოში, არამედ – ჩემში. შინაგანი ხმა მკარნახობდა, რომ ის არსებობს და არც თუ ისე შორს, აქვე გვერდით მაქვს და დაძახილისთანავე გამოჩნდება. საკმარისია, გადავწიო ცნობიერების ფარდა და სასწაული მთელი თავისი მშვენიერებით მომევლინება. ბიბლიოთეკის უზარმაზარ სარკეში თვალს თვალში ვუყრიდი საკუთარ თავს და ვფიქრობდი, რომ ცივილიზაციის ისტორია უშეღავათო გამოწვევას მიგზავნის, მაიძულებს მტკიცებულების ძიებას, რათა წლობით ნალოლიავები იდეები დავალაგო. წარმოუდგენლად მეჩვენებოდა, რომ ჩემს მთავარ იდეას ვინაბე დაამსხვრევდა და გაანადგურებდა. მაგრამ უფრო მნარედ მესახებოდა, ჩემივე ხელით რომ აღმესრულებინა ეს. რომ მეღალატა მისთვის, ან სხვა აზრებს გამოვდევნებოდი, ანუ მოულოდნელად დამეკარგა ღერძი ჩემი არსებობისა. თავი ვაიძულე, დავმშვიდებულიყავი. დავმცხრა-

ლიყავი. შემოვუარე ბიბლიოთეკას – ეს ჩემი საყვარელი სვლა-გეზი გახლდათ. გადავწყვიტე, დროებით არაფერი შემეცვალა ყოფაში, მეეზოვისა და ბიბლიოთეკის მკითხველის ჩაკეტილი ცხოვრებით მეცხოვრა. მაგრამ განუწყვეტლად მეფიქრა, როგორ გამომეჩინა თავი, რათა – თუნდაც ჩემთვის – დამემტკიცებინა, რომ ჭეშმარიტი პუტივლელი ვარ და არა ჭკუიდან შემცდარი ადამიანი. „თუკი, – ვფიქრობდი მაშინ მე, – ყველას დავუწყებ იმის მტკიცებას, რომ დედამინელთა მოდგმის მომავალს წარმოვადგენ, დამცინებენ. დამადანაშაულებენ კაცთმოძულებაში. საგიუეში გამამწესებენ! – ან ვლადიმირის დახურულ, ან პერმის საერთო რესპუბლიკურში. ციხეები **ამათ** მრავლად აქვთ, ადგილს ყოველთვის იპოვიან. აუცილებელია, ჩემს თავს მაინც დავუმტკიცო, რომ cosmicus-ი ვარ. მე დარწმუნებული უნდა ვიყო ამაში! მაშინ გულახდილად შემიძლია გამოვიყენო ცოდნა და ბუნებით ბოძებული ნიჭი, ავლაგმო ადამიანთა მოდგმა და ისტორიის არქივში გავაძევო **ისინი**. მაგრამ თუ მე ჭეშმარიტი პუტივლელი არა ვარ, ჩემთვის

ამის გაკეთება კატეგორიულად აკრძალულია. მაშინ ვის იმედად უნდა დავტოვო სამყარო? სახელდობრ, ვინ შესძლებს იბატონოს ცამეტი მილიარდი წლის განმავლობაში დედამიწაზე? აქ აჩქარება დაუშვებელია. შემდეგისტიქიური მუტაციისთვის მასალა მაინც უნდა დარჩეს და ასეთი მასალა კრომანიონული თუ იქნება. როგორი სიამოვნებით დავინახავდი გენების დრეიფს, შემთხვევით ფლუქტაციებს, ნებისმიერი სახეობის არსების ძირითად შემადგენელ ნაწილს რომ წარმოადგენს. განუმეორებლად საინტერესოა, უყურო მატერია როგორ სკრუპულობურად, ატომ-ატომ ქმნის ახალი ბინადარის გენეტიკურ ანსამბლს. მაგრამ როგორ უნდა ადევნო ამ სასწაულს თვალი? სად არის კარის ის ჭუჭრუტანა, რომელიც საშუალებას მომცემს, ვუთვალთვალო ახალი არსების შექმნის პროცესს? ან ვინ მოვა cosmicus-ის შემდეგ? როგორ უნდა შეავლო თვალი სუპერ-ჯადოქრებს, მაგებს, „დეენემის“ რესტრიკაციული ფრაგმენტების პოლიმორფიზმით მანიპულატორებს? როგორ უნდა უყურო გენეტიკური ტვირთის სომატურ უჯრე-

დებში გადატანას, დატკბე სპონტანური და  
ინდუცირებული მუტაციის ლოგიკით,  
გაოცდე ქრომოსომების აბერაციით? ეს  
სანახაობა ხომ დიდებული იქნება! იქნებ  
შევქმნა საკუთარი ლაბორატორია? ჩავა-  
ტარო ცდები? თავი მივუძღვნა განეტიკური  
ინჟინერიის ექსპერიმენტებს? ანდა წავიდე  
სამუშაოდ აკადემიის კვლევით ცენტრში?  
გავხდე მეცნიერმუშაკი? არა! არა! ადა-  
მიანებთან მისვლა ჯერჯერობით არ შეიძ-  
ლება! მე ხომ გადავწყვიტე: ჯერ უნდა  
დავსვა დიაგნოზი – ვინ ვარ მე? რომელი  
სახეობის წარმომადგენელი? კრომანიო-  
ნელი თუ პუტივლელი? წარსულის ადამიანი  
თუ მომავლის არსება? მხოლოდ ამის  
შემდეგ შემეძლება საბოლოოდ გადავწყვი-  
ტო, რა ვაკეთო.“ აქ სხვა აზრმა გამინათა  
გონება: ადმიანები ხომ რანგებად იყოფიან.  
თუ რამდენიმე წლის წინ **ისინი** თავს  
უმაღლესფერას დაკავებულითანამდებობის  
– პარტიული პორტფელის – მიხედვით  
მიაკუთვნებდნენ, ამჟამად კაპიტალია გა-  
დამწყვეტი. ინტელექტი და წარმომავლობა  
არავითარ როლს არ თამაშობს. მხოლოდ  
კომერციული, ავანტიურული ტვინია საჭი-

რო. დღეს რუსეთის მოქალაქისთვის ყველაზე აქტუალური – კრიმინალური აზროვნება გახლავთ. მხოლოდ გაუკულმართებული წარმოდგენების მქონე ადამიანები ქმნიან ელიტურ მოდგმას და საკუთარი დროის გმირებად ყალიბდებიან. ხოლო დანარჩენები შენატრიან მათ ჰოპულარობას: კრიმინალში, კულტურაში, პოლიტიკაში, კომერციასა და მეცნიერებაში. ამ სახეობის დეგრადაცია დაწყებულია, თანდათან ჩქარდება და კრახისკენ სვლასაც აჩქარებს. შეეცადნენ, გამოჩენილ ადამიანთა სპერმის ბანკიც კი შეექმნათ. და რა მოხდა? როგორი შედეგი? ის ნულის ტოლია! იქნებ პუტივლელები ადამიანური ნაკლოვანებებისგან გაგვეთავისუფლებინა, მაგრამ ამისთვის **მათბუნებაში** ჩაღრმავებაა საჭირო, გამოწვლილვით გამოსაძიებელია ზნეობის ტოტალური დაცემის მიზეზი და ავხორცულ გულისთქმათა ნაკადი? ეს დაგვეხმარება იმის გაგებაში, თუ კრომანიონელთა რომელი გენი შევინარჩუნოთ cosmicus-ებში, ხოლო რომელი – ამოვშანთოთ და სამუდამოდ აღვგავოთ ჰირისაგან მიწისა. გულწრფელად გეტყვით: ამ აზრმა

ააფორიაქა ჩემი წარმოსახვა, და მეტად დავფიქრდი იმაზე, თუ რითი დამეწყო ექსპერიმენტი. მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდი: რომელ სფეროში შემესწავლა ადამიანების არასრულფასოვნებანი, რომ შიგნიდან შემემეცნებინა **მათი** არსი? **მათი** ბუნება? დამსმარე არავინ მყავდა, მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დავყრდნობოდი. კარგად მესმოდა, რომ ადამიანის ცოდვებში ჩასალრმავებლად არტისტული ნიჭი იყო საჭირო და მე შევეკითხე საკუთარ თავს: მაქვს კია ეს ნიჭი? და თუ მაქვს, რა მოცულობით? თუმცა დრო რომ არ დამეკარგა, ბიბლიოთეკის სარკმლიდან ვაცქერდებოდი ხალხის ნაკადს, რომელიც შეიარაღებულ ძალთა გენერალური შტაბისკენ მიედინებოდა. მათ უმეტესობას სამხედრო ფორმა ეცვა. მოთენთილი, განაცრისფერებული სახეებით მიჰქროდნენ **ისინი** და რატომღაც ქვიშას მახსენებდნენ, ყოველდღიურად რომ გამქონდა მოსკოვის ქვაფენილებიდან. მე ხომ შევპირდი საკუთარ თავს, რომ ადამიანებს უფრო პატივისცემით მოვექცეოდი. – გამიელვა თავში. – რა საჭიროა ეს უხეში შედარებები? მათი ბიოლოგიური სახეობის

წარმომადგენლები ხომ უჭკვიანეს წიგნებს ქმნიდნენ, რომლებითაც სავსეა ცოდნის სასახლე. ეს ხომ **მათ** მოიგონეს ტერმინი „ტოლერანტობა“. და აუცილებელია **მათ** მიმართ ტოლერანტობის გამოჩენა“. უცებ წარმოვიდგინე, რომ წარმოსახვითი იარაღი რაღაც გიუური ტემპით ამოქმედდა და ფეხით მოსიარულეთა ნაბიჯი უფრო ასწრაფდა. ისინი თითქოს ჩემს ცოცხს მოჰყვებოდნენ, მიფრინავდნენ და ქრებოდნენ დედაქალაქის ქუჩებიდან. პირველად სწორედ აქ დამებადა კრიმინალური სიუჟეტი, მომაგონდა ამბები, ბანაკში რომ ყვებოდნენ: თუ როგორ ატყუებდნენ „ფარმაზონები“ ყეყეჩი ოფიცრებს. ისინი სავალუტო ჩეკების, რომელიც მაღაზია „ბერიოზკაში“ გამოიყენებოდა, ფულზე გადასაცვლელად მაღალ კურსს სთავაზობდნენ მათ, სინამდვილეში კი დაჭრილ ქაღალდს – „კუკლას“ აჩეჩებდნენ ხელში. იქნებ ამით დავიწყო ადამიანთა სამყაროში შესვლა? – გავითვირე მე. მინდოდა, **მათი** უხერხემლობის გამომხატველი ცალკეული ფრაგმენტებით დავრწმუნებულიყავი ადამიანთა უსუსურობაში. **მათ** სიხარბეში? თუკი ჩეკი – ან

სხვა რამე – მანეთი ღირს, შენ კი სამს გაძლევენ, განა ეს დაფიქრების საბაბი არ არის? თუნდაც დაეჭვების? უარი რომ თქვა საეჭვო გარიგებაზე? მაგრამ *homo sapiens*-ში მომხვეჭელობის გენი ყველაფერს წარმართავს! მეჩვენება, რომ **მათ** ყველაზე სწრაფად ერთმანეთზე მიმართული შეამიანობა დაღუპავს. **მათ** ყველაფერი უნდათ და თან ისე კი არა, რომ ერთი ოცნებობდეს მანქანაზე, მეორე – ტყავის პალტოზე, მესამე – საყვარელზე, მეოთხე – ფულის დასტაზე! ყველაფერი ერთდროულად სურთ და ამასთან, განუზომელი რაოდენობით! თითქოს ჯადოქრობა იყოს! ჰუკ – და მორჩა! განა ეს სურვილები შეიძლება ადამიანის გონის დიადი იდეიდან გამომდინარეობდეს? იმისთვის, რომ ფანციფუნცი იქონიონ, ცრუობენ, არღვევენ კანონს, ლენავენ ვიტრინებს, ერთმანეთს ხოცავენ, ცხოვრებას უნგრევენ, ძალაუფლებას გლეჯენ, სხვის კუთვნილს ითვისებენ! იმისთვის, კრიმინალური გენის ძალა რომ ვიგრძნო, ერთი წელი „ფარმაზონის“ როლს ვითამაშებ...“ მზად ვიყავი ამ ჩვენებებში ჩავძირულიყავი, მაგრამ გონს მოვეგე და

შევწყვიტე ოცნება, საბიბლიოთეკო წიგნები ჩავაბარე და სტაროვაგანვის ჩიხში, ჩემს სოროში დავბრუნდი. ჩემი თავშესაფარი ფარლალა შენობას წარმოადგენდა, რომლის სახურავიც გუდრონმოსხმული ტოლით იყო დაფარული. ფიცრებით შეჭედილი დახეთქილი იატაკი კი – ეზოს დონეზე ნახევარი მეტრით დაბლა ჰქონდა. მუზეუმის მხარეს გაჭრილი ერთადერთი პანია სარკმელი, მუყაოთი დაეგმანათ. მაგრამ მე მაინც ძალიან მადლობელი ვიყავი ჩემი სახაზინო საცხოვრებლით. ეს გამოყინული, ბურუუიკა-ლუმელით აღჭურვილი „ბინა“ სავსებით აკმაყოფილებდა ჩემნაირ, ასკეტური ცხოვრების მოყვარულ, არსებას. როგორც კი საკუთარ ლოგინზე აღმოვჩნდი, შეწყვეტილი ფიქრი განმიახლდა: „მერე კი აუცილებელი იქნება კულტურის წარმომადგენლის ნიღაბი მოვირგო – ამისთვის ორი წელიწადი დამჭირდება. სრულიად არ ვიცნობ ამ საზოგადოებას, მაგრამ გული მიგრძნობს, რომ ისე დავიწვები, თითქოს წყალბადციანმუავას შევხებოდე! ამით კიდევ ერთხელ დავამტკიცებ, ჩემს მიერ ყოველგვარი ადამიანურის

გენეტიკური მიუღებლობის რეალობას. შემდეგ პოლიტიკური აქტივისტის როლს გავითამაშებ – ეს საქმიანობა ალბათ სამ წელს მოითხოვს. წარმოდგენა არა მაქვს, რისი კეთება მომიხდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მოცემული პროფესიის პრაგმატიზმი გულის რევამდე მიმიყვანს. ძალაუფლებისადმი ადამიანურ სწრაფვას რომ ჩავწერდე, საკუთარი თავი უნდა შევცვალო. პოლიტიკურად ანგაუირებულ ადამიანებთან ურთიერთობა, ალბათ დიარეის უმძიმესი ფორმით დამასნეულებს. ცნობილია, რომ პოლიტიკურ კარიერისტთა თავხედობა, როგორც წესი, სულიერ სიყრუესა და კუჭის აშლილობას იწვევს. ადამიანთა შორის ჩემს ცხოვრებას კი მეცნიერის ამპლუაში დავასრულებ – ამაზე ორი-სამი წელიწადი უნდა მეყოს. ამ პერიოდში ჩემი ცხოვრების თანამგზავრი ალბათ გაოგნება იქნება: ნეტავ, თავისი ბიოლოგიური სახეობის შესაცვლელად რატომ არაფერს აკეთებენ? ის ხომ ასეთი ღატაკი და არასრულყოფილია! იქნებ მათ ჭეშმარიტი განათლება არ ჰყოფნით? ან იქნებ კრომანიონელთა დაუნდობლობა,

რომელიც საკუთარ თავთან პერმანენტულ ბრძოლაში გადაიზრდება ხოლმე, გენთა ანსამბლით არის განპირობებული? მაშა ასე, მთელი ამ დროის განმავლობაში მე აუცილებლად უნდა გამოვიკვლიო ადამიანის ბუნება მისვე საცხოვრებელ გარემოში. და მხოლოდ ადამიანურ ნაკლოვანებათა წიაღში მრავალწლიანი მოგზაურობის შემდეგ, ბოლოსდაბოლოს შემიძლია დავასკვნა: ავაჩქარო კაცობრიობა და დავასრულო მისი არსებობა, თუ გავაგრძელო განსჯა ჩემს მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ საკითხზე. ფიქრებში ჩაფლული გამოვედი ჩემი თავშესაფრიდან, სწრაფად დავგავე ქუჩა, ნაგავი კონტეინერში ჩავუძახე, გავასუფთავე აბრა „ძალლებით სეირნობა აკრძალულია“, დავამთავრე მუშაობა და კვლავ ფარდულისკენ გავეშურე. „იმისთვის, თაღლითობა რომ დავიწყო, – გავიფიქრე მე, – საჭიროა ფული, რომელიც კლიენტის თვალწინ უნდა დავთვალო“. მე-ეზოვედ მუშაობის ერთი წლის განმავლობაში ასობით წიგნი წავიკითხე: ბაჟენოვის, კანაპიხას, კუნინის, დუბროვსკის, გარსიას, ლენცის, ოუენისა და კეშმანისა. გავიაზრე

– პუტივლელთა მოსვლასთან დაკავშირებული – ყველა გეგმა. მაგრამ სულ მეჩვენებოდა, რომ მთავარი პროექტი ჯერ კიდევ მოსაფიქრებელია; რომ მე ჯერ კიდევ ვერ შევიძინე შესაფერისი ცოდნა ძირითად ქმედებაზე გადასასვლელად. მე-ეზოვედ მუშაობის განმავლობაში მოვასნარი ოთხას სამოცდაათი მანეთის დაგროვება. არა, ხელმომჭირნედ სულაც არ ვცხოვრობდი. დაგროვების გამო თავს არ ვიზღუდავდი, განა რა სჭირდება პუტივლელს მოკრძალებული საკვებისა და აუცილებელი სამოსის გარდა? ჩეკის ნომინალის ღირებულება ერთი მანეთია. კლიენტის დასაინტერესებლად სამი ნომინალის შეთავაზებაა საჭირო. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა ვეძებო ას ორმოცდაათი ჩეკის გაყიდვის მსურველი. ჩემი ფული თუმნიანებზე უნდა გადავახურდავო, მოვამზადო მათი ზომის ქაღალდი, შევუღებო გვერდები, თავსა და ბოლოში ნატურალური კუპიურები დავდო, დასტა პოლიეთილენის გამჭვირვალე პაკეტში შევფუთო და „კუკლა“ მზად იქნება. შემდეგ ეს „შედევრი“ მარცხენა ჯიბეში უნდა ჩავიდო, ხოლო ნამ-

დვილი ფულის შეკვრა – მარჯვენაში. „სა-იდან ვიცი ასე დაწვრილებით ყველაფერი? – გავიფიქრე შეშინებულმა. – ჰომ, მსმე-ნია! ვიღაც პატიმართაგანი გვიამბობდა. ბეჯითი მოსწავლესავით რატომ დავიმახ-სოვრე ყველაფერი, რატომ შემოინახა ეს ამბავი ჩემმა გონებამ? ნუთუ ყველაფერი ადამიანური შემოდის ცნობიერებაში და ჩემი ნების გარეშე ილექება იქ? მაინც, როგორ? ნუთუ ეს cosmicus-ის განსა-კუთრებულ ნიჭიერებაზე მეტყველებს? უცნაური ამბავია. უფრო მეტად უნდა ჩავუკვირდე საკუთარ თავს.“ ჩემი თმის პარიკის ქვეშ დამალვაზე დავფიქრდი. წი-თური თმა ხომ ერთეულებს აქვთ მოსკოვში! მაგრამ რა ლირს ის? პარიკთან ერთად აუცილებელია გქონდეს სათვალე, ულვაში, ბაკენბარდები. თაღლითს, როგორც მსახი-ობს სცენაზე, თავისი სახე უნდა ჰქონდეს, თავისი ლეგენდა. უამისოდ როგორ იქნება? თან ის სიმართლესაც უნდა წააგავდეს, ამასთან, სენტიმენტალურიც იყოს. **მათ** ეს მოსწონთ. მაგალითად: მე – სამედიცინო ტექნიკუმის სტუდენტი ჩამოვედი ტვე-რიდან, რათა საცოლეს საქორწინო კაბა

ვუყიდო. პროვინციულ ქალაქში ეს შეუძლებელია. ფული მომცა მამამ, რომელიც ღვინის ქარხნის საამქროს უფროსია. სულ ეს არის! მაგრამ გარეგნობა მუდმივად უნდა ვიცვალო. მაშინ სერიოზულ მნიშვნელობას ჯერ კიდევ არ ვანიჭებდი საკუთარ განსაკუთრებულ სამყაროსთან, არაადამიანურ წარმოშობაზე მუდმივ ფიქრთან, განშორებას. ოჟ, ეს სიჭაბუკე! ყურში ჯერ კიდევ მხიარული მუსიკა უღერდა, მე კი ვოცნებობდი, რომ ჩემი გასვლა „ხალხში“, პუტივლელთათვის ახალი სამყაროს ჭიშკრის გასაღები იქნებოდა. სულ ეს არის! ამ დროს გამახსენდა, რომ დროა გავიგო პარიკის ფასი და გავქანდი სადალაქოში, ბოლშაია მილავსკაიაზე რომ მდებარეობდა. აღმოჩნდა, რომ პარიკის ფასი ათი მანეთია, ხოლო ულვაში და ბაკენბარდები – ხუთხუთი. გამოვიდა, რომ „კუკლაზე“ ორი თუმანი უნდა დამეხარჯა, გარეგნობაზეც – ორი თუმანი. ჯამში კი – ორმოცი მანეთი. ეს დანახარჯი სიმყარისა და უშიშრად მოქმედების გარანტიას მაძლევდა. ოთხას სამოცდაათს ორმოცი რომ გამოვაკლოთ, ოთხას ოცდაათი მანეთი რჩება. ცოტაა.

კიდევ – სათვალეა საჭირო! ესეც ალბათ მანეთი ან მანეთ-ნახევარი ღირს. ყველაზე უბრალო – ალბათ უფრო ნაკლები. ამდენი ფული მაქვს! მარტო დღეს, ქუჩის დაგვისას ოცდაათი კაპიკი ვიპოვე. „იქნებ ასე უკეთესიც კი იყოს. – გავიფიქრე მე. – სათვალებიან ჭაბუქს ოცი მანეთი აკლდება, თუკი ფასს – ჩეკში სამ მანეთს – განვსაზღვრავთ. შეიძლება ამითაც დავიწყო კლიენტთან საუბარი... მაგრამ რატომ აღვთრთოვანდი ასე? უცნობმა მღელვარებამ თავბრუ დამასხა. ვიგრძენი, რომ ამ ამბავმა გამიტაცა. რა დაგემართა, ვასილი კარამანოვო? საკუთარი თავი უნდა ვაიძულო, ამ ცხოვრებაში შევძვრე და არა აღფრთოვანებული გავქანდე მისკენ, თითქოს კავკასიაში საზაფხულო მოგზაურობა მელოდეს. დამშვიდდი, პუტივლელო! შენთვის დაუშვებელია დროზე ადრე და თან საჭიროების გარეშე მოირგო ადამიანის ნიღაბი.“ ნელ-ნელა წავჩანჩალდი ფარდულისკენ. უცნაურად მივდიოდი. არასოდეს არაფრით დავინტერესებულვარ წიგნების გარდა, ამიტომ არასოდეს ვათვალიერებდი შენობათა არქიტექტურას, ავტომობილთა

კონტურებს, ადამიანთა სახეებსა და მაღაზიის ვიტრინებს. თვალი ახელილი მქონდა, მაგრამ მაინც ბრმასავით დავდიოდი. ვინმეს რომ ეკითხა, რამდენ სართულიანია რესტორანი „პრაღა“, სახელმწიფო ბიბლიოთეკა, ან სახელმწიფო დუმის შენობა, ვინმეს რომ ეთხოვა, აღმენერა ქალი – ალბათ შევყოვნდებოდი და ენას ვერ დავძრავდი. არ მახსოვდა, ვინ იყო მთავრობის მეთაური, ვერ წავიღილინებდი ჰიმნის მელოდიას. ეს ჩემი სამყარო არ გახლდათ და არც ვაპირებდი მასში ჩარჩენას. არა, გადამწყვეტი უარი არ მითქვამს მათთან ურთიერთობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, სადმე უკაცრიელ ტაიგაში დავსახლდებოდი და განდეგილად ვიცხოვრებდი. მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი, ადამიანური ზნისა და ვნებათაღელვისაგან განზე ვმდგარიყავი იმ იმედით, რომ **მათ** სულიერ სიღატაკეს საბოლოოდ შევცვლიდი. მხოლოდ ყოველივე ადამიანურისაგან გათავისუფლება მიმაჩნდა სიკეთედ. რას იზამ, ყველას თავისი აზრი აქვს. როგორც კი ჩემს საწოლს დავუბრუნდი, დავიწყე მსჯელობა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო

*homo sapiens*-ისთვის დამახასიათებელი პირველი ნაბიჯი ყოფაში. ჩვიდმეტი წელი არ ტრიალებდე ამ სამყაროში, არც ერთ ცოცხალ არსებასთან არ გქონდეს მეგობრული ურთიერთობა, სიახლოვე, შენთვის არ იყოს მისაღები **მათი** მენტალობა, მთელი ცხოვრების მანძილზე არც ერთხელ არ გესაუბროს **მათთან** გულითადად და უცებ, ერთ წამში დაუახლოვდე! ეს რთული გადაწყვეტილება გახლდათ. მაგრამ შინაგან პროტესტს ვძლიე, *cosmicus*-ის განსაკუთრებულმა ნებისყოფამ გაიმარჯვა. უკვე საბოლოოდ გადავწყვიტე: ხვალ ეზოს დავალაგებ, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე მივატოვებ მეტოვის პოსტს და ფულის საკეთებლად გენერალური შტაბისკენ გავემართები. სარკის ნამსხვრევს წამოვავლე ხელი და ჩემს ფიზიონომიას დავაკვირდი. მომეჩვენა, რომ შევიცვალე სრულიად უცნობი გამოხედვა ამესახა სახეზე. დაძაბულობა გაქრა, თვალები ჩაქრა, ყურები ჩამომიგრძელდა, თმები ყალყზე დამიდგა, უფერულობა სილურჯით შეიცვალა, ჭორფლი ჩამუქდა – დამნაშავის იერი მივიღე. „ნუთუ ასეთი დავრჩები? –

გავიფიქრე შეშინებულმა, – აი, სიფათიც  
ამას ჰქვია! ზარმაც, ოროსან სტუდენტს  
დავემგვანე. ასეთები მთელ დღეს ბიბლიო-  
თეკის მოსაწევ ოთახში ატარებენ“. ჰომ,  
რა სახელით უნდა გავეცნო ხალხს? კარა-  
მანოვად? არა, არასოდეს! პუტივლელის  
სახელი რატომ გავსვარო? იქნებ ფარმა-  
ზონი – გადამგდების გვარი – პოშიბაილოვი  
ავირჩიო? მართალია, ის ჯერ ჭაბუკი იყო,  
მაგრამ ძველი თალღითი გახლდათ. პოში-  
ბაილოვი მოჩვენებით, არტისტულადაც კი  
– ახერხებდა, ხან მილიციის, ანუ პატიმრის  
გადაბირების სიმბოლო – წითელი სახვევი  
– ეტარებინა და ხან მწყობრი ნაბიჯით  
ევლო და ბანაკის სასადილოში ესადილა.  
აქ გამახსენდა, რომ ყოველი პატიმარი,  
რომელიც ოჯახის შემოგზავნილ საკვებს  
იღებდა, ვალდებული იყო „ზონის მაყურებ-  
ლისთვის“ თითქმის ნახევარი მიეცა. ჭამის  
შემდეგ პოშიბაილოვს ჩვევად ჰქონდა, თა-  
ვისი გმირობის ამბები მოეთხრო სხვების-  
თვის. პირველად სწორედ მაშინ გავიგე  
„არიფებისა“ და „კუკლების“ შესახებ. ნეტა,  
რა ერქვა? მგონი – ალექსეი... სხვა სახელს  
ვერ ვიხსენებ, ამიტომ ასეც დავირქმევ –

ალექსეი პოშიბაილოვი. უცებ მომელანდა ის: „ფუი, რა საზიზლრობაა!“ ქუჩაში გავიხედე, შებინდებულიყო. ამინდი ფუჭდებოდა, ჟინულავდა. თავში გაჩრილი ხინვივით მნინკნიდა ადამიანად გარდასახვის აზრი. ამაზრზენად ვგრძნობდი თავს. „ეს გაადამიანების პირველი სიმპტომები ხომ არ არის? ადრე ყოველთვის გულგრილი ვიყავი სამყაროს მიმართ. მაგრამ დღეს რა მჭირს? ჭარბი ადრენალინი ფსიქიკას აწვება? – გავიფიქრე მე. სრული უფლება მაქვს, საკუთარ მეხსიერებას დავეყრდნო: მაშინ ზედმეტად მორცხვი, ამაყი ვიყავი, რომ ასე უბრალოდ გამეხედა ჭუჭრუტანაში თითებს შორის, არა თუ ადამიანის ტყავში შევმძვრალიყავი, არამედ თაღლითობითა და მათივე კანონების დარღვევით შემეტყო მათი ყოფის შესახებ. რატომ მიბიძგა შინაგანმა ხმამ *homo sapiens*-ის შესწავლა მაინცდამაინც კრიმინალით დამეწყო? – გამიელვა თავში. – იქნებ ეს სისულელეა? იქნებ საცოტურია? ავადმყოფური წარმოსახვის ნაყოფია? რა მოხდება, თუ დამაპატიმრებენ, გამასამართლებენ და რამდენიმე წლით ციხეში მიკრავენ თავს? რა ვუყო

ჩემს მთავარ მიზანს? შევძლებ კი თანამედროვე ცივილიზაციის ლაბირინთების დაძლევას და მასთან მიახლოებას? ძირითადის შეცნობას? მე ხომ სწორედ ამისთვის მოვედი ქვეყნად!“ თუმცა, თუ მართლა *cosmicus*-ი ვარ, არავითარი საფრთხის არ უნდა მეშინოდეს. არაფერია მოსარიდებელი. არც არაფერი მოხდება! მე ხომ **მათ** გონით ვჯობივარ! დაპატიმრების არ უნდა მეშინოდეს; არ უნდა მეშინოდეს არც „კულტურის სფეროში“ ნაბიჯის გადადგმის; ასე ვერ განვავითარებ ჩემს აზრს, ვერ გამოვიკვლევ ვერაფერს; არც იმაზე უნდა ვფიქრობდე, დავიპყრობ თუ არა პოლიტიკურ ელიტას; არ უნდა მომერიდოს მეცნიერთა შორის თავის გამოჩენის. პუტივლელები ხომ სამყაროს დასაპყრობად არიან მოწოდებულნი! და აღფრთოვენებულმა, ხმის ამოულებლად შევყვირე: წინ! წინ, ჩემო მეგობარო ვასილი კარამანოვ! – და უცებ უკან დავიხიე: „მაპატიე, შემეშალა. კარამანოვო კი არა, ალექსეი პოშიბაილოვო! აჩვენე მათ დედამიწელთა ახალი გენიოსის ტალანტი, აჩვენე **მათ** ზეკაცის იდეით შეპყრობილი *cosmikus*-ების ნიჭის გან-

საკუთრებულობა, პოტენციალი. ეს შენც გჭირდება, რომ საკუთარი ყოფის წესი და რიგი დაადგინო. თორემ ხალხის სიძულვილისა და **მათი** ისტორიიდან განდევნის გარდა ჯერ არაფერი განგიცდია და არც არაფერი გამოგიცდია“. დავმშვიდდი, თავი დავირწმუნე, რომ აუცილებელია ჩემი თამამი გეგმების განხორციელება. დავიწყე იმით, რომ გადავწყვიტე, საკუთარი პერსონისადმი ყველა პრეტენზია ღიად და ყოველგვარი განაწყენების გარეშე გამომეთქვა. არაფერი დამემალა ჩემი თავისითვის. ადამიანებიამითმშვენივრადსარგებლობენ! მერე პრაქტიკულ საქმეებზე გადავედი: ავიღე ხელის მანქანა და უღალი თმის პარსვა დავიწყე: უთმო თავი საშუალებას მაძლევდა პარიკი კომფორტულად მეტარებინა. მოვისინჯე სათვალე, ჩავიცვი ერთადერთი ქურთუკი, რომელიც ოთხ მანეთად შევიძინე ვიღაც ლოთისგან. მახსოვს, როგორც კი ფული ჩავუთვალე, ცრემლმორეულმა მითხრა: „რაში მჭირდება ქურთუკი? ჯანმრთელობისთვის მთავარი ბოთლი არაყია!“ „როგორი მოჩვენებითი სხვაობაა **მათ** ყოფაში, ქცევაში, ცხოვრების

წესში! **ისინი** გამოუსადეგარ წვრილმანებში არიან ჩაფლულნი – გავიფიქრე მე. – რა უბედურებაა, ქურთუკი არაყზე გაცვალო, სხვადასხვა მოდის ტანსაცმელი ატარო, ნაირნაირი ნუგბარი მიირთვა, შეიყვარო ვიღაც ქალები, გაუზიარო მეგობარს პოლიტიკური იდეები, ესთეტიკური მრწამსი? ერთს ლექტორობა უნდა, მეორეს – ბუღალტრობა, მესამეს – მდივნობა. მეეზოვეობა... რა უმსგავსობაა! უფერული, თითიდან გამოწოვილი იდეები! სულ სხვა-გვარნი არიან პუტივლელები: ჩვენ მხოლოდ სულიერი მრავალფეროვნება გვიზიდავს. მგზნებარე, დაუოკებელი სურვილი, ჩვენი დრო მოვაახლოვოთ! და სხვა არაფერი! არ არის არც უნაყოფობა, არც – გულუბრყვილობა, არც – მაამებლობა და სენტიმენტალურობა, სიხარბე და თითლი-ბაზობა. ჩვენ წინ მხოლოდ სულიერი სივ-რცე და ალორძინების ხანაა. **მათ** კი იმდენი ნაგავი აქვთ... როგორ ასწრებენ ცხოვ-რებასა და ფიქრს? ძნელია, მათი შთაბეჭ-დილებების სილატაკე წარმოიდგინო.“ ამ ფიქრებით გავედი ეზოში, არავითარი გეგ-

მა არ მიტრიალებდა თავში. ეზო ისე უღიმდლამოდ გამოიყურებოდა, როგორც შემოდგომას შეეფერება. ხანმოკლე წვიმამ დატოვა გუბეები, რომლებშიც ფოთოლებაძრცვილი ვერხვები ირეკლებოდა; მათში მოუღურტულე ბეღურები ფრთებს აფართხალებდნენ და აქეთ-იქით აშეფებდნენ წვიმის წყალს. არ გავჩერებულვარ, გზა განვაგრძე და სტაროვაგანკის ჩიხში გავედი. „აუცილებელია, კარგად შევათვალიერო ადამიანები, – გამიელვა გონებაში, – მე ხომ **მათ** სრულიად არ ვიცნობ. იქნებ ისინი უკეთესები არიან, ვიდრე მგონია?“ მაგრამ აქ მეორე აზრმა გადასხეპა ის, რაზეც ვფიქრობდი: თუ ათასწლეულში ერთი გენიოსი იბადება, მაშინ ვის ნახვას ვესწრაფვი მე? მოსკოვში ხალხი, მილიონობით ადამიანი, მიჰერი-მოჰერის. მაგრამ ამ საცოდავებს შორის ვინ შეიძლება, მაინტერესებდეს? – როგორც თანამოსაუბრე, თანასწორი, ვინც პატივისცემას გამოიწვევს? მთელი **მათი** საზრუნავი და საფიქრალი მხოლოდ სამომხმარებლო კალათაა. არც სულიერების წყარო, არც მსოფლიხედის პრობლემები აინტერესებთ,

**მათ** აინტერესებთ მხოლოდ კეთილდღეობა. ახალი ფეხსაცმელი, ბლუზა, უაკეტი, პალტო, პორტფელი – აი, ეს არის **მათი** სიამოვნება. განა შეიძლება სულიერად აღფრთოვანდე უბრალო კაბის გამო? ძებვის გამო? კათხა ლუდის გამო? ფულის დასტის გამო? ან თუნდაც – ავტომობილის გამო? მართალია, ყველა არ არის დაინტერესებული მატერიალური კეთილდღეობით, მაგრამ ასეთია **მათი** აბსოლუტური უმრავლესობა, მათემატიკოსთა ენაზე რომ ვთქვათ, ასეთია მაქსიმუმი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მინიმუმი ისევე, როგორც მე, იტანჯება ადამიანებთან ურთიერთობისას. იტანჯება მწარედ, უნუგეშოდ!.. დიახ, ადამიანი მეტად უცნაური არსებაა. ეეჲ, წარმატებით ვერ აეწყო კრომანიონთა გენეტიკური ანსამბლი! ინტელექტის კოეფიციენტიც სხვადასხვა აქვთ. წარმომიდგენია, როგორი გაუსაძლისია ამ მრავალფეროვანი მასის წიაღში ცხოვრება! აქ ჩემი ფიქრების მიმართულება კვლავ შეიცვალა: cosmicus-ების ძიება ადამიანთა შორის ხომ არ განგვევრდო? მუტაცია ხომ გაშუალე-

ბული აბსოლუტური სიდიდეა. და ყოველი ადამიანი დაბადებისთანავე განიცდის მას. თუკი ადამიანთაგან წარმოვიშვი, რატომ არ შეიძლება სხვებიც ჩემნაირები იყვნენ! იქნებ მათ პუტივლელივით მკვეთრად გამოხატული გენეტიკური ანსამბლი არ გააჩნიათ და ხალხის აგრესიული გარემოც ჯერ ასე არ მოქმედებს შეუცნობელ, ძილ-ღვიძილის მდგომარეობაში მყოფ არსებებზე? იქნებ ისინი არც ისე ცოტანი არიან იქნებ ისინი, როგორც მე, თანამედროვე პარალელურ ცივილიზაციასთან ცხოვრებას ახერხებენ. იმალებიან ბუნაგებში. არაადამიანურ ყოფაში დამოგზაურობენ. მათთან შეხვედრა, როგორც ჩემთან, იქნებ მეზოვის ბუდრუგანაში, ბინძური ლიფტის შახტაში, ქალაქის სამრეცხაოებსა და პროვინციულ დაბებში შეიძლება. ჩემთვის ხომ სულერთია, სად დაველოდები ახალ ერას, პუტივლელთა ეპოქას. ეს **მათთვის** არის მეზოვეობა არაპრესტიული პროფესია. **მათთვის** არის ნაგავსაყრელი სახილველად უამური, ჩემთვის კი ეს ადამიანების თანდათან გაქრობის ნიშნებია; მოლაყბე, ძველი ცივილიზაციის ძეგლები; იმ სახეობათა

უტყუარი არასრულფასოვნება, რომელთაც  
თვითნებურად დაირქვეს „გონიერი“. მე  
მხოლოდ ჩემიანების პოვნა მჭირდება,  
რათა მათ მივანიშნო – ისინი მარტონი არ  
არიან ადამიანთა სამყაროში; გავუწოდო  
ხელი და ვაცნობო – *cosmicus*-ები აქვე  
ახლოს იმყოფებიან, რომ მალე ჩვენი დრო  
დადგება. მაგრამ მანამდე ჩემი კვლევითი  
დოქტრინის განხორციელებაა აუცილე-  
ბელი. მთელი ერთი წლით თაღლითი უნდა  
გავხდე იმისთვის, რომ ომი გამოვუცხადო,  
უნდა ზუსტად ვიცოდე, როგორ აღეგზნება  
**მათი** სიხარბის გენეტიკური შტო. რა გი-  
ური ორმხრივი მერკანტილობაა ამისთვის  
საჭირო! თავდაპირველად გამყიდველს  
უხარია, ასეთი სულელი რომ გამოიჭირა,  
რომელიც ერთში სამ ნომინალს იხდის.  
მერე მყიდველია გახარებული, ბრიყვი რომ  
მოატყუა. **მათ** პუტივლელთა ინტელექტი  
რომ პქონოდათ, ასეთი რამ განა შესაძ-  
ლებელი იქნებოდა? რა წვრილმანი ვნება-  
თაღელვაა! უკანასკნელმა გაიმარჯვა,  
თუმცა პირველს უხაროდა და იგებდა.  
ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ *cosmicus*-  
ების ერაში ეს ჭირი არ გავრცელდეს.

ბევრი შრომა მომიხდება!“ გენერალური შტაბისკენ წავჩანჩალდი და გამახსენდა პოშიბაილოვის მონაყოლი, რომ ანგოლაში, იემენში, ვიეტნამში, ნიკარაგუაში ნამ-სახურები ოფიცრები, ჩვეულებრივ, მესამე სადარბაზოდან გამოდიან „ჩეკებით“. შტა-ბის ნაცრისფერი შენობა მკაცრად, შეიძ-ლება ითქვას, უღიმდამოდ გამოიყურებოდა. ისევ სცრიდა. გამიკვირდა, როცა შტაბთან ქოლგიანი ოფიცრები დავინახე. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ისინიც ქოლგებს ატა-რებდნენ! იქვე სადარბაზოს მძიმე კარზე გაკრულ აბრას შევხედე: ზედ ოთხიანი იყო გამოსახული. გრანიტის საფეხურებზე ოფიცერთა მიერ დაკარგული თითბრის ღილები ბრწყინავდა. „უცნაურია, — გავი-ფიქრე მე, — რა, მეეზოვე არა ჰყავთ, ან ღილებს კარგად ვერ აკერებენ? **მათი** ხასიათის ეს თვისება უნდა დავიმახსოვრო“. შემდეგ სადარბაზოზე სამიანი იყო აღნიშ-ნული. მისალმების ნიშნად ხელის შუბლთან მიტანით, ვეება კარს უჩუმრად აწყდე-ბოდნენ სამხედროები და შემდეგ ასევე ჩუმად გამოცვივდებოდნენ ხოლმე იქიდან. გამოცვენილებს ისეთი უცნაური ფიზი-

ონომია ჰქონდათ, გეგონებოდათ თანამ-დებობიდან გადააყენესო. მათ სიარულში გამოუყენებელი ენერგია იგრძნობოდა, კი-დურების მოძრაობაში კი – მექანიკური უბრალოება. ზუსტად ასე მოძრაობები მე-ქანიკური სათამაშოები. სამხედრო ფორ-მები უგერგილოდ ქანაობდა მათ ჩამომხმარ სხეულებზე, ან პირიქით – ტანზე ასკდე-ბოდათ ჩასუქებულებს. გაკვირვებულმა გავიფიქრე: არც ერთი დაკუნთული, სპორ-ტული აღნაგობის ადამიანი! ეს რა ჯარია? რას აკეთებენ, ნეტავ, იქ?“ მაგრამ აქ უცებ სხვა აზრი წამოტივტივდა: ყველა ეს ადა-მიანი უცერემონიოდ შემოვა ჩემს სიმარ-ტოვეში, თითქოს მესამე სადარბაზოს კარს აღებდნენ! და ჩემს ცნობიერებას მოუწევს **მათი** შემოშვება! მერე დამესიზმრება მათი მოწყვეტილი თითბრის ღილები, დასრესილი ფარავები, ბრჭყვიალა სამხრეები, დაბიუ-ვინებული სიფათები. ღირს ამისთვის ცხოვრება?“ – „მაგრამ პუტივლელთა ერას რა ვუყო? – დაუყოვნებლივ გამომეპასუხა შინაგანი ხმა, მე ხომ შენ cosmicus-ებისთვის ნიადაგის მომზადება დაგაკისრე! შენს წინ მრავალწლიანი პროგრამაა! შენ უნდა აღა-

სრულო ის! მიზანი გამჭვირვალე და ნათელია!“ გავიდა რაღაც თხუთმეტი-ოცი წუთი, მე კი უკვე დავიღალე. საკუთარი თავი არასრულფასოვან არსებად ვიგრძენი: სანახაობამ საოცრად იმოქმედა ჩემს ფსიქიკასა და ნებისყოფაზე. ხალხი, ხალხი, ხალხი! მათი რაოდენობა ჩემს ცნობიერებას ანადგურებდა, ნაკუნებად აქცევდა. თავს ვკარგავდი და სადღაც შავ ხვრელში მივექანებოდი. თვალებზე მუქი ფარდა ჩამომეფარა, თავბრუ დამესხა და ფეხები მომეკვეთა. უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე და ჩემს ბუნაგში დაბრუნება გადავწყვიტე. დამაიმედებელმა აზრმა საკუთარი გენიალურობის შესახებ კვლავ გამამხნევა. „ყველაფერი მზად არის, გაწერილია. მიდი, ვასილი, დაიწყე, ხვალ ნაშუადლევს. მეეზოვის საქმე დაასრულე, ჩამოიცვი პარიკი, ნებისმიერი წიგნი ამოიჩარე იღლიაში და გაქანდი გენერალური შტაბის მესამე სადარბაზოსკენ. უკან მოუხედავად. არასრულყოფილ არსებას ყოველთვის მოსწონდა სენტიმენტალური ამბების მოსმენა. და მოასმენინე ეს **მას!**“ ამ ფიქრებში დავავლე ხელი ცოცხს და ჩემზე მონდობილი

კვარტალი დავგავე, მერე მუზეუმის გუბე-  
ებიანი ეზოც მივაყოლე, ძალა გამომეცალა,  
მივლასლასდი ბუდრუგანაში და დაღლილს  
ჩამეძინა. იმ ღამეს არაფერი დამსიზმრებია.  
დილის შვიდ საათზე წამოვდექი, ვისაუზმე,  
მივირთვი უმი კვერცხი, ერთი ნაჭერი პუ-  
რი, ცივი წყალიც დავაყოლე და საქმეს  
შევუდექი. ჩემი ცხოვრების პურიტანული  
წესი არც ერთი წიგნიდან და ძველი  
ამბიდან არ გადმომილია. უბრალოდ, მასში  
ჩემი არსება მულავნდებოდა – დახვეწილო-  
ბა კვებას, ჩაცმასა თუ ყოფაში – ჩემში  
განდგომილების საბაბს იძლეოდა. სამსახუ-  
რებრივი ინსტრუქციის მიხედვით, შუა-  
დღემდე საქმე დავასრულე. და მესამე  
სადარბაზოსთან ჩემი მოღვაწეობისთვის  
მზადება დავიწყე. მარტოობის დათმობამ  
კი არ გამტეხა, პირიქით, მიზანდასახულება  
შემმატა. იმ დღეს არავითარი ეჭვი არ  
მიხრავდა გულს. ზუსტად ვიცოდი, რა მა-  
ნიპულაციებისთვის უნდა მიმემართა, რომ  
ადამიანში სიხარბე აღმეძრა, – ამიტომაც  
ვიჩქაროდი გენერალური შტაბისკენ. უკვე  
ჩამოვიცვი პარიკი და მივიწებე ულვაში,  
როცა ჩემი თავი სარკეში დავლანდე. არა,

ეს მართლა არ იყო პუტივლელი ვასილი კარამანოვი, არც – მისი ორეული, მისი აჩრდილიც კი არ გახლდათ. თვალწინა ალექსეი პოშიბაილოვი წარმომიდგა. სწორედ ასეთი ადამიანები მძულდა მთელი სიცოცხლე. სწორედ **ისინი** იწვევდნენ ჩემში გაშმაგებას, რომ სხვისი წოდება – გონიერი – მიითვისეს. სწორედ **ისინი** მინდოდა განმედევნა არქეოლოგიურ ლიტერატურაში. და აი, შეხეთ! თვითონ დავემსგავსე **მათ!** ყურადღებით რომ დამკვირვებოდით, ვერაფრით იტყოდით, cosmicus-იაო. შემეშინდა, რომ ადამიანებთან ურთიერთობა დიდ დროსა და ძალას წამართმევდა. მე კი ისე მჭირდებოდა ძალაც და დროც! ბოლოს განსჯა შევწყვიტე, „კუკლა“ ჯიბეში ჩავიჩურთე, ავიღე ნაღდი ფულიც, დავიკოსე სათვალე, გამოვედი ბუდრუგანიდან და გენერალური შტაბისკენ გავემართე. ეზოს გავლას არაუმეტეს ხუთი-ექვსი წუთისა მოვუნდი. მესამე სადარბაზოსთან კვლავ ხალხი ირეოდა. ერთხელ კიდევ გავიხსენე ბანაკელი პოშიბაილოვის ონბაზობა. მერე სადარბაზოდან გამომსვლელთაგან ერთ-ერთი შევარჩიე. საშუალო სიმაღლის, ოდ-

ნავ ჩემზე დაბალი მაიორი. გარუკული, ჩვეულებრივი სახე ჰქონდა. ახალი კიტელი და გაცრეცილი შარვალი ეცვა, „ეტყობა, – გავიფიქრე მე, – ან ჩრდილოეთ აფრიკიდან, ან ანგოლადან არის ჩამოსული. კიტელი ალბათ კარადაში ეკიდა, ხოლო შარვალი მთელი მივლინების განმავლობაში ეტარებინა“. მოდის და იჯგიმება, ჯიბე ალბათ ჩეკებით აქვს სავსე, ან იქნებ პოდპოლკოვნიკის ჩინი მიიღო? ბევრი არ მიფიქრია, მასთან მივედი და მივესალმე: „გამარჯობა. მე ლიოშა პოშიბილოვი გახლავართ ქალაქ ტვერიდან. ჩეკების ყიდვა მინდა. ას ორმოცდაათი ჩეკისთვის ოთხას ოცდაათ მანეთს ვიხდი. ეს თითქმის სამი მანეთია ერთ ჩეკში. ხომ არ მომყიდით?“ ვლაპარაკობდი სწრაფად, თან მივდევდი მაიორს, რომელიც ნაბიჯს არ ანელებდა და მიჰქროდა თავის გზაზე. სიტყვების – „სამი მანეთი ერთ ჩეკში“ – შემდეგ ის მკვეთრად შეჩერდა და ასე, ნახევარ წუთს დამაშტერდა. მეც ჩაციებით ვუმზერდი. ვხედავდი, როგორ გაუფართოვდა თვალები, დაებერა ნესტოები, გაუხშირდა სუნთქვა. უხალისო, გულგრილი გამოხედვა შეეც-

ვალა; სახეზე ინტერესი გამოეხატა. თვალის ცეცება დაიწყო, მონადირის ინსტინქტი იგრძნო. ალბათ იფიქრა, აი, იღბალი, ჩერჩეტს გადავეყარე, სამ მანეთს მთავაზობს! „საიდან იცი, რომ ჩეკები მაქვს? – თვალი მოჭუტა სამხედრომ. – სისხლის სამართლის სამმართველოდან ხომ არა ხარ?“ – „მე ჯერ ოცი წლისაც არ გახლავართ. სტუდენტი ვარ...“ – „ ფული თან გაქვს?“ – შემაწყვეტინა მაიორმა. – „დიახ! ჯიბეში მაქვს, მოგცეთ?“ – „არა, მიპასუხა, – აქ არა. მოდი, სატელეფონო ჯიხურში შევიდეთ. აქვეა, გოგოლის ძეგლთან“. ასამდენაბიჯი უჩუმრად გავიარეთ. მის თვალებს ვერ ვხედავდი, გვერდიდან მხოლოდ პროფილი ჩანდა. მაგრამ ხელებს სიხარულისგან ვერ ასვენებდა. ჩემს მოტყუებაზე ოცნებობს, ერთში სამი მანეთის მიღება უნდა! მარცხენა ჯიბეში „კუკლა“ მოვისინჯე, მარჯვენაში – ნაღდი ფული. სატელეფონო ჯიხურიც გამოჩნდა. მე პირველი შევძვერი იქ, შემდეგ მაიორიც შემოიჩურთა. მან ჩამოხსნა ყურმილი, მიიდო ყურთან და მხრით შეამაგრა, თითქოს ტელეფონით საუბრობდა. „მომეცი ფული!“

— მიბრძანა ბატონეაცურად. მე მშვიდად ამოვილე წითელი თუმნიანებით სავსე პაკეტი და ჩამოვდე წიგნზე „მოსკოვის ქუჩები და მოედნები“. — „გადათვალეთ. აქ ზუსტად ოთხას ოცდაათი მანეთია.“ მან ხელის კანკალით აიღო ფული, თან აქეთიქით ყურებას განაგრძობდა. ასევე აკანკალებულმა დაიწყო ფულის თვლა. შუბლიდან ოფლი უწვეთავდა. მე შევყურებდი მას და ვფიქრობდი: აი, ეს არის ბუნების გვირგვინი? რა ულირსი ყოფილა ბუნება, თუ ასეთი გვირგვინი აქვს! „დიახ! ზუსტია. აქ ოთხას ოცდაათი მენეთია, — მიპასუხა მან ენის ბორძიკით, თან ნერვულად იტენიდა ფულს ჯიბეში, „ერთი წუთით, — წავართვი ხელიდან კუპიურები, — ჯერ თქვენი ჩეკები მაჩვენეთ. მერე კი შეგიძლიათ, წაიღოთ ფული.“ წართმეული ფული კვლავ ცელოფანის პაკეტში მოვათავსე და წიგნზე ჩამოვდე. სანამ ის ჩემს ფულს ითვლიდა, მე „კუკლა“ წიგნს ქვეშ ამოვდე. ამ ფორიაქში მხოლოდ ხელის მტევნის გაქანებალა მჭირდებოდა. ასე მოქმედებდა ნამდვილი ალექსეი პოშიბაილოვი. ეს პროფესიონალური ფანდი გახლდათ. მაიორმა

შემოტკეცილი კიტელის ჯიბიდან ძლივს ამოაძრო ჩეკების პაკეტი. სულ ერთი წამი მჭირდებოდა, ხელის მტევანი რომ ამერიკული მედებინა. და როცა ოფიცერმა ჩეკები ამოიღო, წიგნზე უკვე ყალბი შეკვრა იდო. „აი, ხედავ, რამდენია! შენ ხომ ას ორმოცდაათი გინდა?“ ოფლი ღვარად სდიოდა. ჯიხურში სივიწროვე და უჰაერობა იყო. მაიორში კი მოგების ინსტიქტი დუღდა და გადმოდიოდა. „დიახ! – ვუპასუხე, – მეტი არაფერში მჭირდება!“ – „დასანანია, თორემ კიდევ ვიყიდდი! კარგი! აიღე“ – მითხრა მან და სხეულით გასასვლელი გადაფარა. ადამიანის ცქერამ სულით ხორცამდე შემზარა. სხვას იქნებ გახარებოდა კიდეც: რა კრეტინია ბუნების გვირგვინიო! მაგრამ მე მისი სიბრიყვე მთრგუნავდა. ჩამეცინა კიდეც. მისმა ქცევამ კიდევ უფრო დამარწმუნა ჩემს მიერ არჩეული გზის ჭეშმარიტებაში. მაიორმა ცალი ხელით ას ორმოცდაათი ჩეკი გადმომცა, მეორე ხელი „კუკლას“ დაავლო და წარმოუდგენელი ძალით ჩაიტენა ჯიბეში. მომეჩვენა, რომ ფრენჩმა დაიპრინინა და ნაკერები დაასკდა. მეტი არაფერი უთქვამს,

ყურმილი ხელიდან გააგდო, ჯიხურიდან გავარდა და არბატისკენ გაეშურა. მივაძახე: „ნახვამდის, მაიორო!“ – მაგრამ არ შემობრუნებულა, პირიქით, ნაბიჯიც კი ააჩქარა. პულსი მოვისინჯე: მშვიდად, აუღელვებლად ცემდა. „აი, ნამდვილი პუტივლელი...“ – შევაფასე საკუთარი თავი. ჩამოვკიდე რა მოქანავე ყურმილი, მაიორს მივყევი. არა, ის სრულიადაც არ მაინტერესებდა. მის დევნაში არავითარ საფრთხეს არ ვგრძნობდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ მხოლოდ სახლში დაბრუნებისას ჩაიყოფდა ჯიბეში ხელს და „კუკლა“ მისთვის სრული მოულოდნელობა იქნებოდა. პროფესია, რომელსაც მე ვეუფლებოდი, ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველი უდრტვინველად შევასრულე. ახლა მეორე ამოცანა იდგა ჩემს წინაშე: ჩეკების მყიდველი უნდა მეპოვა. ეს რთული საქმე არ გახლდათ, მისი ფასი ორი ნომინალით განისაზღვრებოდა. ძველ არბატზე საკომისიო მაღაზია იყო. სწორედ მისკენ მივემართებოდი. „საგარეო ვაჭრობის ჩეკები მაქვს, ხომ არ დაინტერესდებოდით?“ – ვკითხე გამყიდველ ქალს – გვარიანად

შეღებილმა, ოდნავ ჩასუქებულმა და უმძიმეს საყურეებიანმა, რომლებიც ყურის ბიბილოებს ლავინისკენ ქაჩავდა, ამათვალიერ-ჩამათვალიერა, მერე მომიგდო: „ერთი წუთით!“ – და დახლს უკან კარში გაუჩინარდა. გამყიდველი სხვა უფრო ჩასუქებულ და მნიშვნელოვან ქალბატონთან ერთად დაბრუნდა. ის ამაყი, ბატონკაცური სახით, თვალებით, რომლებიც ყველასგან მორჩილებას ითხოვდნენ, გამომცდელად და ენერგიულად მომაშტერდა. კიდევ კარგი, ადამიანი არ ვიყავი! თორემ ფეხებში ჩავუვარდებოდი – იმდენად გამომწვევი იყო მისი მზერა! ოდნავ შესამჩნევი ღიმილითა და თაღლითური გამომეტყველებით ვაჯახე: „გამარჯობა, ლამაზო! ას ორმოცდაათი ჩეკი მაქვს.“ – „დასანანია! ძალიან დასანანი! ასე ცოტაა?“ – გაუკვირდა ჭალარა, შელურჯებულთმიან დიასახლისს. სახეზე დაბნეულობა აღებეჭდა. ახლა ის ჩერჩეტ ბავშვს უფრო ჰდავდა, ვიდრე საკომისიოს მფლობელს. ვიფიქრე, ქალი თანხის სიმცირით დავაბნიერ-მეთქი. ის ალბათ სხვა თანხას ელოდა. „რამდენი გჭირდებათ? – ჩავჩურჩულე ყურში. ხელი

ხელში გავუყარე და მივიზიდე. მჭიდრო ლიფში გამოკვალთული მისი მკერდი, ზამ-ბარასავით მოებჯინა ჩემს სხეულს.“საიდან ეს ყოველივე ჩემში? – გამიელვა ფიქრმა. – მე ხომ *cosmicus*-ი ვარ, ადამიანთა ნიღაბს დროებით ამოფარებული!“ ქალი გაიბადრა; პარფიუმერიის უცნობმა არომატმა ცხოვ-რებაში პირველად დამახვია თავბრუ. მისი პრიალა შეღებილი სახე ჩემს გამხმარ ფი-ზიონომიას თითქმის ეხებოდა. მისგან მომ-დინარე სურნელება მიტევდა და მასუ-ლელებდა. ვუკვირდებოდი, როგორ დაფიქრდა, რაღაც სიტყვებს მეჩურჩულე-ბოდა, – ეტყობა, მთავაზობდა საქონელს, რომლის ყიდვაც შეეძლო, ან სერვისს, რომელთაც ჩეკებით აანაზღაურებდა. ქა-ლი თავის ოცნებებში უბრალოდ კი არ გაიფურჩენა, არამედ კლიენტებზე, არბა-ტის გამვლელებზე, ვეება რუსეთის მო-სახლეობაზე ამაღლდა. სადღაც ღრუბ-ლებში დაფრინავდა, ცაში დანავარდობდა, ექსტაზში, ოცნებათა სამყაროში იმყოფე-ბოდა. პატრიციანელივით ჰკრავდა კამა-რას! მაგრამ მე ხომ ვიცოდი, ეს რა სამყარო იყო: კაშკაშა საგნები, უაზრო თუხთუხი,

ლხინი ჭირის უამს. ამ დროს გამახსენდა შეთანხმება საკუთარ თავთან და აღვშეფოთ-დი: „კარამანოვო, რაში გჭირდება მთელ წელიწადს თაღლითის როლის თამაში? რამდენიმე ეპიზოდიც კმარა, რომ გაიგო ადამიანთა დიდებულების მტკიცების აბ-სურდულობა. ისინი წარმოუდგენლად პრი-მიტიული არსებები არიან და სამყაროს განვითარებას აბრკოლებენ. ვასილი! მონა-ხე გზა, თავი დააღწიო ყველას ერთად! იჩქარე! უნივერსუმი გელის!“ „მე რამდენ-იმე ათას ჩეკს შევიძენდი, – რეალობაში დამაბრუნა საკომისიო მაღაზიის მფლო-ბელმა. – და თან კარგადაც ვიხდი: მანეთი და ოთხმოცი ჩეკში. „ტანკა, – მიმართა მან გამყიდველ ქალს, – მიეცი ჭაბუკს ორას სამოცდაათი მანეთი, – მერე ჩემთან შემო-დი: სად გაქვს ჩეკები? ყალბი ხომ არ არის? ახლა ის არ შემომაჩერო?“ უცებ დავიან-გარიშე: ოთხას ოცდაათი ჩემი იყო, ესეც ორას სამოცდაათს მომცემს. შვიდასი მანეთი გამოდის. ოცი მანეთი „კუკლას“ დასჭირდება, ათიც – ქერა პარიკს. ოცი მანეთით ნახმარ ქურთუკსაც შევიძენ. ექვ-სას ორმოცდაათი მრჩება. ორმოცდაათს

გადავდებ. ახლა ექვსასი გავყოთ სამად, ორასი ჩეკი იქნება. „ხვალ, – ვუთხარი, – ამავე დროს ორას ჩეკს მოვიტან.“ – „მაგრამ რატომ მხოლოდ ორასს... მე ხომ უკვე გითხარით: ათასსაც ვიყიდი-მეთქი! ათასზე მეტსაც. რასაც მოიტან, მაშინვე გაგინაღდებ! – მის სახეზე უკმაყოფილება აისახა. რა გქვია, ყმაწვილო?“... – „ალექსეი პოშიბაილოვი.“ – სახეზე ფერი არ გადევს. შემთხვევით, ხომ არ იჩხერ? თუ ჰეპატიტი გაქვს? ასეთი ფიქრიანი გამომეტყველება შენს ასაკში?.. იქნებ ავად ხარ?“ – „არა, ყველაფერი რიგზეა. სწავლა ბევრ დროს მართმევს!“ – „აბა, გელოდები! ხვალამდე. ისეთ რამეს შემოგთავაზებ, რაზეც ასე უბრალოდ უარს არ ამბობენ, – და ოცნებით აღსავსე მზერა მესროლა. ქალის ამგვარი გამოხედვა არასდროს მინახავს. ამან, სხვა მიზეზით, ძალიან დამაინტერესა. „რა აქვს მხედველობაში? – გავიფიქრე. – ჩეკებზე ოცნებობს თუ რაღაც სხვაზე? წარმოუდგენელია! ნუთუ სექსზე? ის ხომ ორმოცდაათისაც იქნება! ამის უფლებას კი არასდროს მივცემ ჩემს თავს! დაე, მათ ჰკოცნონ მისი შეღებილი ტუჩები; დაე,

**ისინი** ელაციცონ ქვაბივით მკერდს; დაე, **ისინი** მოეხვიონ მის გოდორივით წელს; დაე, **ისინი** ეფერონ ბრილინტებით დახუნდლულ მის თითებს – სოსისებს; დაე, **მათ** შეაცურონ ხელი მის შეღებილ თმაში. კარამანოვი ამ საქმისთვის არ გამოდგება, ქალბატონი!“ თავი დავუკარი, თვალები დავხარე და ძველ არბატზე გამოვედი. ალბათ უცნაური შესახედაობა მქონდა. ზოგიერთი ადამიანი ბრუნდებოდა და მიყურებდა. ჩემთვის კი სულერთი იყო შემსალაროსკენ მივიჩქაროდი, რომ კომერსანტი ქალის მიერ მოცემული ფული წითელ თუმნიანებზე გადამეხურდავებინა. ჯერ კიდევ პარიკი უნდა მეყიდა და სხვა რამეებიც მომესწრო. მეორე დღისთვის უნდა მოვმზადებულიყავი. გონებაში დღევანდელი დღე შევაჯამე: დღეს მე ბევრი, ჩემთვის აბსოლუტურად ახალი, საქმე გავაკეთე. პირველად მოვატყუე ადამიანები. მეორე: შორიდან კი არა, ახლოდან შევიცანი **ისინი**, მქონდა მათთან ურთიერთობა. მესამე: პირველად გავყიდე რაღაც. და მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომ ეს ჩემი

იყო – პირველად აღმოვჩნდი გამყიდველის როლში. მეოთხე: პირისპირ პირველად ვე-საუბრე ქალს. მეხუთე: პირველად ვიგრძე-ნი სურვილნარევი მზერა. მეექვსე: პირვე-ლად ვიცხოვრე ადამიანური ცხოვრებით ორ საათზე მეტ ხანს. მეშვიდე: უფრო მე-ტად დავრწმუნდი, რომ საკუთარ თავზე ძალდატანებით, შევძლებ შევასრულო და-სახული პროგრამა – შევცვალო დედამიწის მოსახლეობა. ასეთი რაოდენობის არა-სრულფასოვან არსებებს ხომ შეუძლიათ, გააპროტესტონ ეს! ხუმრობა ხომ არაა – ექვს-ნახევარი მილიარდი ადამიანი! მხო-ლოდ ზღვაში თევზია მათზე მეტი! იქნებ წყალქვეშ შევრეკო **ისინი?** იქ მეტი ადგი-ლია! ღმერთმა დამიფაროს! წყალს მონამ-ლავენ! ხელუხლებელ სამყაროს მოსპობენ. ამოხაპავენ ოკეანებს. დაიწყებენ პოლიტ-საგანმანათლებლო სახლების, ციხეებისა და საზღვრების შენებას. **მათი** გენური ან-სამბლი უვარვისია. **ისინი** დამოუკიდებ-ლად ხომ ვერ მიხვდებიან, რომ **მათ** პლა-ნეტაზე ყოფნის არავითარი უფლება არ გააჩნიათ! რომ დროა, სხვებს დაუთმონ ადგილი. თუ **ისინი** თვითონ არ განე-

რიდებიან აქაურობას, კარამანოვი დახმარება და თვითონ ბუნებაც განდევნის **მათ**. „ნუ ჩქარობ, ვასილი, შენ სხვა სიურპრიზებიც გელის. რაც უფრო ხშირად იტრიალებ ადამიანთა წრეში, მით უფრო მეტად შეგზიზღდება ეს ჯიში, მით უფრო გაგიმძაფრდება სურვილი, თავი დაალწიო **მათ** მეზობლობას, მით უფრო გაიგებ, რა აქვთ პუტივლელებს ისეთი, რაც არ უნდა გაჰყვეთ მომავალ ცხოვრებაში. რა უნდა მოიკვეთოს ძირშივე და რა ადამიანური თვისება შეიძლება დარჩეს მათ გენებში. რაც მთავარია, მათი ნაკლის მოსაძებნად ამდენი დროის კარგვა არ გჭირდება, ის თვითონ იჩენს თავს! შენ მათ შეამჩნევ სამყაროს აქეთ-იქით გაფანტულ ნამსხვრევებში! არ დახუჭო თვალები, ფართოდ გაახილე ისინი! მაშინ შეიტყობ მეტს, ვიდრე ახლა იცი!“ ეს აზრი ფრთებს მასხამდა, „ადამიანებში გასვლის“ იმპულსს მიძლიერებდა. ავჩქარდი. მიმეჩქარებოდა სტაროვაგანკის ჩიხში ჩადგმულ ჩემს ბუდრუგანაში. უსაზღვროდ მინდოდა, თავი ალექსეი პოშიბაილოვად კი არა, კვლავ სისხლითა და ხორცით პუტივლელად,

ვასილი კარამანოვად, მეგრძნო. ტანსაცმელი გამოვიცვალე, ისევ მეეზოვის, ოღონდ თავგადაპარსულის, სახე მივიღე, გამოვედი ეზოში და დაგვა დავიწყე. იმ მომენტში არ მესმოდა, რომ ეზო სუფთა და ნაგავიც გატანილი იყო. ხოლოდ მოგვიანებით, როცა ჩემთვის განსაკუთრებული დღის ყოველი წვრილმანი აღვიდგინე, მივხვდი, რომ ეზოს დაგვა კი არა, საკუთარი თავის განწმენდა, მოგონებებისგან გათავისუფლება მსურდა. ამას მოითხოვდა ჩემი გენური ბუნება, მაგრამ გონება – *cosmicus*-ის ინტელექტი – მეწინააღმდეგებოდა. ის გასული დღის თითოეულ წვრილმანს აგროვებდა და ხსოვნის სპეციალურად განკუთვნილ თაროზე ინახავდა. ვიგრძენი, ძილი მეძალებოდა, ძლივს მივჩანჩალდი საპარიკმახეროში, ვიყიდე ქერა პარიკი, შემდეგ გვერდით მაღაზიაში ქურთუკიც შევიძინე, ლასლასით მივაღწიე ჩემს ბუდრუგანამდე და საწოლზე გავიშოტე. მეორე დღეს შუადღისას კვლავ ალექსეი პოშიბაილოვად მოვიკაზმე და გენერალური შტაბის მესამე სადარბზოსკენ გავწიე. ქერა პოშიბაილოვი მზად იყო კრიმინალური მანიპულაციების-

თვის. ამჯერად ჩვეულებრივი, გუშინდელ-ის მსგავსი არიფის პოვნა კი არა, ოფიცერ-თა შორის ყველაზე ამაყის, ყველაზე ჭკვიანის, ყველაზე ხარბის პოვნა მინდო-და. არა მაიორი, არამედ პოლკოვნიკი, ან გენერალი უნდა ყოფილიყო! ვოცნებობდი, ჩემი მაცდური წინადადების მიმართ წი-ნააღმდეგობა მეგრძნო. მსურდა, მას გაკ-ვირვებით ეკითხა: „რატომ გინდათ სამჯერ მეტი გადაიხადოთ? გაქვთ თუ არა ფსიქი-ატრის ცნობა? ავადმყოფი ადამიანის გა-სულელება სულაც არ მინდა! ჩეკის ფასი ერთი ერთზეა. თავს არ მივცემ უფლებას, ზედმეტად გავყიდო. არსებული კურსით კი – არ მსურს!“ აი, რაზე ვოცნებობდი ნაცნობ ადგილთან მიახლოებისას. აქ ისევ ბრბო შეყრილიყო, მათ შორის უმეტესობა სამხრეებიანი მამაკაცები, მაიორები და პოდპოლკოვნიკები, გახლდნენ. ორი-სამი ქალიც შევნიშნე საზღვაო ფლოტის მუნ-დირში. უცებ პოლკოვნიკიც გამოჩნდა. სადარბაზოდან აუჩქარებლად გამოვიდა. საშუალოზე დაბალი ტანის იყო. ოდნავ ჩა-სუქებული. ამობრუნებული სქელი ტუჩები ჰქონდა, თითქოს პირიდან გადმოვარ-

დნოდა. მძიმედ სუნთქავდა. მომეჩვენა, რომ მისი ფილტვების სტვენა მესმოდა. პოლკოვნიკმა კიბე ჩამოათავა და შეჩერდა. თვალმოჭუტულმა მიმოიხედა. ცხვირი პირდაპირ ასფალტზე მოიხოცა. თითები შარვალზე შეიწმინდა. მისალმებისას არავის პასუხობდა. გარშემო მყოფებს აშკარად აჩვენებდა, თითქოს ჩაფიქრებულიყო, აზროვნებდა! სიგარეტს მოუკიდა, ჩამქრალი ასანთით კბილები მოიჩიჩქნა, ოდნავ გაღეჭა, ფეხებთან მოისროლა და მეტროსადგურ „არბატსკაიასკენ“ გასწია. მიდიოდა ნელი ნაბიჯით, ღიპზე კიტელი შემოტმასნოდა. „აბა, ვასილი, – ვუთხარი ჩემს თავს, – ბუნების კიდევ ერთ გვირგვინს შევხედოთ?“ და თან გავყევი. როგორც კი გავუსწორდი, ვუთხარი: „ბიძია, ჩეკში სამ მანეთს ვიხდი. ორასი ჩეკი მჭირდება, საცოლეს საქორნინო კაბა რომ ვუყიდო. მელიოშა პოშიბაილოვი ვარ ტვერიდან“. – „აქ საიდან გაჩნდი, რატომლაც ადრე არ მინახიხარ. ამბობ, ტვერიდან ვარო? – შემომხედა და შეჩერდა. – ტვერელო ეშმაკუნა, არ იცი, რომ ახლა ჩეკი ოთხი მანეთი ლირს? ა? გინდა პოლკოვნიკი გააცურო?“

იყიდი სამად და გაყიდი ოთხად. მე კი ბრიყვს დამიძახებ? სად მსახურობდი?“ – „სტუდენტი ვარ, გადავადება მაქვს.“ – „უფროსი თაობა მსახურობს, უმცროსი კი ჩეკებს ყიდულობს! კაპიტალს იკრებს! არა, სამად ვერ მოგცემ. ოთხი მომეცი და მოვათავოთ! ეს ფული წყეულ იემენში გამოვიმუშავე. სამხედრო მრჩევლად ვმუშაობდი, იატაკქვეშა არმიას ვქმნიდი. თვით გენერალი აპმედ სალამ საიდი ჩემი მოწაფე იყო! მე ვასწავლე მას ბომბების სროლა. შენ გგონია, ასე იოლია ისლამბული სადათის აყვანა?“ „ნეტა, რატომ მიყვება სამხედრო საიდუმლოს? ეს სულაც არ მაღლვებს! მე მისი სიხარბე მაინტერესებს,“ – გამიელვა თავში. – „ამხანაგო პოლკოვნიკო, – შევაწყვეტინე მე, – „ბერიოზკაში“ საქორნილო კაბა ორასი ჩეკი ღირს. ორასი ჩეკი მჭირდება. ხელზე კი მხოლოდ ექვსასი მანეთი მაქვს.“ – „სამად არაფრით არ მოგცემ! შენი ქორნილი მე არ მეკითხება, – ძმისწულს დაბადების დღეს „შარპის“ ყიდვაზე ვუთხარი უარი! შენ კი, ტვერელო, რას წარმოადგენ ჩემთვის? ან ოთხი გადაიხადე, ან გაეთრიე აქედან“. პოლკოვნიკ-

მა ისევ ასფალტზე მოიხოცა ცხვირი; მისი ლორნო პირდაპირ ჩემს ფეხსაცმელს დაე-ცა, მაგრამ მან ეს თითქოს ვერც შენიშნა. „კარგი, – ვუთხარი მე, – ექვსას ლარად მხოლოდ ას ორმოცდაათ ჩეკს ვიყიდი თქვენგან. ქუჩაში გავსწორდეთ?“ – და ფულის ამოღებას შევეცადე. „პროვოკა-ტორი ხომ არ ხარ, სულელო პოშიბაილო-ვო? შეინახე! გვარიც რა საძაგელი გაქვს. რიგითო პოშიბაილოვო! ფუი! ჩემთან პოლკში მოხვდები და ამ სიბრიყვეს წამში ამოვბერტყავ შენი თავიდან. ქუჩაში ვინ ვაჭრობს? სადარბაზო მოძებნე სადმე“. „აქ სად იქნება სადარბაზო? – გავიფიქრე მე. – მარცხნივ შევუხვიოთ, სასურსათო მაღა-ზიასთან, რაღაცას აუცილებლად ვიპო-ვით“. სადარბაზო ჩაბნელებული, ჩაბინ-ძურებული აღმოჩნდა, შარდის სუნით ყარდა, კედლები დაობებული იყო. ფული პაკეტით წიგნზე მოვათავსე, ქვემოდან კი „კუკლა“ ამოვუდე. „აიღეთ ფული, დათვა-ლეთ,“ – შევთავაზე მე. პოლკოვნიკს ისტე-რიის შეტევა დაეწყო. ორმაგი სიხარბით ჩამაცერდა სახეში. მერე უცებ საკუთარ თავს მოურიდებლად დაუწყო ლაპარაკი.

ო, ეს წარმოუდგენელი, გაუთავებელი სიტყვათა ნაკადი! სახე გაქვავებოდა, ხმა უკანკალებდა. მხოლოდ ხანდახან ხელით იწმენდდა თვალზე მომდგარ ცრემლს. ასეთი რამ არასოდეს მინახავს: ცრემლიანი გაქვავებული სახე. „ესე იგი, მე ექვს-ნახევარი ათასი ჩეკი მაქვს. ოთხზე რომ გავამრავლოთ, ოცდაექვსი ათასი მანეთი იქნება. ამ ფულით შევიძენ კოოპერატიულ ბინას, რომელსაც ორმაგად გავყიდი; მანქანით, რომელსაც აისტოვს დავუთმობ, კიდევ სამ ათასს გამოვიმუშავებ; ხალიჩები შვიდ ათასს მაინც მომიტანენ; ქემალის ხმალში საკომისიო მაღაზიაც სამ ათასს გადამიხდის; აბდულ ქარიმის დასურათებულ მეთვრამეტე საუკუნის ყურანში მუსულმანებიც სამ ათასს დადებენ; საფოსტო მარკებისთვის სპეცულიანტებიც ათასს ჩამოვლენ; სამი ათასიც შეიძლება ქვაში გამოკვეთილ აქლემებში ავილო; ნასერის წერილისთვის ბუკინისტები ათას-ნახევარს მაინც გადამიხდიან; დაუმუშავებელი საფირონებისთვის ასევე ორი ათასი მერგება; ფირმა „რადოს“ ნაყალბევი საათისთვისაც – ათასი; ნახევარი ტონა

შაფრანისთვის ნებისმიერი უზბეკი ან აზერბაიჯანელი ორი ათასს ჩამითვლის; ჩამოწერილი აირწინალებისთვის თავისუფლად ჩამოვლენ ოთხი ათასსაც. მერე ამ ფულს ჩავაწყობ ჩემოდანში და ვიეტნამში წავიღებ. იქ ამ თანხით ყავის პლანტაციის ყიდვა შეიძლება. ან უნგრეთში შევიძენ ვაშლის ბალებს... ეს დიდ მოგებას მომიტანს...“ – “მაპატიეთ, პოლკოვნიკო, დათვლით თუ არა ფულს?“ – შევაწყვეტინე მე. უფრო ადრე არ მინდოდა მისი შეჩერება: მეტად დამაინტერესა მისი აზრის მდინარებამ. მაგრამ ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა, აღარ მინდოდა ქონების დაგროვების გენის ხაზგასმა, არც ჰქონდა ამას აზრი. აი, ადამიანთა მტერი – მოთხოვნილებისა და მოპოვების გენი. ის სრულიად ნთქავს ცნობიერებას და იმორჩილებს კრომანიონელთა ისედაც მოკრძალებულ ინტელექტს. ნუთუ თვითონ **მათ** არ შეუძლიათ გაამახვილონ ყურადღება მის დამანგრეველ ეფექტზე? გონიერებაზე ხომ დიდი პრეტენზია აქვთ! ეშმაკსაც წაულია **ისინი!** „დათვალეთ ფული, ამხანაგო პოლკოვნიკო!“ – გავიმე-

ორე მე. ოფიცერმა კვლავ ცხვირი მოიხოცა, მერე სახელოთი მოიწმინდა, შარვლის ჯიბეს დაუსვა, გამოაჩინა პოლიეთილენის პაკეტიდან კუპიურები და დაიწყო თვლა. ის ნელა, უნდილად აწყობდა ფულს, ეშლებოდა და თავიდან იწყებდა თვლას. მე მის წინ წიგნი მეჭირა რომელზეც დათვლილ ფულს – ხან ათ-ათ ასიგნაციას, ხან ოცოცს ერთად აწყობდა. თუმნიანების ხელის შევლებისას, როგორც ჩანს, რაღაც მუსიკა ჩაესმოდა, რადგან თითოეული კუპიურა მარჯვენა ყურთან მიჰქონდა, ხუჭავდა თვალებს, მისი მსხვილი თავი გაურკვეველ რიტმში თრთოდა, ხოლო მსხვილი, პირიდან ამოცვენილი ტუჩები, არ ვიცი – ჩურჩულებდნენ, არ ვიცი – ღიღინებდნენ. როგორც იქნა, ანგარიში დაასრულა და მძიმედ ამოიოხრა. რაღაც დროით ფული წიგნზე რჩებოდა. მარჯვენა ხელით ფულიანი პაკეტი ავიღე, მარცხენით – წიგნი „კუკლათი“ მარჯვენა ხელის ქვეშ მოვათავსე და დათვლილი კუპიურები მის თვალწინ გამჭვირვალე პაკეტში ჩავდე. „სწორია, სწორი, – ჩურჩულებდა ოფიცერი, – ფულს წესრიგი უყვარს“. – „თქვენი ჩეკები სად არის?“

— ვკითხე მე. მან ჯერ კიტელი გაიხსნა, მერე პერანგი და მაისურზე დაკერებული ჯიბე შევნიშნე. — „ბანაკური ფანდია, — გამიელვა თავში. ჯიბის ქურდების თუ ეშინია? ან თითოეულ ადამიანს უფრთხის.“ თავისი საიდუმლო ჯიბიდან ჩეკების დასტა ამოილო, სამჯერ ორმოცდაათი გადათვალა, ტუჩი კბილით მოიკვნიტა, როცა დანარჩენს იმპროვიზირებულ სამალავში ინახავდა, პერანგი შეიკრა და მომმართა: „ახლა კი, პოშიბაილოვო, გავცვალოთ. მე შენ ჩეკს მოგცემ, შენ კი ფული დადე.“ — „ესეც ასე, აიღეთ შეკვრა! ის თქვენია, გელოდებათ!“ — განვაცხადე მე. წიგნზე უკვე „კუკლა“ იდო. პოლკოვნიკმა პაკეტი აიღო, დაფიქრდა და ჩეკები გადმომცა, ისევ გაიხსნა კიტელი, პერანგი და ცელოფანის პაკეტი დაკერებულ ჯიბეში მოათავსა. „შენ, პოშიბაილოვო, ჩაიწერე ჩემი ტელეფონი. კურსით — ერთი ოთხთან — ყოველთვის მზად ვარ გავყიდო ჩეკი. გაქვს კალამი?“ — „დიდი მადლობა, მე მეტი არ მჭირდება. მხოლოდ საქორნინო კაბის ყიდვა მინდა. „ბერიოზკაში“ კაბას ას ორმოცდაათადაც იყიდი. მართალია, მოკლე

სახელოებით, მაგრამ...“ – „მართალია, ახალგაზრდობიდანვე უნდა დაუმოკლო საცოლეს ხელები. რაც უფრო მოკლე ხელები აქვს ცოლს, მით მეტი უფლება გააჩნია ქმარს. გაიგე?“ ბოლოსდაბოლოს, სადარბაზოდან გამოვედით და რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ გამოვეთხოვეთ ერთ-მანეთს. მცირე მანძილი რომ გაიარა, ისევ მოიხოცა ცხვირი. მომეჩვენა, მისი ლორწო შუბლში მომხვდა! ცხვირსახოცი ამოვილე და სახე მოვიწმინდე. მართალი გითხრათ, მაშინ ვერც გავიგე, ეს ილუზია იყო, თუ მართლაც შუბლში მომხვდა პოლკოვნიკის მონახოცი. ამ ტიპთან ურთიერთობის შემდეგ გულმა ისევ ეზოს დასუფთავებისაკენ გამინია, მაგრამ ვალდებულება მქონდა დაკისრებული: გავქანდი საკომისიოსკენ, თან მთელ ქვეყანას ვწყევლიდი, რომ მაინც და მაინც ამ სამყაროში დავიბადე. „ჰო, გავები, რა! რაღა ამ ზიზღის მომგვრელ ეპოქაში გავჩნდი“ – ტვინს მიბურღავდა მწარე აზრი. ამ დროს შევედი უცნობ სადარბაზოში პარიკი რომ შემეცვალა. დღევანდელი ქერადან გუშინდელ წაბლის-ფერთმიანად გადავკეთდი და თამამად

შევაბიჯე მაღაზიაში. გამყიდველმა შემომხედა თუ არა, თავის დაკვრით მიმანიშნა, რომ უკან გავყოლოდი. უფროსის კაბინეტამდე მომყვა და მაშინვე მიმატოვა. დორექტორის ოთახი ათ მეტრზე მეტი არ იქნებოდა. მიმოვიხედე: მაგიდაზე ქალალდები ეყარა, თაროები ათასნაირი სისულელით იყო სავსე, კედლებზე სოფლის ყოფის ამსახველი ჩაშავებული სურათები ეკიდა, არცთუ სუფთა მუყაოს ყუთები კუთხეში იყო მიწყობილი, რაც ოთახში არეულობის ეფექტს ქმნიდა. „გეთქვათ ჩემთვის და წამსვე დაგილაგებდით ყველაფერს. თავისუფლად მაინც ვისუნთქებდით, – გავიფიქრე და პოლკოვნიკის ცხვირის ხოცვა გამახსენდა, სახე ზიზღით მომექცა: „ფუი!“ – „ა-ა, ეს შენ ხარ, ალიოშენკა! მიხარია შენი ნახვა! მოიტანე, რასაც შემპირდი?“ ჭალარა ქალი მაგიდასთან იჯდა და ხელი ღაწვთან მიებჯინა, მისი მკერდი ისე იდო მაგიდაზე, როგორც ბამბაზიის ქსოვილის ხვეულა. „ას ორმოცდაათი ჩეკი მაქვს თქვენთვის“. მასთან დისკუსიის გაგრძელების არავითარი სურვილი არ მქონდა. „რას ამბობ, მეგობარო, რა ას ორმოც-

დაათობით მოგაქვს? რა ლიმიტი გაქვს? არ მენდობი? მე, ნინა სერგეევნას? მთელი არბატი იცნობს და პატივს სცემს ლეპიოშვინას! ხომ არ გაგაბრიყვებ?! რა არის ჩემთვის ორას სამოცდაათი მანეთი? – არაფერი!“ აქ მე სულ სხვა რამეზე დავ-ფიქრდი: „რა მოხდება, ეს ქალი რომ წამო-ვიკიდო, ვაიძულო, გაამჟღავნოს თავისი ინსტიქტები? ვაიძულო, გამოხატოს გრძნობები, დავინახო მისი გენების გან-წყობა? მე ხომ ქალებს სრულიად არ ვიც-ნობ!..“ „ძვირფასო ნინა სერგეევნა, დღეს გუშინდელზე ძვირია ჩეკები. თქვენ შეგი-ძლიათ არ გამომართვათ. სხვა მყიდველებს ვიპოვი“. – „შენ ხომ მანეთად და ოთხმო-ცად შემპირდი! – შეჰყვირა მან და სკამი-დან წამოხტა. – ეს კომერსანტების ეთიკას არღვევს. მე ვაწყობ გეგმებს, „ბერიოზკა-ში“ საქონელს ვუკვეთავ, შენ კი წინასწარი შეთანხმების გარეშე სწევ ფასს. რას ჰგავს ეს?“ – „ახალი ფასი გაინტერესებთ?“ – მშვიდად ვკითხე მე. „არა! გაგონებაც არ მინდა!“ – „მაშინ მე წავალ.“ – „მიდი! და შენი ფეხი არ ვნახო აქ!“ თავი დავუკარი და წასასვლელად შევტრიალდი, რომ მან

შეჰყვირა: „არა, შეჩერდი! მითხარი შენი ფასი!“ – „გარემოებამ მაიძულა, ორი პროცენტით გამეზარდა ფასი, – კვლავ მშვიდად ვუპასუხე. – და არავითარი ბოროტი განზრახვა არ მქონია. ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობები განვითარდა, ხოლო გაცვლითი კურსი საბაზრო ინსტრუმენტია. ის შეიძლება დღეში რამდენჯერმე შეიცვალოს – ხან ზევით იწევს, ხან ქვემოთ მიექანება! აბა, წავედი...“ – „შეჩერდი, ალიოშა! რამდენია ეს ორი პროცენტი? დამაცადე, დავითვლი!“ – დაიბნა ნინა სერგეევნა. „არ შეწუხდეთ, მე უკვე დავთვალე. საერთო ლირებულება ხუთი მანეთითა და ორმოცი კაპიკით აიწევს.“ მე ვაჭრებს არ ვიცნობ, მაგრამ არ მეგონა, თუ კურსის მიზერული მატება ასეთ რეაქციას გამოიწვევდა. „ნახვამდის“ – „დაიცადე, პარაზიტო! ნუ მაწვალებ! მართალია, შემეშალა. მე ხომ ქალი ვარ! აი, აიღე ორას ოთხმოცი მანეთი!“ – ტონი შეარბილა მან. „რა, ოთხსა და სამოცს ჩაისთვის იტოვებთ?“ – ჩავიცინე მე. „თავში ნუ აგივარდება! დათვალე, როგორც გინდა. მომეცი ჩეკები!“ – შემევედრა ლეპიოშკინა. მე სამი და ორმოცდაა-

თი გავუწოდე, მაგრამ წასვლას არ ვჩეკარობდი. „მერე რა იქნება?“ – არ ვმშვიდდებოდი მე. ძალიან მჭირდება ამ ჯიშის შეცნობა. „გამოუცდელი ახალგაზრდა გავითამაშე: ჯიბიდან წვრილი ფული ამოვკრიფე და მონეტებს თვლა დავუწყე, მაგრამ ნინა სერგეევნამ ხურდა მოხვეტა და შარვლის ჯიბეში ჩამიყარა. მუჭა გახსნა, გუშინდელის მსგავსი სურვილის თვალით შემომხედა, წაავლო ხელი სხეულის მამაკაცურ ნაწილს, დაუინებით და გამალებით დაუწყო სრესა. მამაკაცურმა ნაწილმა ფორმა იცვალა და გამაგრდა. ლეპიოშკინამ თავისუფალი ხელით სინათლე გამორთო, ფეხით კარი მიაჯახუნა, ყურზე მაკოცა და ჩამჩურჩულა: „იმპორტული წინდები მოგიმზადე საჩუქრად. შავია და გვერდზე შვედური გვირგვინი აქვს. მოგეწონება. ჩქარა გაიხადე, აქვე სკამზე ვისიყვარულოთ! – მისი ხმა თრთოდა, აჩქარებულად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სუნთქავდა. ყველაფერი გაიხადე, ლიოშკა! ჩემი ჯიბიდან ხელი ამოიღო და თვითონაც გახდა დაიწყო. – ოჟ, მაგარი წინდები გექნება! იტალიიდან ჩამომიტანეს. მაისურიც გაიხა-

დე, ჩქარა! ის ისევ ჩააფრინდა ჩემი სხეულის ინტიმურ ნაწილს. საკომისიოს დირექტორის კაბინეტში ამ ფართიფურთს რომ ვუყურებდი, სიმწრით გავიფიქრე: „ვის ჩამოაცვეს თავზე ბუნების გვირგვინი? როგორც ჩანს, ვიღაც მაამებელმა რედაქტორმა ხაზი არ გაუსვა იმას, რომ ეს გვირგვინი თიხისაა! და არც გვირგვინია, უბრალო – ქოთანია! დიახ, თიხის ქოთანი!“ მოვიცილე ქალბატონი ლეპიოშვინას აკანკალებული ხელი, მშვიდად შევძახე: „დროებით, გვირგვინოსნებო, დროებით, გონიერნო!“ – და გარეთ გამოვედი. იმდენად ერთგული ვიყავი ჩემი მრნამსისა, რომ ვერ დამიმორჩილებდა ვერავითარი ადამიანური ეშმაკობა, ვერავითარი საცთური. ძველ არბატზე ადამიანები ირეოდნენ. ლუდს ბოთლიდან სვამდნენ, გიტარას აულრიალებდნენ, მლეროდნენ, ჩხუბობდნენ, საათის თამაშისას მამაძალლობდნენ, ერთმანეთს კოცნიდნენ, ეცნობოდნენ, ათვალიერებდნენ. რუსეთის დედაქალაქში დღე ჩვეულებრივად მიედინებოდა. არბატზე დუნედ მივაბიჯებდი და სევდა მძირავდა: რისთვის მოვხვდი ამ სამყაროში?

დაუპატიუებელი სტუმარი. ეული. მეეზოვე. ვის რაში ვჭირდები ჩემი იდეით – როგორმე სწრაფად გავაქრო **ისინი?** ვუთვალთვალო **მათ** უბადრუკობას, ხსოვნის რვეულში ჩავინიშნო **მათი** ნაკლოვანებანი... დაე, თვითონ დამოუკიდებლად ამოწყდნენ. ნეანდერტალელებს ხომ არავინ აჩქარებდა! ხომ არავის გაუხვეტავს **ისინი** ცოცხით! მაგრამ აქნებ მართლაც ვინმე იყო ასეთი? იქნებ რაღაც ძალები მართავდა მათი დასასრულის მოახლოებას? ისინი ხომ საეჭვოდ გადასახლდნენ ისტორიის ფურცლებზე. დაუჯერებლად უთქმელად დატოვეს თავისი საცხოვრისი და თან სამუდამოდ. კრომანიონელებსაც ბიძგი სჭირდებათ – სუსტი, უხილავი, უხმაურო. აქ ისევ წარმოვიდგინე, რომ მე, მართლაც, უნიკალური ქმნილება ვარ. როგორც კოპერნიკმა აღმოაჩინა პლანეტების მოძრაობის სიჩქარე და მისი დამოკიდებულება მზის სიშორესთან, ისევე მეც უნდა გამოვთვალო თითოეული სახეობის მოძრაობის სიჩქარე **მათი** გენეტიკური ანსამბლის მუტაციის სიჩქარესთან მიმართებაში. ეს ნიშნავს, რომ, როცა მუ-

ტაციის სიჩქარე ცნობილი იქნება ჩემთვის, მაშინ ნამდვილად დაიძვრება ბორბალი! მთელი ძალით! და ადამიანთა ბრბო თავი-სი ფინიშისკენ გაქანდება ისეთივე მხიარუ-ლი და ბედნიერი სახეებით, როგორსაც მე ახლა ძველ არბატზე ვხედავ ლუდის კათ-ხით, ან ბოთლით ხელში, სიმღერით ბა-გეზე, მხარზე გადაკიდებული გიტარით, მოდური სამოსით, მდიდრული მანქანებით. ოჟ, **მათ** რომ იცოდნენ ჩემი განზრახვების შესახებ! **მათ** რომ მოასმენინათ ჩემი აზრე-ბი, ალბათ ნაკუნწებად დამგლეჯდნენ. ან თვითონვე დამეხმარებოდნენ ამ წამოწყე-ბაში? იქნებ **მათაც** ყველაფერი მობეზრ-დათ და თვითონაც სურთ სამყაროდან გასვლა? **მათი** უმეტესობის ცხოვრება ხომ უბედურებით არის დაღდასმული. შობა-დობა მცირდება, ერთსქესიან ურთიერთო-ბათა რიცხვი კი მატულობს. პო, თუ ზოგი-ერთ ქვეყანაში ეს პროცესი დაუძლეველია, სხვებში სულ სხვა ტენდენციაა: პოპულა-ცია პერმანენტულად ვითარდება. ირგვლივ სუმბურია! უცნობ მოდგმასთან ბრძოლა ჩემთვის ლირსების საქმედ იქცა. მაგრამ ამას იქნებ ერთი ცხოვრებაც არ ეყოს. მე

მომიხდება წავიკითხო სახელმწიფო ბიბლიოთეკის თითქმის ყველა ფოლიანტი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. თავი დამძიმებული მქონდა ფიქრებით. მტრული მიზანსწრაფულობა კვებავდა ჩემს იდეას. მივლასლასებდი ქუჩაზე და გამვლელთა ბრბოს არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი. ადამიანთა ყოფა ჩემში ანტერესს არ იწვევდა. **მათაც** ზუსტად ასეთი ნეგატიური განწყობა ჰქონდათ ჩემი პერსონისადმი. შეეძლოთ კი **მათ** პატივი ეცათ ჩემთვის? – ჩემთვის, ქუჩების დამსუფთავებლისთვის, არსებისთვის, რომელიც არაფერზე იყო დამოკიდებული, რომელსაც გამუდმებული კონფლიქტი ჰქონდა საკუთარ თავთან, **მათ** ყოფიერებასთან, რომელიც არ აღიარებდა მოდას, თავყრილობებს, კულტურას და ფულს? გული მერეოდა მათ იდეალებზე: რელიგიაზე, სახელმწიფოზე, იდეოლოგიაზე, ჩინ-მედლებზე, ბიუროკრატიულ იერარქიაზე – ყველაფერი ეს ჩემთვის უაზრობა გახლდათ. მუზეუმის არც ერთ თანამშრომელს ჩემთან ურთიერთობა არ ჰქონდა, თორემ... ალბათ გამნარდებოდა! გადაირეოდა უბე-

დურებისგან! პუტივლელს კი გაუხარდებოდა! ვისგან მერგო მემკვიდრეობით ეს უცნაურობანი?! რესტორან „პრაღას“ მივუახლოვდი, მარცხნივ შევუხვიე და ასიოდე ნაბიჯის შემდეგ მაღაზია „ყველთან“ აღმოვჩნდი, გადავჭერი წრიული ბულვარი, ჩავირბინე ზნამენკაზე, პაშკოვის სახლთან, რომელიც ხარაჩოებში ჩაესვათ. რატომ-ლაც მოულოდნელად შევჩერდი, თავი გავიქნიე, თითქოს რაღაცას ვიხსენებდი, ან იმ ადგილს ვეძებდი, სადაც პუტივლელებს უნდა შევხვედროდი. რა თქმა უნდა, მსგავსი არავინ მინახავს, ჩავიცინე და სტაროვაგანკის ჩიხისკენ წავედი. ჩემი ბუდრუგანა ოციოდე ნაბიჯზე იყო აქედან. ნაბიჯს ავუჩქარე. ძალიან მინდოდა, მომეგლიჯა პარიკი, გამეხადა პოშიბაილოვის ტანსაცმელი და ისევ *cosmicus*-ი გავმხდარიყავი. სიმარტოვისკენ გაუნელებელმა სწრაფვამ მომიცვა. ანთებით შეპყრობილ გონებას მოგონებები აღელვებდა და სასურველ სიმშვიდეს მიკარგავდა. „როცა ადამიანთა ამხელა თავყრილობას ვხედავდი, ყოველთვის მიმძაფრდებოდა ობლობის შეგრძნება – გავიფიქრე მე. – რაც უფრო მეტი ადა-

მიანი იყო ჩემს გარშემო, თავის დაღწევის უფრო დიდი სურვილი მეუფლებოდა. ეს კი – თავის მხრივ, სრულიად მანგრევდა, თავს მატკიებდა, თვალს მიჭრელებდა, ყურში გუგუგნს მიძლიერებდა და სურვილი მიჩნდებოდა, რომ სოროში ჩავმძვრალიყავი, დავნთქმულიყავი. რომ მხოლოდ მარტო კი არ დავრჩენილიყავი, არამედ არავინ დამენახა, არაფერი გამეგონა.“ საკუთარი ურყევობით გათამამებულმა მივაღწიე ბუდრუგანამდე, დავენარცხე საწოლზე და ოცნება განვაგრძე. როგორც ჩანს, სიზმარში ვოცნებობდი. თუმცა ამაში არ ვარ დარწმუნებული: იქნებ ყველაფერი ცხადში ხდებოდა? მე ქუჩებს ვგვიდი, მაგრამ აი, საოცრება! – ისინი შემოდგომის ყვითელი ფოთლებით კი არა, კუპიურებით იყო მოფენილი. ნაირნაირი ასიგნაციები ერთ მსხვილ ფენად იდო დაკარიელებულ ქუჩებზე. მსუბუქი თბილი ნიავი მათ ისე მიერეკებოდა, თითქოს ვიღაც ძაფებით ექაჩებაო და ისინიც შრიალით მოცურავდნენ სტაროვაგანვის ჩიხისკენ. ამ რაოდენობის ფულისგან ქუჩების გაწმენდის არავითარი შესაძლებლობა არ არსებობდა.

განა ერთ აქანდაზზე რა უნდა დატეულიყო? თავდაპირველად მუზეუმის კუთვნილი მტვერსასრუტის გამოყენება მინდოდა. მაგრამ მაშინვე უარვყავი ეს სულელური აზრი. რა უნდა მექნა ამდენი ფულისთვის, სად უნდა წამელო? ჩემს განკარგულებაში მხოლოდ სამი სანაგვე ურნა გახლდათ. იქ კი რა დაეტეოდა? ხუთასი აღება თითოეულში! მე კი ორმოცდაათი ათასზე მეტი აღება აქანდაზი, ან უფრო მეტიც, დამჭირდებოდა. ამდენ ნარჩენს რა გამატანინებდა აქედან? დაუყოვნებლივ ამოსახსნელმა ამოცანამ უცებ მაპოვნინა გადაწყვეტილება: კუპიურები უნდა დაიწვას. უნდა გავაჩალო კოცონი და ბლუ-ჯა-ბლუჯა დავაყარო ზედ ასიგნაციები. ამ ქაღალდის ნაგვისაგან გათავისუფლების სხვა ვარიანტი არ არსებობდა. ვგრძნობდი, რომ სასწრაფოდ უნდა გამენადგურებინა ადამიანური მოთხოვნილების დაკმაყოფილების ეს ინსტრუმენტი! **მათი** მთავარი უბედურება მოთხოვნილებებია! მუდმივად მზარდი მოთხოვნილება, ფლობდნენ ამა თუ იმ ფასეულობას. მომაკვდავი სამყაროს არაფრის მომცემი მიღრეკილება – მოიპო-

ვოს უზრუნველი ცხოვრება. **მათი** ეს მანი-აკალური თვისება მაშმაგებდა. აღშფო-თებულმა, სტაროვაგანკის ჩიხისა და ვოზდვიუქენსკის გადაკვეთაზე გავაჩალე კოცონი, რომელშიც ბლუჯა-ბლუჯად ვყრიდი ფულის ნიშნებს. ცეცხლი თანდა-თან აგიზგიზდა და უკვე ჩემს სიმაღლეს აღწევდა. მთლად გავოფლიანდი, ცეცხლის სიახლოვემ უზღვავი ენერგია შემმატა. ერთი კოცონი ვერაფრით აუგიდოდა საქმეს. მეჩვენებოდა, რომ ფული მიწიდან გეიზერივით ფეთქავდა. ამიტომ მეორე, მესამე, მეხუთე კოცონის გაჩაღებაც მო-მიხდა. მთელი კუთხე ალმა მოიცვა. ცეც-ხლი ჯერ ასიგნაციებს და მერე მთელ გამ-ზირს მოედო. უკვე მთელი კვარტალი გაეხვა ალში; მისმა ენებმა სახლების სა-ძირკვლების ლოკვა დაიწყო. მაღალი ტემ-პერატურისგან ფანჯრის მინები სკდებო-და, კართა ჩარჩოები ჭრიჭინებდა, ცეცხლი კი სახლების პირველ სართულებს ედებო-და და ზემოთ მიიწევდა. მომეჩვენა, რომ თვითონაც ჩირალდნად ვიქეცი. ცეცხლით გარემოცული არავითარ შიშს არ განვიც-

დიდი, უფრო მეტი, კომფორტულადაც კი ვგრძნობდი თავს. მეჩვენებოდა, თითქოს თვით ბუნებამ დამაჯილდოვა რაღაც ზეა-დამიანური ნიჭით და მომათავსა სხვა – უხილავ – განზომილებაში. ისიც კი ვი-ფიქრე: ეს პუტივლელების სამყარო ხომ არ არის-მეთქი? ამ აზრმა ჭეშმარიტი შვე-ბა მომანიჭა. უცებ ხსოვნაში შემორჩენილი რაღაც ხმები შემომესმა. არა, ეს ლაპარაკი არ იყო. ჯერ კვნესა გავიგონე, რომელიც სწრაფად გადაიზარდა მოთქმაში. ადამი-ანები გამაოგნებელი ღრიალით გაურბოდ-ნენ ცეცხლს. წამიერად გავიფიქრე: სად უნდა დაემალო ამას? გარშემო ცეცხლის კედელია აღმართული! სიცოცხლის შენარ-ჩუნების არავითარი შანსი არ არსებობს!“ ამ დროს შევამჩნიე, რომ მხოლოდ ხმები კი არა, ადამიანთა სახეებიც მეცნობოდა. შევნიშნე პანტიუხოვი, პოდობედი, შტუჩი-ნი, სემიხატოვი, მისი ცოლი, პოლკოვნიკი და მაიორი გენერალური შტაბიდან, ლეპი-ოშკინა, მისი გმყიდველი საკომისიოდან და სხვებიც, ვისაც შევხვედრივარ. ისინი ცეცხლს კი არ გაურბოდნენ, მოჰქმედნენ ალისგან აღმართულ კედელში – რაღაც

ჩანთებით, ხვეულებით, სხვადასხვა საგნებით და გაუგებარ სიტყვებს აფრქვევდნენ. ერთი წარმოუდგენელი ძალისხმევით მიათრევდა სამზარეულო ნივთებით დატვირთულ ემალირებულ აბაზანას; მეორე მიაგორებდა პიანინოს; სამძიმისაგან წელმოწყვეტილნი მიათრევდნენ ტანსაცმლიან საკიდებს, მიარბენინებდნენ ჩემოდნებს, მიაქანებდნენ საბავშვო ეტლებს, რომლებიც პირთამდე აევსოთ შანდლებით, ბრინჯაოს ფიგურებით, ხატებით, ჭაღებითა და სხვა ნაყარნუყარით. ყველაზე მეტად იმან გამაოგნა, რომ რის გატანასაც ისინი აპირებდნენ, უკვე ცაცხლის ალში იყო გახვეული. ამაოების ცეცხლი ეკიდა ყოველივეს. ისინი თვითონაც ინვოდნენ, როგორც უზარმაზარი, ცეცხლწაკიდებული ასანთები. ყველაზე უცნაური მაინც ის გახლდათ, რომ მორბენალი და მტირალი ადამიანები გზადაგზა აალებულ კუპიურებს აგროვებდნენ. აალებული ხალხის ეს ნაკადი, უბრალოდ, მაშტერებდა. „რა გაუმაძლრები არიან! – მიელავდა თავში ფიქრი. – იქნებ მათი დასასრული უკვე დაიწყო? მე ხომ ცეცხლი არ მეკიდება! და

თან კი არ მაწუხებს ეს, არამედ სიცოცხლეს მმატებს – ჭეშმარიტების წუთებს შევიგრძნობ. გამოდის, რომ ადამიანებს ცეცხლი წაიღებს, პუტივლელები კი გადარჩებიან, რომ კრომანიონელთაგან დასნებოვნებულ ტერიტორიებზე დასახლდნენ? – ქიმიით დაბინძურებულ მიწაზე? რომ დაისაკუთრო ტოქსინებით მოწამლული ატმოსფერო და ოკეანეები? ოჰ, რა ნაგვის მთები უნდა გაიტანო მათ შემდეგ! რამდენი ქალაქი უნდა დაინგრეს, რომ *cosmicus*-ები გათავისუფლდნენ ადამიანთა ცივილიზაციის ნარჩენებისაგან! დიახ, ცეცხლი გახლავთ საუკეთესო სუბსტანცია, რომელსაც სამყაროს შეცვლა და პუტივლელების ახალი ერის მოყვანა შეუძლია! განა ფერფლზე არ იგება ეპოქები?! ეს ეფექტური სასუქია *cosmicus*-ების გამოსაყვანად“. უცებ ცეცხლი თავისთავად განელდა; მხოლოდ დანახშირებულ გვამებსა და შენობათა ნაშთებს ასდიოდა კვამლი. ყოვლისმომცველი ნატისუსალი ბატონობდა! მაგრამ ის ჩემში ზიზღსა და უკმაყოფილებას არ იწვევდა. პირიქით. ფერფლზე წამოწოლაც კი მომინდა. მინ-

დოდა მოვხვეოდი, გულში ჩამეკრა ის. როგორც კოცნიან ფულს, ხატებს, საჩუქრებს, ბრილიანტებს, ისე მომინდა ჩამეკოცნა ფერფლი. ის ჩემთვის სასურველ მატერიად იქცა. ხელში ავიტაცე, ლოყაზე მივიდე, მკერდზე მივიკარი, თითქოს უკიდეგანო თრობამ შემიპყრო. ის იმდენად მავსებდა, რომ გამეღვიძა, თუ თავდავიწყებიდან გამოვერკვიე, სანოლიდან წამოვხტი, ეზოში გავვარდი, სტაროვაგანკის ჩიხი გავიარე და ვოზდვიუენკისკენ გავწიე. გლობალური ხანძრის ნიშან-წყალი არსად ჩანდა. ნეონების ლანდური ნათება ცარიელ და იდუმალ ქუჩებზე დალვრილიყო. ადრეული ყინვა თითებს მისუსხავდა. დილის მეოთხე საათი იყო. — სიზმრებს, რა თქმა უნდა, ვხედავ ხოლმე, მაგრამ ასე ცხადად არაფერი მომჩვენებია. ნუთუ ეს რაღაც მისტიკური ბიძგია ქმედებისაკენ? არა, შეუძლებელია! ეს ყველაფერი ადამიანურად დაუნდობელია. პუტივლელებს ძალადობა არ შეჰქერით“. ბუდრუგანაში დავპრუნდი და დაძინებას შევეცადე. მაგრამ არაფერი გამოვიდა. შინაგანი სიცარიელე ჩამისახლდა სხეულში. თითქოს ხანძარი, ყოველივეს

ფერფლად რომ აქცევს, მოსკოვის ქუჩებში კი არა, ჩემში მძვინვარებდა. „ნუთუ მთელი სიცოცხლე სიმარტოვისკენ უნდა ვისწრაფო? ჰო, ახლა თავს ვარიდებ ადამიანებთან ურთიერთობას. მაგრამ, როცა ქვეყანაზე პუტივლელები დასახლდებიან, მათთან კონტაქტის სურვილიც ხომ არ გამიქრება? ნუთუ მე – სამუდამოდ მხოლოდ **მე** ვარ? დიახ, ადრეც უთქვამთ, რომ მე ყოველივე არსებულის უმაღლესი ფასეულობა ვარ. – სულისა და ხორცის ფანტასტიკური ანსამბლი და არა მხოლოდ დედამიწაზე, არამედ მთელ სამყაროში! მაგრამ ვინ თქვა ეს? ნუთუ ადამიანებმა? არა, ეჭვი მეპარება. პუტივლელთა წინამორბედებმა განაცხადეს ყოველივე. ადამიანებს ხომ არ შეუძლიათ მიიღონ უკიდეგანო კოსმოსი თავის საცხოვრისად. ამიტომ დარწმუნებული ვარ, **მე** – პუტივლელი – შევცვლი მას – ადამიანურ ეგოისტურ **მეს**, რომელიც ერთი ერთმანეთის წინააღმდეგ არის მიმართული და **მათი ჯგუფური ჩვენც** მხოლოდ დედამიწის ჩიხში შეყვანას ნიშნავს. დიახ, სწორედ კარამანოვია მოსალოდნელი კრახის მოწმე.

თვითონ ვერ ხედავენ ამ ხრწნას. **მათ** მხოლოდ დღევანდელი პრობლემები იტაცებთ. მომავალი მათთვის უხილავია. **ისინი** მომავლის წინაშე უსინათლონი დგანან! იმისთვის, რომ **მეობა** თაობიდან თაობაში არ გაქრეს, ერთი ხამნოკლე სიცოცხლით არ შემოიფარგლებოდეს, ახალი არსების გენეტიკური მოდელირება ისეა საჭირო, რომ გონის აქტიურობა სიცოცხლის ხანგრძლივობას განსაზღვრავდეს. თუ თამაშობ დომინოს, უყურებ ტელევიზორს, გაქვს სექსი, ადმინისტრაციული რესურსითა და მდგომარეობით სარგებლობ, ძალადობ, ლოთობ – ესე იგი, შენი გონი აქტიური არ არის, მას სძინავს, ის დანგრეულია! მშვიდობით! გადასახლდი იქითა სამყაროში! დიახ, დიახ, სწორედ ასე! ადამიანები კი იტყოდნენ, გაეთრიე აქედანო! რა სარგებლობა მოგაქვს? პუტივლელი უნდა სწვდებოდეს სამყაროს საიდუმლოებებს, აღმოაჩინოს ახალი გალაქტიკები, გადაადგილდებოდეს უცნობ სამყაროებში! როგორ უნდა დაუშვა, რომ ისინი თამაშობდნენ ბანქოს, უყურონ ფეხბურთის მატჩს,

იარონ ბორდელებში, უსმინონ ახალგამოყვანილ იუმორისტებს, დაესწრონ ახალგამომცხვარი მომლერალი გოგონების კონცერტებს და მოპარული ფული შეინახონ ბანკებში? ადამიანი იმიტომ არის მოკვდავი, რომ მას არა აქვს განახლების მუდმივი მოთხოვნილება, გარემოს ახლებურად გააზრების უნარი“. აქ დავფიქრდი იმიტომ, რომ ვერ გავიგე: ეს აზრი ბიბლიოთეკის ფოლიანტებს დავესესხე, თუ ჩემი იყო, საკუთარი? თუ ეს ყველაფერი წიგნებში მაქვს ამოკითხული, მაშინ პუტივლელები წარსულში არაერთხელ დაბადებულან ამ პლანეტაზე, მაგრამ რატომ გაქრნენ **ისინი** ასე უკვალოდ? როგორც ჩანს, მათში ადამიანური ჭარბობდა. დროის წინაშე შიში ღუპავს არამხოლოდ ამ ბიოლოგიურ მოდგმას, არამედ ადამიანთა შორის საუკეთესოებსაც, რომლებშიც მჟღავნდება *cosmic cis-ების* ზოგიერთი თვისება. ასი წელი ეს **მათთვის** უსაზღვროდ ბევრია, ბუნებისთვის კი ეს დრო არაფერს ნიშნავს. რა ეჩქარება მას? ის თაობიდან თაობას ინელებს, რათა ბოლოსდაბოლოს ახალი არსება შექმნას. მილიონი, თუნდაც მილიარდი წელი,

ბუნებისთვის ზღვაში წვეთია. თუმცა მე მაინც უნდა დავაჩქარო მუტაციის პროცესი. ჩემთვის არაფრით შეიძლება **მათ** გვერდით ცხოვრება. *Cosmicus*-ები სრულიად განსხვავებული არსებები არიან. თუ გავიხსენებთ ნეანდერტალელთა და კრომანიონელთა თანაცხოვრების პერიოდს, ადამიანებს შეიძლება კომპრომისი შევთავაზოთ: გინდათ დედამიწაზე ცხოვრება უნინდელი სახით? – კი ბატონო, თუმცა თქვენი დასარული მოახლოვებულია, თქვენ განწირულები ხართ. ისარგებლეთ მთელი ქვეყნიერებით, სანამ შეგიძლიათ, ჩვენ კი პუტივლში დავსახლდებით, ასი კვადრატული კილომეტრის არეალში. ის ჩვენი ალმა-მატერი, ჩვენი ალთქმული ქვეყანა იქნება! ჩვენს შორის სხვაობა ერთი ისტორიული ნაბიჯია: ისინი აუცილებლად შეაპიჯებენ მარადიულ მიღმიერ სამყაროში, *cosmicus*-ები კი სამყაროთა სივრცეში გადაინაცვლებენ. ეს მომენტი რომ მოვაახლოვო, აუცილებელია, მეტი დრო გავატარო წიგნებთან. წავიკითხო ფილოსოფოსების, გენეტიკოსების, ფიზიკოსებისა და ბიოლოგების შრომები. პუტივლელთა გე-

ნეტიკური ანსამბლის შენება უნდა დავიწყო. ჩემი თავი ახალ ეპოქას უნდა მივუძღვნა. ჩემი მსჯელობით კმაყოფილი, ოდნავ მოვდუნდი. გავიღიმე. პირი გამიშრა. სხეული ჟრუოლამ მოიცვა. საკუთარი თავი მდუმარ და ცივ სფეროებში წარმოვიდგინე, სადაც აბსოლუტური სიცარიელე სუფევდა. თვალები მეხუჭებოდა. საბანი თავზე წავიფარე, მოვიკუნტე და მალე ჩამეძინა კიდეც. ექვს საათსა და ოცდაათ წუთზე მაღვიძარამ დაინკრიალა. ვაივაგლახით წამოვდექი, ხელ-პირი დავიბანე, ცივი წყალი დავლიე, ერთი ნაჭერი პური და წითელი თალგამი გავლეჭე. მერე ჩავიცვი და ეზოში გავედი. ქალაქი ზამთრით შემოსილიყო. თოვლის საბანი წაეხურათ სახლების სახურავებსა და ქვაფენილს. ნამქერი ყმაწვილივით დამტრიალებდა, თითქოს თავისი გიუური ტემპერამენტით მახელებსო. „დაუოკებლობის მაგალითი ჩემგან აიღე, ვასილი, – დამძახოდა ის, – მხოლოდ ამ შემთხვევაში მოახერხებ შენი ზრახვების სისრულეში მოყვანას. შესძლებ მოიზიდო და მოაახლოვო ის სანეტარო დრო!“ „ნუთუ მართლა ეს ბანალობა მიშ-

ლის ხელს? გავიფიქრე – იქნებ, მართლაც-  
და, სიბეჯითეს ვერ ვიჩენ? მხოლოდ  
ვფიქრობ, ვმსჯელობ და ცოტას ვაკეთებ?  
ნებისმიერი ნაყოფი ჯერ ხომ უნდა მომ-  
წიფდეს. დიახ, მე ვოცნებობ სიცოცხლე-  
შივე მოვხვდე იმ სხვა სამყაროში. განა ეს  
სიგიურა? პარანოიაა? ნუთუ გენური პარ-  
ტიტურის მონაბერი ცვლილებით ვარ შეპ-  
ყრობილი? იქნებ კოსმოსიც ეულია პუტივ-  
ლელთა გარეშე! იქნებ მას შემოქმედი,  
აღმაშენებელი სჭირდება! სივრცე უსაზღვ-  
როა, მაგრამ მას პატრონი არა ჰყავს!  
უცნაურია: ადამიანები ერთი გოჯი მი-  
ნისთვის იბრძვიან, ლობეებითა და სასაზ-  
ღვრო ბოძებით მიჯნავენ თავისას, გასცე-  
მენ ვიზებს, მოითხოვენ თავშესაფარს,  
მაგრამ არც კი ფიქრობენ, მარადისობის  
უსაშველო შესაძლებლობაში აღმოაჩინონ  
საკუთარი თავი! **მათ** ეშინიათ სიკვდილის,  
დასტირიან მიცვალებულებს, იხდიან  
მდიდრულ ქელებებს, აგებენ აკლდამებს,  
მავზოლეუმებს, დგამენ გრანიტის ძეგ-  
ლებს. სამაგიეროდ, **მათ** არა აქვთ უკვდავე-  
ბასთან დაკავშირებული არც ერთი დღე-  
სასწაული. თუკი დავითვლით ფულს,

რომელსაც ისინი დაკრძალვის ცერემონიალებზე ხარჯავენ, ასტრონომიულ თანხას მივიღებთ! მსოფლიოში ყოველ წელიწადს ხუთას მიღიონზე მეტი ადამიანი კვდება. თითოეული დაკრძალვა, საშუალოდ, ორას დოლარამდე ჯდება: სასახლე, საეკლესიო ნივთები, დაფლვის სერვისი, გამოსათხოვარი ტრაპეზობა, საფლავის დიზაინი, ხსოვნის რიტუალები. ხუთასი ათასი ორასზე რომ გავამრავლოთ, ას მიღიარდ დოლარს მივიღებთ! ეს გაცილებით მეტია, ვიდრე რუსეთის ბიუჯეტი. მაგრამ თუ თანხას ათ ან ას წელზე გავიანგარიშებთ, გამაოგნებელ ციფრებს მივიღებთ! გონება რატომ არ ურჩევს მათ: „ეი, კრომანიონელებო, გავამარტივოთ დაკრძალვის რიტუალი, გვამები ორმოებში ჩავუშვათ და დაზოგილი ფული კი სამეცნიერო ექსპერიმენტებისთვის გამოვიყენოთ! რათა ჩვენი შთამომავლები უკვდავებას ეზიარონ.“ უკვდავებისთვის გადასახადი რომ დავაწესოთ? – შემოსავლის ოცი-ოცდაათი პროცენტი, ან სულაც ორმოცდაათი?! თუკი ეს სერიოზულ შედეგს მოგვიტანს, დადგება შეიარაღების მიზნობრიობის საკითხიც.

თუკი ადამიანები უკვდავებას მოიპოვებენ, რაღა აზრი ექნება იარაღს? რუსეთისა და სხვა ქვეყნების სამხედრო-სამეცნიერო პოტენციალი და საწარმოო კომპლექსი აზრს დაკარგავს, ამ უაზრო და უვარგის საქმეზე მოთხოვნილება გაქრება. უთვალავი საფინანსო რესურსი გამოთავისუფლდება! საჭირო შეიქნება მთელი ამ უზარმაზარი ინფრასტრუქტურის უკვდავების ფუნდამენტური პრობლემის გადასაჭრელად მიმართვა. ამ პირობებში შესაძლებელი გახდება უახლოეს ას წელიწადში მივაღწიოთ შედეგს. მაგრამ პარადოქსი ის გახლავთ, რომ **მათ** არ ესმით ეს ყოველივე, რაც ამტკიცებს, რომ **ისინი** ქვეცნობიერად აღიარებენ თავიანთ დროებითობას. თითქოს დარწმუნებულნი არიან, რომ **მათ** სიცოცხლეს სხვა სახეობის არსებები განაგრძობენ. – პუტივლელები! მაგრამ არა! **მათ** რომ ამ პრობლემაზე ფიქრი, განსჯა და მისი გადაჭრის გზების ძიება დაიწყონ, პირველად მე ჩავდგები ადამიანთა რიგში. სიკვდილი ხომ ყველა ცოდვის საფუძველია დედამიწაზე, **მათი** გენური არქიტექტურის ყველა ნაკლის სათავე. როგორ არ

ესმით ეს ძირითადი საკითხი? რაღა გონიერნი არიან? **მათ** ჯერ კიდევ კრომანიონში ჩასახვისთანავე თან სდევდათ მისტიკური წყევლა: არ შეეწინააღმდეგონ სიკვდილს. ბევრს მისი მოახლოების სურვილიც კი აქვს! მის ქებასაც აღავლენენ! **ისინი** ტექნიკური პროგრესით არიან გატაცებულები და ავინწყდებათ, რომ სულაც არ სჭირდებათ ის. **მათ** ორგანული ძვრა, ბიოლოგიური პროგრესი ესაჭიროებათ! სწორედ, ბიოლოგიური! მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავების ჭვრეტა კი არა, მხოლოდ კრემლის ძონის ვარსკვლავების ყურება სურთ. დიახ, „ადამიანები უნდა აღიგავონ პირისაგან მიწისა.“ წარმოუდგენლად დამცრობილნი მეჩვენებოდნენ ისინი. ჰო, ჰერმან ჰესე გამახსენდა, რომელიც წერდა: „ჩემთვის რომ ეკითხათ... თანახმა თუ ვარ, რომ მწერალი ჰერმან ჰესე დაცული იყოს ავადმყოფობისა და სიკვდილისაგან და ვთვლი თუ არა უკვდავებას მისთვის სასურველ და აუცილებელ მადლად, მე – პატივმოყვარე ლიტერატორი – ამას დადებითად ვუპასუხებდი. თუმცა, საკმარისია, იგივე კითხვა სხვასთან მიმართებაში და-

მისვან, რომ დაუფიქრებლად განვაცხადებდი – „არა“....მართლაც არ არის საჭირო, რომ ჩვენ ხანშიშესულებმა და არცთუ სასიამოვნო შესახედავმა ადამიანებმა, თუნდაც ნეკრისის ქარების გარეშე, მარადიულად ვიცხოვროთ. ჩვენ სიამოვნებით დავიხოცებით მერე, როცა იქნება“. უცნაურები არიან კრომანიონელები! მათ „სიამოვნებით დახოცვა სურთ“ და არაფერს ამბობენ უკვდავებაზე! მხოლოდ ბიბლიურ ტექსტებში თუ ამოიკითხავთ სწრაფვას მისადმი. მაგრამ ეს სწრაფვა მითიურია, მათი მოდგმის კოსმოსურ სივრცეში არსებობის გარეშე: „...სული იარსებებს უკუნითი უკუნისამდე“. რა პრიმიტიული არსებები არიან ადამიანები, თუ სჯერათ მსგავსი იგავების! უნდა ვიჩქარო, თორემ ყველაფერს ვერ მოვასწრებ. ეს ბრძანება კი არა, ცხოვრების მიზანია! შორიდან, რა თქმა უნდა, უცნაურ სუბიექტს ვგავდი. აბა, წარმოიდგინეთ ახალგაზრდა კაცი მეეზოვის ქურთუკით, გაშემებული საკუთარი ფარდულის კართან და თან ასეთ თემებზე მოფიქრალი! ადამიანთა თვალში სულელად გამოვიყურებოდი. მაგრამ მე

არავის ვეკრძალვოდი. მომწონდა კიდეც: რომ **ისინი** ჩემსა და საკუთარ თავს შორის განსხვავებას ხედავდნენ. მერე რა? ნამდვილი პუტივლელის ჭეშმარიტი ცხოვრებისთვის უნდა მოვმზადებულიყავი. ჩემი გაუცხოება, ჩაკეტილი განმარტოებული ცხოვრების წესი cosmicus-ების თავდაჯერებულობაში მარწმუნებდა, თვითდისციპლინის, ჩამოყალიბებული აზროვნებისა და ნატურის მთლიანობაში მაჯერებდა, მედიტაციის, მოწესრიგებულობის ჩვევას მივითარებდა. დიახ, დიახ, უნდა ვიჩქარო. ყველაფერი, რაც სასარგებლოა, უნდა წავიკითხო: ეფროიმსონი, ევსტაფიევი, ალენი, ბეკერი, დუნნი, ვიდემანი და კიდევ ბევრი სხვა. უკეთ რომ შევიცნო მთავარი იდეის განხორციელების გზები – ადამიანური მატერიის ბაზაზე შევქმნა ახალი არსება – შემოქმედი უნდა გავხდე. და ეს ჯერ უხილავი მუტანტების პროდუცირებით უნდა შევძლო. ო, რამდენი კითხვა მჭირდება, რამდენი თეორია უნდა გადავხარმო, რამდენი საათი უნდა გავატარო ცოდნის ტაძატში ან საკუთარ საწოლში, მეეზოვის ცუდად განათებულ ფარდულში წიგნთან

ერთად, რომ დავიწყო ეს უმშვენირესი პროცესი. ზაფხულთან შედარებით, ზამთარი მეეზოვეებს ცხოვრებას ურთულებდა: თოვლის ანმენდას მეტი დრო სჭირდება, ვიდრე დაგვას. მართალია, ტერიტორიის დასუფთავების ტარიფები იზრდებოდა, თუმცა მე ეს არ მაინტერესებდა. გასულ წელს აპრილში, როცა სახლების მმართველს ვოზდვიუენსკის მარცხენა ტროტუარის – სახელმწიფო ბიბლიოთეკიდან მეტრ „არბატსკაიამდე“ და სტაროვაგანკის ჩიხის ორივე მხარის – ნახევარ განაკვეთად დალაგებაზე დავთანხმდი, ფულზე არც მიფიქრია. მინდოდა სხვებისთვის დამენახვებინა, რომ შრომა პუტივლელთა მოთხოვნილებაა. ზამთარი მეეზოვეებს დამატებით თავისუფალ დროს უზღუდავდა. როცა თოვს, მუშაობისთვის საუკეთესო დროა. ზამთარში კი სულ თოვს. და მიუხედავად ყველაფრისა, ყოველ თავისუფალ წუთს გამუდმებით ვფიქრობდი ჩემი ცხოვრების უმთავრეს მიზანზე. ნეტავ, მალე ასრულდებოდეს! მოთმინება არ მყოფნიდა! სახიდან და თავიდან თოვლი ჩამოვიწინდე, ყურები მოვისრისე და ჩემს

ბუდრუგანაში ქუდის დასახურად შევძვერი. მერე ეზოში გამოვედი, ვიპოვე თოვლის საფხეკი და ქუჩას მივაშურე. ნამქერი ძალას იკრებდა. მხედველობის არე ხუთი-შვიდი მეტრი თუ იქნებოდა. თოვლი უკვე კოჭამდე იდო. „როგორ გაიქცევიან ისინი მეტროს სადგურისაკენ? – გამიელვა თავში. – თოვლი უნდა ავხვეტო. წაიქცევიან და რამეს მოიტეხენ!“ ასე დაინყო რუსეთის დედაქალაქში ჩემი მესამე ზამთარი. დილაადრიან და სადილის შემდეგ თოვლს ვხვეტავდი, დანარჩენ დროს კი ვკითხულობდი. ძილისთვის მხოლოდ ხუთი საათი მქონდა გამოყოფილი. ადამიანთა სიხარბეზე ჩემი დაკვირვებები რომ გამევითარებინა, ორ-სამჯერ „აბდლების“ გამოსაჭრადაც გავედი გენერალურ შტაბთან. სამხედროებთან იგივე ამბები მეორდებოდა. ერთმა ხარბმა ოფიცერუკამ ჩეკის ფასი ხუთ მანეთამდე ასწია. გადახდა მომიწია „კუკლათი“! ჯერ კიდევ ნოემბრის ბოლოს ეს საქმე მივატოვე, ალექსეი პოშიბაილოვის „ალჭურვილობა“ სანაგვეში გავუძახე, მონაგარი დოლარებზე გადავასურდავე, ღირებულება რომ შემენარჩუნე-

ბინა. ვიცოდი, რომ ფული ადამიანებთან ურთიერთობის მეორე და მესამე ეტაპის-თვის დამჭირდებოდა. მოსკოველთა კულტურულ, პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებში უნდა შევსულიყავი. იქ შურისა და სიძულვილის გენთა შეცნობა მქონდა განზრახული. მეგონა, რომ ადამიანთა თვისებები სწორედ კულტურის სფეროში აშკარავდება განსაკუთრებულად. ერთხელ გაზაფხულზე შუადღისას ტერიტორიის დასუფთავების შემდეგ ხელ-პირი დავიბანე, დავივარცხნე, რათა არავის დაეცინა, ეს რა ურჩხული გამოგვეცხადაო, ჩინური წარმოების, ადრე ნაყიდი, კოსტიუმი და ვიეტნამური ფეხსაცმელი ჩავიცვი და დედაქალაქის ცნობილი თეატრისკენ გავემართე. სცრიდა. საყელო ავიწიე, მაგრამ ჩემი უღალი თმიდან წყალი მაინც ჩაედინებოდა საყელოში. ხოლო იაფასიანი ფეხსაცმელი სველ ასფალტზე დალბა და ყოველ ნაბიჯზე აბანოს ღრუბელივით ბუშტუკებს აჩენდა. სამოსამსახურო დაფაზე ძლივს გავარჩიე წვრილად ნაწერი: „თეატრს ესაჭიროება სცენის მუშა. ცნობისთვის მიაკითხეთ კადრების განყოფილებას“. აბა,

სხვა რისთვის გამოვდგებოდი? – სცენის მუშა – ცუდი სულაც არ არის. მსახიობებზე დაკვირვების დიდებული შესაძლებლობაა. საფეხურები ავიარე და ვახტიორს ვკითხე: „კადრების განყოფილებაში როგორ მივიდე?“ მცირე ინტერვიუს შემდეგ შტატში ჩამრიცხეს. არც დამკვირვებიან, არც იმის გამოძიება უცდიათ, ახალგაზრდა, მაღალი, ჩაფსკვნილი ადამიანი რატომ მივედი თეატრში და არა ბიზნესში, ან დაცვაში, რომ უფრო მეტი ფული მეშოვნა. ვის მოუვა თავში სცენის მუშის ცოდნა შეამოწმოს? ჰკითხოს მას რუსული კოსმიზმის, ან დროისა და სივრცის შესახებ? რომ დაინტერესებულიყვნენ, რა მიზნით მოვითხოვე მათთან მუშაობა, არ დავუმალავდი მოტივს. მაგრამ ადამიანთა ქედმაღლობას საზღვარი არა აქვს. მართალია, კადრების ინსპექტორმა ქალმა, რომელიც ფრინველების შესახებ წიგნს ფურცლავდა, ორიოდე შეკითხვა დამისვა: რა მქვია და რა სექსუალური ორიენტაციის ვარ. მეტი რა უნდა აინტერესებდეთ ადამიანებს? ალბათ... კიდევ რაღაცები ცხოველთა და ფრინველთა შესახებ. ეს გონიერი არსება უკვე

ათობით წელია მათ შეისწავლის. ბრავო! ბრავო! რა საჭიროა საკუთარი თავის შეცნობა? ფრინველთა შესწავლა უფრო ეგების!“ ჩემი სამუშაო ისე დავგეგმე, რომ ვალენტინ სეროვის სახლ-მუზეუმშიც მემუშავა მეტოვედ. დილაადრიან მუზეუმის ეზოსა და ჩემზე მომაგრებულ ქუჩებს ვუკლიდი, ხოლო ათსა და თხუთმეტ წუთზე უკვე თეატრში ვიყავი; თხუთმეტ საათზე ისევ ჩემს ტერიტორიას ვასუფთავებდი, თვრამეტი საათიდან კი თეატრალურ სცენაზე დეკორაციებს ვამაგრებდი. ასე გრძელდებოდა გვიან საღამომდე. პრაქტიკულად, ვეღარ ვიცლიდი კითხვისთვის. ამ დროს მე ექსპერიმენტების, დაკვირვებებისა და დასკვნებზე მსჯელობის უამს ვეძანდი. სეროვის მუზეუმიც კულტურული ობიექტი იყო, მაგრამ იქ ჩემი სამუშაო ადგილი ქუჩა გახლდათ. მუზეუმის პერსონალთან არავითარი შეხება არ მქონდა. დირექტორისა და ბუღალტრის გარდა არავის ვიცნობდი. მართალია, სეროვის მუზეუმის ყველა ექსპერტს ვესალმებოდი, მაგრამ მისალმებას ჩვენი ურთიერთობა არ გასცილებია. ისინი მე არ მაინტერე-

სეპტემბერი და მითუმეტეს მათ – მე. ჩემი თავის დაქნევას თითქოს ვერც ამჩნევდნენ, ისე ჩამიქროლებდნენ ხოლმე გვერდით. მსგავსი რამ ხდებოდა თეატრშიც. მხოლოდ მეგარდერობე ქალი ჩუმად მიკრავდა თავს და ოდნავ შესამჩნევად მიღიმოდა. საამ-ქროში მომუშავე კოლეგები ბნელი ადამიანები ჩანდნენ. „მიეცი“, „წადი“, „ჩადგი“, „წაიღე“, „ასწიე“ – სიტყვების გარდა ლექსიკონში არაფერი ჰქონდათ. მსახიობები, როგორც ჩემს კოლეგებს, მეც გვერდს მიქცევდნენ. ისევე, როგორც გვერდს უვლიან რუსები ნაგვის გროვას, დამხრჩალ კატებს, ხაფანგში გაბმულ ვირთებს და უკვდავების თემას. მე ნელ-ნელა ხარბად ვიწოვდი თეატრის ატმოსფეროს. ვცდილობდი დავკვირვებოდი მსახიობთა სახეებს, რომ განმესაზღვრა **მათი** ინტელიგენტურობის დონე. რამდენად ახასიათებს ეს **მათ** პროფესიას? მაგრამ **ისინი** ყოველთვის მპასუხობდნენ ქედმაღლობით, რომლის გამოც, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჩემს იდუმალ მშვენიერებას შევიგრძნობდი. მათი გენეტიკური უსალმობა და ქედმაღლობა უფრო მეტად მარწმუნებ-

და, რომ ბოლოსდაბოლოს ეს უნდა დასრულებულიყო. და აი, წარმოიშვა ინციდენტი, რომლის გამოც დამითხოვეს გამოსაცდელი ვადის დამთავრებამდე. ერთხელ რეპეტიციის დროს დეკორაციას ვცვლიდი, მაღალი მძიმე სეკრეტერი სცენიდან უნდა გამეტანა. მისი წონა ოცდახუთ კილოგრამამდე იქნებოდა, თუმცა ეს სულაც არ მანუხებდა. პრობლემას სხვა რამ ქმნიდა: სიმაღლეში სეკრეტერი მეტრ-ნახევარი იყო. როცა ის მიმქონდა, ვარაუდით მივდიოდი, რადგან ჩემს წინ არაფრის დანახვა შემეძლო. ამიტომაც სეკრეტერი ფრთხილად და ნელა მეჭირა ხელში, როგორც განსაკუთრებული ნაკეთობა. უცებ მსუბუქი დაჯახება ვიგრძენი. მაშინვე შევჩერდი, ისე რომ არ დამინახავს, ვის გამოვედე, ტვირთი იატაკზე დავდგი და ბოდიშის მოსახდელად მოვემზადე. ჩემს წინ გააფთრებული მსახიობი ქალი იდგა. წარმოდგენა არ მქონდა მის სახელსა და წოდებაზე, ან საიდან უნდა სცოდნოდა ეს კნიაგინინიდან ჩამოსულ მეტოვეს, რომელსაც ბუდრუგანაში არც ტელევიზორი აქვს და არც – რადიო? ჩემთვის ყველა

ადამიანს ერთი სახე ჰქონდა! მაგრამ მე სხვა რამემ აღმაშეფოთა. ბავშვთა კოლონიასა და მსჯავრდებულთა ბანაკში თითქმის შვიდი წელი გავატარე, მაგრამ ასეთი გინება არ მსმენია! ეს უბრალოდ გათამამებული ქალის ბილწიტყვაობა კი არა, გარყვნილი ნაციხარის გამოთქმები გახლდათ. ისიც კი მომეჩვენა, რომ ქალბატონი ვიღაც სხვას ლანძღავდა. სეკრეტერის დაჯახებას ხიფათი არ მოჰყოლია, ფეხიდან არ მოცელილა, სისხლი არ დასდენია, არაფერი დალურჯებია! საკმაოდ მალე მივხვდი, რომ ის მე შეურაცხმყოფდა. თავისი მრგვალი თვალებით სახეში მიყურებდა, გველივით გრძელ ენას ასავსავებდა და ბინძური გამოთქმების ტაქტზე ხტოდა. რაღაც უცნაური გაშმაგებით, სიბრაზით ანთებული მიყვიროდა. ასეთი ბინძური სიტყვების შექმნა და წარმოთქმა გონიერი არსების გარდა, ვის შეეძლო? მე ამ ლანძღვით ვტკბებოდი, გული აღფრთოვანებისაგან ინაბებოდა; მინდოდა, შევმხტარიყავი, ჰაერში ყირა გამეჭიმა, ხელი ხელისთვის შემომეცხო და სიხარულით ყურები მესრისა. მსახიობი ქალის ქცევა ამტკიცებდა

იმას, რაშიც ძალიან მსურდა დარწმუნება. ისიც კი მინდოდა მიმეხალა მისთვის: „მიდი, მიდი, განაგრძე, ქალბატონო მსახიობო! გეხვეწები, კიდევ! კიდევ! უფრო გაცეცხლებით! ჭკუა ასწავლეთ პუტივლელს, როგორც ეგების! შეურაცხყავით მუშა, რად უნდა ელოლიავოთ მას! როგორც ვიღაც ვიგინდარას დახურულ ციხეებში ურტყამენ წიხლებს, მირტყით და მირტყით ხელები სიფათში! რუსულ ენაში ხომ ამდენი ვულგარული გამოთქმაა. მე კი ჩავწვდები თქვენი გენის ქედმაღლობისა და გარყვნილების განსაკუთრებულობას. ჩემთვის მნიშვნელოვანია ამგვარი ცოდნა: მე ხომ ექსპერიმენტს ვატარებ“. ამ ხანმოკლე კონფუზის დროს ბევრი რამ გაცხადდა. „ლმერთო, რა უბედური ქალია, – გავიფიქრე – სადამდე მიჰყავს გენეტიკური ანსამბლის ცდომილებას ადამიანი!“ გათამამებული მსახიობის ყვირილზე ჩემი შეფი, ბატონი აფრიკანტოვი თუ კორიფანტოვი, მოვარდა. განზე გამიხმო და მითხრა: „ეჱ, ბიძიკო, დაწერე განცხადება. ის მეტად გავლენიანი პიროვნებაა – სახალხო არტისტი – ენტერისტა. მისი მეც მეშინია,

ქმარსაც მაღალი თანამდებობა უკავია... მე კი ბინის რიგში ვარ. თუ თვითონ დაწერ განცხადებას გათავისუფლებაზე, დიდ თეატრში გიშოვნი სამსახურს“. აი, ასეთები არიან **ისინი** – ადამიანები. თიხის გვირგვინით თავზე! დავწერე განცხადება, დავემშვიდობე და წამოვედი. ჩემმა უკვე ყოფილმა შეფარა მომაძახა: „დიდ თეატრში ნეკრიაკინს იკითხავ. დავურეკავ და აუცილებლად დაგეხმარება“. – „მადლობელი ვარ!“ – თავი შევაბრუნე მე. ბუფეტთან ჩავლისას შავი პური, ყველი, დაჭრილი ვაშლი, ჭიქა კოკა-კოლა ვიყიდე, უნდილად გავლეჭე, დავლიე და ქუჩაში გამოვედი. მარტოობის ენერგია პირთამდე მავსებდა და პუტივლური ცხოვრების მთავარ სიხარულს მახსენებდა: თავისუფლად ვიფიქრო დროებითი ბიოლოგიური სახეობების განდევნაზე. რამდენიმე კვირის შემდეგ სხვა უფროსის ხელმძღვანელობით დავიწყე მუშაობა და უაღრესად კმაყოფილი ვიყავი იმით, რომ რუსული კულტურის წმიდათანმიდა სივრცეში აღმოვჩნდი. მართალია, ეს უცხო სამყარო გახლდათ, მაგრამ მე მას მშვიდად, შინაგანი წინააღმ

დეგობის გარეშე ვღებულობდი. დიდ თეატრს სახელმწიფო ბიბლიოთეკასთან ვაიგივებდი. გამიჩნდა იღუზია, რომ სწორედ აյ შევხვდებოდი ადამიანთა შორის საუკეთესოებს, იმათ მსგავსებს, ვის წიგნებსაც ვითხოვდი სამკითხველოში. მართალი გითხრათ, ეჭვიც გამიჩნდა: ღირდა კი **მათი** მოდგმის საუკეთესო წარმომადგენლების გაცნობა? **მათთან** პირდაპირი კონტაქტი? უმჯობესი ხომ არ იქნება შორიდან ვუთვალთვალო **მათ?** იმაზე ფიქრიც არ მინდოდა, რომ დიდ თეატრში ენტერიხოვას მსგავსს შევხვდებოდი. წიგნებში ხომ მოაზროვნებთან, ინტელექტუალებთან ურთიერთობენ და არა – პრიმიტიულ არსებებთან. ჩამეცინა, რადგან მრავალი ავტორის წიგნს ვკითხულობ... მაგალითად, გუშინ ვიქტორ მალოფეევის თხზულებას წავანყდი. ეს **მათი** ბიოლოგიური სახეობის განაჩენია. ადამიანთა სიმახინჯის აპოთეოზი! მაშინ შემრცხვა კიდეც, რომ ავტორის თანამედროვე აღმოვჩნდი. **ისინი** კი მშვიდად უყურებენ ამგვარ მოვლენებს. უკვე თავი მომაბეზრეს: რამდენადაც მცირეა **მათი** მოდგმის

ინტელექტი, მით უფრო პოპულარულია ადამიანი. თუმცა ახლა ახალ სამსახურზე უფრო ვფიქრობდი. ძალიან მინდოდა, განმეგრძო ექსპერიმენტი, რათა ჩემი გენერალური სკითხის გადაწყვეტის ოპტიმალური საშუალებისთვის მიმეგნო. სცენის მუშებს უპრობლემოდ ღებულობდნენ სამსახურში. დიდ თეატრში ასეთ პერსონალზე დიდი მოთხოვნილება იყო. თვეში სამოცდაათ დოლარად ვინ იმუშავებს? დილა-სალამოს ვინ ზიდავს მძიმე დეკორაციებს? ამ დროისათვის რუბლის მსყიდველობითი უნარი საგრძნობლად დაეცა, როგორც დედაქალაქში, ასევე მთელს ქვეყანაში, ამიტომ **ისინი** დოლარებში ითვლიდნენ. ექსპერიმენტი გრძელდებოდა. თითქმის მთელი დღე ვმუშაობდი: მეეზოვედ ვალენტინ სეროვის მუზეუმსა და სცენის მუშად დიდ თეატრში. როცა სპექტაკლი იყო, მე ჩვეულებრივად, სამოსამსახურო გალერეაში, მესამე ირუსზე ვიჯექი. აქ იშვიათად ამოდიოდა ვინმე. დეკორაციებით დატვირთული ძელების გარდა აქედან არაფერი ჩანდა. მე არც მინდოდა სცენისკენ ყურება. მხოლოდ მღელვარე აპლოდისმენტები და

მჭექარე „ბის“ და „ბრავო“ მესმოდა. ერთადერთი, რასაც ხშირად ვუმზერდი, სამრეკლო იყო. სპეციალურ ხიდურებზე მიმაგრებული გახლდათ სხვადასხვა ზომის ზარები. ისინი არიერსცენის ფრონტალურ კედელზე იყო განთავსებული. ყველაზე დიდი ზარი ხუთ ტონამდე იწონიდა. შევხედავდი მას და წარმოვიდგენდი, ერთ მშვენიერ დღეს ამ ზარით როგორ ვამცნობდი მაყურებელს, მოსკოვს, სრულიად მსოფლიოს ახალი ჟამის – პუტივლელთა ეპოქის – დასაწყისს! – *Cosmicus*-ების მოსვლას მათ შესაცვლელად! რა სიხარული შემიპყრობდა მაშინ... ერთხელ ჩემთან კოლეგა – გადასწორებულთმიანი ჩაფსკვნილი მამაკაცი – ამოვიდა. მას მუდმივად ჭრელსაკერებლიანი სამუშაო კომბინიზონი ეცვა. მისი სახელი არ ვიცოდი. „სულ გალერეაზე რატომ ხარ? სპექტაკლებს რატომ არ უყურებ? რა ფიქრი გაწუხებს?“ მასთან საუბარი არ მინდოდა. შევხედე, გავუღიმე და რაღაც სისულელე ვუთხარი. ის კი ისევ: „გაგიმართლა, რომ ღამის ცვლა არ არის. ხდება ხოლმე, მთელ ღამეს ვმუშაობთ. ძნელია! იცი, რა არის ჩვენს საქმეში ყვე-

ლაზე იოლი?“ – „არა.“ – ვუპასუხე მე. „ხელფასის აღება! ჰა-ჰა-ჰა! ჰო, მიხვდი?“ – „კი!“ – თითქმის ჩურჩულით წარმოვთქვი და თავში გამიელვა: „რაზე უნდა ველაპარაკო ამას?“ „მისმინე, ჩვენ ხვალ წყვილად ვმუშაობთ. ფული არ გჭირდება? – „თითქოს, არა...“ – ერთი მდიდარი კლიენტია. კარგ ფულს იხდის. არ იფიქრო, რომ მხოლოდ არყის ფულს მოგვიგდებს. საკმაო თანხას იძლევა. რას იტყვი? ჰა-ჰა! ზედმეტად თხუთმეტ-თხუთმეტ დოლარს გამოვკრავთ ხელს“. პუტივლელის უმწიკვლო სტატუსმა მაიძულა, ღიმილით მეთქვა: „კარგი, დაგეხმარებით. მაგრამ ფული არ მჭირდება“. – „როგორ თუ არ გჭირდება?“ – „მარტო ვცხოვრობ და მყოფნის“. – „თვეში სამოცდაათი დოლარი? ავად ხომ არ ხარ? ჰა-ჰა-ჰა! თუმცა, ძალიან კარგი. ესე იგი, მომეხმარები?“ – თვითონ კი ალბათ გაიფიქრა, რომ სულელს ათათბირებდა: ფული ხომ მთლიანად მას დარჩებოდა! „კი“. – „ხვალ პრემიერა გვაქვს – იური გრიგორიევის „გედის ტბა“. მისმა მეგობარმა თუ სპონსორმა ორი გედი მოიყვანა. ჰა-ჰა-ჰა, რა თქმა უნდა, არა ცოცხალი!

გედების ფორმის მეტალის კარკასებია – ქრიზანთემებით, ვარდებითა და ასტრებით მორთული. კალათებსა და თაიგულებს ყოველდღე ეზიდებიან სპექტაკლებზე. მაგრამ მეტრნახევრიანი გედები ორი ათასამდე ყვავილით, ოცი წლის მუშაობის განმავლობაში არ მინახავს! მათ საბარგო მანქანებით მოიტანენ. უფროსებმა იციან. ადმინისტრაცია მაღარიჩის გარეშე ამას არ გადაწყვეტს. ჩვენში ვის არ უყვარს ნამეტი ფული? ჰა-ჰა-ჰა! ჩამოვტვირთავთ საბარგოებს, ქვედა კარის მეშვეობით ამ ყვავილებს არიერში შევათრევთ, ხოლო სპექტაკლის დამთავრებისას გამოვფენთ ავანსცენაზე. ასეთია ჩვენი „ხალტურა“. მაყურებელთა დარბაზში კი აპლოდისმენტების ცვენა იქნება! დიადი ბალეტის ფინალში – ყვავილთა უზარმაზარი გედები... მშვენიერია! დიდებულია! გრიგორიევი შვიდი წელია დიდ თეატრში არ მოსულა. ვასილკოვის ინტრიგები მთელ მოსკოვში გავრცელდა და დიდმა მაესტრომ ეს მტკიცნეულად განიცადა. ისე რომ, ხვალინდელი მოვლენა, წითურო, საოცრებას გვპირდება! ის უნიკალური ოსტატია! მსოფლიოს

ნომერ პირველი ქორეოგრაფია. როგორც  
პელე ფეხბურთში, როგორც ლუისი კრივ-  
ში, როგორც პატრიარქი რელიგიაში, რო-  
გორც კასპაროვი ჭადრაკში – ისე გრი-  
გორიევი საბალეტო ხელოვნებაში.  
გესმის?“ – „გავიგე!“ – ვუპასუხე მე. „თა-  
ნახმა ხარ გრიგორიევის დიდებისთვის  
იმუშაო?“ – „მე უკვე დაგთანხმდით“. –  
ვთქვი და ჩავიცინე: ჰონორარი დაავიწყდა.  
უკვე აღარ ახსენებს. **ისინი** ყველანი ასეთე-  
ბი არიან, რა უნდა გიკვირდეს!“ მეორე  
დღეს ხუთი საათისთვის, სამუშაოს დაწყე-  
ბამდე ნახევარი საათით ადრე, გამოვცხად-  
დი თეატრში. კარებშივე მომვარდა გადას-  
წორებულთმიანი კოლეგა და დამიღრიალა:  
„რატომ დამაღალატე? გუშინ შემპირდი და  
გვერდი მიქციე? კლიენტები გველოდები-  
ან. სად დაეხეტები?“ – „თქვენ დროზე  
არაფერი გითქვამთ,“ – ვუპასუხე. – „რა  
უნდა გითხრა? ახალბედა არა ხარ და თვი-  
თონ უნდა იცოდე, რომ დიდ თეატრში  
მნიშვნელოვანი ზეიმია. ყველა ბილეთი  
გაყიდულია. ხალხის ბრძო თეატრში  
შემოჭრას ლამობს“. – „რა უნდა ვიცოდე?  
– ჩავიცინე მე, შევხედე რა მის წვრილ-

ნაკვთებიან გაყოყოჩებულ სახეს. ფიზიონომია ახალშობილისა ჰქონდა. ეს გონებრივი განუვითარებლობის პირველი ნიშანია. რა უნდა მელაპარაკა? მე ხომ ადამიანებს იშვიათად ვებაასებოდი. *Homo sapiens*-ის მხოლოდ შესახედაობა ჰქონდა, ისე კი – მისი ინტელექტი ნეანდერტალელებთან უფრო ახლოს იყო“. თუმცა ჩემი გრძნობები არასდროს სცილდებოდა მორჩილების ჩარჩოს, ყოველთვის სიმშვიდესა და გულგრილობას ვინარჩუნებდი. „წავიდეთ ჩეარა, – მომთხოვა მან. საძრომი ჭიდან ეზოში საბარგოს მძღოლებთან ჩავედი. ჩამოვტვირთეთ გედები და მათი პანდუსზე შეტანა დავიწყეთ. ორმოცი წუთის შემდეგ საპრემიერო საჩუქრები უკვე კულისებში იდგა. მე მათ არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი. თუმცა არასოდეს ვამჟღავნებდი გულგრილობას არსებული სამყაროსა და ჩემი კოლეგების ემოციების მიმართ. ჩემს გრძნობებს გახსნილად არავის ვაჩვენებდი. კი არ მეშინოდა, უბრალოდ, *cosmicus*-ების დელიკატურობა მკარნახობდა ამგვარ ქცევას. სცენის მუშები და მოცეკვავეები აღტაცებას გამოხატავდ-

ნენ. მათ ყვავილების ეს ფიგურები შედევრად მიაჩნდათ! მე დეკორაციებს მივუძრუნდი. პირველი სურათი, „ვალსი“, დიდ მომზადებას არ საჭიროებდა: აუცილებელი იყო სამეფო წყვილისთვის ტახტრევანებისა და მხლებლებისთვის სავარძლების მოთრევა, მაგიდის დადგმა, თასებისა და შანდლების მოტანა, რბილი ფონის დაშვება, დრაპირებული ქსოვილით შეფუთული ფანერის მღვიმის შემოგორება. საათმა შვიდჯერ ჩამორეკა და ბალეტი „გედის ტბა“ დაიწყო. პირველი სურათის დროს თავისუფალი ვიყავი. განმარტოებისთვის თავშესაფრად ისევ მესამე გალერეას მივაშურე, იატაკზე გავიშოტე და ჩაიკოვსკის გენიალურ მუსიკას ყური მივუგდე. ვუსმენდი ამ შესანიშნავ ქმნილებას და ვფიქრობდი, რომ ის ბალეტისთვის კი არა, ადამიანთა ამ ქვეყნიდან გასაცილებლად არის შექმნილი პუტივლელის მიერ. მუსიკა გამოსამშვიდობებელი ჰიმნივით უღერდა. სწორედ ამ ჰანგის ხმაზე *homo sapiens*-ები სამუდამოდ უნდა გაჰქრნენ რეალური სამყაროდან. აქ ახალმა, სულ სხვა აზრმა შემომიტია: „იქნებ ისინი მხოლოდ და მხო-

ლოდ ცნობიერებიდან უნდა გაპქრნენ? უბრალოდ გაუჩინარდნენ ჩემი თავიდან! აორთქლდნენ! და მორჩა, აღარ იქნებიან! თუ **მათ** არ გავიხსენებ, **ისინი** ჩემს ფიქრებში ვერ შემოიჭრებიან. უბრალოდ, არსებობას შეწყვეტენ. პეპლების, მატლებისა და ტრეპანგებისთვის **ისინი** ხომ არ არსებობენ? და პუტივლელებისთვის რატომ უნდა იარსებონ? ჩემთვის სულაც არ არის მნიშვნელოვანი, ცოცხლობენ თუ არა; მთავარია, განვდევნო **ისინი** ცნობიერებიდან. რომ ვერ ვხედავდე, არ ვუსმენდე, არ ვგრძნობდე **მათ** ყოფნას ჩემს სიახლოვეს!“ მერე ერთმა უბრალო აზრმა გამამხიარულა: „უცებ სმენა, თვალის ჩინი და მეტყველების უნარი რომ დავკარგო? – მთელი კოსმიური სამყარო ჩემს ცნობიერებაში მოთავსდება. **მათ** მოდგმასთან ურთიერთობას შევწყვეტ და **ისინიც** აღარ იქნებიან. ულტრაიისფერ და გამა-სხივებს ხომ ვერ ვხედავ, მიკროსკოპის გარეშე ხომ არ შემიძლია შევამჩნიო აქტინომიცეტები, ბაქტერიები და სპორები. აბა, რატომ უნდა ვხედავდე და ვგრძნობდე კრომანიონელებს? თავს ვიტკიებდე მათი სრულყოფი-

სა და ბედის გამო? განა არ შეგვიძლია პარალელურ სამყაროებში ვიარსებოთ? მე ხომ არ ვფიქრობ, როგორ შევცვალო ბუზი? მართლაცდა – რატომ არა? ბუზის, სტაფილოსა და სოკოსგან ხომ შეიძლება რაღაც გონიერი შევქმნათ? იქნებ უფრო გონიერიც, ვიდრე ადამიანთაგან? განა კრომანიონელებს სხვა არსებათაგან გენთა მხოლოდ ხუთი პროცენტი არ განასხვავებს, ღორს – ოთხი, ხოლო ვირთხას – მხოლოდ სამი? მაშ, ვისგან უნდა გამოძერწო პუტივლელი? ჯერ ხომ დადასტურებული არ არის, რა შეიძლება გამოდნეს ადამიანთაგან ან ვირთხებისა და ღორებისგან? იქნებ *homo sapiens*-თა, ვირთხებისა და ღორების გენებისგან საუკეთესო თაიგული შეიქმნას? აი, მსჯელობის კიდევ ერთი თემა. ნეტავი, ერთი!“ ამ დროს მოულოდნელად ალმოცენებულმა კიდევ ერთმა აზრმა დამაბნია: „იქნებ მეზობლად მცხოვრებ ბიოლოგიურ სახეობასთან შეუთავსებლობა წმიდა რუსული ფენომენია? ან რუსული ენა ხომ არ არის მთავარი დამნაშავე, რომ **მათ** ვერ ვენცობი? ენა რომ არ იყოს, **მათი** სამყაროც გაქრება. იქნებ ამაში ჩემი მამუ-

ლიც არის დამნაშავე? რუსეთი – თავის დაუსრულებელი ქაოსით? მაგრამ განა მე თვითონ მათი თანამემამულე არა ვარ? არა, არა, წარმოუდგენელია! მაგრამ ენა? აქ რაღაც საიდუმლოა დაფარული! მაგალითისთვის, თუ იტალიაში გადავსახლდები და იტალიურის შესწავლაზე უარს ვიტყვი, ესე იგი, არავითარ შემთხვევაში არ მოვინდომებ ამ ხალხის გაგებას, შევიგრძნობ კი **მათ** სიახლოვეს, მექნება **მათთან** ნათესაური დამოკიდებულება? მივიღებ თუ არა **მათ** გონებით? აორთქლდება თუ არა ჩემი დაუკეტელი ანტაგონიზმი?“ ამ დროს შემომესმა, როგორ გაიჭრიალა მექანიზმმა და ფარდამ დახურვა დაიწყო. პირველი სურათი დასრულდა. ქვემოთ ჩავირბინე, გავიტანე სავარძლები, სკამები და სხვა რეკვიზიტი. სცენა დაცარიელდა, შეიცვალა ფონი: ახალი პანო – „გედის ტბა“ – დაეშვა. დაიწყო მეორე სურათი – „გედები“. მე არიერსცენიდან ისევ გაღერაზე ასვლას დავეჩარე, რომ ჩემი საყვარელი საქმისთვის მიმეხედა: მედიტაციას მივცემოდი. ალბათ გაჩნდება კითხვა: როგორ ჩაატარებს ვასილი კარამანოვი ექს-

პერიმენტს ადამიანთა შორის ისე, რომ არ ჰქონდეს **მათთან** ურთიერთობა? რა სარგებლობას მოუტანს მას ასეთი კვლევა? მართლაც, ადამიანთა კვლევას, მე პუტივლურად ვუდგებოდი – მშვიდად, გამოკვეთილი გეგმის, ჩანაფიქრისა და პროვოკაციების გარეშე. თითქოს ყველაფერი და ამავე დროს – სრულიად არაფერი – მაინტერესებდა მათი ყოფისა და ქცევის შესახებ. არასოდეს არაფერი ჩამინერია, არ აღმინიშნავს გრაფიკულად, არ გადამიღია სურათები, არ შემიგროვებია ვიდეომასალა. ჩემი შეცნობის ფოკუსი თვითონ **მე** – *cosmicus*-ი ვიყავი *homo sapiens*-თა შორის. მთავარი ჩემი რეაქციები გახლდათ ყოველივე ადამიანურზე: როგორ ჰქონდათ განვითარებული ინსტიქტები, რომელი გენები და რა სახით ავლენენ აგრესიას, რომელია ატროფირებული, რა არ ჰყოფნით ადამიანებს და რა აქვთ ჭარბად. ის იყო ძველ ადგილზე მოვთავსდი, რომ ჩემი თმაგადასწორებული კოლეგა ამოვიდა. დამახასიათებელი მოძრაობით, თითქოს შუბლიდან უკან გადაიყარა თმა, რომელიც არ ჰქონდა. ხელში არაყი „გუელკას“ ბოთლი

და შუაზე გაჭრილი ლიმონი ეჭირა. „ვასკა, მოდი, დავლიოთ. – მისმა უცნობმა, უცხო ხმამ ჩემში სევდა აღძრა. – შენ უკვე არა-ერთი დღეა მუშაობ, ერთად კი არ დაგვი-ლევია. ეს არაკაცურია! მიდი, დაიწყე! შენ დამეხმარე და მე, როგორც კეთილშობილი ადამიანი, სულითა და გულით გთავაზობ ამას! ხოლო სპექტაკლის შემდეგ კიდევ ორ ბოთლს მოვიტან. რას ფიქრობ, ვასილიოკ, ასე არ უნდა იყოს? რომ არ გამინაწყენდე, აი, დავეხმარე მანდრიკინს, ის კი მარტო სვამს. ასეც არ იყოს, გულახდილად გეტ-ყვი, მანსალაძის მრუმე სურათების შემდეგ დალევა მინდება. შენ რას იტყვი ამ მხატ-ვარზე?“ უაზრო ხანგრძლივი დისკუსიები-სთვის თავი რომ ამერიდებინა, არ გამიმ-ულავნებია მისთვის, რომ არ ვსვამ. არასოდეს გამისინჯავს ეს სისაძაგლე, არ მსურდა გონებისა და გრძნობების ხე-ლოვნურად ამღვრევა. რაც შეეხება სპექ-ტაკლის მხატვარს, მან მის შესახებ არაფერი იცოდა, მე კი სულ არ მაინტე-რესებდა. ალკოჰოლი? ნეტავ, რატომ აქვს მათზე ასეთი გავლენა? ეს ადამიანური სი-სულელისა და სისუსტის ნიშანია, თუ გე-

ნეტიკური მიდრეკილება მისადმი? თუკი ამაში გენეტიკაა დამნაშავე, ეს საკითხი დღესვე შეიძლება გადაიჭრას. სულ რამ-დენიმე მანიპულაციაა საჭირო... უცებ გმახსენდა, რომ აუცილებლად მჭირდებოდა დაუპატიჟებელი სტუმრისაგან თავის დაღწევა და ბატონ მანდრიკინს მივაძახე: „მაპატიეთ, მაგრამ ტუალეტში უნდა გავიქცე“ – ისე რომ მის პასუხს არც დავლოდებივარ, კიბით პანდუსისკენ დავეშვი. „ანტრაქტამდე ტუალეტში დავიმალები, – გავიფიქრე მე. – კოლეგა დათვრება და იმედი მაქვს, გადაავიწყდება ჩემთან დროის გატარება. ადამიანის განაწყენება, რა თქმა უნდა, ჩემი თვისება არ იყო. ჩავუარე საპროექტოროს, გავძვერი სცენის მექანიზმს შორის, ჩავირბინე ტუალეტში და ერთ-ერთ სათავსოში ჩავიკეტე. თეატრის ტუალეტის კედლები უსირცხვილო ნახატებითა და წარწერებით იყო აჭრელებული, რაც ბუნების გვირგვინს ნამდვილად არ შეეფერება! აქ ისევ და ისევ ახალი აზრები მომდინდა თავში. მე ჩემს თავს cosmicus-ების მესაძირკვლედ ვთვლი. ამაში რაღაც სიმართლეა, მაგრამ სამწუხაროდ, ნაწი-

ლობრივი სიმართლე. იმიტომ, რომ კრომანიონელთა ისტორიაში გვხვდებიან პუტივლელთა თვისებების მატარებელი პიროვნებები. პირველთაგანი მათ შორის კოპერნიკი გახდავთ. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი თანამედროვე ასტრონომიას, ხელი შეუწყო დამოკიდებულების შეცვლას კოსმოსის მიმართ. პირველმა მან დაამტკიცა, რომ დედამიწა სამყაროს ცენტრი კი არა, ერთ-ერთი უმნიშვნელო პლანეტაა, მტვერია დაუსრულებელ კოსმოსში. ამგვარად, წარმოდგენა ადამიანთა ცენტრალურ როლზე მხოლოდ წარმოდგენად დარჩა, ტყუილი, შეცდომა და სიყალბე აღმოჩნდა! მან პირველმა მიუთითა **მათი** არსებობის დროებითობაზე. რელიგიამაც თავისი როლი ითამაშა და ხელი შეუშალა **მათ**, გენური ინუინერიის გზას დასდგომოდნენ, თითოეულში გონების დაუჯერებელი შესაძლებლობები გაეხსნათ. თვითონ მოეფიქრებინათ საკუთარი თავის არა ტექნიკური, არამედ ბიოლოგიური სრულყოფა. ახლა მე, კარამანოვი, აბსოლუტური გონის მომხრე, ვიზამ ამას. მე გავარღვევ *homo sapiens*-ების ცხოვრების „პრაგმა-

ტულ არსს“, **მათი** გენური ანსამბლიდან ამოვძირკვავ პირადულზე, არაარსებითზე მიმართულ ფიქრს. აუცილებელია ადამიანის მოწყვეტა ყოველივე ადამიანურისგან, ახალ არსებებს კოსმოსთან მიმართებაში უნდა შევთავაზოთ ცხოვრება. „ოჰ, რა მშვენიერი თაიგულია, როგორი შესანიშნავი მხატვარი, დიდებული არქიტექტურა, ელეგანტური კოსტიუმი, ავტომობილი, ლამაზმანი!“ – პუტივლელებში ეს ემოციები არ უნდა იყოს. უახლოეს დროში ეს ყველაფერი ადამიანურ ანაქრონიზმად უნდა იქცეს. *Cosmicus*-ები სულ სხვა საგნებსა და მოვლენებს დააფასებენ: „ფიზიკური მიზეზობრიობის რა მომხიბლავი სისტემაა; რა ძლიერი გონებაა, ის თავის სამუშაოს სივრცეში გადაადგილებით იწყებს და MP პლანეტასთან გლობალური მსჯელობით ამთავრებს; AP გალაქტიკას რა სასურველი ატომური სურათი ამშვენებს!“ ამ დროს სამოსამსახურეო ზარმა ფიქრი გამანყვეტინა და ავანსცენაზე გავვარდი. ბალეტი „გედის ტბა“ ორმოქმედებიანია, ოთხი სურათი და ერთი ანტრაქტი აქვს. მესამე სუ-

რათის დეკორაცია თითქმის იმეორებს პირველისას, ხოლო მეოთხე – მეორისას. სცენაზე ჯერ ერთი, მერე მეორე ტახტრევანი შევიტანე. ვიღაცამ მაგიდა დადგა, ვიღაცამ – გამოქვაბული შემოაგორა. სამრეკლოსთან შევჩერდი, რომ მეორე მოქმედების დაწყებას დავლოდებოდი და ისევ ტუალეტში დავმალულიყავი. მარცხნივ, მეორე ფარდის უკან ყვავილის გედები იდგა. იქნებ ისინი მართლაც დიდებულად გამოიყურებოდნენ და ადამიანებში აღფრთოვანებას იწვევდნენ, მაგრამ მე მათზე არ ვფიქრობდი. მანდრიკინი მხედველობის არიდან გაქრა, თუმცა მასთან შეხვედრასა და ალკოჰოლის შესახებ უაზრო დისკუსიას ვერიდებოდი. ამიტომ ქვემოთ ჩასვლა ვამჯობინე. ნეტავ მელე აიხდებოდეს ფარდა და დაიწყებოდეს მეორე მოქმედება. სულაც არ მაღელვებდა ის ვითარება, რომ თავისუფალ დროს მარტო ყოფნას ვცდილობდი, რომ დაუსრულებელ გონებრივ თამაშს მივცემოდი. მხოლოდ ეს მიტაცებდა! მხოლოდ ამით ვარსებობდი! ადამიანებს შეეძლოთ ეფიქრათ, რომ ჰალუცინაციების სამყაროში ვცხოვრობდი,

მაგრამ ეს ასე არ იყო. მე გამუდმებით ვმსჯელობდი მომავალ თაობებზე, რომელთაც ბედმა არგუნა შესაძლებლობა, სამყარო დაიპყრონ. პუტივლელის, ვნების-გან დაცლილი, სიბრძნე ჩემი მედიტაციის თანაგზავრი გახლდათ: **მათ** არ შეიძლება იცოდნენ განსხვავება თავის დრომოჭმულ ჭკუასა და cosmicus-ების დაუოკებელ ინტელექტს შორის. მე ცოდნას კოვზით არ ვხვრებ უცხიმო წვნიანივით, ხელებით ვხაპავ, როგორც კრომანიონელები მოძიებულ ოქროს. აი, რაში...“ მესამე ზარმაც ჩამორეკა და მეც ჩვეული ადგილისკენ გავქანდი. კეთილსინდისიერად ჩამოვჯექი რბილ სახურავზე და კვლავ ფიქრს მივეცი. უბრალო მოკვდავს ცნობიერების მიღმა ჭვრეტა არ შეუძლია. ამჯერად დავთიქრდი იმაზე, რომ მეცნიერები გენიალური ადამიანების დამახასიათებელ თვისებად **მათ** ორგანიზმში შარდმუავას ჭარბ რაოდენობას თვლიან. „მყარი ადამიანური ლიგიკაა, – უცებ გამიელვა აზრმა, – რომ ტუალეტში შარდმუავაზე ვფიქრობ. **მათ** ალბათ გაეცინებოდათ! მე კი გავაგრძელებ!“ თუმცა ამ მოულოდნელი იმპულსისთვის ყურად-

ღება არ მიმიქცევია; გონებრივი ნაკადი თავისი გზით მიედინებოდა: გენიოსებს ტვინის სიდიდე კი არ განასხვავებს სხვა-თაგან, არამედ გენური ანსამბლი, არა რაღაც განსაკუთრებული სუბსტანცია, არამედ ჩვეულებრივი შარდმუავა – O-HN-CO-C-C-N-HN-CO-NH-C. თუკი ასე სა-სიკეთოდ მოქმედებს ადამიანებზე, ცუდი არ იქნებოდა გვეპოვა ისეთი ფორმულა, რომელიც ემბრიონალურ პერიოდშივე გაზრდის ორგანიზმში მის შემადგენლობას. მაშინ სამყაროში დასახლდებიან მხოლოდ კოპერნიკები, ნიუტონები, ჩაიკოვსკები, შოპენჰაუერები... მაგრამ როგორ იცხოვრებენ ისინი? ეინშტეინი მწვერვალია! აბა, მწვერვალის ძირას ვინ უნდა დავასახლოთ? ვინ მოემსახურება ინტელექტის პიკზე მყოფებს? ადამიანურ ჭკუას არ შეუძლია იყოს აქტიური თანამდევი კომპლექსური ინფრასტრუქტურის გარეშე. ეს ჩვენ, პუტივლელებს, არ გვჭირდება ის. თითოეული ჩვენგანი თვითონაა თავის თავის ბატონ-პატრონი! **მათ** კი? – **მათ** მეისრეების, მზარეულების, ზეინკლების, კონსტრუქტორების, მეგარდერობე-

ების გარეშე არ შეუძლიათ! გენიოსი ვერ გაიხსნება, მათი ნაყოფი შემოდგომისთვის მოუმწიფებელი დარჩება. ისე კი – გენიოსთა ფუძემდებლური იდეები მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის ტალანტებს ესმით; შემდეგ ისინი ამ აზრებს გადასცემენ ნიჭიერებს, რომლებიც უფრო მეტნი არიან მათზე, ხოლო ნიჭიერები უზიარებენ მათ ადეკვატურებს, რომლებიც, თავის მხრივ, ნიჭიერებზე მეტნი არიან. ეს ურთიერთობა ამით სრულდება. ადეკვატურები გენიოსის აზრთა მხოლოდ ერთ პროცენტს აღიქვამენ, ნიჭიერები – ათ-თხუთმეტს; ხოლო ტალანტები – ორმოცს. დანარჩენი სიმდიდრე იკარგება! წიგნთა საცავების თაროებზე იმტვერება, ფოლიანტებში ობდება, არქივებში მწნილდება! მაგრამ ამაზე უფრო საშინელი ციფრებიც ვიცოდი. ადამიანთა ინტელექტი პირობითი საზომი ერთეულით რომ გავზომოთ, ნიუტონსა და ეინშტეინს, ვთქვათ ას ორმოცი ერგებოდათ, დოსტოევსკისა და ჰეგელს – ას ოცდაათი; პლანკს, ვერნადსკისა და ჩაიკოვსკის – ას თხუთმეტი; ჩიუევსკისა და ფარადეის – ას ათი; ვალენტინ სეროვსა და ლობაჩევსკის – ასი;

მანსუროვსა და გავეს – ოთხმოცდაათი; ნამიკინსა და ტორესს – ოთხმოცი; ივანოვს, პეტროვსა და სიდოროვს – სამოცდაათი. მაგრამ პუტივლელებს ხომ ათასი აქვთ! ხუთი ათასი! აი, რა გიუური განსხვავებაა! აბა, რა მომავალი შეიძლება ჰქონდეთ ადამიანებს? ეს, უბრალოდ, შეუძლებელია! ეს კიდევ იმიტომაც ხდება, რომ *homo sapiens*-ები ინტელექტის პარამეტრებით განსაკუთრებულ ჯგუფებად იყოფიან. პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან – სამოცდაათი პროცენტით და ზემოთ – ივანოვ, პეტროვ, სიდოროვიდან ნიუტონამდე. მეორე ჯგუფს კი – ივანოვ, პეტროვ, სიდოროვიდან დებილებამდე. პროპორციული შესაბამისობით, ეს ორმოცდაათი ორმოცდაათზეა. გამოდის, რომ ადამიანთა ორმოცდაათი პროცენტი ისეთი არსებებია, რომელთა ინტელექტი სამოცდაათ პროცენტზე დაბალია. ასეთი კი სამი მილიარდი კრომანიონელია! თუკი ამ ციფრს ას პროცენტად მივიჩნევთ, მაშინ ის სამ სეგმენტად გაიყოფა: ნულიდან ოცდახუთ ერთეულამდე – ოცდაათი პროცენტი; ოცდახუთი ერთეულიდან ორმოცდაათამდე – ისევ ოც-

დაათი პროცენტი; და ორმოცდაათი ერთეულიდან სამოცდაათამდე – ორმოცი პროცენტი. პირველ ჯგუფში შედიან ადამიანები, რომელთა სიტყვიერი მარაგი ასი სიტყვისგან შედგება. ასეთები ხუთას მილიონამდე იქნება. სულ ასიოდე სიტყვა! განა ეს არის გონიერება, ესენი უნდა გამხდარიყვნენ სამყაროს ბატონ-პატრონნი?! მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან არსებები, რომელთა სიტყვათა მარაგი ათასს აღწევს; ასეთებიც ხუთას მილიონამდე არიან. ამ მოდგმის ხალხისგან მხოლოდ ჩემი პროფესიის ადამიანები თუ დადგებიან: დამლაგებლები, კურტნის მუშები, მატარებლის გამცილებლებლები, ციხის ბადრაგები, ან რიგითი მილიციელები. მესამე ჯგუფში შედიან ადამიანები, რომლებიც მეტყველებისას სამი ათასამდე სიტყვას იყენებენ. ასეთებს შეუძლიათ იმუშაონ გამყიდველებად, მძლოლებად, რადიო და ტელედიქტორებად, მუშებად მშენებლობასა და ქარხანაში, შოუმენებად. აქედან რომელს შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია, რომ ის ბუნების გვირგვინია? „პუტივლელთა პროგრამის თვალთახედვით, განა შეიძლება

ეფექტურად გამოიყენო **მათი** მოკრძალებული გონი – დედამიწელთა ინტელექტის კოსმოსში გადასახლებისთავის? მაშ, სად უნდა წაიყვანო ეს უაზრო პუბლიკა?“ აქ ასეთი აზრი გამიჩნდა: ადამიანთა პასპორტი ხომ მათი გონის არქაულობისა და გულუბრყვილობის აპოთეოზია. თვითონვე ამძაფრებენ პრობლემას: ოცდამეერთე საუკუნის გარიურაუზე ასეთი პრიმიტიული დოკუმენტი?! გვარი, სახელი, მამის სახელი, ჩაწერა! უაზრო, დამამცირებელი ხერხია მათი რუსული პასპორტებით იდენტიფიცირება და გაბეჭდინერება. განა დღეს ასე უნდა ასხვავებდნენ ერთმანეთისგან კრომანიონელებს? რა სიღატაკეა! ნუთუ პუტივლელს შეიძლება აინტერესებდეს ლევ ტოლსტოის ან ციოლკოვსკის ამგვარი მონაცემები? მე უარვყოფ ამას – პასპორტის მონაცემები ჭკუის საკვები ვერ იქნება! ისინი სპეცსამსახურებისთვისაა საინტერესო! აი, ეს გახლავთ ადამიანის გონების სიბნელე. ერთ-ერთი ცნობილი ადამიანის პერიფრაზი რომ გავიმეორო, ვიტყოდი: „მომეცით თქვენი გენეტიკური

მონაცემები და გეტყვით, ვინ ხართ თქვენ!“ პასპორტში სწორი გენეტიკური მონაცე-  
მების შეტანაა საჭირო: ეს სრულიად  
განუმეორებელი მონაცემებია, უფრო ზუს-  
ტი, ვიდრე თითის ანაბეჭდი! გამახსენდა  
მაგალითები: მიტოხონდრიალური სუპერ-  
ოქსიდიმუტაზა (SOD2), გლუტატიონ-პე-  
როქსიდაზა (GPX1), პარაოქსონაზა (PON1)  
ან ApoE, ლიპოპროტეინლიპაზა (LPL),  
ენდოტელინი (EDN1), ანდა ანგიო-  
ტენზინოგენი (AGT) და ა.შ. სწორედ ასე  
უნდა გამოიყურებოდეს პუტივლელის  
პასპორტი. ჩახედავ და ყველაფერს შე-  
იტყობ *cosmicus*-ის შესახებ: როგორი ტი-  
პია, რა სპეციფიკა, გატაცებები, შესაძლებ-  
ლობები აქვს, მიდრეკილია თუ არა  
არანორმალურობისაკენ. მთავარი მაინც  
ისაა, რომ არავისში შეგეშლება. ინსტი-  
ტუტში ჩაპარებისას, სამსახურში მოწყო-  
ბისას, დისკუსიაში მონაწილეობის წინ  
წარადგენ შენს გენეტიკურ მონაცემებს და  
მიიღებ ან არ მიიღებ კუთვნილ ადგილს.  
ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტროს  
პასპორტი კი არ უნდა არსებობდეს, არა-  
მედ გენეტიკური. როგორ არ ესმით **მათ**,

რომ ზოგიერთი გენოტიპისთვის ალკოჰოლური თრობა შემარბილებელ ფაქტორს წარმოადგენს და არა – პირიქით! ალკოჰოლის ზემოქმედებისას **მათ** არ შეუძლიათ გენეტიკურ დონეზე მართონ საკუთარი თავი და თან თუ ეს თრობა იმდენად ღრმა და ძლიერია, რომ წარმოუდგენელია სოციალური და სამართლებრივი ნორმების დაცვა. ხომ არ შეიძლება დავსაჯოთ დაზგა, რომელიც შესაფერისი ძაბვის უქონლობის გამო, ამცირებს ბრუნვის სიხშირეს და აფუჭებს დეტალს! არ შეიძლება ვლანძლოთ ავტომობილი იმისთვის, რომ შეუფერებელ დროს გაჩერდა, რადგან მოტორი დაუზიანდა. ასევე არ შეიძლება მოძალადის გამოსწორება ციხეში ჩასმით. გენური ინუინერია მას დედის საშოშივე უნდა დაეხმაროს, რათა გამორიცხოს მისი შემდგომი სამართლებრივი დევნა. ადამიანები კანონმორჩილებას კი არ უნდა მივაჩვიოთ, არამედ გენეტიკური თანხლების აუცილებლობას. სასაცილოა, რომ ასეთი მარტივი რამები არ ესმით **მათ**. **ისინი** არც კი ფიქრობენ ამაზე! კონფლიქტი ცივილიზაციასა და ბუნებას შორის სულ

უფრო მწვავდება, იკრებს ძალას და სახავს პერსპექტივას: დედამიწაზე ადამიანთა არსებობა მატერიის განვითარებას ეწინააღმდეგება. არც მეტი და არც ნაკლები! ხოლო თუ ფინანსურ და ინტელექტუალურ რესურსებს ამ პრობლემის კვლევისკენ მივმართავთ – პროეურატურის, შინაგან საქმეთა ორგანოების, სასამართლოების, ადვოკატურის მუშაკთა რამხელა არმია დარჩებოდა უსაქმოდ და განიდევნებოდა ქუჩაში! რა საჭიროა მილიცია, თუ ადამიანი ისეა აგებული, რომ მას არა აქვს და არც ექნება სურვილი დაარღვიოს სამართალი? მაგრამ ის არსებული მუტაციის პირობებში სხვაგვარად არის შექმნილი. საჭიროა **მისი შეცვლა!** ასეთი რამ რომ მომხდარიყო, რამდენი სადამსჯელო ოფისი გამოთავისუფლდებოდა! ბიუჯეტის რა თანხა დაგროვდებოდა სახელმწიფო სალაროებში! რა მატერიალური რესურსის დახარჯვას შესძლებდნენ **ისინი** თავისი მოდგმის სრულყოფისათვის! მაგრამ **მათ** საამისოდ გონიერება არ ჰყოფნით. ამ პროგრამაში ჩემთვის სასურველი ექვს-ნახევარ მილიარდს შორის ორმოცდაათი ათასზე მეტი

არ აღმოჩნდებოდა. ეს კი მთელი პოპულაციის 0,0001 პროცენტია! მეტისმეტად ცოტაა! თითქმის არაფერი! ჩემი თანამონანილეობის გარეშე **ისინი** ამ პრობლემას ვერასოდეს გადაწყვეტენ! ავიღოთ მაგალითად, მედიცინის მუშაკები. პუტივლელებს ისინი არ დასჭირდებათ, ხოლო გარდამავალი პერიოდისთვის შეიძლება მხოლოდ ქირურგები, ბებია-ქალები და გენეტიკოსთერაპევტები დავტოვოთ... ამ მომენტში კვლავ სამოსამსახურო ზარი გაისმა. მაშინვე შევწყვიტე საკუთარ თავთან საუბარი, გამოვვარდი ტუალეტიდან და სცენისკენ გავიქცი. მესამე სურათიც დასრულდა. საჭირო იყო დეკორაციის გადაადგილება. მეოთხე სურათით სპექტაკლი მთავრდებოდა. კულისებში საბალეტო და თეატრალური ბომონდი იკრიბებოდა: აბრეშუმისა და ხავერდის კაბიანი, ბრილიანტასხმული ქალები, თავმომწონე მამაკაცები სმოკინგებით, ყელთან განასკვული ბაფთებითა და ტუშით დახატული თვალებით. კულისებს მიღმა კი ნაკლებმიშვნელოვანი საზოგადოება გროვდებოდა. არას-დროს მენახა, მაგრამ მაინც თვალშისაცემი

გახლდათ **მათი** გარეგნობა. **ისინი** ნერ-ვულად უმზერდნენ ერთმანეთს; ვიღაც ხელს სწევდა, რომ მაღალჩინოსანს მი-სალმებოდა, მეორე – თავს უკრავდა, ან მალულად ჰაეროვან კოცნას უგზავნიდა. მაგრამ თითქმის ყველა აღფრთოვანებული შეჰყურებდა ყვავილის გედებს. ქრიზან-თემების სიახლე და სილამაზე იდუმალი თეთრი ბრწყინვალებით იპყრობდა ყველას ყურადღებას. უმეტესობის ეჭვიანი გამო-ხედვა შურით ანთებულიყო. მეჩვენებოდა, რომ კულისებში შეკრებილ საზოგადოებას არაჩვეულებრივი საჩუქრის ინტრიგა უფრო აინტერესებდა, ვიდრე გრიგორიევის პრემიერა, ვიდრე ჩაიკოვსკის მუსიკა, ვიდრე ცეკვის დრამატურგია. სპექტაკლის უკანასკნელი მეოთხე სურათი ყველაზე ხანმოკლეა და ოცდახუთ წუთს გრძელდება. მუშებს ეკრძალებოდათ არიერსცენის და-ტოვება. ამიტომ მე და ჩემი კოლეგები საამქროდან ვეტმასნებოდით მექანიზმებსა უზარმაზარი შენობის სამოსამსახურო ნაწილის კედლებს. ჩვენ ვიდექით კალა-თებისა და თაიგულების გარემოცვაში. მათ

კი წერილები ჰქონდათ დამაგრებული: „ცისკარიძეს – ნელი დომანსკაიასგან“, „ვოლოჩკოვს – მარიკა ლოლუასგან“, „უვაროვს – ზიფა ბასინოვისგან“, „მედვედევს – ნინა მოლჩანოვისგან“, „ბრწყინვალე ბესმერტნოვას – მიხეილ მელიანისგან“ და ა.შ. მხოლოდ გედებს არ ჰქონდათ არავითარი სავიზიტო ბარათი. ეს ვითარება ინტრიგას განსაკუთრებულ კოლორიტს სძენდა. დიდი თეატრის ისტორიას ჯერ არ ახსოვდა მსგავსი დიდებული საჩუქარი. ყველა, ვისაც კალათი ან თაიგული მოეტანა, ანონიმი კონკურენტის დაუჯერებელი ხელგაშლილობით დამცირებული გახლდათ. ჩემს გვერდით იდგა ქალი, რომელიც თანამოსაუბრეებს ეუბნებოდა: „ვიცნობ ამ ტიპს. ამ დიდებული საჩუქრით თეატრალურ დასში თავისი საყვარლის ჩარიცხვა სურს.“ მახლობლად მდგარმა მამაკაცმა სულ სხვა ვერსია შემოგვთავაზა: „გრიგორიევმა მთავრობაში ერთ-ერთ ბიზნესმენს შავ ზღვაში ნავთობსადენის მფლობელობა გაუჩალიჩა. ეს საჩუქარიც მადლობის ნიშნად მოართვა. იქვე მყოფი ხუთეული, ერთმანეთს რომ არ აცლიდა

ლაპარაკს, სკანდალურ აზრს გამოთქვამდა: „ეს თვითონ მან დაუკვეთა თავისთვის! ჰა-ჰა-ჰა! მე ვერ მომატყუებს!“ „ეს გედები ჰომოსექსუალთა კლუბმა უძღვნა!“ – „რა ჰომოსექსუალები, მას ხომ უამრავი ქალი ჰყავს საყვარლად!“ – „ამბობენ, ეს დუშკო-ვისგანაა, უფრო სწორად, მისგან კი არა, მისი სპონსორებისგან და მან ეს მერის თხოვნით მოართვა.“ – „ეს გედის თაიგუ-ლი კი არა, გედის გვირგვინია! ხედავთ, რა წითელი თვალები აქვთ? გედებს განა წითელი თვალები აქვთ?“ შემდეგ კი სრუ-ლი საზიზლრობა წამოროშეს: „ყვავილები ახალი არაა, ალბათ სასაფლაოზე აკრიფეს. გამიგონია მსგავსი ფანდების შესახებ“. მე ჭერს შევაჩერდი, რომ ბომონდის წარმო-მადგენელთა გამოხედვას არ წავწყდომო-დი. ადამიანური შურის საზიზლარი გენი ჩემს თვალწინ ჰყვაოდა. ადამიანთა შორის არც ერთი არ საუბრობდა სპექტაკლისა და ბალეტის შესახებ. ხელოვნებისა არაფერი გამეგებოდა, თორემ ადამიანთა ბუნების გენურ მოზაიკაში ცუდად არ ვერკვეოდი. მე ხომ სწორედ ეს მაინტერესებდა. ეს არ-სებები მზად იყვნენ შესასანსლათ ერთმანე-

თი, კბილებით დაეგლიჯათ ყველა ყვავილი გედებიანად, ბალეტის ავტორისთვის წაეგლიჯათ დაფნის გვირგვინი და გადაეყლაპათ კიდეც. ერთნი ამას შურით იზამდნენ, მეორენი – აღვირახსნილი აღფრთოვანების მოზღვავების გამო. განა შემეძლო შევგუებოდი **მათ** სამყაროს, კულტურას, **მათ** გენურ ანსამბლს? იქნებ ამიტომაც ცოცხლობენ ისინი ასე ეფემერულად და თან მცირე ხანს? უბედურები! ბუნება თვითონ იშორებს **მათ** თავიდან. ისინი მას, უბრალოდ, აღარ სჭირდება. რესურსი, რომელმაც მთლიანად ამონურა თავი, გამოუსადეგარი გახდა! შევეცადე, გამომერთო საკუთარი ტვინი და სპექტაკლის დასასრულს დავლოდებოდი. ბოლოს-დაბოლოს, აპლოდისმენტებმა იფეთქა, აღფრთოვენების შეძახილებად, ფეხსაცმელების ბრაგუნად, გალერიდან წამოსულ გამაყრუებელ სტვენად გადმოიღვარა! ეს რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. ამ აღფრთოვენების აღწერა შეუძლებელი გახლდათ! გულწრფელად გეტყვით, თავში გამიელვა, რომ **ისინი** საკუთარი გენეტიკური გარდაქმნის სიცხადემ გაახარა. ეს

აზრი იქვე უკუვაგდე და ცდა დავიწყე: ჩემი მოვალეობა დეკორაციების მოშორება, სცენაზე გედებისა და ყვავილთა კალათების გატანა იყო. მაგრამ როგორც კი ფარდა დაიხურა, ვიღაც ჩასუქებული ადმინისტრატორი შემოვარდა და შეჰყვირა: გედები უკან, პანდუსზე! საძრომ ჭაში! სცენაზე არ დავინახო ისინი! სწრაფად! კარამანოვო, მანდრიკინო, გაიგეთ? ჩქარა!“ კულისებსა და მის მიღმა შეკრებილმა ბომონდმა გაოცებისაგან პირი დააღო: ეს როგორ მოხდა? რა მოხდა? ვიღაცამ დაიძახა: ბატონო ლისტოვკინო, რაშია საქმე? რა მშვენიერი გედებია! გაიტანონ ისინი სცენაზე, რა იქნება! ისინი ხომ გრიგორიევს მოართვეს!“ ასეთ რამესაც გაიგონებდით აქ: ბალეტი ერთი მსახიობის თეატრი არ გახლავთ! რატომ უნდა მიართვან ერთს გედები, მეორეს – თაიგულები, მესამეს კი – ხვიშტი?“ – „მაინტერესებს, ვინ გამოგზავნა ეს ყვავილოვანი გედები. ჩვენი გამასხრება სურდა? ოლიგარქი არტისტებს შეურაცხყოფს! დავამტვრიოთ ყვავილის სასწაული! ამ დროს ისევ გაისმა ბატონი ლისტოვკინის მომთხოვნი ხმა:

ჩქარა! დირექციის განკარგულებით: გედები ლიუკში! თუ ისინი ბალეტმაიტერს სჭირდება, სახლში წაიღოს! დიდი თეატრის სცენა ფლორისტების კონკურსი არ არის! ჩქარა, ფარდა ისევ უნდა ავნიოთ!“ გრიგორიევი შეტრიალდა, რომ ამ დამამცირებელი ფუსფუსისთვის თვალი არ ედევნებინა! ერთნი გედების გატანას მოითხოვდნენ, მეორენი – დატოვებას! ვიღაც შუახნის ჭაღარა ბატონი მოკლევარცხნილობითა და სმოკინგით მოქანდალისტოვკინთან და მოურიდებლად სჩრიდახელში დოლარების შეკვრას, თეატრის მენეჯერი დაბნეულობისგან სახეს ხელებით იფარავდა. „არა, არა, არა – დაჟინებით იმეორებდა ის – დირექციამ აგვიკრძალა. უი, სამსახურიდან დამითხოვენ!“ – „გაეცით განკარგულება, გედები სცენაზე გაიტანონ! თუნდაც ხუთი წუთით, მხოლოდ ხუთი წუთით! კარგი, კარგი, სამი წუთით! მერე კი ფარდა დახურეთ, „ – სთხოვდა მას უცნობი. „არა, არა, არა, – კვლავ იმეორებდა თეატრის დაბნეული ადმინისტრატორი. – ეი, კარამანოვო, მანდრიკინო, წაიღეთ გედები საძრომი ჭისკენ! გთხოვთ,

მოვითხოვ! ოი, ღმერთო ჩემო!“ – „აიღეთ ხუთი ათასი დოლარი და გაეცით ნებართვა, რომ სცენის ზემოთ მორბენალი სტრიქონით გაუშვან წარწერა: „მივე-სალმებით იური გრიგორიევის დაბრუნებას დიდ თეატრში!“ ეს ხომ შეგიძლიათ გააკეთოთ? – ხუთი ათას დოლარად. ათი ათას დოლარს კი სცენაზე გედების გატანაში გთავაზობთ! მაგიურებთ თქვენი სიჯიუტით! მე ნალდ ფულს ვიხდი. გრიგორიევი სცენაზეა. ამაში არავითარი პოლიტიკა არ ურევია! ეს მხოლოდ თაყვანისცემაა დიდი ბალეტმეისტერის მიმართ. თქვენ სულელი ხომ არ ხართ! ეს რა ხდება რუსეთში!“ – „არა, არა, არა! –დირექტორი ნახეთ! ასეთი საკითხები ზემოთ წყდება“ – ამოიყმუვლა ლისტოვკინმა. მიიჭრა ძვირფას საჩუქართან მაგრად ჩაავლო ხელი და სასონარკვეთილმა დაიღრიალა: „კარამანოვო, მანდრიკინო, დამეხმარეთ! აბა, ჩავკიდოთ ხელი და პანდუსისკენ! – დაუცებ, ისე რომ წუთიც არ გასულა, განაცხადა: მორჩა! სცენაზე უნდა გავიდე! მეც რაღაც გავაკეთე ამ სპექტაკლისთვის!“ კულისებში მდგარი ადამიანების

ერთი ნაწილი ეცა ყვავილის გედებს და იქიდან ქრიზიანთემებისა და ვარდების გლეჯა დაიწყო. მაგრამ მათი ყლორტები მოკლე აღმოჩნდა, ამიტომ გულგატეხილი ადამიანები პირდაპირ სცენაზე ყრიდნენ ყვავილებს. სანამ მე და მანდრიკინმა საძრომ ჭასთან მივათრიეთ გედები, მათგან მხოლოდ მეტალის კარკასი დარჩა. ნალვლიანი სანახავი გახლდათ! გაპუტული გედები საშინელი შესახედი იყო. და **მათი** ცივილიზაციის მიტოვებულ ნაშთებს წააგვდა, რომელთაც აღარავინ აქცევდა ყურადღებას. ფარდა აიწია. მთელი საბალეტო დასი და თეატრის ხელმძღვანელობა ხალხისთვის თავის დასაკრავად სცენაზე გავიდა. ოვაციები თხუთმეტიოდე წუთს გაგრძელდა. ყვავილის კალათები და თაიგულები სოლისტების ფეხებთან ეწყო. **ისინი** თავს ხრიდნენ და იღიმოდნენ. სამუშაო დღე მთავრდებოდა. გავიფიქრე, რომ ამ საღამოსვე სამუდამოდ დამეტოვებინა ეს მაღალკულტურული დაწესებულება. პუტივლელთა მოდელირებისათვის მასალის დიდ თეატრში ძიების ექსპერიმენტი სრული კრახით დასრულდა. თუმცა მე

სულ არ ვწუხდი ამ საღამოს მოსკოვის ცენტრში მომხდარი ამბით. არც მქონია რაიმე ილუზია, სწორედ ასეთ ადანიანურ ფინალს ველოდი. კრომანიონელთა მსგავსი ქცევა ჩემთვის ყოველდღიურობად ქცეულიყო. მარტო ყოფნის უსაშველო სურვილით უჩუმრად დავტოვე თეატრი და სტაროვაგანვის ჩიხისკენ წავჩანჩალდი. უღრუბლო, მშვიდი ამინდი იდგა. მოსკოვურ ნიავს დასრულებული დღის სურნელი მოჰკონდა, ლამპიონების ნათებაც თითქოს გზას მიჩვენებდა ჩემი ლარიბული საცხოვრისისკენ. ახალი აზრები მიმორჩილებდნენ: „როცა ადამიანები ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შეჰყურებენ, ყოვლის მომცველი გონის სიდიადისგან **მათ** მძიმე განცდა ეუფლებათ. მე კი ვარსკვლავთა უსასრულო ციმციმი ცნობიერების ჰარმონიულობის სიდიადეს მაგრძნობინებს. ეს ვეება კოსმიური სამყარო მშვენივრად თავსდება თავის თავში...“ რაც უფრო მეტს ვკითხულობდი, მით ნაკლებად მსურდა გარემოსთან ურთიერთობა. ოდოევსკი, უმოვი, სოლოვიოვი, ბერდიაევი, ფლორენსკი ჩემს გონებას განუზომლად ამ-

დიდრებდნენ. მაგრამ მხოლოდ იმ რუს ფილოსოფოსებს როდი ვაქცევდი ყურადღებას, რომელნიც პუტივლელთა მოსვლას წინასწარმეტყველებდნენ, ჩემს წარმოსახვას არანაკლებ იტაცებდნენ უცხოელი ავტორებიც: ტარასაკი, რობინსი, ანჰელი, ბორნი. უსაზღვრო სიბეჯითით ვნთქავდი ამ და სხვა ავტორთა წიგნებს. ვაგრძელებდი რა სეროვის მუზეუმში მეზოვედ მუშაობას, მთელ თავისუფალ დროს ბიბლიოთეკაში ვატარებდი, ვსწავლობდი გენეტიკასა და ფილოსოფიას, რომ ერთ მშვენიერ დღეს მსოფლიოს გასაგონად მეყვირა: „დავიწყოთ!“ ო-ო, როგორ ველოდი ამ დღეს! ნეტავ, მალე დადგებოდეს ის! ვგრძნობდი, რომ ბედისწერის ნებით, მე – ვასილი კარამანოვი – ორ ეპოქას შორის აღმოვჩნდი, რომ სწორედ მე დამეკისრა დასრულება დედამიწელთა მოძველებული, უსუსური ისტორიისა, რომელიც მხოლოდ ყვირილით ცდილობს ყურადღების მიპყრობას, და დასაბამი დამედო ახალი ერისთვის – მრავალგანზომილებიანი გონის მქონე არსებათა ერისთვის. ამ ბოლო ხანს ჩემი ბუდრუგანის მიმართ მშობლიური

გრძნობა გამიჩნდა: ისეთი, როგორიც ქრისტიანებს ეკლესიის მიმართ აქვთ, როგორიც იუდეველებს – სინაგოგის მიმართ, როგორიც მუსულმანებს – მეჩეთის მიმართ. ეს ფარლალალა საცხოვრისი ჩემთვის იმ ტაძრად იქცა, სადაც ლამღამობით მსოფლიოს – და არა მხოლოდ მახლობლის, არამედ მთელი უნივერსუმის გადასხვაფერებაზე ვფიქრობდი. ამ ლამეული განსჯა-აზროვნებისას რა ფეერიული სურათები არ წარმომიდგებოდა ხოლმე თვალწინ, ან ამით რა სიხარული არ აღიბეჭდებოდა ჩემს ცნობიერებაში! ამ წარმოსახვებს ყოველთვის ერთი, კომპიუტერული გრაფიკით შესრულებული ტილო აგვირგვინებდა: ვასილი კარამანოვი ჭრის წითელ ლენტს და cosmicus-ები მშვიდად, საკუთარი ლირსების გრძნობით, შედიან სრულიად ახალ, შემეცნების მარადიულ სამყაროში. აი, ახლაც ვწევარ ჩემს საწოლზე, მახურავს ძველთაძველი პლედი და ვაგრძელებ განსჯას – პუტივლელთა შესაძლებლობებზე. ადამიანი მუტაციის გზით, თუმცა ჰარმონიულ პირობებში, მომწიფდა. რამდენიმე ათეული მილიონი წლის

განმავლობაში დედამიწის ტემპერატურა მშვიდი იყო. ამიტომ ის – დედამიწელი – რამაპითეკიდან კრომანიონელამდე (ეს კი თხუთმეტ მილიონ წელს მოიცავს) ვითარდებოდა, დაახლოებით, ერთი და იმავე კლიმატის პირობებში. და სამწუხარო შედეგიც სახეზეა: მას არ შეუძლია გაუძლოს მაღალ ან დაბალ ტემპერატურას. პირველი პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც აუცილებელია: გენური მანიპულაციებით უნივერსალური ანსამბლი უნდა შეიქმნას, რაც საშუალებას მისცემს პუტივლელებს შეეგუონ დედამიწაზე არსებულ სხვადასხვაგვარ კლმატს. ეს მათ კოსმოსში თავისუფლად გადაადგილებისა და სხვა პლანეტებზე ცხოვრების უნარს შესძენს. გარდა ამისა, გადასაწყვეტია სუნთქვის პრობლემებიც. აქ გენური ინჟინერიის დახმარებით cosmicus-ებისთვის ისეთი ფილტვების შექმნაა საჭირო, რომ ისინი ისეთივე ფუნქციას ასრულებდნენ, როგორსაც აქლემისთვის კუზი ასრულებს. იმ განსხვავებით, თუ აქლემის კუზი ნამს ინახავს, პუტივლელის ფილტვებმა უანგბადი უნდა შემოინახოს და ყოველდღიურად თუ ყოველწლი-

ურად გამოიზოგოს. რაღაც ამდაგვარი უნდა მოვუხერხოთ კუჭსაც. ამჟამად ადა-  
მიანი სხეულის ტემპერატურის შენარჩუ-  
ნებას ორგანიზმი საკვების დანაწევრებით  
ახერხებს და ამგვარად, აუცილებელ კა-  
ლორიებს ინარჩუნებს. პუტივლელის ორ-  
განიზმი კი ისე უნდა გადავასხვაფეროთ,  
რომ მისი ტემპერატურა შინაგანი თუ  
გარეგანი ელემენტებით იქნას შენარჩუ-  
ნებული. შინაგანი აკუმულატორები შეუ-  
ფერხებლად იმუშავებენ: უპირველესად –  
მოძრაობისა და უჯრედთა შემცირების  
ხარჯზე; მეორე – მზის, გამა სხივებისა და  
ნებისმიერი აპარატის სიჩქარის მეშვეო-  
ბით, რომლითაც პუტივლელი იმგზავრებს;  
გარეგანი კი – მობილური ტელეფონის  
მსგავსი სპეციალურად ხელქმნილი გა-  
მოსხივებით. უკვე დროა, მანძილზე ენერ-  
გის გადაცემის პროექტი შევიმუშავო. ამ  
უმთავრესი საკითხების გადაწყვეტა დღის  
წესრიგიდან მოხსნის ძილის აუცილებლო-  
ბას. ადამიანები მასზე თავისი დროის ოც-  
დაათ პროცენტს ხარჯავენ. რუსის სი-  
ცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო  
მაჩვენებელი სამოცდაათი წელია, ევროპე-

ლის – სამოცდაცხრამეტი. რუსეთის მცხოვრებს დაახლოებით ოცი წელი სძინავს, ხოლო ევროპელს – ოცდაათ წლამდე. ექსპერიმენტის დასაწყისში cosmicus-ი დღე-ლამის მხოლოდ ათ პროცენტს უნდა ატარებდეს ძილში. მერე აუცილებელია ეს მაჩვენებელი სამ-ოთხ პროცენტამდე შევამციროთ, რაც ნიშნავს, რომ ძილზე ის, არაუმეტეს, ერთ საათს დახარჯავს დღეში. წელიწადში ეს მხოლოდ თხუთმეტ დღეს უდრის, ხოლო ოთხმოც წელიწადში – სამს. მაშინ ის უფრო პროდუქტიული და მეტად ეკონომიური გახდება: ჭამითაც – წელიწადში ხუთ-ათჯერ შეჭამს! პრობლემა ისაა, რომ ერთი ადამიანის შენახვა მეტისმეტად ძვირი ჯდება. ჯანმრთელობის დაცვაზე (მსოფლიოს საერთო მაჩვენებელს მოვიყვან) ერთ წელიწადში ათას დოლარამდე იხარჯება. ამ თანხაში მთელი კომპლექსი შედის: საავადმყოფოს მშენებლობა, მოწყობილობის შეძენა, მკურნალობა, მედიკამენტები, რეაბილიტაცია. ექვს-ნახევარი მილიარდი ათას დოლარზე რომ გადავამრავლოთ, ექვს-ნახევარი ტრილიონი დოლარი გამოდის. ახლა – კვება?

ერთი ადამიანი ამაზე ორი ათას დოლარს ხარჯავს წელიწადში. ეს რიცხვი ისევ ექვს-ნახევარ მილიარდ დედამიწის მცხოვ-რებზე რომ გავამრავლოთ, მივიღებთ ცა-მეტ ტრილიონ დოლარს. ბინების, ოფისე-ბის, ტრანსპორტის გათბობა? – ისევ მსოფლიო საშუალო მაჩვენებელი რომ ავი-ლოთ, ერთი ადამიანი ამაზე ორას ორმოც-დაათ დოლარს ხარჯავს. ჯამში ეს ერთ-ნახევარი ტრილიონი დოლარია. თბი-ლი ტანსაცმლის შეძენაზე დანახარჯის სა-შუალო მაჩვენებელსაც თუ დავითვლით: ერთ პირზე ორას დოლარს – წელიწადში ტრილიონ სამი მეტადი გამოდის. ციხეე-ბის, პატიმრების, ადმინისტრაციის შენახ-ვა, მათი უნიფორმა და ბადრაგის ამუნი-ცია? – ეს უკვე ერთი ტრილიონი დოლარია წელიწადში. ყველა ქვეყნის შინაგან საქმე-თა სამინისტროების ბიუჯეტი? – ესეც თხუთმეტი ტრილიონი; შეიარეღებულ ძალთა შენახვაც – კიდევ სამოცი ტრილი-ონი. ბიუროკრატიული აპარატის სამოც-დაათი პროცენტით შემცირება ოცდა-თხუთმეტ ტრილიონს დაზოგავს. საერთო ჯამში კი ას ტრილიონზე მეტ დოლარს მი-

ვიღებთ! ეს აშშ-ს წლიურ ბიუჯეტს ორმოცჯერ აღემატება, ხოლო რუსეთისას – ხუთასჯერ. ადამიანი არარენტაბელურია, სრული ბანკროტია! **მათი** ეკონომისტები ამიტომაც ვერ ახერხებენ რუსეთის ფინანსური გეგმის შემოთავაზებას. და ამ პირობებში ვერც მოახერხებენ. შანსი არა აქვთ! აუცილებლად უნდა შეიცვალოს ადამიანი, **ის** რენტაბელური უნდა გახდეს! მთელი საიდუმლო ამაშია! როგორ შეიძლება ერის რენტაბელობას მიაღწიო, თუ თითოეული მისი წევრი სრულიად არარენტაბელურია? ჩემი პუტივლელი მაღალ-რენტაბელური არსება იქნება! იმ პირობით, თუ მისი პოპულაცია ექვს-ნახევარი მილიარდის ნიშნულს შეინარჩუნებს, ბიუჯეტიდან თითოეული თორმეტ ათასს დოლარს მიიღებს. დღეს კი რუსეთის თითოეული მომუშავე მცხოვრები წელიწადში რვას დოლარზე მეტს ვერ იღებს. აქ კი უცებ – თორმეტი ათასი!.. და მოულოდნელად რუსი ფილოსოფოსის ნიკოლაი ფედოროვის ცნობილი აფორიზმი ამოტივ-ტივდა თავში: „ჩვენი სხეული – ჩვენს საქმედ უნდა იქცეს.“ როგორც ვლადიმერ

მონომახი თავის შვილებსა და შვილი-შვილებს აღმოსავლეთის ახალი მიწების ასათვისებლად აგზავნიდა, ვასილი კარა-მანოვი ასევე გაუკვალავს გზას პუტივ-ლელებს უნაპირო კოსმოსისაკენ. მიდით, დაიპყარით ის! დაიმორჩილეთ! სრულყავით საკუთარი თავი! როგორც კიევის რუსეთი იქცა რუსეთისთვის ვაჟკაცების აღსაზ-რდელ საბუდრად, ასევე იქცევა დედამი-ნაც იმ პუტივლელთა სანაშენედ, რომ-ლებიც სამყაროს დაიპყრობენ. ადამიანები ალბათ შეხტებოდნენ, მათი გაგებით, სულელური იდეებისაგან, მაგრამ მე ჩემი ტვინის ხვეულებს ვამრავლებდი ცნობი-ერებაში ისეთი სურათების წარმოსახვით, რომლებიც *cosmicus*-ების გენურ არქიტექ-ტურას ქმნიდნენ. თუ ადამიანები მოწყენი-ლობით იქანცებოდნენ და თავის თავს გონებრივ სჯაში კი არა, უზნეობის სტიქი-აში პოულობდნენ, მე პირთამდე ვივსებო-დი ქმნადობის ენერგიით. გამუდმებით ვფიქრობდი ისეთ რამეებზე, რაზედაც არავინ არასდროს დაფიქრებულა. ჩემი ცნობიერება აღსავსე იყო წმიდა, არტეზი-ული აზრებით, რომლებიც კოსმიური სილ-

რმეებიდან იფრქვეოდა. უცებ, როგორც ადამიანებთან დამშვიდობება, ისე ჩამესმა ჩაიკოვსკის „გედის ტბის“ მუსიკა. გამახ-სენდა დიდი თეატრიც, ყვავილოვან გედთა ჩონჩხები, შურისა და ბოროტების ის აპო-თეოზიც, მე რომ ვიხილე. იქნებ **ისინი** ყვე-ლანი ასეთები მაინც არ არიან? და მხო-ლოდ დიდ თეატრში შეიკრიბა შურიანი პუბლიკა? რა იქნება სხვა თეატრშიც რომ ვცადო? მაგალითად, იაუზაზე, ნელუბოვ-თან. ავტორიტეტული მოსკოვური თე-ატრალური კოლექტივია. იქ ასეთ რამეს არ იყადრებენ... მინდოდა მეფიქრა, რომ იქ სრულიად სხვაგვარად იქნებოდა!.. რამ-დენიმე დღის შემდეგ აღმოვაჩინე სახე-ლოსნო, რომელშიც ნახევარმეტრიანი მაღალ ფეხზე შემდგარი სასმისის რკინის კარკასი დავუკვეთე, მერე ის ყვავილების მაღაზიაში მივიტანე, რომ მასზე ყვავილე-ბი დაემაგრებინათ: ძირი თეთრი ქრიზან-თემებით უნდა ყოფილიყო მორთული, ხოლო თვითონ სასმისი – წითელი ვარდე-ბით. მეეზოვის ხელფასის გარდა, მე „კუკ-ლების“ ფულიც მქონდა შემორჩენილი. გავიგე, რომ თეატრში იაუზაზე 12 დეკემ-

ბერს ბორის პასტერნაკის „დოქტორი უივა-გო“ გადიოდა, შევიარე იქ, თავისუფლად შევიძინე ბილეთი და მოლარეს ვკითხე: მითხარით, თუ შეიძლება, ვინ არის დასში ყველაზე ცნობილი და გამოჩენილი მსახიობი?“ – „რომელიც „დოქტორ უივაგოშია“ დაკავებული?“ – დააზუსტა მან. „დიახ, სწორედ ის!“ – „ვლადიმერ სერებრიუხინი! ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარს ის. თვით უივაგოს თამაშობს. ძალიან მოგეწონებათ.“ – „სერებრიუხინი? ვლადიმერი?“ – „დიახ, დიახ!“ – „გმადლობთ! – თავი დავუკარი და მორიგესთან მივედი: მითხარით, თუ შეიძლება, როგორ მოვხვდე სცენაზე?“ – „სცენაზე? იქ არავის უშვებენ. რაშია საქმე?“ – „მე საღამოს სპექტაკლზე მაქვს ბილეთი. პირველად მოვახერხე თქვენს თეატრში მოსვლა. მინდა სერებრიუხინს ყვავილები მივართვა.“ – „თაიგული თუ კალათი?“ – „ეს რამდენადმე უფრო დიდია, ვიდრე კალათი.“ – „ადმინისტრატორს მიმართეთ. აი, მისი კაბინეტი.“ თეატრის მენეჯერთან საუბარი ხანმოკლე იყო. წვრილმანებში ჩაძიების გარეშე მან სცენაზე ყვავილების გატანაში ათი დოლარი

მომთხოვა. მე გადავიხადე და ვკითხე: „ვის გადავცე ყვავილები?“ – „მიიტანეთ სამოსამსახურო გასასვლელში და იკითხეთ პოტაპოჩკინი. ეს საქმე მას ევალება“. – „მას ეცოდინება, რომ თქვენ ნება დამრთეთ?“ – „კი, კი, დავურეკავ“. „სამი საათისთვის მოვალ“. – „არა, უმჯობესია, ექვსის ნახევრისთვის მობრძანდეთ“. ჩვენ დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ვიქირავე „გაზელი“ და ზუსტად ექვსის ნახევარზე გავჩერდი სამოსამსახურო შესასვლელთან. ჩემმა სასმისმა ფურორი გამოიწვია. ასეთი რამ არ ენახათ. სიტუაცია თეატრში „იაუზაზე“ დიდ თეატრში მომხდარს მახსენებდა. მსახიობები და სცენის მუშები ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „ვის მოართვეს ასეთი ძლვენი? ვინ დაიმსახურა ეს შედევრი?“ ერთ-ერთმა კიდეც დაუსტვინა: „აი, ესეც თაიგული!“ ამ დროს ჩემთან მოვიდა ბატონი პოტაპოჩკინი და ჩამჩურჩულა: „ასეთი მდიდრული თაიგულისთვის შენგან ოცი დოლარი მერგება! გპირდები, სპექტაკლის შემდეგ პირდაპირ სცენაზე, მაყურებლის თვალწინ მივართმევ სერებრიუხოვს ამ საჩუქარს. ჰა, როგორია?“

ჩვენ კითილად დავშორდით ერთმანეთს, შევედი თეატრში და მეცხრე რიგში ჩემს ადგილას მოვთავსდი. სპექტაკლს ძლივს გავუძელი. ბოლოს, როცა ის დასრულდა, გამოვცოცხლდი და ყურადღებით დავუწყე სცენას ყურება. ყვავილების კალათი ჭალა-რა შესუქებულ მამაკაცს მიართვეს. ის მსახიობი არ გახლდათ. ალბათ თეატრის მესვეური ნელუბოვია – გავიფიქრე მე. ერთი პატარა თაიგული უშუალოდ მსა-ხიობს გადასცეს, როგორც ჩანს, სწორედ ის იყო მთავარი როლის შემსრულებელი სერებრიუხინი: მეორე – ასეთივე თაიგული – ვიღაც ქალს. სპექტაკლს თვალს არ ვადევნებდი, ამიტომ გამიჭირდა გაგება, თუ ვის როლს თამაშობდა. სხვა ყვავილები არ ყოფილა. მიჩვეული ვიყავი ისე მეცქირა ადამიანებისთვის, როგორც ევოლუციის გასული ეტაპისთვის, როგორც საგნის-თვის, რომელიც სასწრაფო და ძირფესვიან შეკეთებასა და განახლებას საჭიროებს. ამიტომაც არ გამკვირვებია ჩემი ყვავილის სასმისი რომ არ შემოიტანეს სცენაზე. მა-შინვე მივხვდი, რომ „ყვავილოვანი ყუ-რადღება“ ისევე, როგორც სხვა წახალისე-

ბა, მათ ცხოვრებაში მხოლოდ რანგის  
მიხედვით თუ ხდება. უფროსს – დიდი და  
ორიგინალური, არტისტებს – დოზირებუ-  
ლი და მოკრძალებული! „ო, რა მართალი  
ვარ, – გამიელვა თავში. – თითქოს სარკე-  
ში ვჭვრეტდი: პუტივლელებს ადამიანთა  
კულტურიდან არაფერი უნდა შერჩეთ!“  
მათ არ გამოიტანეს ყვავილის დიდი სასმი-  
სი. ისევ შური? სიავე? სწორედ, რომ ასეა!  
იქნებ შევიკავოთ თავი დასკვნებისაგან?  
სასმისი წაიქცა, ყვავილები ფეხით გათე-  
ლეს, ქრიზანთემები თაგვებმა დახრეს...  
ასე დასრულდა ყველაფერი. გამოვედი  
ფოიეში. მუშას ერთი დოლარი გავუწოდე  
და პოტაპოჩკინის მოხმობა ვთხოვე. ის  
ანურული გამომეცხადა. „რაშია საქმე?“ –  
ვკითხე. „ჩემი ბრალი არ არის! ნელუბოვი,  
მისი ცოლი... როგორც კი თქვენი საჩუქა-  
რი დაინახა, მკითხა: „ვის მოართვეს?“  
ვუპასუხე ვლადიმერ სერებრიუხინს!“ –  
„გიორგი, როგორ დაუშვი ეს? შენ მხოლოდ  
კალათი, მას კი ასეთი შესანიშნავი საჩუქა-  
რი! ეს ხომ გამოწვევაა! რას იზამ?“ –  
„სცენაზე არ გაიტანოთ! გესმის?“ – ბრძა-  
ნა ნელუბოვმა, – პოტაპოჩკინმა ხელები

გაასავსავა: – რა უნდა მექნა...“ – „მე ხომ ფული გადავიხადე, შენ შემპირდი,“ – შევახსენე მე. „შეგპირდი? მე შენი სასმი-სით კულისები შემოვიარე, შეფის გაბრა-ზება დავიმსახურე. მშვიდობით! ასეთი საჩუქრები აღარ მოიტანო“. წმიდა ადამი-ანური ამბავი კვლავ განმეორდა. რამდენი ექსპერიმენტია კიდევ საჭირო?! არა, ისინი უნდა გაქრნენ ამ ქვეყნიდან. ლისტოვკი-ნიც, პანტიუხოვიც, პოდობედიც, სემიხა-ტოვიც და პოტაპოჩკინიც გასაქრობთა პირველ რიგებში უნდა იყვნენ. ჩავიცინე და მშვიდად გავცილდი ფოიეს. გარდერობ-თან ვლადიმერ სერებრიუხინი დამენია: „არ გეწყინოთ. მომავლისთვის კალათი ან უბრალო თაიგული მოიტანეთ! რა ვქნათ? უფრო უბრალო რამ, თუ შეიძლება!“ – აწურული მიღიმოდა ის. ჩვენ უჩუმრად გავშორდით ერთურთს. ამ დროს ერთმა სასაცილო ფიქრმა ამაფორიაქა: „ახლა უცებ ნელუბოვი რომ გამომეცხადოს, ბოდიში მომიხადოს და ცოლს გადააპრალოს ყველაფერი?“ ჩამეცინა და თეატრი დავტოვე. „არასოდეს აღარ მოვალ ასეთ დაწესებულებაში“. და დავფიქრდი: „ად-

რეული ბავშვობიდან სიმდიდრესა და სრულფასოვან ოჯახში, ძიძისა და მოსამსახურის ყურადღებით გარემოცული რომ გავზრდილიყავი, გაპუტივლელდებოდა თუ არა ჩემი ცნობიერება? იქნებ ადამიანთა მოდგმის ჩვეულებრივ წარმომადგენლად დავრჩენილიყავი? ჩემს გონიერაში შემორჩენილმა მწარე განცდამ გარკვეული დროით საკუთარი პერსონისადმი სიძულვილი გამიჩინა. „ვასილი, შეწყვიტე წამება, – ვუთხარი ჩემს თავს. – ერთხელ და სამუდამოდ გაიგე: სილარიბისა და შენს მიმართ გარშემომყოფთა სიძულვილის ფაქტორი მხოლოდ უმნიშვნელო ბიძგი შეიძლებოდა ყოფილიყო შენი გენური ანსამბლის შესაცვლელად. შენ *cosmicus*-ად დაიბადე. და ყოველივე ადამიანური თავიდანვე უცხო იყო შენი ბუნებისთვის. ამგვარი მსჯელობის შემდეგ, როგორც ჩანს, ცხოვრების ხაზის სიმტკიცის რღვევით შეშინებულმა, გავწყვიტე, უფრო მოვშორებოდი ადამიანებს და თავდავიწყებით გადავეშვი სიმარტვეში. არაფერი მჭირდებოდა უახლეს უკიდეგანო გონიზე ოცნების გარდა. საკუთარ ფარდულამდე ფეხით მოვინდომე

წასვლა. ჩავუყევი იაუზას, გავიარე სოლიანკა, ავუყევი სეროვის გზატკეცილს „ბავშვთა სამყარომდე“ და ვოზდვიუენკამდე ოხოტნი რიგით მივედი. უფრო და უფრო ვრნმუნდებოდი, რომ ადამიანთა ბიოლოგიური სახეობა მუტაციის უბრალო წყვეტილობაა. წარმოვიდგინე ავტობუს vita-ს სვლაგეზი პრიმატების განვითარების გზაზე – ოლდუვაი (კენია) – ჰადარი (ეთიოპია) – ტურკანის სანაპირო (მაროკო) – კოცეტანგი (ჩინეთი) – კარმელის მთა (იუდეა) – კრო-მანიონი (საფრანგეთი) – პუტივლი. ავტობუს vita-ს მოძრაობისას ჩამომსვლელ მგზავრთა სახეობა თანდათან რთულდებოდა. მართალია, ასე ვფიქრობდი მე, უცაბედად, ყოველგვარი ლოგიკის გარეშე, იქიდან ზოგიერთი პუტივლელი მგზავრი ცვიოდა. მაგალითად, ახლახანს, 1770 წლის 17 დეკემბერს ბონში ავტობუსიდან ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი გადმოვარდა; 1821 წლის 11 დეკემბერს მოსკოვში – თეოდორ დოსტოევსკი; 1844 წლის 15 ოქტომბერს როკენში ლიუტჩენთან ფრიდრიხ ნიცშე გადმოხტა იქიდან; 1849 წლის 27 სექტემბერს ავტობუსიდან

ივან პავლოვმა გამოაღწია; 1879 წელს დუნაიზე მდებარე ულმში ალბერტ აინ-შტაინი ჩამოვარდა; 197... ავტობუსი-vita ბოლოსდაბოლოს გაჩერდა. იქიდან კი ვასილი კარამანოვი გადმოვიდა. პუტივლ-ში იმიტომ აღმოვჩნდი, რომ სამყარო შევცვალო. მაგრამ ბუნება თავის საქმეს აუჩქარებლად აკეთებდა. ყოველ სახეობას ის თავის განსაკუთრებულობასა და ახალ თვისებებს ანიჭებდა. რა მანკი გააჩნდათ ავსტრალოპითეკებს? იცოდნენ კია, რა იყო მანკი? იქნებ მათ უკეთ იცოდნენ, რას ნიშნავდა კეთილის ქმნა? იქნებ მისი სიკეთე საკუთარი აგრძესის შეკავებით გა-მოიხატებოდა. აბა, სხვა რითი? მაგრამ თუ ლექსიკონში რამდენიმე ბგერა ჰქონდათ, რა სიკეთეზე უნდა ყოფილიყო ლაპარაკი! და ნეანდერტალელები? – თავისი ხუთასი ბგერით, რომელსაც წარმოსთქვამდნენ? რა მიზნებს, სწრაფვასა და მოვალეობებს უნდა აღეშფოთებინა მათი მოკრძალებული გონი? ან მანკი? არა, მანკი და სიკეთე წმიდა ადამიანური გამოგონებაა. ადამი-ანებმა ვერაფრით განსაზღვრეს, როგორ განესხვავებინათ კარგი და ცუდი, ძლიერი

და სუსტი, შერაცხადი და შეურაცხადი – ვერც სტატუსით, ვერც წარმოშობით, ვერც სხვა რაიმე აბსტრაქტული თუ მოუხელთებელი მიუსადაგეს ამას. გენური ანსამბლისა და გენოტიპის შესახებ **მათ** ჯერ არაფერი იცოდნენ, ამიტომ ძიებაში ირეალურ გაგებას წააწყდნენ – სიკეთესა და მანკას. და საკუთარი თავი ზნეობრივებად და უზნეოებად დაჰყვეს. და რა მერე? რა გამოვიდა აქედან! მასებმა **მათი** პოსტულატები არ აღიარეს! დღევანდელ რუსეთში ვინ არის კლასიკური სიკეთის მატარებელი? მაჩვენეთ ერთი, განსაზღვრეთ ვინ? ო-ო-ო, გამომეხმაურეთ, კეთილნო! მაჩვენეთ თქვენი სახე, განმიცხადეთ თქვენი ვინაობა!“ – ფიქრში შევძახე მე! არავინ ჩანს! არც შეიძლება ვინმე გამოჩნდეს! უმაღლესი ზნეობა მხოლოდ დამტვერილ ფოლიანტებში არსებობს, მხოლოდ მოსაწყენ განსჯასა და მცირე დასწრებით გამორჩეულ ლექციებზეა. თუკი ის ფარნებითა და პროფექტორებით, აგენტების დახმარებითა და სპეციალური ტექნიკის საშუალებით უნდა ეძებო, განა ეს სწორედ ის არ არის, რაც **მათ** აღიარეს? ისინი ქა-

დაგებენ და მოითხოვენ იმას, რისთვისაც *homo sapiens*-ი ბიოლოგიურად არ გახდავთ მზად. **მისი** ბუნებრივი არქიტექტურა სულ სხვაგვარია. **მათ** ზნეობის იმ პოსტულატების მისაღებად შესაბამისი გენეტიკური აგებულება არ გააჩნიათ. თუ სიკეთე მაინც გვხვდება, მეტად იშვიათად, შემთხვევით, საპაზისო გენეტიკური საფუძვლის გარეშე. სიმართლე ის არის, რომ სიკეთე *homo sapiens*-ებში მხოლოდ მაშინ ვლინდება, თუ **მათ** ორგანიზმში მეთილენტეტრაპიდროფალატრედუქტაზის (MTHFR) ჭარბი რაოდენობა აღმოჩნდა. რა უბრალო, ბანალურობამდე მისული ურთიერთდამოკიდებულებაა ცივილიზაციის მაღალზნეობრივ კრიტერიუმსა და მათი სახეობის ბიოქიმიურ შედგენილობას შორის! რა საჭიროა თქვენი ბიბლიის შესწავლა, მიეცით ადამიანს ადამიანური! თუ **მასში** არ არის MTHFR-ი, ინექციით კანქვეშ შეიყვანეთ ან ტაბლეტები გადააყლაპეთ. მაგრამ რა საჭიროა ტაძრების აგება? ფსალმუნების კითხვა? უფლის სიტყვის ქადაგება? მართლაც და – ვინ კითხულობს ბიბლიას? სახელმწიფო ბიბლიოთეკაში ვი-

კითხე კიდეც: არც ახსოვთ თუ ვინმეს ოდესმე მოეკითხოს ბიბლია. საერთოდ, უნდა აღვნიშნო, რომ სიმბოლოებზე დამყარებული, კოდირებული ბიბლიის წაკითხვა და მითუმეტეს, გაგება, ერთეულებს ძალუბთ. ესენი არიან ადამიანები, რომელნიც უტოლდებიან ფიზიკოს ისააკ ნიუტონს, ფილოსოფოს ალექსეი ლოსევს, კომპოზიტორ დიმიტრი შოსტაკოვიჩს, მწერალ მიხეილ ბულგაკოვს. და განა რამდენი შეიძლება იყოს მათი მსგავსი? და არა მხოლოდ რუსეთში, მთელს მსოფლიოში? ასი ათასი, სამასი ათასი, ან მილიონი. მაგრამ ეს ხომ პოპულაციის 0,005 პროცენტს შეადგენს! დარწმუნებული ვარ, რომ ეკლესიის მსახურთაც კი ბოლომდე არ ესმით ბიბლია! ეს ასეც უნდა იყოს. საჭიროა ადამიანის შეცვლა გენეტიკურ და არა სულიერ თუ გონებრივ დონეზე. მაღალგონიერება ხომ მხოლოდ ორგანიზმში შარდმუავას გაზრდაზეა დამოკიდებული. ამის გარეგნული გამოხატულება კი ნეკრესის ქარია. გაქვს ნეკრესის ქარი – შეგიძლია გაიგო ბიბლია. და მორჩა! იქნებით თუ არა მისი მიმდევარი, ეს უკვე

სხვა რამეა. თქვენ არჩევანის საშუალებაც გაქვთ, მე კი მაქვს უფლება დავუსვა თქვენს ინტელექტს დიაგნოზი – გაგიღოთ თუ არა მარადისობის კარიბჭე! პუტივ-ლელთა სიღრმის პირველი, ძალიან სუსტი ნიშნები შეიძლება აღმოვაჩინოთ იმ ავტორებთან, რომელთაც მე სიამოვნებით ვკითხულობ. მაგრამ **ისინი** შორს მაინც ვერ წავიდნენ. მაშ, რა ვუყოთ, ბატონებო, მუტაციას? ბიბლიურმა მცნებებმა ვერ შეაჩერეს მათი რბოლა! ავსტრალოპითეკებს ოთხი მილიონი წელი დასჭირდათ მუტაციისათვის: ნეანდერტალელებს, რომელთა რაოდენობამაც რამდენიმე ათასს მიაღწია – ორასი ათასი წელი; კრომანიონელებს კი, რომელთა რაოდენობამ ექვს მილიარდს გადააჭარბა, ორმოცდაათი ათასზე მეტი წელი არ უნდა დასჭირდეთ მუტაციისათვის. ეს ვადა უკვე ინურება!

**მათი** დრო გადის! ადამიანებმა ისეთი გარემო შექმნეს, რომ მუტაციის ტემპი მკვეთრად აჩქარდა. შორს არ არის ის დრო, როცა მხოლოდ მახინჯები დაიბადებიან. ამის პირველი სტადია პოპსაა! მათ უკვე დაიწყეს სივრცის დაპყრობა. თუ

დარჩა ვინმე, ვინც ვერ გაიგო, რომ თავ-დაპირველად იყო მუტაცია და შემდეგ გაჩნდა გონი, უნდა შეიგნონ: შეუძლებელია უმაქნის ერთ წერტილში ჩაჭაობდე. ეს ფიზიკის კანონებს ენინააღმდეგება. სწორედ მუტაციის შესაფერისი დრო და სივრცეა. ასეა მთელ სამყაროში!.. ამ ფიქრში მივაღწიე ჩემს ბუდრუგანამდე და დალლ-დაქანცული საწოლზე დავემხე. კულტურული ექსპერიმენტის პროგრამა დასრულდა. ახლა პოლიტიკაში უნდა გამოვცადო თავი, რითი დავიწყო. – რომელიმე პარტიის წევრი უნდა გავხდე. მალე სახელმწიფო დუმის არჩევნებია. იქნებ აქტივისტად ამიყვანონ? ორი-სამი დავალება იქნება საკმარისი, რომ რუსეთის პოლიტიკურ ფენას დიაგნოზი დავუსვა. რომელ პარტიას მივეკედლო? ჰო, არჩევნებამდე ჯერ კიდევ დროა. ესე იგი, შეიძლება მშვიდად გადავწყვიტო“. გამოვრთე შუქი, რამდენიმე წუთი ისე ვიწექი, არაფერზე მიფიქრია და ჩამთვლიმა. წუთის შემდეგ უკვე ღრმად მეძინა. მოკლე სიმბოლურ სიზმრებს ვხედავდი. თავდაპირველად ფეოდოროვის, ფლორენსკის, მურავიოვის,

ვერნადსკის, ჩიუევსკის ერთმანეთზე დაწყობილი წიგნები მესიზმრა. მერე უცებები გაქრა ეს ფოლიანტები; ისინი რაღაც ჩანაწერებმა შეცვალა, რომლებიც მსხვილი ბეჭდვური ასოებით იყო შესრულებული და ცოდნის სახლის ყველა კედელზე გაკრული. მე არა თუ თავისუფლად შემძლო ამ სტრიქონების წაკითხვა, არამედ მსურდა და მენატრებოდა კიდეც. „ალტერნატიულ შესაძლებლობათა გადაწყვეტის ფარგლებში, შემძლია გითხრათ, რომ MM სისტემაში აქსიომათა რაოდენობა უსასრულოა.“ მაგრამ რატომ არა აქვს ამას გაგრძელება? მინდოდა, მეყვირა კიდეც: ეი, თქვენ ვინც ხართ, რა მოსდევს ამას? მაგრამ თავი შევიკავე, რადგან უფრო საინტერესო ტექსტს წავაწყდი: „თქვენ მრავალკუთხედების წყება მოგეცათ. უნდა განსაზღვროთ, დაფარავენ თუ არა ისინი ევკლიდეს სიბრტყეს ისე, რომ გამოვიყენოთ მხოლოდ ეს მრავალკუთხედები და მათ შორის უმცირესი ღრიფოც კი არ დარჩეს“. მაგრამ ეს ამოცანა, როგორც რობერტ ბერგერმა თქვა, „გამოთვლითი საშუალებით გადაუყვეტელია“! გამეცინა: რა, მცდით, ბა-

ტონებო? მე ხომ პუტივლელი ვარ! ხაო  
ვანმა ბრძანა: მრავალკუთხა ფილები აღი-  
წერება მხოლოდ საგნობრივი რიცხვებით,  
რომლებიც უსასრულო მეათედი წილადე-  
ბით გამოიხატება, მაშინ, როცა ჩვეულე-  
ბრივ, ალგორითმებს მხოლოდ მთელი  
რიცხვებით შეუძლიათ ოპერირება... მაგ-  
რამ ამისგან თავის დაღწევა შესაძლებე-  
ლია...“ ამ მომენტში ვიღაცამ ძალით მო-  
მატრიალებინა თავი და მე კიდევ ერთი  
ციტატა ვიხილე: „ჩვენი ბუნება ჩვენში არა  
მხოლოდ აცნობიერებს საკუთარ თავს, არ-  
ამედ მართავს კიდეც მას“. უფრო ქვემოთ  
კი წავიკითხე: „ნამცეცა დედამიწაზე და-  
ბადებული უსაზღვრო სივრცის მხილვე-  
ლია, ხოლო ამ სივრცის მხილველი მის  
ბინადრად და მმართველად უნდა იქცეს“.  
და კიდევ: „ყველა ზეციური სივრცე ადამი-  
ანისთვის ხელმისაწვდომი მაშინ იქნება,  
როდესაც ის საკუთარ თავს პირველსაწყის  
ნივთიერებათაგან, ატომებისგან, მოლეკუ-  
ლებისგან შექმნის და ამის შემდეგ მხო-  
ლოდ მას შეეძლება იცხოვროს ყველა  
გარემოში, მიიღოს ყოველგვარი ფორმა“.  
„ეს რა ხდება ჩემს ცნობიერებაში? ადამი-

ანთა აზრების პარალელური აზრები გამიჩნდა? რა, ჩემი გაპუტივლელება **მათგან** მოხდა? არა! ეს შეუძლებელია! ფილოსოფოს-კოსმისტების კითხვა მე მხოლოდ მოსკოვში დავიწყე, ხოლო აზრები მუტაციის ხელოვნურად სტიმულირების შესახებ სიყრმიდან თან მდევს...“ უკმაყოფილებამ ძილი შემაწყვეტინა: გამოვერკვიე. საკუთარი თავი იმით დავამშვიდე, რომ ეს მხოლოდ ზმანება იყო და სხვა რამეზე დავიწყე ფიქრი: განა გუშინ არ ვოცნებობდი, რომ პუტივლელს ძილზე მხოლოდ რამდენიმე წუთი დაეხარჯებოდა. ამ დროს კი შუალამემდე უცნაური რამ მესიზმრება. როგორც ჩანს, თავდაპირველად საკუთარი თავი სრულად უნდა „გავაპუტივლელო“. არადა, წმიდა ადამიანური ჯერ კიდევ მუღავნდება ჩემში. ეს ძილშიც კი შეურაცხმყოფელია!“ დიდ ხანს ვიბორგე საწოლში, შევიცვალე გვერდი, თავი ბალიშში ჩავრგე, მაგრამ ძილი მაინც არ გამეკარა. იქნებ პოლიტიკურ მოძრაობაში „წინ რუსეთო!“ ჩავენერო – მოულოდნელად გამიელვა თავში: მაგრამ რატომ მაინცდამაინც იქ? სხვა პარტიებიც ხომ არის! ჰო, მაგრამ

რა განსხვავებაა! სინდისის გენის გამოსაკვლევად ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თუკი პირველად თავში ეს პარტია ამოტივტივდა, ორიოდ დღის შემდეგ შემიძლია ჩემი სამსახური შევთავაზო. საინტერესოა, რას მოითხოვენ ისინი: თავ-განწირვას, მტკიცე რწმენას თუ პარტიის ხელმძღვანელთა მოთხოვნებისადმი გულისხმიერებას?“ – „მომიტევეთ, ეს არა-მართებული წარმოდგენა ჩვენს პოლიტიკაზე, – ჩემში ვიღაცის უცნობი ხმა გაისმა, – ეს დემოკრატიული თანამეგობრობა გახლავთ. ჩვენი მიზანი – ნაციის აღორძინება! ჩვენ თანამემულეთა ბედნიერება გვსურს! შენ კი ვინ ხარ, რა ხილი?“, ეს ხმა ჩემს ნამუსზე შეგდებას ცდილობდა, სხვა-გვარად კი გამოუვიდა. ჩამეცინა და პასუხად მივუგდე: „ო, ო, კოლოსალური შესაძლებლობები გაგაჩნიათ სამართლიანობის იდეალებისადმი თქვენი ერთგულების და-სამტკიცებლად. ადამიანები მრავალ წელს ელოდნენ ამას! ამაზე რამდენს წერდნენ, ლაპარაკობდნენ, წინასწარმეტყველებდნენ შუმერული და არამეული ძეგლებით, ბიბლიური და რომაული ტექსტებით დაწყებუ-

ლი და ფოლიანტებითა და თანამედროვე მანიფესტებით დამთავრებული, რომ მალე ადამიანები ქონების დაგროვების ნაცვლად ცოდნას მიანიჭებდნენ უპირატესობას, რომ ისინი გონებას საქონელზე მაღლა დააყენებენ! და მერე რა? არც არაფერი! ქონებამ აშკარად აჯობა ცოდნას! სხვა-გვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. შეხედეთ ადამიანთა გენეტიკურ პასპორტებს – თქვენ მათში ამ დასკვნის მტკიცებულებას წააწყდებით. შეისწავლეთ გასაღების ბაზარი და დააკვირდით მკითხველთა რაოდენობას – მცირე ეჭვიც კი არ დარჩება არავის!“ ხმა არ გამომეპასუხა და ჩემს თავში აღძრული დიალოგი შეწყდა. თავი ისევ ბალიშზე მივდე და უშფოთველად დამეძინა. ნებისმიერ მოსკოველ მეტოვეს დილას მოსვენება არა აქვს. მეგაპოლისი მუხლჩაუხრელ მუშაობას ითხოვს! მაგრამ მე მომწონდა ალიონზე შრომა: ქალაქის ცენტრში სისხმზე ადამიანები თითქმის არ ჩანდნენ. სეროვის სახელობის მუზეუმის დირექციას ჩემს მიმართ პრეტენზიები არასოდეს გამოუთქვამს – ის, პრაქტიკულად, ვერც მამჩნევდა. ალბათ ასეა მიღე-

ბული ადამიანებში: კეთილსინდისიერად შრომობს კაცი და მორჩა. **მათი** ასეთი მენტალობა ხელს მაძლევდა. ბეჯითად ვაგრძელებდი ჩემი მოვალეობის შესრულებას, თავისუფალ დროს კი – ბიბლიოთეკაში ვატარებდი. სულ ახალ-ახალი წიგნები მოჰქონდათ ჩემთვის საცავიდან და ისინიც სულ უფრო და უფრო მარნმუნებდნენ ადამიანთა გენეტიკური არქიტექტურის მცდარობაში. **მათი** სიხარბე, სიძუნწე, სექსუალური აღვირახსნილობა, შური, გაბოროტება, მოდუნებულობა, კორუმპირებულობა, სამართლებრივი ნიპილიზმი, ტყუილი, პროვოკაციები, ალკოჰოლიზმი, ინტრიგების ხლართვა, ინტელექტის დაბალი დონე – ეს ყველაფერი თან სდევდა, სდევს და კვლავაც გაჰყვება **მათ** მოდგმას. ამ ნაკლოვანებათაგან გათავისუფლების მცდელობას – კერპთაყვანისმცემლობის, იუდაიზმის, მაჰმადიანობის, ქრისტიანობის მეშვეობით – არაფერი მოუტანია და ვერც მოიტანდა. ადამიანთა ისტორიაში იყო დრო, როცა ბატონობდნენ არისტოკრატები, როცა ქვეყანას სამხედროები მართავდნენ, როცა სათავეში პოლიტიკოსები იდ-

გნენ, როცა ბოლო სიტყვა ფიზიკოსებს ეკუთვნოდათ, როცა ხელისუფლება ფინანსისტებს ეპყრათ. ახლა გლობალისტები მბრძანებლობენ. და ამით ყველაფერი დამთავრდა. ყოველივეს მსხვილი წერტილი, შეიძლება, დავუსვათ! ვერც ერთმა **მათგანმა** ვერ შესძლო homo sapiens-ის შეცვლა. და არათუ შემცირდა, **მათმა** ნაკლოვანებებმა იმატა კიდეც! ნაირფერად აყვავილდა და სურნელადაც დაიღვარა. ფასიც დაედო! ახლა უნდა გადაიხადო, რომ უზნეობის გვირგვინი დაიდგა თავზე. კონკურსებსაც კი ატარებენ იმისთვის, რომ მოიპოვონ – „საუკეთესო მატყუარის“, „სექსუალური ლამაზმანის“, „ბრწყინვალე ინტრიგანის“, „შურის მეუფის“, „ბოროტი გენიოსის“, „შეუდარებელი მექავის“, „კრიმინალის ბელადის“, „ბიზნესის მეფის“ – სახელები. ეი, თქვენ, ეკლესიის მსახურნო, იდეოლოგებო, პროპაგანდისტებო, მეგაზეთეებო, მწერლებო, იურისტებო და მმართველებო! ბოლოსდაბოლოს ალიარეთ, რომ არაფერი გამოგივიდათ. ვერ მოახერხეთ! ყველა თქვენი განცდა ნულიდან დაიწყო და ისევ ნულს დაუბრუნ-

და! *Homo sapiens*-ის მოდგმა დეგრადაციას განიცდის! ზნეობისა და ინტელექტის დაცემა დაჩქარებულია! გენეტიკოსებს დაუთმეთ ადგილი, ბატონებო! ახლა მათი დროა. დარწმუნებული ვარ, რომ მათ გამოუვათ, რადგან ისინი *Cosmicus*-ების მართვას დაიწყებენ! მე, ვასილი კარამანოვი, ხელქმნილი მუტაციისა და გენური ინჟინერის მეშვეობით, თქვენგან პუტივლელებს შევქმნი. ევოლუციის ფენომენი ხელს არ მაძლევს თავისი შენელებულობის გამო. მინდა, თვითონ ვიმოქმედო! სწარაფად! ძირეულად! საიმედოდ! სამუდამოდ! მომენდეთ, დამიჯერეთ, თქვენგან მხოლოდ ერთი რამ მჭირდება – ხელი არ შემიშალოთ! არ შემენინააღმდეგოთ! ვიცი, თქვენი მენტალობისთვის რაოდენ მძიმეა დაჰყვეთ გონს... ქუჩების დაგვისას იმდენად ვულრმავდებოდი შინაგანს, იმდენად მავიწყდებოდა რეალობა, გარემო, რომ არათუ ვერ ვგრძნობდი, არამედ ვერც აღვიქვამდი ჩემს სამუშაოს და ამიტომ ვერ ვიხსენებდი მოძრაობებს აქანდაზითა თუ ცოცხით, ბარითა თუ ფოცხით. რეალურ ცხოვრებაში ჩემს არსებობას ნებისმიერი ყურადღე-

ბიანი ადამიანი ეჭვით შეხედავდა: „ასე ცხოვრება არ შეიძლება! ეს ადამიანური არ არის! იხსენით ის!“ დიახ, ღრმა დაკვირვებულობა, დიახ, ადამიანის გარეგნული მხარის უარყოფა, დიახ, მიზანთრობული აზროვნება, დიახ, მარტოობით აღფრთოვანება, დიახ, აბსოლუტური გონით გატაცება – განმასხვავებდა მე გარშემო მყოფთაგან. გარეგნულად მე ისევე გამოვიყურებოდი, როგორც ისინი, ოლონდ მეტისმეტად წითური ვიყავი. სხვა არაფერი განსაკუთრებული არ იყო ჩემში: მქონდა ცისფერი თვალები, როგორც რუსების უმეტესობას; გახლდით საშუალოზე მაღალი, როგორც ჩემ თანატოლთა უმრავლესობა. ვიყავი უფულო და უქონელი, როგორც რუსეთის ბინადართა ძირითადი მასა; უთვისტომო, არ ვიცოდი ჩემი გენეალოგია და ასეთებიც ათობით მილიონია რუსეთში! ერთადერთი, რითაც გამოვირჩეოდი – გახლდათ რწმენა ჩემს პუტივლურ წარმოშობაში, სურვილი მომეპოვებინა ახალი პერსპექტიული თვისებები დედამიწელთათვის. ორმოცდაათ მილიონ თანამე-მამულეთა შორის მხოლოდ მე ვიყავი, ვინც

საკუთარ თავს პუტივლელი უწოდა და ოცნებობდა **მათ** გათავისუფლებას ყოველივე ადამიანურისაგან. სწორედ დამცინავი თანამედროვე სამყაროს სისაძაგლე მიბიძგებდა, საათობით ვმჯდარიყავი სახელმწიფო ბიბლიოთეკაში. ადამიანური გონის პარადოქსები აშფოთებდნენ ჩემს ცნობიერებას; არ მასვენებდა ამპლიტუდა გამორჩეულ ინტელექტუალურ პიროვნებათა და მასას შორის. სწორედ ამაში ვხედავდი მე საოცარ შესაძლებლობას ბიოლოგიური გარღვევისაკენ. აი, მაშინ მივხვდი კიდეც, რატომ შეარქვეს **მათ** თავის თავს „გონიერები“: **მათგან** გამორჩეულებმა საკუთარი თვალით იხილეს მეგკვიდრეობითი ოლიგოცენის გამოვლინება მდაბალ ინსტიქტებში. და გაოცდნენ! ხოლო ამ გაოცებამ და განხიბლვამ ისინი პუტივლელებთან მიახლოვა! დარწმუნებული ვიყავი, რომ საუკუნობით დაგროვილი მასალა დამეხმარებოდა ჩემს წინაშე მდგარ ამოცანათა ამოხსნაში. და ამჯერად ჩემი გამოკვლევები ხარისხობრივად შეიცვალა: მე უკვე ვინიშნავდი, ვგეგმავდი მუტაციის სისტემას, თეორიულად ვქმნიდი

ბიოქიმიურ კოქტეილებს, რომლებიც გენ-თა არქიტექტურას შეცვლიდნენ, დავიწყე DNM-ის ფუნდამენტური შესწავლა, კიდევ ერთხელ დავუბრუნდი იმ ურთიერთგამომ-რიცხავ შეთანხმებულობას, როცა ფსიქო-პათია და ფსიქოზი დადებითად აისახება გენიალობაზე. ასევე აისახება გენიალობა-ზე ეპილეფსიაც. ამასთან, თითოეულ მათ-განს უვითარდება თვისება – უსასრულოდ და რუდუნებით იჩხრიკებოდეს წვრილ-მანებში და მეორე მხრივ, თავდაუზოგავად ეცადოს, დაამტკიცოს თავისი უპირატესობა, სხვაზე აღმატებულება. ამ ტიპის ყვე-ლაზე კაშკაშა ფიგურა გახლავთ თედორე დოსტოევსკი თავის დომინანტურ-მონო-ზომიერი, მემკვიდრეობით მიღებული ეპი-ლეფსის დიაგნოზით. განსაკუთრებული ნიჭიერება ხშირად იმ პათოლოგიურ დაძ-აბულობას, საკუთარი თავის გამოხატვის იმ ძლიერ სტიმულს ბადებს, რომელიც ყველა გენოსს აღენიშნება. ლერმონტოვი პირადი პრობლემებით მთლიანად არის შეპყრობილი, მისი ყოველი გმირი თვითონ ის გახლავთ! ხოლო თუ ეფროიმსონს მი-მოვიხილავთ, სხვა თვალსაჩინო პრობლე-

მასაც ვიპოვით... „ოჟ, ეს რა მემართება? – გავიფიქრე მე. – აზრებმა ლამის გახეთქონ თავი, ან როგორ ვიტევ მათ ჩემში? ეს რაღაც უფსკერო და უსაზღვრო კოსმოსია! იქნებ მეც იმავე სენით ვარ დაავადებული? ჩემი მშობლები ხომ უცნაური არსებები იყვნენ...“ და პირველად დამეუფლა შიში საყოველთაო გონის წინაშე. „არა, არა, საჭიროა მისი მოცულობის ნელ-ნელა თან-დათან გაზრდა, როგორც ძლიერი მარადმ-ნვანე სოჭისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება მართლა შევიშალო“. ჩემს მეეზოვის ბუდრუგანაში უკვე საკვლევმა ხელსაწყოებმა შემოაღწია, შევიძინე კომ-პიუტერი, ანალიზატორი და სხვა სასარგებ-ლო ტექნიკა. მეჩვენებოდა, რომ სულ მალე სერიოზულად შევუდგებოდი პუტივლელის გენეტიკურ მოდელირებას. ამ მოდგმის ფანტასტური მომავალი განუზომელ აღ-ფრთოვანებას იწვევდა ჩემში. საკუთარ თავს გამუდმებით ვუმეორებდი: „ჩემმა საათმა ჩამოჰკრა! ჩემმა საათმა ჩამოჰკრა! მატერიალური სამყაროს სიუხვით ტკბო-ბის მშვიდი პერიოდი სრულდება. მათი ცეკვა, მღერა და ცელქობა ჭკუის ნაკლე-

ბობით აიხსნება! **ისინი** ფუფუნების დეფიციტის გამო ოხრავენ, წკმუტუნებენ გარდერობის განახლების სურვილით!“ და მაინც არ მასვენებდა **მათი** გენის პატიოსნებასა და წესიერებაზე გამოცდის შესაძლებლობა. რამდენად გულწრფელნი არიან ადამიანები ფიქრსა და საქმეში, როცა ამომრჩევლებს რაღაცას ჰპირდებიან? მეტად მაშტალებდა ის ფატალური გარემოება, რომ პოლიტიკოსები თვალსა და ხელს შუა იცვლებიან: ერთ რამეზე საუბრობენ არჩევნებამდე და მეორეს აკეთებენ მათ შემდეგ. „ეს ექსპერიმენტი, შესაძლოა, სასარგებლო გამოდგეს, გავიფიქრე მე. – მთავარი მანიპულაციების დაწყებისთვის სწორედ ასეთი მონაცემები მაკლია. აუცილებელია **მათი** გენეტიკური თავისებურებების გორგლის დაშლა. ერთხელ შუადლისას, როცა მეეზოვის სამუშაო უკვე მოთავებული მქონდა, გამოვიცვალე ტანსაცმელი, იგივე ჩინური კოსტიუმი და ვიეტნამური ფეხსაცმელი ჩავიცვი და პარტიის „წინ რუსეთო!“ საოლქო განყოფილებაში წავედი. მათი ოფისი ლევ ტოლ-

სტოის ქუჩაზე მდებარეობდა. ახალშეღებილ სამსართულიან სახლს ეროვნული დროშა ამშვენებდა. „სად მიდიხარ?“ – მკითხა მორიგემ. „პარტიაში მინდა ჩავენერო“. – „ჰო, მაშინ მარჯვნივ წადი და მე-თერთმეტე კაბინეტია“. იქ საშუალო ხნის მამაკაცი დამხვდა. მისი სრული სახე, მელოტი თავი, პატარა, აჭყლეტილი ყურები, კისერზე იარა და დაქანცული მზერა სიბრალულს იწვევდა. მკითხა: „რა გინდა?“ – შემომაჩერდა. „პარტიაში მინდა ჩავენერო“. – „ფული გაქვს?“ – „არა!“ – „იმედია, აქ ფულის საშოვნელად არ მოსულხარ. სად მუშაობ?“ – „ცენტრალურ უბანზე, მეეზოვედ“. – „ესეც ასე! შენ კომუნისტებს უნდა მიაკითხო, აქ რა გესაქმება?“ – „შემეძლო კომუნისტებთანაც წავსულიყავი, მაგრამ თქვენთან მოვედი“. – რას ელი აქედან? რა მოგებას? რას მოგვთხოვ ჩვენ? უბნის უფროსი მეეზოვეობა გინდა, გამარჯვება კონკურსზე, „რუსეთის ყველაზე ჭკვიანი დამლაგებელი“, თუ სახლმმართველობის ხელმძღვანელობა?“ – „არა, არაფერს ვითხოვ!“ – „ეს როგორ?“ – „არა-ფერი მჭირდება“. – „ფსიქიატრის ცნობა

გაქვს?“ – „რის შესახებ?“ – „რომ ჯანმრთელი ხარ“. – „არა, არასოდეს დამჭირვებია. მოგიტანოთ?“ – „ალბათ. შენ რა, ჩვენი იდეალების მომხრე ხარ?“ – „რომლის?“ – „ჩვენი იდეალების! სხვა პარტიებმა დუმაში თავისი თავი გაამჟღავნეს. ჩვენ კი საუკეთესოები ვართ“. – „ვიმედოვნებ“. – „რა დავალების შესრულება გსურს?“ – „ნებისმიერის“. – „ნებისმიერის?“ – „დიახ! რასაც დამავალებთ“. – „კარგი, ცნობას თავი დავანებოთ. დღის რომელ მონაკვეთში ხარ თავისუფალი?“ – „დღისით – ორიდან ხუთამდე და საღამოს – შვიდის შემდეგ“. – „იქნებ ჩვენი ოფისი დაალაგო ხოლმე? ნაგავი ჩვენთან არ არის, მხოლოდ ნამწვი და ქალალდია. მაგრამ ანაზღაურების გარეშე, საზოგადოებრივ საწყისებზე, პატარა ოთახსაც მოგცემ, ხუთ მეტრიანს, თუმცა ფანჯრიანს... თანახმა ხარ?“ – „კარგი! საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. პარტიაში იმისთვის არ მოვსულვარ, რომ პირობები წამოგიყენოთ“. ისე იოლად დავეთანხმე ყველაფერზე, რომ მას ეჭვი გაუჩნდა. მისი ლოგიკით, ჩვეულებრივ ადამიანს არ შეიძლებოდა მოსწონებოდა

ამდენად არამომგებიანი და დამამცირებელი წინადადება. „შენ, ის... ჩვენს ცოცხებს ხელს ხომ არ გააყოლებ? – თვალები მოჭუტა მან. – ამჟამად ისინი დოლარზე მეტი ღირს. სამეურნეო ოთახში კი სამი ცალი დევს! იქ კიდევ ქუჩის დასაგველი ცოცხია, ბარი, საფხეკი, ტუალეტის ქაღალდი... ხომ არ მოიპარავ, ჰა?“ – „მე ეს არ მაინტერესებს“. – „ასე შთამბეჭდავად ბევრს შეუძლია ლაპარაკი. მართალი ვარ? კეთილი, დაიწყე მუშაობა და ვნახოთ. გახსოვდეს, ჩვენს პარტიაში მიღიცის მაღალჩინოსნები არიან გაწევრიანებული! გამოსაცდელი ვადის შემდეგ იქნებ მოგცე კიდეც სამეურნეო ოთახის გასაღები. მაგრამ გახსოვდეს: შენ კომერციულ სტრუქტურას კი არა, ცნობილ საზოგადოებრივ ორგანიზაციას ემსახურები. და თუკი ამაში არსებით განსხვავებას ვერ ამჩნევ, ესე იგი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ. არ გაზრდილხარ! ჩვენი პარტია ქვეყანაში ყველაზე მრავალრიცხოვანია, რაც ნიშნავს, რომ შენ სამშობლოს ემსახურები. ეს დიდი პატივია, ჭაბუკო! გამორიცხული არ არის, რომ უფრო რთულ დავალებებსაც მიიღებ. მაგალი-

თად, კურიერად გაგგზავნით სადმე, ან წარმომადგენლად მნიშვნელოვან ღონისძიებებზე. დახე, რა მაგარი კუნთები გაქვს! გაიგე?“ მე თავი დავუქნიე და რამდენიმე დეტალით დავინტერესდი – მთელი შენობა უნდა დავალაგო თუ არა, იატაკები თუ უნდა მოვრეცხო, რომელი სარეცხი საშუალებები გამოვიყენო, სად დგას ნაგვის ურნები და ა.შ. თუმცა კითხვები, რომლებსაც ვსვამდი, სავსებით აკმაყოფილებდა ადრე ჩაფიქრებული ექსპერიმენტის პირობებს. მე ვეძებდი პასუხს, არის თუ არა პოლიტიკურ ფენაში ისეთი ორიგინალური, რაც შეიძლება მომავალში – ახალი გენეტიკური ანსამბლის მშენებლობისთვის – გამომადგეს. ამიტომაც მეორე დღესვე დავიწყე პარტიის „წინ, რუსეთო!“ ოფისში დამლაგებლად მუშაობა. ამჯერად ექსპერიმენტი დროში არ შემიზღუდავს, მოთმინებით ველოდი შემთხვევას, რომელიც ამიხსნიდა პარტიელთა სპეციფიკას, **მათი** ნამუსის გენის დამახასიათებელ თვისებებს. რა შეიძლებოდა ყოფილიყო **მათში** საინტერესო პუტივლელთათვის? „იქნებ... იქნებ იყოს კიდეც რაიმე მისაღები? –

სკეპტიკურად ვფიქრობდი მე. იმ წინა-საარჩევნო მოწოდებებისა და ბანალური აზრების გარდა, რაღაც ხომ მაინც უნდა ჰქონდეთ სასარგებლო, რასაც ჩვენ ვერ ვწვდებით, რაც ამ ჯიშს არსებობის საშუალებას აძლევს, რაც სიცოცხლისუნარიანობას ანიჭებს! მაგრამ რა?“ ტოლსტოის ქუჩაზე მდებარე ოფისში დღეები უღიმდა-მოდ მიედინებოდა, ისეთი არაფერი ხდე-ბოდა, რაშიც მე ჩავერთვებოდი. მიუხედა-ვად ამისა, არ მტოვებდა აზრი, რომ დედამიწას მალე ბიოლოგიური პროგრესის ტრიუმფი შეაზანზარებს. თუმცა ეს ვი-თარება ჩემში ეიფორიას არ აღძრავდა. ფუნქციების შესრულებას ორივე სამსა-ხურში განვაგრძობდი; ჩემი კეთილი ზრახ-ვა და სიბეჯითე შესამჩნევად დაეტყო პარ-ტიულ დაწესებულებას. ის შეიცვალა. „კუკლებიდან“ შემორჩენილი თანხით ვყი-დულობდი არომატიზატორებს, შევიძინე საფერფლეები, ფანჯრის რაფებზე ყვავი-ლის ქოთნები შემოვდგი, ვაპრიალებდი ტუალეტის კაბინებსა და უნიტაზებს. მაგ-რამ ჩემი გამუდმებული დუმილი და ჩაკე-ტილობა მათში სიფრთხილესა და უნ-

დობლობას იწვევდა. ეტყობა, ერთი მოსულელოდ მთვლიდნენ, მეორენი – შეფარულ დამსმენად. „ეს წითური წავიდეს აქედან, მისი თანდასწრებით არ ვიღაპარაკებ“. ან „ვინ მონახა ეს დებილი?“ ანდა: „იატაკის რეცხვის ნაცვლად ამ ბეხლენისთვის კონკურენტების დაბეგვა უნდა დაგევალებინა.“ მაგრამ ჩემი – cosmicus-ის – გამახვილებული სმენა ასეთ რამესაც გაიგონებდა ხოლმე: „ცოლის მოყვანის დრო მოგივიდა. იატაკს ისე ხეხავ, როგორც ჯარიმააკიდებული ქმარი“. – „მასში რაღაც დედაკაცურია, არ იგინება, არ სვამს. რა, ბიჭები ხომ არ აინტერესებს?“ – „ზედმეტი უნდა გადავუხადოთ. ჩვენს სტუმრებს დახვდეს ხოლმე სადგურებსა და აეროპორტებში“. ეს, ადამიანური გაგებით, შეურაცხმყოფელი გამონათქვამები უფრო და უფრო მარწმუნებდა პუტივლელთა უპირატესობაში **მათთან** შედარებით. როცა ჩემს თავსა და **მათ** ერთმანეთს ვადარებდი, ისევ და ისევ ვფიქრობდი ადამიანთა ბედის ტრაგიკულობასა და cosmicus-ების პერსპექტივაზე. სიმარტოვე შედარების არაჩვეულებრივ შესაძლებლობას

მაძლევდა, თუმცა განსჯა იმხანად მხოლოდ მეტოვის ფარდულში, ჩემს საწოლზე შემეძლო. ყოველდღიურად ასობით ადამიანი მოდიოდა პარტიის ოფისში. ეს კი ცნობიერებას თრგუნავდა. ექსპერიმენტისთვის მხოლოდ ერთი მათგანი – პარტიულ კრომანიონელთა ყველაზე ტიპური წარმომადგენელი – მჭირდებოდა და არა სასიკვდილოდ განწირული ეპოქის ადამიანთა ბრძო. ერთხელ გავლენიანმა ფუნქციონერმა გამომიძახა და მკითხა: „მისმინე, წითურო, გაქვს გამოსასვლელი კოსტიუმი?“ – „არ მესმის, რა გაქვთ მხედველობაში, თუმცა მაქვს ერთი ჩინური კოსტიუმი“. – „რა დაგიჯდა?“ – „ორმოც დოლარამდე“. – „ფეხსაცმელი თუ გაქვს?“ – „ვიეტნამური სპორტულები.“ – „ფასი?“ – „რვა დოლარი“. – „მეტი არაფერი?“ – „მე მყოფნის“. – „სად ყიდულობ ამ ნაყარნუყარს?“ არაფერი ვუპასუხე. მერე გამოიძახა მძღოლი და ბრძანების კილოზე უთხრა: „წითურს მაღაზია „კალიგულაში“ წაიყვან. მე დავრეკავ იქ, რომ ჩააცვან, როგორც საჭიროა. მიხვდი? მიდი, ისიც ახლა ჩამოვა. – მერე მე მომიბრუნდა: თექ-

ვსმეტ საათზე „შერემეტიევოში“ ეკატერინ-ბურგელი სტუმრები ჩამოდიან. დარბაზში შენ ბატონ სტრუგოვშჩიკოვს უნდა შეხ-ვდე. მარტო არ იქნება. ჩვენი პარტიის სპონსორი და მეტად გავლენიანი ადამია-ნია. მანქანასთან მიატანინებ ბარგს, წაიყ-ვან სასტუმროში და დაეხმარები დაბინავე-ბაში. – ფუნქციონერმა საფულედან სამასი დოლარი ამოილო და მაგიდაზე დამიყარა. – აიღე! დარბაზში ბარია. ჩვენი სტუმარი სიამოვნებით სვამს კუანტროს. წინასწარ დაუკვეთე სასმელი და ორი ჭიქა ახალგა-მოწურული ფორთოხლის წვენი. როგორც კი გამოჩნდება, მიუახლოვდი მას სიტყვე-ბით: „პარტია „წინ, რუსეთო! მოგესალმე-ბათ დედაქალაქში. ბარმენმა კი მაშინვე უნდა შესთავაზოს სასმელი. მისი გარე-მოცვიდან ვინმეს არაყი, კონიაკი და სხვა რამ თუ მოუნდება, წამსვე შეუკვეთე. გაიგე?“ – „გასაგებია, მაგრამ როგორ ვიც-ნო?“ – „შენ რა ერთხელაც არ გინახავს სტრუგოვშჩიკოვი ტელეეკრანზე?“ – „მაპა-ტიეთ, მაგრამ არა.“ – „სოფლელო! წახვალ საპასპორტო კონტროლზე, გადაიხდი ხუთ დოლარს და ისინი მიგითითებენ მასზე.

ახლა ყველაფერი გაიგე?“ – „დიახ!“ – „ნა-დი ახლა და გამოეწყვე! ლაპარაკს ნუ გაა-ბამ. შენი მოღვაწეობის შესახებ თუ გკით-ხავენ რამეს, უპასუხე, რომ დამწყები კომერსანტი ხარ, პარტიის აქტივისტი. შენი ძონძებისა და ცოცხების შესახებ არა-ფერი წამოგცდეს! გაიგე?“ – „დიახ!“ – „მძღოლი გელოდება. ჯერ თავი მოიწე-რიგე. წადი!“ „კალიგულაში“ ეკიპირების შემდეგ პირველი პარტიული დავალების შესასრულებლად გავემგზავრე. VIP დარ-ბაზი არც თუ დიდი იყო – რა თქმა უნდა, სახელმწიფო ბიბლიოთეკისა პარტიის „წინ, რუსეთი!“ – დარბაზებთან შედარებით, სა-დაც ხალხმრავალი შეხვედრები ეწყობოდა. მივედი მესაზღვრესთან, გავუწოდე ხუთი დოლარი და დახმარება ვთხოვე. მადლობა ღმერთს, ის სახეზე იცნობდა სტრუგოვ-შჩიკოვს და დამპირდა, მიგითითებო მასზე. ეტყობა მართლაც რესპექტაბელურად გა-მოვიყურებოდი, რადგან პატივისცემითა და ინტერესით მიმზერდნენ. შევუკვეთე კუანტრო, სამი ჭიქა ფორთოხლის წვენი და საპასპორტო კონტროლის სიახლოვეს დავუწყე ცდა პარტიის სტუმრებს. მალე

ჩემსკენ ღიმილით წამოვიდა შუახნის მამაკაცი. დიდი თავი და სპორტული აღნაგობა ჰქონდა, ევროპულად ეცვა. მესაზღვრეს შევხედე. მან გამიღიმა. „სტრუგოვშჩიკოვი! – ასე მივიღე მისი ღიმილი და შესახვედრად ნაბიჯი გადავდგი. ჩამოსულმა ხელი გამომიწოდა: „სალამი, შე ძველო!“ – „დღე მშვიდობისა“. – „შენ ვინ ხარ?“ – „ვასილი კარამანოვი, პარტია „ნინ, რუსეთო!“, ბიზნესს ვეწევი...“ – „რა საქმეს ატრიალებ?“ არ ვიცოდი, რა მეპასუხა, მხრები ავიჩეჩე და ძლივს ამოვთქვი: „ვაჭრობა...“ – „შესანიშნავი საქმეა, ძვირფასო. ვაჭრობა ბიზნესის გვირგვინია! ამჟამად რუსეთს ოქროს ციებ-ცხელება აქვს შეყრილი! ძმაკაც, მითხარი, შესძლებ დამეხმარო?“ – „რა თქმა უნდა!“ – „მისმინე, ახლა პარიზიდან ჩამოვფრინდი. ქალიშვილს შევპირდი, რამდენიმე წყვილ ფეხსაცმელს ჩამოგიტან-მეთქი, მაგრამ ვერ მოვასწარი. დილით ციმბირში მივფრინავ ფილმის გადაღებაზე. მისი ფეხის ზომა ოცდათე-ქვსმეტია. შესძლებ, მიყიდო რამდენიმე ზამთრისა და საგაზაფხულო-საშემოდგომ?“ ამ დროს მოვიდა ბარმენი ქალი და

სინი გამოგვიწოდა. „რა გაქვს?“ – „კუანტრო და ახალგამოწურული წვენი!“ – „კუანტრო ჩემი სასმელი არ არის! – მან სინიდან წვენი აიღო და ხარბად შესვა. ქალმა მორიდებით გაიღიმა. კომპანია „ხუთი დონი“ თუ იცი?“ – „მომიბრუნდა მე. – „არა“. – „აი, ჩემი სავიზიტო ბარათი, შეასრულებ ჩემს დავალებას?“ – „დიახ!“ – „ოქეი! ესე იგი, ქალის ფეხსაცმელი!“ – მომიგდო სიტყვა და წამსვე გამცილდა. „თქვენ მას კარგად იცნობთ?“ – მკითხა ბარმენმა ქალმა. „არა, პირველად ვხედავ!“ – „რუსეთში მიკეტ მიხაილოვს, ცნობილ მსახიობსა და რეჟისორს ვინ არ იცნობს? თქვენ ხუმრობთ? იმას ხომ არ გთხოვთ, რომ ჩემთვის ავტოგრაფი გამოართვათ!“ – წყენით მითხრა მან. „არა, არა, მე მართალა პირველად ვხედავ მას...“ ამ დროს შევამჩნიე, რომ მესაზღვრემ ხელი დამიქნია და თვალით ერთ დარდიმანდ ბატონზე მიმანიშნა. „მაპატიეთ, თქვნ ბრძანდებით სტრუგოვშჩიკოვი?“ – მივეჭრი მე. „დიახ.“ – „მე პარტიიდან „წინ, რუსეთო!“ გახლავართ. მოგესალმებით მოსკოვში. ნება მიბოძეთ, კუანტროზე დაგპატიუოთ“. – „კუ-

ანტრო ყოველთვის დროულია. სონეჩიკა, შენ რას მიირთმევ?“ – მიუბრუნდა ის თანამგზავრს. „მე დავლევდი... დავლევდი... შევჭამდი ლიმონის ნაჭერს.“ – „თუ შეიძლება, ლიმონის ნაჭერი“, – მივმართე ბარმენს. „შაქრით?“ – მკითხა მან. „დიახ, შაქრით“, – უპასუხა სტრუგოვშიკოვის თანამგზავრმა. მცირე ხნის ბართან დგომის შემდეგ სასტუმრო „ბალჩუგში“ გავემგზავრეთ. აქ დავემშვიდობეთ ერთმანეთს. მე ტოლსტოის ქუჩაზე ოფისში დავბრუნდი. დავწერე გასავლის ანგარიში, დაველოდე ფუნქციონერს, მოვუყევი აეროპორტში სტრუგოვშიკოვთან შეხვედრის შესახებ და დარჩენილი ფული მაგიდაზე დავუდე. მიხაილოვის შესახებ არაფერი მითქვამს. ერთი ჭიქა წვენის ფასი საკუთარი ჯიბიდან გადავიხადე. „სად შეისწავლე ასეთი წესრიგი?“ – გაუკვირდა პარტიელს. – შეხედე, შენ! რა, კარიერაზე ოცნებობ? მითხარი, ოცნებობ?!“ – „არა.“ – „მაშ, რატომ ჩამოწერე დანახარჯი და ხურდაც მოიტანე? აქ რაღაც ისე არ არის! საეჭვოა! თუ სხვები, ვინც დელეგაციებს ხვდება, შენი წესრიგიანობის ამბავს შეიტყობენ, გვერდებს

აგიჭრელებენ. ისინი სიას სამ-ოთხ ფურცელზე ჩამოწერენ ხოლმე. მეორე-მე-სამე გასვლაზე კი უკვე მთელ რვეულს ავსებენ. შენ კი ორი ხაზი... მე შენთვის სხვა დავალებაც მაქვს. იცი, რომ უახლოეს კვირას მოსკოვში საქალაქო დუმის არჩევ-ნები იქნება?“ გავჩუმდი, რადგან ამის შეს-ახებ არაფერი ვიცოდი. ხვალ ჩემი სახელით შეივლი ფირმა „ვიგონში“ ბატონ უდოჩინ-თან. ის ორმოცდაათი ათას დოლარს მოგ-ცემს. ეს ფული აუცილებლად უნდა მიაწო-დო პროფაშისტურ პარტია „ნაციონალური გულისწყრომის“ ოფისში ბატონ პოკორ-ნის. მათ ჩვენი კონკურენტის მხარდასა-ჭრად მასობრივი მიტინგი უნდა ჩაატარონ. გადაეცი ფული და შეამოწმე, როგორ არი-ან მზად აქციისთვის. უნდა ვიცოდე, რა რაოდენობის პლაკეტებს, პორტრეტებს, ტრანსპარანტებსა და სააგიტაციო ფურ-ცლებს გამოიყენებენ ისინი მსვლელობი-სას. შეპირების თანახმად, მათ შვიდი ათა-სი კაცი უნდა გამოიყვანონ. რეალურია თუ არა ეს ციფრი მიტინგამდე ორი დღით ადრე? მიხვდი?“ – „დიახ.“ – „შეკითხვები გაქვს?“ – „მაპატიეთ, მაგრამ თქვენ სა-

ხელს ხომ არ მეტყვით? ვიცი, ჩემი უფრო-  
სი ხართ და მეტი....”, ფუნქციონერს გაეცი-  
ნა და დაამატა: „უფროსებს სახით უნდა  
იცნობდე. ჩემი გვარი კურაკინია, სტეპან  
სტეპანიჩ კურაკინი. აბა, შენ იცი!“ – „დიახ,  
გასაგებია. სამდივნოში ფირმა „ვიგონის“  
მისამართი გავიგე და ოფისიდან გავედი.  
ჩემს ადგილზე უკვე სხვა ახალგაზრდა  
მიეღოთ. „რატომ აფინანსებენ ფაშისტების  
მიტინგს და მხარს უჭერენ თავის კონ-  
კურენტს? – გავიფიქრე მე. ალბათ იმი-  
ტომ, რომ მისი დისკრედიტაცია სურთ:  
რომ ამომრჩევლები გაოგნდნენ პრეტენ-  
დენტის „მომხრეებით“; და ხმა **მათ** კანდი-  
დატს მისცენ! რა ტვინნალრძობები არიან  
ადამიანები! ამ შემთხვევაში რა ფასი აქვს  
**მათ** წინასაარჩევნო დაპირებებს? სიცრუის  
გენი მათში უსაზღვროდ არის განვითარე-  
ბული“. გადავწყვიტე, საღამოს საათები  
ბატონი მიხაილოვისთვის დამეთმო. წავე-  
დი ჩემს ბუდრუგანაში, ავიღე დანაზოგის  
ნაწილი და გავემართე სადოვოე კოლცოზე  
პლანეტარიუმთან მდებარე ფეხსაცმე-  
ლების მაღაზიაში. უბრალოდ, მაინტერე-  
სებდა – ფეხსაცმელების ექსპერიმენტი

ფრთებს მასხამდა, ვცდილობდი, ამ ამბის ყველა დეტალი დამემახსოვრებინა, რომ ადამიანთა მატერიის იმ მხარესაც გავცნობოდი, რომელიც, ჩემი აზრით, სასწრაფო მოდიფიცირებას საჭიროებდა. „ვნახოთ, ვასილი, რით დასრულდება ეს უცნაური თავფურცელი: პირველ შემხვედრს ქალი-შვილისთვის ფეხსაცმლის ყიდვა სთხოვო? ამასთან, მთხოვნელი თურმე ელიტურ ფენას განეკუთვნება. მშვენიერი ინტრიგაა!“

— ვფიქრობდი მე. გამყიდველს გავუმხილე, რომ გოგონებისთვის ფეხსაცმლის ყიდვის არავითარი გამოცდილება არა მაქვს და დახმარება ვთხოვე. „რა ზომა გნებავთ?“ — გაგებით გამიღიმა მან. „ოცდათექვსმეტი“. — „ოცდათექვსმეტი ნომრის ზამთრის ფეხსაცმლის ყიდვა მოზომვის გარეშე სახიფათოა. შეიძლება პატარა გამოდგეს. ორი წყვილი აიღეთ: ოცდათექვსმეტი და ოცდაჩვიდმეტი. თუ ერთ-ერთი არ მოერგება, დააბრუნებთ“. — „კეთილი“. — დავეთანხმე მე. ერთი სიტყვით, რვა წყვილი ფეხსაცმლის ყიდვაზე დამითანხმეს. ორი მოდელი ორ-ორი წყვილი — ზამთრის, მეორე ორი მოდელი — გაზაფხული-შემოდგომის. „მო-

მატყუეს, საქონელი გაასაღეს, საქონელ-ბრუნვა გაზარდეს“ – გამიელვა თავში. უკვე დიდი ხანია დარწმუნებული ვიყავი, რომ ადამიანებს ცნობილი მეთოდებით ვე-რაფრით გამოასწორებ. „მუტაცია შეფერ-ხებული გახლდათ ამ სახეობაში!“ – სა-დოვოე კოლცოს შიდა მხარეზე გადავედი და სავიზიტო ბარათში მითითებულ მისა-მართისკენ გავწიე. უკვე მძალავდა აზრი, რომ იმისთვის, რათა ჭეშმარიტ პუტივლე-ლად ჩავითვალო, აუცილებელია დავბრუნ-დე მშობლიურ ქალაქში. „რა? კვლავ ვიც-ხოვრო პუტივლელთა გვერდით? რატომაც არა? ადამიანად ხომ არ ვიქცევი, მათგან კი პუტივლელებს შევქმნი“. ჩემი გამწარე-ბული ბავშვობის სურათები დაუნდობლად მდევდა თან. და თუ მანმადე, რამდენიმე წლის წინ, ეს ჩემში უსასრულო განცდებს იწვევდა და მსურდა მათი უცებ გაქრობა, ახლა სიბრალულით, თანაგრძნობით, მსუ-ბუქი იუმორით ვუყურებდი მათ და, საერ-თოდ, ყველა ადამიანს. თითქოს მივეჩვიე cosmicus-ის სტატუსს, მათ გვერდით თა-ნაარსებობას. გავიზარდე და მრავალი ჭკვიანური წიგნის წაკითხვით უფრო მეტი

შევიტყე საკუთარ თავზე, ვიდრე **მათზე**. ბევრი უცნობი რამ აღმოვაჩინე ჩემში, აღ-  
მოვაჩინე ის უხილავი ძაფებიც, ამ უზნეო  
არსებებთან რომ მაკავშირებდა. არა, არა-  
ვითარი სიმპათიები **მათ** მიმართ არ გამჩე-  
ნია და არც შეიძლებოდა, გამჩენოდა. მაგ-  
რამ თუ აქამდე დარწმუნებული ვიყავი,  
რომ პუტივლელს გონი იცავს, რომ მხო-  
ლოდ ცნობიერება ადგმევინებს ნაბიჯს,  
ახლა რაღაც სხვას, გრძნობიერს ავხადე  
ფარდა! არც კი მეგონა, რომ გული მქონ-  
და, არა როგორც ტექნიკური ორგანო,  
არამედ მგრძნობიარე. რა არის ეს? რამდე-  
ნად აუცილებელია ის *cosmicus*-ისთვის,  
არა როგორც უანგბადით სავსე უჯრედუ-  
ლი აპარატი, არამედ როგორც მატერიის  
მგრძნობიარე ნაგლეჯი? გლობალურად კი  
არა, პერიფერიულად მგრძნობიარე, მთე-  
ლი კოსმოსის გამო კი არა, მხოლოდ საკუ-  
თარი თავისთვის აძგერებული. უცებ და-  
ვიჭირე აზრი – ჩემში წარმოქმნილი  
ხასიათის სირბილე და მოთმინება ადამიან-  
თა მიმართ, იმის ნიშანია, რომ „გული  
გამეხსნა“. **მათზე** აღარ ვპრაზობდი, ირო-

ნითაც აღარ ვუყურებდი **მათ** არასრულ-ყოფილებას. დავიწყე იმის გაგებაც, რომ მათი ნაკლოვანებების გამოვლენა ბოროტი ზრახვით არ ხდება, რომ მათი შეხვედრა cosmicus-ებთან თავის დროს არ მოხდა. კრომანიონელებს მილიონი წლის შემდეგ რომ შევხვედროდი, მათი გენური ანსამბლი რაციონალურად იქნებოდა შეცვლილი მუტაციის გზით, ესე იგი, თვით ბუნების მიერ. და მე დავინახავდი პუტივლელთა მსგავს, უნივერსალური გონით აღჭურვილ არსებებს, რომელთა გვერდით კომფორტულად ვიცხოვრებდი სადმე სამყაროში. ახლა კი ვისზე უნდა გავძრაზდე? ვის უნდა მოვკითხო, რომ მე თვითონ არახელ-საყრელ დროს მოვხვდი პუტივლში? აქ უკვე სხვა, თითქოს საწინააღმდეგო აზრმა იჩინა თავი: „თუ ადამიანებს უახლოეს დროში არ შევცვლით, შეხვედრაც არა-ვისთან მოგვიწევს. არშესმენილი, არასა-ჭირო, ვერ გაგებული გონი თვითმკვლე-ლობით ასრულებს სიცოცხლეს. ასეთი შემთხვევები დიდი ხნის წინ აღწერეს. დასანანია“. ამ განსჯის შემდეგ მათ „ჩემს

მარტივ ბიძაშვილებს“ ვეძახდი. აქ მე გონს მოვეგე, შევხედე ქუჩის დასახელებას და მივხვდი, რომ მიზანთან ახლოს ვარ. ორი-ოდ შენობის გავლის შემდეგ აღმოვჩნდი „ბოლშაია კოზლოვსკაიას“ ჩასახვევის თერთმეტ ნომერთან. იქ მორიგე დამხვდა: „საით?“ – „მიკეტ მიხაილოვის თხოვნით, მისი ქალიშვილისთვის ფეხსაცმელი მოვიტანე“. – „ვინ ხარ, პასპორტი გაქვს?“ – „სეროვის მუზეუმის მეეზოვის მოწმობა მაქვს“. – „რას მიედ-მოედები, რა მეეზოვე? ხუთი ათას დოლარიანი ტანსაცმელი გაცვია! აბა, წითურო, გახსენი ჩანთა“, – მორიგემ ხელკეტს დაავლო ხელი. მე პოლიეთილენის პაკეტი გავხსენი. მან ფეხსაცმელები დაათვალიერა და მკითხა: მართლა მეეზოვე ხარ?“ – „დიახ“. – „კარგად გიხდიან თუ სურათებით ვაჭრობ? რა ღირს შენი სეროვი?“ – „ღმერთმა იცის! ნორმალურად მიხდიან, სურათებს არ ვყიდი, სეროვის ტილოების ფასი არ ვიცი“. – „გეყოფა, ნუ სულელობ, გესმის? ფეხსაცმელებითაც ვაჭრობ ალბათ?“ მე გავიფიქრე: არასრულყოფილებაზე როგორ გავბრაზდე? მას საერთოდ არაფერი ესმის,

მის გარშემო მყოფებსაც თავში აზრად არ მოუვათ, რომ **ისინი** უნდა შეიცოდო. წუნიან საქონელზე არ ბრაზობენ, მის მნარმოებელს ძალლებით არ სდევნიან. თვით ბუნებას ხომ არ დაუწყებ ყეფას... რას იტყვი, შემიშვებ? თუ შენ დაგიტოვო ფეხსაცმელი?“ – ჯიქურ შევხედე მას. ოცდაათი წლის ჯანმრთელი დაკუნთული ბიჭი იყო. პატარა მწვანე თვალები ჰქონდა, ისეთი, როგორც ზეთისხილი „ნინ, რუსეთოს“ სასადილოს წვნიანში, პირი – დიდი, ფართო ყვრიმლები და შეჭრილი ნიკაპი. „რას მიყურებ?“ – ხელკეტი ქამართან მიიტანა. „გელოდები“. მორიგე უკმაყოფილო გამომეტყველებით დასწვდა ყურმილს: „აქ შეფთან ფეხსაცმელები მოიტანეს. რა ვქნა? მესმის! – მერე უყრმილი მე გამომიწოდა და მითხრა: „უპასუხე!“ „მომიყევით, რას ეხება საქმე?“ – ყურმილიდან მამაკაცის ხმა შემომესმა. „მიხაილოვმა მთხოვა მისი შვილისთვის ფეხსაცმელი მეყიდა. მე მოვუტანე. ეს გახლავთ მთელი ამბავი“. – „ჩანთაში მხოლოდ ფეხსაცმელია, თუ კიდევ რამე გაქვთ?“ – „არა, არაფერი. რვა წყვილი ფეხსაცმელია!“ – „თქვენ ფული

სრულად გადაგიხადეს თუ ხურდის დაბ-რუნება გსურთ?“ – „ფული საერთოდ არ მიმიღია. მან მთხოვა ზამთრისა და შემოდ-გომა-გაზაფხულის ფეხსაცმელი მეყიდა.“ – „მაშ, რვა წყვილი რატომ არის? ვისი ფუ-ლით შეიძინეთ?“ – „ან აიღეთ პაკეტი, ან დამალაპარკეთ მიხაილოვი“. – უკმაყო-ფილოდ შევძახე მე. ერთი წუთით... ის ახლა დაკავებულია და გთხოვთ, რომ ფეხ-საცმელი მორიგესთან დატოვოთ“. – „მეტი არაფერი თქვა?“ – „კიდევ რას ელოდით მისგან?“ – „როგორ თუ რას?..“ თუმცა მა-შინვე გადავეცი მორიგეს ყურმილი, ნავაჭ-რი იატაკზე დავდე და ქუჩაში გამოვედი. ამ მცირე ეპიზოდმა მხოლოდ გამიძლიერა სურვილი, რაც შეიძლება სწრაფად ჩავ-რეულიყავი ადამიანთა გენეტიკაში. „რა უბედურნი არიან: **მათ** საკუთარი თავის გვერდიდან დანახვის უნარი სრულიად არ გააჩნიათ! მშვიდად წავჩანჩალდი სტაროვა-განკის ჩიხისკენ. მოდური ფეხსაცმლის ტარებას მიუჩვეველს, ფეზზე იარა გამიჩნ-და. სახელმწიფო ბიბლიოთეკასთან პარტი-ის კუთვნილმა „მერსედესმა“ მომისწრო და „ვიგონის“ ფირმაში წამიყვანა. მისვლისთა-

ნავე ბატონი უდოჩკინის დიდებულ კაბი-ნეტამდე მიმაცილეს. შესახედავად ის ოცდათხუთმეტი-ორმოცი წლის კაცს წა-აგავდა. ღია ფერის მოკლედ შეჭრილი თმა, ძლივს შესამჩნევი ნიკაპი, მოძრავი თვალე-ბი და პატარა აპრეხილი ცხვირი ჰქონდა. „მისმინე „წინ, რუსეთო!“ უკვე დავიღალე თქვენი კანტორის სპონსორობით. სტეპა-ნიჩს შეგიძლია უთხრა, რომ ჩემს ფირმას ჩინოვნიკები ყველა მხრიდან უტევენ. ყვე-ლა ითხოვს, მგლეჯს, მძალავს. დავიღალე! ხანდახან ყველაფრის მიტოვებისა და მექ-სიკაში წასვლის სურვილი მიჩნდება. აქ რა ბიზნესი უნდა გქონდეს! ის კი ვიღაც ექს-პერტებსა და უტვინო მეცნიერებს მიგზავ-ნის... ხან წიგნის დაბეჭდვაში უნდა მივეხ-მარო მათ, ხან საფრანგეთში მივლინების ხარჯები დავუფარო, ხან ფულადი დახ-მარება გავუწიო! ისინი კამათობენ, ვიღა-ცამ გამოიგონა ეს ევროკავშირი, მე კი – ფული უნდა ვუხადო! ახლა ერთი უსაქმუ-რი ამბიციური დედაკაცი საინვესტიციო ფონდიდან, პლინკინა თუ მლინკინა, მიწ-ყალებს გულს. უჰ, როგორ მინდა ეგენი ერთ ადგილას შევაძვრინო. ახლა კიდევ ეს

მიტინგი... აიღე ფული და ამ წელს ჩემი  
იმედი არ გქონდეთ. და თუ სტეპანიჩი ჩი-  
ნოვნიკებისა და ექსპერტების ალყას არ  
მოხსნის, მომავალ წელს სხვა, უფრო კომ-  
ფორტულ „კრიშას“ ვიპოვი. დაიმახსოვრე  
და ყველაფერი სიტყვასიტყვით გადაეცი  
შენს შეფს. – და უგერგილოდ დამიდო  
მაგიდაზე პაკეტი. – როგორც შეგპირდით,  
პაკეტში ორმოცდაათი ათასია. წაიღე!  
კითხვები გაქვს?“ – „არა! ყველაფერი გა-  
ვიგე. შეიძლება, წავიდე?“ – „სანამ ფულს  
აიღებდეთ, წყლის ანკარასავით ტრიალებთ  
უდოჩკინის გარშემო, ფულის აღების შემ-  
დეგ კი ცეცხლმოკიდებულებივით გარბი-  
სართ. მეტი არაფერი გაქვს სათქმელი?“ –  
„მაპატიეთ, ბატონო უდოჩკინო, მე კური-  
ერი ვარ, მეტი არაფერი მაკისრია. შემიძ-  
ლია მხოლოდ თქვენი სიტყვები გადავცე  
კურაკინს. სხვას რას ელით ჩემგან?“ –  
„არაფერს! რა უნდა ვუთხრა კურიერს?  
შესახედად კი ჰერცხარ ზღვის გაღმელ  
ჯენტლმენს! აბა, ჯერჯერობით! არ დაგა-  
ვიწყდეს, სტეპანიჩს გადაეცი: „ბიუროკ-  
რატებსა და უმაქნის მეცნიერებზე მუშაო-  
ბამ დამღალა! წავიდნენ, ერთი მაგათი...“

იქნებ ეს მე ვარ ჩვეულებრივი ადამიანი, ოლონდ ცოტათი სულელი? – უცებ გამიჩნდა აზრი. – იქნებ ცოტა კი არა, მთლად გიუი ვარ. და იქნებ განსჯა *homo sapiens*-ის არასრულფასოვნებაზე მხოლოდ ჩემი ავადმყოფური წარმოსახვის ნაყოფია. დედაჩემი ხომ წარკომანი იყო, მამა – მკვლელი, ადამიანთა თვალთახედვით, ძირ-ფესვიანად გადაგვარებული ვარ! იქნებ **მათ** უფრო მეტი იციან ჩემ შესახებ, ვიდრე მე საკუთარ თავზე. არსად მიღებენ, არავის, არასდროს არსად მივუწვევივარ. არც ერთ ქალიშვილს ჩემი გაცნობა არ სდომებია, არც ერთ ყმანვილს ჩემთან დალაპარაკების სურვილი არ გასჩენია – ბიბლიოთეკაში ისინი ასობით არიან, რა თქმა უნდა, უფრო ნაკლებნი, ვიდრე მაღაზიებში – იქ მილიონებს დაითვლი – მაგრამ მაინც ხომ არიან! ბიბლიოთეკის კოლექტივი ვერც კი მამჩნევს, მუზეუმის თანამშრომლებიც, უკვე რამდენიმე წელია, კარამანოვს უცხოდ თვლიან. თეატრიდან გამომაგდეს, ხოლო „წინ, რუსეთოს!“ ოფისში რამდენიმე თვე ვხეხავდი იატაკს, ვწმენდდი ფანჯრებს და უნიტაზებს, ვუვლიდი ყვავილებს

— მაგრამ მაინც არავინ მაქცევდა ყურადღებას. მიხაილოვმა მთხოვა, ფეხსაცმელები მეყიდა და არც კი მიმიღო, არც მადლობა უთქვამს, ფულიც არ დაუბრუნებია. ერთმნიშვნელოვანია, **ისინი** მე იდიოტივით მექცევიან. მექცევიან, როგორც უგრძნობ არსებას: მოიტანე, წაიღე, აალაგე, დაგავე! კიდევ რა შეუძლია ვასილი კარამანოვს? როგორ ამჟღავნებს ეს ადამიანებს! ისინი ჩემში სიცარიელეს, კრეტინს ხედავენ. აბა, რომელი მათგანი დაგვიდა ჩემს ასაკში ქუჩებს? ხელმოცარული! ფსიქიურად დაავადებული! არასრულფასოვანი! სხვა ყველა ხომ ფინანსურ ძლიერებას დასდევს, საზოგადოებაში ადგილის მოპოვებისთვის იბრძვის, თავყრილობებზე თავის გამოჩენას ცდილობს, სექსუალური სიამოვნებისაკენ ისწრაფვის. მე კი ვინ ვარ? თუ მსგავსი რამეები არ მიტაცებს, რაც ტიპურია რუსეთის მკვიდრთა უმეტესობისთვის, მაში როგორ უნდა მომეპყრან მე? რა უნდა დაინახონ ჩემში? ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მართლაც გიუი ვიყო! იქნებ დავთმო ჩემი იდეა, რომელიც შეშლილად წარმომაჩენს და ვპოვო ბედნიერება ჩემს მარ-

ტივ ბიძაშვილთა გვერდით ამ ცხობრებაში?  
 – ანუ არ ვიფიქრო არავითარ მომავალზე?  
 მხოლოდ გიუს თუ შეუძლია იფიქროს იმ  
 პროექტებზე, რომლებიც მრავალი თაობის  
 შემდეგ განხორციელდება – ოდესმე და  
 სადმე იქ, უხილავ სამყაროში! ტიპური  
 ადამიანი ოცნებობს, მისთვის მიცემულ  
 დროში ყველაფერს მიაღწიოს, მომავალი  
 რაში სჭირდება? ან წარსული რაში არ-  
 გებს? მართალაც, თავი უნდა ანებო გო-  
 ნების დასწებოვნებას და მიიღო **მათი**  
 პრინციპები. ეს არც თუ ისე რთულია! ფუ-  
 ლის კეთება უკვე ავითვისე: ჩემი ოინბა-  
 ზობა გენერალურ შტაბთან, სადარბაზოში,  
 მათ შემეცნებაში ნებისმიერ დროსა და  
 ყველა სფეროში იჩენს თავს – გაასულელო  
 ოფიცერი, პენსიონერი, ფოსტალიონი,  
 მთელი უწყება და სრულიად რუსეთიც.  
 მოატყუო მდიდარი ოლიგარქი – მშვენიე-  
 რია! აგერ, რამდენი ბრიყვია საზოგადოე-  
 ბაში! – ის გაიძერა მათგან და თან სწორედ  
 ამისთანებს ითხოვენ: ეკრანზე, მოედნებსა  
 და კრემლში! მათ ხოტბას ასხამენ, თხზა-  
 ვენ ლექსსა და მუსიკას, მათ მინისტრე-  
 ბად, მრჩევლებად, სახალხო არტისტებად

ამწესებენ. იქნება ვცადო? ვაი და, გამოვიდეს?! – ვასილი კარამანოვი – ფირმა „მეს“ დამფუძნებელი. ყოვლის შემძლე, გაქნილი ვასილი კარამანოვი: მეცნიერების დოქტორი; რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; დამსახურებული იურისტი; საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი; პარტიის „წინ, რუსეთო!“ უმაღლესი საბჭოს წევრი; პატრიარქის ახლობელი; სამენარმეო ელიტის მთავრობის თავმჯდომარესთან შეხვედრების მუდმივი მონაწილე; საზოგადოებრივი მოძრაობა „კაზაკთა აღორძინების“ მთავარი სპონსორი; უურნალ „თვალთახედვის სიმაღლის“ რედკოლეგიის წევრი; სახელმწიფო დუმის დეპუტატი; ფედერალური მთავრობის მინისტრი; მონაროვსკაიას, როლინას, პოკამადას საყვარელი; ბანკი „აღეგროს“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; მერის მეგობარი, სპიკერ მელეზნოვის თანამეინახე, სახელმწიფო უშიშროების მდივნის მრჩეველი: ოლიგარქთა უკანონო შვილების თავშესაფრის მეურვე; საზოგადოებრივი საბჭოს წევრი „მოსკოვური მდუმარების“ პატიმართა პირადი პაემნების კანონიერე-

ბის დაცვის საკითხებში; როისეევის მჩხი-  
ბავი; ბარონოვის ამხანაგი, დავოსის ეკო-  
ნომიკური ფორუმის მუდმივი მონაწილე; რუსეთის მსხვილ დამსაქმებელთა საპირ-  
ველმაისო სუფრის თამადა! აი, ესეც  
თქვენ! შედგა თუ არა კარამანოვი? არ შე-  
იყვარებთ ვასილი დანილოვიჩს? დაიწყებთ  
მის მიწვევას თავყრილობებზე, ჩაიზე,  
მწვადზე... დაუწყებთ ტუჩებში კოცნას,  
საწოლში ჩახტომას, დითირამბების მღე-  
რას, საპატიო წოდებების მინიჭებას?  
დროს ტარების ოქროს ხანის ალტერნატი-  
ვა ხომ მეტად საეჭვოა! მათი შეხედულე-  
ბით, ეს არანორმალური ალტერნატივაა.  
როგორ უნდა მოხიბლო ისინი ჩუმი მეეზო-  
ვის ცხოვრებით, ბალახბულახით დატენი-  
ლი ლეიბით, ფარლალალა ფარდულით, ნა-  
კლებად ცნობილი ავტორების კითხვით,  
პუტივლელთა ახალი გენეტიკური ანსამბ-  
ლის შექმნაზე მსჯელობით, გამუდმებული  
ექსპერიმენტებითა და მცდელობით? განა-  
რა არის ამაში მიმზიდველი? ვის მოუნდება  
გაუცვალოს მას ცხოვრება? ვინ დათმობს  
პირველს ამ მეორის გამო? ვინ არჩევს ჩე-  
მისთანა ულიმდამო, უჩინარ არსებობას და

ზურგს შეაქცევს ფუფუნებას? თავის თავ-ში ვინ ჰპოვებს ასეთ სულიერ ძალას, ნებისყოფას, რომ რაღაც სხვა აკეთოს სა-კუთარი მეს განდიდების გარდა? დაივიწ-ყოს ადამიანთა სამყაროს ცდუნებანი, ყუ-რადლება არ მიაქციოს ბრწყინვალებას, უარყოს სიმდიდრე, მოიძულოს პატივი და ჩინი, არ დაინტერესდეს ქონებით, ქალებს გულის კარი მიუკეტოს, არაფრად ჩააგ-დოს შექება, არ იზრუნოს გარეგნობაზე და უარჰყოს ამა ქვეყნის ძლიერთა სიახლოვე. განა არსებობს ასეთი რუსი? შეიძლება კი შეხვდე ამგვარ ადამიანს? და მაინც, თუკი საკუთარ თავს **მათი** თვალებით შევხედავ, აბსოლუტური გიუი ვარ – წყნარი, მაგრამ მაინც შეშლილი, უგუნური, შიზოფრენიით დაავადებულის უტოპიური ფანტაზიებით დალდასმული. – აქ ჩავიცინე: – აი, ზუს-ტად ის, რამაც ახლა თავში გამიელვა, გახ-ლავთ ადამიანთა შეხედულება ჩემზე. დიახ, ასე ფიქრობენ **ისინი**. დაე, გიუად ჩამთვალონ **მათ**, ეს ხელსაყრელიცაა ჩემ-თვის. მე ხომ ჩემს თავს სხვაზე უკეთ ვიც-ნობ! **მათი** ბიოლოგიური სახეობის შეც-ვლის მცდელობა – აი, რა არის უდიდესი

მადლი პუტივლელისა, ახალი ეპოქის ყველაზე სრულყოფილი არსებისა. მაგრამ ჩემი გულწრფელი მოწოდება, რომ ახალ ევოლუციურ წრეს დაადგნენ, აქტიურად ჩაერთონ საკუთარ ბიოლოგიურ სრულყოფაში, **მათში** არავითარ ენთუზიაზმს არ გამოიწვევს. მათ გენში მხოლოდ მოთხოვნილებაა ღრმად ჩამჯდარი! ამიტომ კარგად უნდა მახსოვდეს, რომ გარშემო მყოფთათვის ვასილი კარამანოვი იდიოტია. ამ თვალსაზრისს უნდა შევეგუო და არავითარ შემთხვევაში არ დავიწყო საწინააღმდეგოს მტკიცება“. დავწყნარდი, შინაგანი თავდაჯერებულობა აღვიდგინე და ავტომობილის სარკმლიდან ქუჩის დასახელება – მილუტინსკაია – წავიკითხე. ჩვენ მცირე შენობას, სახლ ნომერ ჩვიდმეტს, ვუახლოვ-დებოდით. „მერსედესი“ შეჩერდა. აქ ნახევარსარდაფში პროფაშისტური პარტია „ნაციონალური გულისწყრომა“ განთავსებულიყო. ხელი დავავლე ფულით სავსე პაკეტს, პარტიული ოფისისკენ დავემვი და ბატონი პოკორნი ვიკითხე. „ჩვენს შორის ბატონები არ არიან, პატივცემულო ამხანაგო“, – მითხრა ახალგაზრდა, პატარა,

სუსტმა, თვალამოღამებულმა მწეველმა ქალმა, რომელსაც ღია ყვითელი კოფთა ემოსა. სიგარეტის კოლოფი თასმით ეკიდა მიმხმარ მკერდზე. ჩვეულებრივ, ასე საიუ-ველირო ნაწარმს ატარებენ ქალები. „გთხოვთ, დაბრძანდეთ! ამხანაგი პოკორნი მალე გეახლებათ. რა მოვახსენო?“ – „თუ შეიძლება უთხარით, რომ ლევ ტოლ-სტოის ქუჩიდან გამომგზავნეს“, – არ ვისურვე იმ პარტიის დასახელება, საიდანაც მოვედი. „ლევ ტოლსტოის? მოძრაობიდან „ნინ, რუსეთო!“? – „დიახ“. – „ჰო, მაშინ კაბინეტში მიბრძანდით“. ბატონი პოკორნი ტანმორჩილი, ჩასუქებული, წვერიანი მა-მაკაცი აღმოჩნდა. გაოცების გარეშე, მო-ნიწებით წამოდგა სკამიდან, პაწია ხელი გამომიწოდა და მითხრა: „უკვე სამი საა-თია გელოდებით! მოიტანეთ?“ – „დიახ. ყველაფერი, რასაც შეგპირდნენ, ამ პაკეტ-შია“. ციებ-ცხელებიანივით დაიწყო ფუ-ლიანი პაკეტის ხევა. როგორც კი ორმოც-დაათ დოლარიანების ათი შეკვრა დაინახა, ხელი დაავლო, მკერდთან მიირქვა და ამოიწრიპინა: „რევოლუციური ინსტრუმენ-ტი მიღებულია. ცოტა, ცოტა! მაგრამ მი-

სი ამოქმედება შესაძლებელია. მომეცით ფული და ქვეყანას გადავატრიალებ! მითხარით, – მომმართა მე, – შესაძლებელია თუ არა ფსონის გაზრდა? – თუნდაც – ათი ათასით, რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა – ოცდაათი ათასით! ჩვენს პარტიას დოლარები, ევროები, ფუნტები, მანეთები ძალიან უჭირს. მიმიხვდით?“ მომეჩვენა, რომ ის იდეოლოგიურ ნიადაგზე შეშლილს თამაშობდა. „მაპატიეთ, მაგრამ მე მხოლოდ კურიერი ვარ. ეს კითხვა კურაკინს უნდა დაუსვათ“. – „თქვენ თუ გაქვთ ფული?“ – „დიახ“. – „რამდენი?“ – „ხუთი ან შვიდი დოლარი“. – „მოგვეცით ისინი ჩვენ! ჩვენ დიდი გასავალი გვაქვს: ხუმრობა ხომ არ არის შვიდი ათასი კაცის გამოყვანა! მოგვეცით, მოგვეცით თქვენი ფული!“ ხუთ დოლარიანი კუპიურა გავუწოდე. „თქვენ შვიდი თქვით და ხუთს მაძლევთ? რატომ ზოგავთ ჩვენზე? რევოლუცია ძვირადლირებული საქმეა!“ დარჩენილი ორი დოლარიც მივეცი, თუმცა სხვა რამეზე ვფიქრობდი, პოკორნი კი აგრძელებდა: „მე რუსეთის განახლების იდეის ერთგული ვარ. ყველაზე მეტად ოლიგარქები მაღიზი-

ანებენ. მათ გლეხთა მიწის ნაკვეთების შესყიდვა დაიწყეს. სად უნდა წავიყვანოთ სოფლის მეურნეობის მუშაკები? მათი რიცხვი ოცდაათ მილიონზე მეტს აღწევს, ჩვენი ლოზუნგია: „მდიდრები გულაგში!“ ჩახვდით მოწოდების მასშტაბებს?“ მისმა წრიპინა ხმამ რეალობაში დამაბრუნა: ბატონ კურაკინს სურს გაიგოს, როგორ მოემზადეთ მიტინგისთვის“. – „ზუსტად ორმოცდაათი ათას შვიდ დოლარად ვართ მზად და არავითარ შემთხვევაში – მეტად! დაგვიმატონ კიდევ ორმოცდაათი ათასი და მაშინ ათი ათას შვიდ დოლარად ვიქნებით მზად. ასე გადაეცით! ჩვენ ოცდაათი პლაკატი გვაქვს, რომელზეც გამოსახულია, როგორ კოცნიან პარტიულ ფორმაში გამოწყობილი ჩვენი გოგონები თქვენს სახითათო კონკურენტ პარენავოს; კიდევ გვაქვს ორმოცდაათი ტრანსპარანტი წარწერით: „პარენავო ჩვენთან ერთად გარდაქმნის რუსეთსა და მთელ ქვეყანას“; არის აგრეთვე ასი პოსტერი, რომელზეც პარენავო ჩვენთან ერთად მოაბიჯებს, ორასი პორტრეტი წარწერით: „ხმა მიეცით წაციონალური გულისწყრომის“ კანდი-

დატს!“ და, რომელზეც მას პარტიული ფორმა აცვია.“ კმაყოფილი ბრძანდებით? უთხარით კურაკინს, რომ ჩვენ თვალსაჩინო აგიტაციის გაორმაგებაც შეგვიძლია. მაშინ თქვენს კონკურენტს არავითარი შანსი აღარ დარჩება. უბანზე, სადაც კენჭისყრა ჩატარდება, პარტიას სამი პროცენტი აქვს. სამაგიეროდ, სხვა რეგიონებში და სხვა ფენაში ვართ ძლიერნი. რას ნიშნავს ეს თქვენთვის? პარენაგო ხუთ პროცენტზე მეტს ვერ დააგროვებს. თქვენი კანდიდატი კი საქალაქო დუმაში გაიჩითება. გამარჯვებას იზეიმებთ! კიდევ ორმოცდაათი ათასი დოლარი და საქმე მოთავებულია. გადაეცით ეს კურაკინს“. მე მშვიდად ვისმენდი პარტიელის მგზნებარე გამოსვლას. ის სიტყვებს არ ეძებდა, ლაპარაკობდა სწრაფად, თითქმის გაზეპირებული ფრაზებთ. „კეთილი“ – ამოვთქვი მე და ნახევარსარდაფიდან ქუჩაში ამოვედი. პოკორნისთან ურთიერთობა კიდევ ერთი ჭკუის სასწავლებელი მაგალითი აღმოჩნდა, რაც ადამიანთა გენური მანქანის სრულ უვარგისობას ამჟღავნებდა. **მათი** სულიერი უფსკრულის უსაშვე-

ლობამ მეტად დამღალა. კვლავ იმაზე ვფიქრობდი, რომ პუტივლელზე მხოლოდ გონი უნდა ბატონობდეს. ოცი წუთის შემდეგ უკვე პარტიის „წინ, რუსეთო!“ ოფისში ვიყავი. თითქმის ერთი საათი ველოდე კურაკინს, რომელიც სადღაც თათბირზე მოხსენებას კითხულობდა. მოვახსენე უდოჩკინთან და პოკორნისთან შეხვედრის შესახებ. ის თითქმის არ მისმენდა, გამუდმებით ტელეფონით საუბრობდა და უცებ შემაწყვეტინა: „მისმინე, ვასილი, ტანჯულ-თა ეს თხოვნა სულაც არ მაინტერესებს. უარს იტყვის უდოჩკინი ჩვენს დაფინანსებაზე და მივუკეტავთ ბიზნესს. მორჩა და გათავდა! აქვე, კართან ასეთი ტიპების ჯარი გვიდგას. ჩვენ კი არ დავეძებთ მათ, ისინი თვითონ გვეხვეწებიან, მივიღოთ მათი კაპიტალი. დიახ, სწორედ ასეა! ფაშისტების წინადადება კი საინტერესოა. პარენაგო ბოლომდე რომ გავსრისოთ, აუცილებელია, პოკორნის მიერ მოთხოვნილი თანხა გადავიხადოთ. ცოტა დრო მაქვს და მომისმინე: ჩემი დარეკვის გარეშე გაემგზავრე უდოჩკინთან და „ნაციონალური გულისწყვრომისთვის“ ფული სთხოვე“. თუ

უარს გეტყვის, გადაეცი, რომ კურაკინი ბიზნესის დახურვით დაემუქრა. ვფიქრობ, საჭირო თანხას მოგცემს. ფულს კი ფაშისტების ოფისში წაიღებ. მოვრჩით! შემდეგ ტიპოგრაფია „ძირითად ინსტიქტში“ შეივლი – ეს პრესნიაზეა – გამოართმევ პარენაგოს მხარდამჭერ სამოცდაათი ათას სააგიტაციო ფურცელს და „ოტკატის“ ოცდაათი ათას დოლარს იმისთვის, რომ მათ დავუკვეთეთ ეს სარფიანი საქმე. სააგიტაციო ფურცლების ბეჭდვის ხარჯი ჩვენმა სპონსორმა, სატრასტო კომპანია „მამონამ“ გაიღო. ყველაფერ ამას გადასცემ კონსალტინგურ ფირმას „იამანი და ქალიშვილები“. მათ სააგიტაციო ფურცლების მთელი ოლქის ავტომობილთა საქარე მინებზე გაკვრის ვალდებულება აიღეს. ფურცლებზე სპეციალური წებოა წასმული, უბრალოდ ვერ მოხევ. ასე რომ, ჩვენი კონკურენტი პარენაგო დიდხანს გაეჩირება ყელში ამომრჩეველს, მერე გორპინიცაში შეივლი, მძლოლმა იცის მისამართი. გამოართმევ მას ასაფეთქებელ პაკეტს და პარტია „მშობლიური მხარის“ ამომრჩევლებთან შეხვედრაზე მიიტან. იქ რილობო-

იშიკოვს გადასცემ – ალბათ გახსოვს, ის ხშირად დაიარება მეთოთხმეტე კაბინეტში. შეახსენე, რომ ეს პაკეტი შეხვედრის დაწყებიდან თხუთმეტ წუთში უნდა ააფეთქოს. ნუ ღელავ, ნამდვილ ბომბთან მას არაფერი აქვს საერთო. ეს სპეციალური გაზია: ისე-თი სუნი აქვს, თითქოს ყველანი თავით განავლის ორმოში ჩააყუდეს. ერთი წუთის შემდეგ ხალხი გაიქცევა. შეხვედრა ჩაიშლება. ამომრჩეველთა ხმები კი ჩვენზე ნაკლები ექნებათ. ახლა წადი. მეც უნდა წავიდე. ხვალ ყველაფერს მომახსენებ“. გამოვედი მისი კაბინეტიდან, შევედი ჩემს სენაკში და სკამზე ჩამოვჯექი: „ნუთუ ეს **მათი** ცხოვრების ტიპური წესია? ამაში მდგომარეობს **მათი** პოლიტიკური ეთიკა? ელიტური ფენის იმიჯი? რაც უფრო მაღალია კასტა, მით უფრო აუტანელია **მათი** მორალი! რაც უფრო მდიდრები არიან ახალი რუსები, მით ამორალურია **მათი** ქმედება. ციხესა და ბანაკებშიც არ მინახავს ამგვარი ვერაგობა. უნდა გავიქცე **მათგან**. სასწრაფოდ უნდა შევეფარო ჩემს სიმარტოვეს“. გავიხადე საზღვარგარეთული წარმოების მოდური კოსტიუმი, შევიხსენი

ჰალსტუხი, გავიძრე პერანგი, მოდური ფეხსაცმელი და შვებით ამოვისუნთქე. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ჩვეულ გარემოში დავბრუნდი, მართალია, დროებით, მაგრამ მაინც დავბრუნდი. ახალი, პუტივლური ცხოვრებისკენ სწრაფვა კიდევ უფრო გამიმძაფრდა. თუმცა შინაგანი ხმა მაწყნარებდა: დაიცადე, კარამანოვო! ცოტა კიდევ უნდა მოითმინო. მალე დაიწყება ყველაფერი. “თავდაჯერებულმა, აღსავსემ იმ გადაწყვეტილებით, რომ კვლავ მემოქმედა, შესაძლებლის ყველა ზღვარი გადამეღახა მიზნის მისაღწევად, სამუდამოდ დავტოვე „წინ, რუსეთოს!“ ოფისი. ჩემი ბუდრუგანისკენ მიმავალ გზაზე გამახსენდა, რომ გარკვეული დრო მეცნიერთა შორის უნდა გამეტარებინა, რათა დამატებითი ექსპერიმენტები განმეხორციელებინა. რას მომცემენ ისინი? რომელი მეცნიერება ავირჩიო? განათლებულ ადამიანებთან ურთიერთობის ერთი-ორი ეპიზოდი მჭირდებოდა, რომ გამეგო ჩემს პროგრამაში **მათი** ჩართვის საჭიროება. ვეახლო მათემატიკოსებს? ეს დიდი ხნის საქმეა და თან ამოუწურავი.

მივმართო ფიზიკოსებს? „ველის ასიმეტრიული ტენზორის კონცეპციის ერთნაირობის“ ექსპერტის რანგში, ან სულაც სხვა თემაზე? სოლიდურ ფიზიკოსებთან და მათ ცენტრებში შესასვლელად აუცილებელია სპეციალური ნებართვა. ამისთვის შეიძლება თვეები დამჭირდეს, ჩემთვის კი დროის კარგვა არ შეიძლება. გენეტიკოსებს დავუკავუნო კარზე? ვგონებ, **ისინი** ზედმეტად კონსერვატორები არიან და შესაძლოა აღმოვჩნდე ჭაობში, საიდანაც ამოსვლა არც თუ ისე იოლი იქნება – თან ამისთვისაც დიდი დრო დამჭირდება. იქნებ ბიოლოგები, ქიმიკოსები ან ეკონომისტები ავირჩიო? ეკონომისტები ყველაზე მობილურები არიან. **მათთან** პირდაპირი ურთიერთობა არც დამჭირდება: მონახე კომპიუტერზე სტატისტიკა, აიღე ფანქარი და გააანალიზე! ახლა 2004-ის აპრილის დამდეგია. ესე იგი, 2003 წლის ციფრები სტატისტიკის უწყებაში უკვე გვაქვს. ესეც თემა: „რუსეთის ეკონომიკური განვითარება 2003 წელს“. დავწერ შრომას, მივალ კვლევით ინსტიტუტებში და განხილვას შევთავაზებ. ჰოდა, კონტაქტიც შედგება. მეც სწორედ ეს

მჭირდება. და შემეძლება მეცნიერთა განსაკუთრებული თვისებების შესწავლა, სრულიად ახალი გენური თაიგულის შექმნაში **მათი** გამოყენების სარგებლიანობის დადგენა. კეთილი, საკმაოდ სწრაფად გადავწყვიტე ეს საკითხი. ამ ფიქრით მივაღწიე სტაროვაგანკის ჩიხში მდებარე ჩემს ბუდრუგანამდე და კმაყოფილი იმით, რომ ასე სწრაფად ჩამოვცილდი პოლიტიკურ ინტრიგანთა ფენას, საწოლზე გავიშოტე. თავში ერთი აზრი ამოტივტივდა – საზოგადოების ყველა ფენათა შორის მეეზოვეები ყველაზე დამოუკიდებლები არიან. თუმცა ასეთი დასკვნის გამოტანა უსამართლო იქნება, რადგან ჩემს კოლეგა მეეზოვეებსა და ქუჩათა დამლაგებლებს სრულიად არ ვიცნობ. მერე აზრებმა თანდათან გამკრთალება იწყეს და სრულიად გაურკვეველ, პატარ-პატარა ჩვენებებად გარდაიქმნენ. ირგვლივ სიცარიელემ დაისადგურა. ბოლოსდაბოლოს, ჩემს წინ გარკვევით დავინახე ამოთხრილი ორმო და ვიღაც უცნობმა მბრძანებლურად მითხრა: „ეი, წითურო, დაიწყე!“ „ნეტავ, რა აქვს მხედველობაში?“ – გავიფიქრე მე. ხმა კი გა-

ნაგრძობდა: „სანამ ამ სამმეტრიან ჭას არ გაწმენდ, ვერ ელირსები პუტივლელთა სა-მეფოს ხილვას! თავიდან დავიბენი, მაგრამ მაღლე მოვეგე გონს: რატომ მაშინებს? მე ხომ ადამიანი არა ვარ, მუშაობის რომ მე-შინოდეს. სამმეტრიანი ორმო? მაინც რამ-დენი დამჭირდება ამისთვის – ორი საათი, სამი, ხუთი? ბიოლოგიური პროგრესის-თვის ყველაფერზე მზად ვარ! თუკი სა-კითხი ასე დგას, მე თუნდ ას წელს ვწმენდ ამ ჭას!“ პუტივლური მიზანსწრაფულობა აზარტული მუშაობის საშუალებას მაძლევ-და. ჩემგან მარჯვნივ და მარცხნივ ნაგვის მთები იზრდებოდა. მახრჩობელა სუნი იდგა. მეჩვენებოდა, რომ ერთმა წელმა გა-იარა, ნეხვი კი არა და არ თავდებოდა, პირიქით, მატულობდა. ის უცნობი ხმა დაიკარგა, გარშემოც ადამიანის ჭაჭანება არ იყო, მე კი ვაგრძელებდი და ვაგ-რძელებდი მუშაობას. ბოლოს, როცა ნაგა-ვი ჯერ კიდევ წელს ზემოთ მწვდებოდა, დავფიქრდი: რატომ მომახვიეს თავს სი-ზიფეს შრომა? რა ქარაგმაა ეს? ვიღაც მი-მანიშნებს, რომ პუტივლელთა სამყარო არასდროს იარსებებს? სისულელეა! ჩვენი

დრო აუცილებლად დადგება! მათ არ გამოუვათ არაფერი. ამის გაფიქრებისას უკვე ყელამდე მწვდებოდა ნეხვი. ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე აყროლებული წიდის ზღვა განფენილიყო. იმისთვის, რომ მებრძოლა და ყველასთვის, უმთავრესად კი საკუთარი თავისთვის, დამემტკიცებინა cosmicus-ების გონებრივი განვითარების ახალი ევოლუციური ეტაპის დაწყება, გავურე. სწრაფად და გზნებით. ამ აყროლებულ სტიქიას დიდხანს ვებრძოდი: ათი ათასობით დღე-ლამე სცვლიდა ერთურთს, მაგრამ მე ძალა არ მტოვებდა. უფრო მეტიც – მემატებოდა. როცა ბოლოსდაბოლოს ჰორიზონტზე ცისფერი ზოლი შევნიშნე, თავდაპირველად მირაჟი მეგონა, მაგრამ, რაც უფრო ვუახლოვდებოდი მას, მესმოდა ტალღების ხმა, თოლიების ძახილი, ვგრძნობდი ზღვის მომლაშო ნიავს. უკვე ვხედავდი მზით გაუღენთილ გამჭვირვალე წყალს, დელფინთა ხტუნვა-თამაშს, მფრინავ თევზთა ირაოს. „კი მაგრამ როგორ? – გავიფიქრე მე, – სად არის ზღვარი ადამიანთა ფეკალიებსა და პუტივლელთა ედემს შორის? ნუთუ მიმავალ და მომავალ ბი-

ოლოგიურ სახეობებს არაფერი მიჯნავს? მთავრდება საზიზლარი ყვითელი წუნწუხი და იქვე პუტივლელთა მშვენიერი სამყარო იწყება? ესე იგი, მათ შორის ერთი ნაბიჯიც არ არის? ნუთუ მე ასე ახლოს ვარ ადამიანებთან? იქ არავითარი გამყოფი ხაზი ხომ არ არსებობს, სადაც ამღვრეულ სითხეში ორი სახეობა – *homo sapiens*-ი და *cosmicus*-ი აითქვიფება, სადაც წარმოიშვება ჯიში, რომელიც ზოგიერთ ადამიანურ თვისებას დაკარგავს, მაგრამ პუტივლური ნიშნების შეძენასაც ვერ მოასწრებს. ვირსა და ცხენს შორის ხომ არსებობს ჯორი, ტაიგასა და ტუნდრას შორის – ტყეტუნდრა, თევზებსა და ძუძუმწოვრებს შორის – ამფიბიები, დღესა და ღამეს შორის – ბინდი. რატომ არაფერია პუტივლელთა და კრომანიონელთა შორის? მაგრამ ნეანდერტალელთა და კრომანიონელთა შორისაც არაფერი იყო! ორიოდ ათასი წელი ისინი თანაარსებობდნენ, მერე კი ნეანდერტალელები ამონწყდნენ. როგორც ჩანს, ადამიანებისგან ჭეშმარიტი პუტივლელები რომ შევქმნათ, ათასობით წელი დაგვჭირდება. მარტო როგორ გავუმკლავდე ამას, თუკი

მთავარ პირობას – ცხოვრების მნიშვნელოვნად გახანგრძლივებას – ვერ შევასრულებ? უბრალოდ, ვერ მოვასწრებ! მაგალითად, ობობას, პუტივლიდან ვლადივოსტოკამდე რომ მიაღწიოს, ათასწლეული დასჭირდება. აბა, მიდი, კარამანოვო, ზუსტად დავითვალოთ. ამ ქალაქებს შორის რვა ათასი კოლომეტრია, ანუ რვა მილიონი მეტრი. სახლის ობობა დღეში ათ ან ოც მეტრს თუ დაფარავს. ნებისმიერ ვარიანტში, მას ამ მანძილის გასავლელად ასი ათასიდან ორასი ათას წლამდე დასჭირდება. ასეა და მე სად უნდა მოვიპოვო დროის ამხელა რესურსი? ერთადერთი გამოსავალია: უკვდავების პრობლემა უნდა გადაწყდეს. მარტომ როგორ გავაკეთო ეს? დიახ! ჯერჯერობით – მარტომ. მე ხომ სრულიად მარტო ვარ ამ ნაკადში. მეჩვენება, რომ მუდამ ვებრძოდი ადამიანურ ფეკალიებს და მაინც მივაღწიე პუტივლურ იკეანეს! *Homo sapiens*-ისგან არავითარი მხარდაჭერა არ მიგრძვნია. მომავალ სამყაროში ადამიანებზე მოთხოვნილება სრულიად შეწყდება. პირველი მე დავუშვებ მათ წინ შლაგბაუმს. მათ არ ძალუდთ ევო-

ლუციის გამოწვევის მიღება!.. ობობა კი შეიძლება ასანთის კილოფით გადავაფრინოთ ვლადივოსტოკში. ამისთვის ათ საათზე მეტი არ იქნება საჭირო! ესე იგი, მე შემიძლია, თანამედროვე ტექნოლოგიის მიღწევები გამოვიყენო მუტაციური პროცესების ასაჩქარებლად და ჯერ კიდევ საკუთარ სიცოცხლეში მივაღწიო უკვდავებას. კი მაგრამ, მხოლოდ მე? რა თქმა უნდა, არც ერთი **მათგანი** იქ არ მჭირდება! მაგრამ არსებობენ დიდი მეცნიერები, რომელთა ნაშრომებსაც მე სიამოვნებით ვკითხულობ: ჯეიმს უოტსონი, ვიქტორ მაკეიუსიკი, იგორ შაფარევიჩი, ჯოზეფ სტიგლიცი, ილია პრიგოჟინი, რობერტ მერტონი, ლეონიდ კოროჩკინი, ალექსეი აბრიკოსოვი, იური ალტუხოვი და სხვა ათობით და ათასობით ადამიანი. როგორ მოვექცე **მათ?** ალვფრთოვანდე **მათი** აზრებით და არ შევიმჩნიო **მათი** არყოფნა? გავაცილო **ისინი** სამარადისო არაფერში სინანულის გარეშე, არ ვიგრძნო ამ დანაკარგით გამოწვეული მწვავე ტკივილი? აქ ჩემში კვლავ გულისმიერმა გრძნობამ იფეთქა, რომ ამგვარი რამ სრულიად არა-

პუტივლური იქნებოდა: ეს ურთულესი საკითხი კომპრომისით უნდა გადავჭრა... მაინც სად არის ნაპირი? საით გავცურო? კიდევ რამდენი დამრჩა? იქნებ იმისთვის, რომ ჭეშმარიტ პუტივლელად ჩამოვყალიბდე, აუცილებელია წყალში მობინადრე არსებად ვიქცე? ამ მოულოდნელმა აზრმა შემი კი არ მომგვარა, გამაცინა და გავიფიქრე: მაშინ ვისგან გამოვძერნო *cosmicus*-ი? ჩემს გარშემო არავითარი მატერია არ არის, მარტო მე ვარ. ნუთუ მხოლოდ კარამანოვისგან უნდა შეიქმნას *cosmicus*-ი? თუკი ამას მდგომარეობა მაიძულებს, მზად ვარ მივიღო გამოწვევა! განვაგრძობდი ლაჟვარდისფერ წყალში ცურვას, ნაპირი კი არსად ჩანდა. თუმცა მე თანაგრძნობას როდი ვეძებდი, მომწონდა კიდეც უნაპირო ოკეანის სივრცეში მარტო ყოფნა. მსურდა, დამეპყრო ეს მოციმციმე უსაზღვროება და მის ინტელექტუალურ ბატონ-პატრონად ვქცეულიყავი. უნდა აღვნიშნო, რომ პუტივლელი ვასილი კარამანოვი არასდროს ოცნებობდა მატერიალურ უზრუნველყოფაზე. ფული, ძვირფასეულობა, სხვა საკუთრება საერთოდ არ მაინტერესებდა.

თუკი მოსკოვში ან ნებისმიერ სხვა ქალაქში ცხოვრებას მივატოვებდი, არაფერი მექნებოდა დასანანი: კომფორტის აქსესუარებით სავსე სახლები არ გამაჩნდა და არც ვისწრაფოდი მათი შეძენისკენ. ეს მე არ მჭირდებოდა! ჩემი ბუდრუგანის ასკეტური მოწყობილობა სიმარტოვისკენ მიბიძგებდა, წმიდა პუტივლური მსჯელობისთვის განმაწყობდა. თუმცა, როგორი ფუფუნებაც არ უნდა ყოფილიყო, გონისმიერი ფუფუნების გარდა, ჩემთვის ანაქრონიზმი გახლდათ. განა რა არის ფუფუნება და პატივი *cosmicus*-ისთვის? ამან მხოლოდ ჩემს მარტივ ბიძაშვილებში შეიძლება გამოიწვიოს აღფრთოვანება. სწრაფვას მისკენ ჩვენს გენურ ანსამბლში ადგილი არა აქვს; ან როგორ უნდა იამაყო ამით? და კიდევ: სწორედ ამ დროს აღმოვაჩინე ჩემში სრულიად ფენომენალური ნიჭი – არაფერი ვჭამო. ვსვამდი ოკეანის წყალს და ის სულაც არ იყო მლაშე. ეს გარემოება მახარებდა: გამახსენდა ჩემი მოსაზრება, რომ პუტივლელი რენტაბელური უნდა იყოს და საკუთარ თავზე გამოვცადე, როგორ უნდა დავნერგო ცხოვ-

რებაში ეს ნიჭი. მეორე გარემოება კიდევ უფრო მეტად მაკმაყოფილებდა: მთელი ცხოვრება ვოცნებობდი სრულ მარტობაზე და აი, მომეცა ის! სრული! უსაზღვრო! ვერ მოვასწარი ფიქრის დასრულება, რომ მაღვიძარამ დაინკრიალა. გონს მოვედი, ძალისძალად გავახილე თვალები და ჩამეცინა იმაზე, რომ რაც რეალობად მიმაჩნდა, მხოლოდ ზმანება აღმოჩნდა. აზრები ნელ-ნელა გამინათდა და სრულიად გამოვთხიზლდი, ვისაუზმე და სამუშაოდ გავედი. მუზეუმის დალაგებისას გამახსენდა ჩემი გადაწყვეტილება, რომ რუსული ეკონომიკის მდგომარეობა უნდა გამეანალიზებინა. დავიბენი: ეს პროექტი რეალობაში ჩავიფიქრე თუ სიზმარში? რაღაც ახალი ხდება ჩემს თავში. სამუშაოს დასრულებისთანავე ფარდულში დავბრუნდი, დავიპანე, ტანსაცმელი გამოვიცვალე და სახელმწიფო ბიბლიოთეკისკენ გავეშურე. ჩემი ნაშრომი ასე დავასათაურე: „რუსული ეკონომიკა შეცდომათა წნებში“. ორ კვირაში მთლიანად გავერკვიე საკითხში: დაუინებით ვეცნობოდი სტატისტიკას, ვაანალიზებდი ციფრებს, ვმსჯელობდი რე-

ფორმების მსვლელობაზე, ადმინისტრაციის გადასხვათერების შესაძლებლობაზე. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დიდალი მასალა შევაგროვე, ძირითადი სამუშაოს-გან თავისუფალ დროს, ბუდრუგანიდან გამოუსვლელად, ძველ კომპიუტერზე მონ-დომებით ვაწყობდი სტატიას. ეკონომიკუ-რი ანალიზი და რამდენიმე პუბლიცისტუ-რი მოსაზრება დაედო საფუძვლად ჩემს მასალას. მასში არაფერი იყო განსაკუთრე-ბული და შთამბეჭდავი. ეს გახლდათ და-მოუკიდებელი მკვლევარის ობიექტური და უკომპრომისო მოსაზრებები, რომლებიც ასე აკლდა თანამედროვე რუსეთს. როცა სამუშაო დავასრულე, ვიყიდე ქაღალდის შეკვრა – ინტერნეტი მე არ მქონდა, – ამოვბეჭდე ტექსტი და გადავწყვიტე სა-მეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და გაზეთების რედაქციების შემოვლა. უზო-მოდ მაინტერესებდა, როგორ შეაფასებდ-ნენ პუტივლელის ნაშრომს დედაქალაქელი ექსპერტები. ცენტრალურ გაზეთთა უმე-ტესობა ქაღაქის ცენტრში, ესე იგი, ვალენ-ტინ სეროვის მუზეუმის ახლოს მდებარე-ობს. თხუთმეტი წუთი დამჭირდა, ფეხით

რომ მივსულიყავი „ვესტის“ ოფისში. რედაქციაში შესვლისას დარაჯმა შემაჩერა: ვისთან მიბრძანდებით? – „რედაქტორთან“, – ვუპასუხე მე. „თვით მიხეილ ბოჭოვინთან? გელოდებათ?“ „არა“. მე აქ არავის ვიცნობ. ეკონომიკურ თემაზე წერილი მოვიტანე. მინდა, გაზეთს შევთავაზო“.

– „მაშინ ტელეფონთან მიბრძანდით. ცნობათა ბიუროს ტელეფონის ნომერი პანელზეა აღნიშნული“. მითითებული ნომერი ავკრიფე. ქალის ხმამ მირჩია, მასალა შესასვლელში დამეტოვებინა. „მოგვიანებით ჩამოვალ და წავიღებ. ორი დღის შემდეგ დარეკეთ,“ – წარმოსთქვა მან. შემდეგ გავემართე „სტოლიჩნი ნოვოსტისკენ“, რომელიც გაზეთ „ვესტის“ მოპირდაპირე მხარეს მდებარეობდა. მოგვიანებით ფედერალურ გაზეთთა რედაქციებიც მოვინახულე. არც ერთმა თანამშრომელმა ჩემთან შეხვედრა არ ისურვა. ყველა „ვესტის“ ვარიანტს მთავაზობდა, სტატია შესასვლელში დამეტოვებინა. „როგორც ჩანს, ისინი ფიქრობენ, რა უნდა დაეწერა უცნობ ავტორს, ვასილი კარამანოვს?“ – გამიელვა თავში. მეორე დღეს „ეკონომიკის ინსტი-

ტუტში“ წავედი, მერე – „ფინანსურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში“, შემდეგ – „მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტში“, ხოლო დღის ბოლოს „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ინსტიტუტს „ვენვიე. ამ ცენტრების მეცნიერ-მუშაკებთან კონტაქტის დამყარება საერთოდ არ მოხერხდა. სატელეფონო საუბრები, ჩვეულებრივ, ხანმოკლე იყო. ძლივს ვასწრებდი მეთქვა: „გამარჯობა, მე მოვამზადე ანალიტიკური სტატია რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ და მინდა გაჩვენოთ, – რომ მოკლე კომენტარს მთავაზობდნენ: რეცენზიის დაწერა ფასიანია, გვერდი – ოცი დოლარი. თქვენი წერილის ერთი გვერდის წაკითხვაში კი ორ დოლარს ავიღებთ. საუბარი სხვაგვარად დაიწყეთ: ეთანხმებით თუ არა ჩვენს ტარიფებს და რა ზომისაა თქვენი ტექსტი“. ენა მებმოდა, არ ვიცოდი, რა მეპასუხა ასეთ მოულოდნელ კითხვაზე. მართალი გითხრათ, ვერც წარმოვიდგენდი, თუ სამეცნიერო საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის უნდა გადამეხადა! ამით საუბარი მთავრდებოდა... ქვეყანა, რომელშიც ვცხოვრობდი, სულ

უფრო და უფრო მიმატებდა საწუხარს, ვდარდობდი, რომ უცებ არაფრის შეცვლა არ შემეძლო. ნელ-ნელა ვბრუნდებოდი ჩემს ბუდრუგანაში და ვფიქრობდი იმაზე, რომ დღესდღეისობით ადამიანები ღრმა კრიზისის მდგომარეობაში იმყოფებიან. აქ მორალზე არ არის საუბარი – **მათ ბიოლოგიური კატასტროფა ემუქრებათ!** რამდენიმე დღის შემდეგ „ვესტიში“ დავრეკე. ქალის ნაცნობმა ხმამ აგდებით მიპასუხა: „ა-ა, კარამანოვი... თქვენი სტატია წავიკითხეთ. მაგრამ ის ძალიან დიდია, თხუთმეტგვერდიანი... ეს მთელი საგაზეთო ფურცელია! ერთ გვერდში ჩვენ ოცდაათი ათასს, ხან ორმოცდაათი ათასს დოლარ-საც ვიღებთ. რედაქტორს ვესაუბრე, ის თანახმაა თორმეტი ათას დოლარად დაბეჭდოს თქვენი წერილი. მოიტანეთ ნაღდი ფული და ორ დღეში დავბეჭდავთ. ალო, ჯერ კიდევ ხაზზე ხართ?“ ამ ამბით შეძრულმა, ყურმილი დავკიდე. განა რა დავწერე ისეთი, რომ მის გამოსაქვეყნებლად მთელი კაპიტალია საჭირო? რა, მასში *cosmicus*-ის საქონლის რეკლამაა განთავსებული? ნეტა, რა წაიკითხეს მათ სტრიქონებს

შორის? რა, გაპუტივლელებისათვის ჰონო-  
რარს ვიღებ? და ეს ჰონორარი ხუთნიშნა  
ციფრითაა გამოხატული? დავიწყე ჩემი მა-  
სალის ზოგიერთი აბზაცის გახსენება, რომ  
გამეაზრებინა, რაშია საქმე. მე ვწერდი:  
„არავითარი ფარული ცოუნება ან ბოროტი  
განზრახვა არ მამოძრავებს თანამედროვე  
ეტაპის რუსული ეკონომიკის მდგომარეო-  
ბის ანალიზისას. მოტივს, რომელიც მაიძუ-  
ლებს ოქვენი ყურადღება ხელისუფლების  
ეკონომიკური პოლიტიკის შეცდომებზე გა-  
ვამახვილო, მოქლაქეობრივი გრძნობები  
მკარნახობს, და, რომელსაც რუსების გული  
და გონება თანდათანობით, მაგრამ მაინც  
აღიქვამს. ამ გრძნობებში ჰქონის სიკეთის  
ქმნის გამჭოლი ქარი და ტკივილი ნაციის  
ბედის გამო“. ნუთუ ამგვარი სტრიქონები-  
სთვის გაზეთები ფულს იღებენ? იქნებ  
სხვა აბზაცისთვის გადაწყვიტეს ჩემთვის  
ანგარიშის წარდგენა? „რუსეთი უმძიმეს  
კრიზისს განიცდის. ჩვენ ცოტას ვკითხუ-  
ლობთ, გვავიწყდება გოგოლი, დოსტოევ-  
სკი, ტოლსტოი.“ არ გვსურს მოვუსმინოთ  
ჩაიკოვსკის, მუსორგსკის, შოსტაკოვიჩს.

გაგვიქრა აღფრთოვანება ბრიულოვის, ვერეშჩაგინის, ლევიტანის ტილოებით. აღარ ვიხსენებთ ისეთ დიდებულ სახელებს, როგორებიც არიან: პავლოვი, ლანდაუ, ვავილოვი, ტამმი. აღარ გვსურს ვიცოდეთ კარამზინი, სოლოვიოვი, კლუჩევსკი. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ რუსული სული მხოლოდ პოპ-კულტურას, პოპ-პოლიტიკას, პოპ-მეცნიერებას, პოპ-ეკონომიკას საჭიროებს. რომ ყველაფერი აკადემიური და მარადიული მხოლოდ გვავნებს, როგორც ყინვა ახალ ამონაყარს. და ამის შემდეგ, როგორ შეიძლება სერიოზულად ითქვას, რომ ჩვენ შეძლებულ, მდიდარ ქვეყანაში ვცხოვრობთ?“ სწორედ ამ გულწრფელად გადმოცემულმა აზრმა განაპირობა მათ მიერ დოლარების მოთხოვნა? თანამედროვე რუსეთმა შეცვალა საუკუნობით არსებული წესი: „ადრე ექსპერტები იღებდნენ პონორარს თავისი შრომისთვის – ახლა, როგორც ჩანს, მათ აწვებათ გადასახადი საკუთარი აზრის გამოთქმისთვის. რა არის ეს – ახალი ცივილიზაციის გაფურჩქვნა თუ პირიქით, დაცემა? შესაძ

ლოა, საქმეს ის ართულებს, რომ ანალიტიკურ სტატიაში მეცნიერ-ეკონომისტებისათვის დამახასიათებელ ლექსიკას გადავუხვიე. რედაქციას ალბათ სულ სხვა პოზიცია ექნებოდა, თუ ტექსტი ასეთი იქნებოდა: „თუ სამრეწველო წარმოების დინამიკას ტერიტორიულ ჭრილში განვიხილავთ, სრულიად აღმაშფოთებელი რამ გამოვლენდება. რაიონებში სამრეწველო წარმოების უმეტესობის ნამატი ნავთობისა და გაზის მოპოვებით არის განპირობებული, ხოლო მოსკოვსა და პეტერბურგში – მეტალთა წარმოებით. ქვეყანაში მრეწველობის ზრდის ორმოც პროცენტზე მეტი დედაქალაქზე მოდის. უნდა ითქვას, რომ მოსკოვში სწრაფად ვითარდება ნავთობწარმოებასთან დაკავშირებული დარგები – ნავთობქიმია, ფარმაკოლოგია, სანავთობო მანქანათმშენებლობა. პეტერბურგში მრეწველობის ოცდაექვსი პროცენტით ზრდა მსხვილი სამხედრო დაკვეთების საექსპორტო გარიგებებზე მოდის. რუსეთის რაიონთა აბსოლუტურ უმრავლესობაში წარმოების სტაგნაცია შეინიშნება. ქვეყანა თანდათან ვენესუელისა და ნიგერიის ტიპის სანავთო-

ბო ელდორადოდ გარდაიქმნება, სადაც დედაქალაქისა და სანავთობო რეგიონებს მიღმა მრეწველობის დეგრადაცია და უსაშველო სილატაკე მეფობს.“ ვერაფრით გავი-გე ტარიფის აზრი: თორმეტი ათასი დოლარი. რაში სჭირდება მეცნიერს ამხელა თანხის გადახდა, სტატია ყოველდღიურ გაზეთში რომ გამოაქვეყნოს? ამ დროს კიდევ ერთი აბზაცი გამახსენდა და გავი-ფიქრე: როგორც ჩანს, რუსეთში სახელმწიფო კურსის კრიტიკისათვის ავტორები თვითონ უხდიან მეგაზეთებს. მაგალითისთვის, იქნებ სწორედ ამ აბზაცმა გამოიწვია „ვესტის“ რედაქტორში გამდიდრების სურვილი: „სახელმწიფო სახაზინო და ფედერალური სახესხო ობლიგაციების მოცულობამ 2003 წლის დამლევისთვის 30 მილიარდ დოლარს მიაღწია. თუ სსო-ფსო-ს ემისიის ზრდის თანამედროვე ტემპი შენარჩუნდა, მათი პირამიდა ოთხ წელიწადში 1,5-ჯერ გადააჭარბებს 1998 წლის შუალედში შექმნილ დეფოლტს. მთავრობამ უკვე დაივიწყა ეს დეფოლტი – ეკონომიკისთვის თავისი დამანგრეველი შედეგებით. ყველაზე

უცნაური ის გახლავთ, რომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ახალი პირამიდის შექმნის მოთხოვნილება არ არსებობს. 1994-1998 წლებში სსო-ფსო-ს მზარდი ემისია იმით ახსნეს, რომ აუცილებელი შეიქნა ფედერალური ბიუჯეტის მზარდი დეფიციტის დაფარვა. თუმცა ეს დრო უკვე გავიდა. ბიუჯეტი კი წლიდან წლამდე პროფიციტულია. მაში, რაღა საჭიროა ახალი პირამიდის აგება და შინაგანი ვალის ზრდა? ამ კითხვაზე მთავრობა პასუხს არ იძლევა.“ შემდეგ საკუთარი თავი იმით დავიმშვიდე, რომ მათი სამყარო ბიზანტიური საიდუმლოებებითა და პარადოქსებითაა სავსე და მეტი სიფრთხილე გამოვიჩინე „სტოლიჩინიე ნოვოსტიში“ დარეკვისას. ვინმე ტოკუჩიავმა გაზეთის ფინანსურ პრობლემებზე, მის გაურკვეველ მომავალზე დამიწყო ლაპარაკი. ყურმილი უცებ დავკიდე და გავიფიქრე, კარგად მოვიქეცი, საუბარი რომ შევწყვიტე. ძალიან უსიამოვნო იქნებოდა კიდევ ერთი კომერციული შეთავაზების მოსმენა. იქნებ ეს არც მომხდარიყო, მაგრამ რა საჭირო იყო ჩემთან სარედაქციო

სამზარეულოზე საუბარი? სხვა გაზეთებში არც დამირეკავს. და თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩემი სტატია „რუსული ეკონომიკა შეცდომათა წნევები“ არსად გამოქვეყნებულა, გონივრულად მოვიქეცი. ჩემმა ნაშრომმა მხოლოდ ფინანსური ინტერესი გამოიწვია: ყველა დოლარებს ითხოვდა. მეცნიერებთან და პრესასთან ექსპერიმენტის შედეგად დავრწმუნდი: კულტურული კრიზისი – ეს მხოლოდ ადამიანთა გენეტიკური მსხვრევის გარეგნული გამოხატულებაა. ჩემი ადამიანებთან მიახლოება არაფრით დასრულდა. უფრო სწორად, ის დაიწყო სურვილით, პუტივლელთათვის რაღაც სასარგებლო მომეძიებინა **მათში**. მაგრამ **მათ** სამყაროსთან ურთიერთობის პრაქტიკამ დაამტკიცა: „რაღაც სასარგებლო“ **მათში** არ არის, ან თითქმის არ არის. გასაგებია, იმ დროს რატომაც გამახსენდა გერბერშტაინი: „რუსებს უცნაური ცერემონიები ახასიათებთ: მცირე შეძლების ადამიანს არ ძალუდს რომელიმე დიდებულის სახლში ცხენით შესვლა. ლარიბ და უცნობ ადამიანებს, ჩვეულებრივ, მებატონეებთან მიკარებაც არ

შეუძლიათ: თვითონ ისინი კი საზოგადოებაში იშვიათად ჩნდებიან, რათა შეინარჩუნონ წონა და პატივისცემა საკუთარი თავის მიმართ“. ეს დაკვირვებები ორასი წლისაა. თუმცა ძველებურად, ადამიანი თავის თავს არ ეკუთვნის, ის საკუთარი გენური არქიტექტურის მძევალია. **მათში** არ არის რაღაც სიდუმლოებები, ყველაფერი გასაგებია და უკვე აღარ იწვევს ჩემში შეცნობის სურვილს. მხოლოდ ერთ კითხვაზე ვერ ვპოულობ პასუხს: როგორ მოვექცე იმ შესანიშნავი წიგნის ავტორებს, რომლებიც ფრთებს მასხამს. თუმც უცაბედმა ვარაუდმა თითქოს თავზარი დამცა: „იქნებ სხვა ადამიანებსაც აქვთ არაერთი საინტერესო მოსაზრება, უბრალოდ, **მათი** ყოფა იწვევს ზიზღს? ამან ელემენტარული დასკვნა გამომატანინა: სააზროვნო პროცესის გენსა და ქცევის განმაპირობებელ გენს შორის უზარმაზარი უფსკრულია. როგორც ჩანს, სწორედ აქ არის კოდირებული **მათი** მანქის გარდუვალობა: აზრისა და გრძნობის ურთიერთბრძოლა. გულის წინააღმდეგობის გამო გონებას არ ძალუძს სრულიად გაიხსნას და საკუთარი ძალა გა-

მოამზეუროს. ის თითქოს ჩაკეტილია, გულისმიერი ფლუიდები აფერხებენ მის სილალეს. ჩემი ამოცანაა, გავათავისუფლო **ისინი** ამ კოდისაგან. დიახ, დიახ, სწორედ ამით უნდა დავიწყო! მეორე დღეს გავიღვიძე მძაფრი სურვილით, ჩემი უმთავრესი საქმე განმეგრძო. ეს სურვილი დიდი ხანი მდევდა და მართალი გითხრათ, უნინ არც მესმოდა, სად უნდა დამედო ბალავარი. სად უნდა ჩამერჭო პირველი სამსჭვალი? ამ დროს სრულიად მოულოდნელმა იდეამ გამინათა გონება: აუცილებელია სასამართლო განხილვა, რომელზეც გააანალიზებული იქნება ყველა „მომხრე“ და „ნინაალმდეგი“. მაგრამ რისთვისაა ყოველივე ეს საჭირო, შეშინებულმა ვკითხე საკუთარ თავს, თუკი ადამიანთა გაპუტივლელების მთელი პროგრამა ჩემს თავშია თავმოყრილი? ვინ იქნება მოსარჩევე, თუკი ამის შესახებ არავინ იცის და არც შეიძლება იცოდეს? ეს ალბათ ისევ მე აღმოვჩნდები ფსევდონიმითა და ადამიანის ფორმით. ადვოკატი ვიღა იქნება? ადვოკატის მანტიასაც მე მოვისხამ. და პროკურორს ვინ წარმოადგენს? პროკურორის სამხრეებიან

ფორმასაც მე მოვირგებ. მოსამართლე? – ისევ მე – ხუჭუჭა პარიკითა და მაღალზურგიან სავარძელში მჯდომარე. მოწმე ვიღა იქნება? – აქაც მე ვიქნები უბნის რწმუნებული, რომელიც კარის ჭუჭრუტანიდან ზვერავს მოვლენებს. ბრალდებული? კვლავ მე – ჩინური კოსტიუმითა და ვიეტ-ნამური ფეხსაცმლით! როდის დაიწყება პროცესი? დაუყოვნებლივ! ერთხელ კიდევ დავგვი ქუჩებს, გამოვიცვლი ტანსაცმელს და სტაროვაგანკის ჩიხში მდებარე ჩემი ბუნაგი სასამართლოდ იქცევა. ექვსივე მონაწილე აპლოდისმენტებით, ლიმილითა და ტუჩების წმანუნით შეეგება ამას, თითქოს ელოდნენ კიდეც ამ გადაწყვეტილებას. მგონი, დაავიწყდათ, რომ ისინი მხოლოდ ჩემს წარმოსახვაში არსებობენ. ჰო-ო! წარმოსახვის ნაყოფს ადამიანად აქცევ თუ არა, ისინი მაშინვე თავის განსაკუთრებულ უფლებებს იცავენ. თუმცა ვასილი კარამანოვი საკუთარ ადგილს მიგიჩენთ! დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი კვლევისთვის სამართლებრივი სტატუსი უნდა მიმეცა. საბოლოო კონცეპციის მისაღებად – სასამართლოს გადაწყვეტილება იყო

საჭირო, ხოლო მამაცური გადაწყვეტილებებისათვის – განაჩენი! – რომ არასოდეს არავის ეწოდებინა ჩემთვის მეტიჩარა! ვინ იცის, რა გამოიგონა და მუტაციის ვარიანტებით, აბსურდულის ხლართვით, შეუთავსებლის შეთავსებით ცდილობს, მყრალი სურნელოვანთან, წმიდა სიბინძურესთან შეაზავოს. ქუჩების გვაც კი ავასწრაფე, რომ დროზე წარვმდგარიყავი სასამართლოს წინაშე. უნდა მეჩეარა. ბოლოსდაბოლოს, ყველაფერი ცხადი გახდა, დალაგდა, ლოგიკურ ჯაჭვში ჩაება და ცნობიერებაც დაწყნარდა. მომეჩვენა, რომ საკუთარი მეს ძიებამ მოიპოვა სიმშვიდე, რომელიც ბავშვობიდანვე ასე მაკლდა. სასამართლოზე მივიჩეაროდი, მაგრამ თავს კარგად ვგრძნობდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს დღე ამ მოწამეობრივ ძიებას დაასრულებდა და და მთელი ჩემი ცხოვრების საქმის განვითარებას მძლავრ იმპულსს მისცემდა. ეჭვი არავის შეეპაროს, რომ მე, ბრალდებულს, მაქვს სათქმელი! ამასთან, მზად ვიყავი, საყვედურები და თუნდ ბრალდებაც მომესმინა. შევვარდი ჩემს ფარდულმი, გავიხადე, პირსაბანთან ხელ-პირი

დავიბანე, ახალი პერანგი და კოსტიუმი გადავიცვი, დავივარცხნე წითური თმა და ხმამაღლა საზეიმოდ განვაცხადე: „ადე-ქით! მოსამართლე მობრძანდება!“ ყველა წამოხტა. ამ მომენტიდან მე მთელი არსებით სასამართლო პროცესს ვეკუთვნოდი. მჯეროდა, რომ დამკითხველებსა და მოპასუხეებს ერთი განზომილება – მუტაციის ნაკადი – ამოძრავებდათ. გენური არქიტექტურა სწორდებოდა და სამართლებრივი თუ მორალურ-ეთიკური შემადგენელი ნაწილები ცნობიერებაში სამუდამოდ იძირებოდა. პროკურორი ზლაზვნით წამოდგა, დაამთქნარა, ისევ სკამზე ჩამოჯდა და ჟურნალ „კრასნაია პლოშჩადის“ კითხვა განაგრძო. მაღალ საზურგიან სავარძელში ჩამჯდარმა მოსამართლემ პირველი სიტყვა წარმოსთქვა: „პატივცემულო ბატონებო! დღეს სასამართლო ისმენს რუსეთის მოქალაქე ივან სპესივცევის სარჩელს ასევე რუსეთის მოქალაქე ვასილი კარამანოვის წინააღმდეგ. სასარჩელო საგანი: სასამართლოში შემოვიდა მოსარჩელე, ივან სპესივცევის განცხადება, რომელშიც ის ამტკიცებს, რომ ვასილი კარამანოვი

თვითნებურად, სახელმწიფო ლიცენზიის გარეშე, ატარებს ცდებს ადამიანთა გენეტიკურად შეცვლის მიზნით, რაც ეწინააღმდეგება რუსეთის კანონმდებლობას“. „რა ფსევდონიმია სპესივცევი? რაიმე უკეთესის მოგონებაც შემეძლო“, – გამიელვა თავში. „ამასთან დაკავშირებით სასამართლო აუცილებლობად მიიჩნევს, – აგრძელებდა მოსამართლე, – მოისმინოს ორივე მხარის თვალსაზრისი აღნიშნული საკითხის შესახებ. ბატონო სპესივცევო, სიტყვა თქვენ გეკუთვნით“. ვუყურებდი მოსამართლის თითებს, რომლებიც მწვანე მაუდზე ძვლისტარიან ლუპას აქეთ-იქით დააცურებდნენ და ვცდილობდი, დამეჯერებინა ჩემი მარტივი ბიძაშვილების გონიერება. მაგრამ მოსარჩელე მეტისმეტად დაძაბული ჩანდა. ის წვეთი წყალივით ჰეგავდა ქედმაღალ დედაქალაქელ ჩინოვნიკს, იმ ბიუროკრატს, რომელიც რუსეთის ყოფას განაგებს. მოუსვენარი თვალის გუგები მის შურისმაძიებელ ხასიათზე მიუთითებდნენ. სპესივცევს ჯერ ვერ გადაეწყვიტა, რა სარგებლის მიღება შეიძლებოდა ამ საქმი-დან. თუმცა დიდ ხანს არ შეყოვნებულა:

როგორც ჩანს, მთავარ ძარღვს მიაგნო და თამამად განაცხადა: „მე ვფლობ მონაცე- მებს, რომ ვასილი კარამანოვს ადრეული ბავშვობიდან ეზიზლებოდა ადამიანები, – გაურკვეველია, რა მიზეზით თვლიდა თავს ზეკაცად და „პუტივლელს“ ან *cosmicus*-ს უწოდებდა. მან მთელი თავისი ცხოვრება მუტაციური ფორმულის ძიებას მიუძღვნა და თან რუსეთის მთავრობისგან ნებართ- ვასაც არ ითხოვდა, რომ ჩვენი თანამოქა- ლაქეების გენეტიკური მოდელი შეეცვალა. სტაროვაგანვის ჩიხში მდებარე თავის კერ- ძო ლაბორატორიაში ბატონი კარამანოვი უახლოეს დროში აპირებს ამ პროცესზე ინტენსიურად მუშაობას. მე, როგორც რუ- სეთის სამართლის სუბიექტი, კატეგორი- ულად ვენინააღმდეგები ამ ამბიციურ ფსევდომეცნიერულ თავდასხმას ადამიან- ზე. მოვითხოვ, ბატონ კარამანოვს აეკ- რძალოს ადამიანების გენურ სტრუქტუ- რაში ჩარევა. ამისთვის რუსეთს მრავალი სამეცნიერო ცენტრი გააჩნია: ვავილოვის სახელობის „გენური ბიოლოგიის ინსტი- ტუტი“, „საერთო გენეტიკის ინსტიტუტი“, „მიკროორგანიზმების გენეტიკისა და სე-

ლექციის ინსტიტუტი“ და სხვა კვლევითი დაწესებულებები. რა სიახლე უნდა მოუტანოს გენეტიკას კეთილსინდისიერი მეეზოვის, საშუალო განათლების არმქონე პროვინციელის მცდელობებმა? ყველაფერი ის, რისი გაკეთებაც მას სურს, ჩვენთვის მომაკვდინებელია, პატონებო! სჯობს ისევ თავისი ტერიტორია დაგავოს, იატაკები რეცხოს ვალენტინ სეროვის მუზეუმში. ამით მეტ სარგებლობას მოიტანს. საჭიროა მისი შვებულებაში გაშვება. დაე, გაემგზავროს ანაპაში. ზღვის ჰაერი სწრაფად გამოურეცხავს დანაგვიანებულ ტვინს. როგორც მეწალე უწალოდ, ასეთივეა მეეზოვე დანაგვიანებული ტვინით! აქ მოსარჩელემ გაიცინა – აქაოდა, კარგი შედარება მოვიგონეო! თან შრომითი კანონმდებლობითაც ეკუთვნის შვებულება. ის კი ამ კანონს არღვევს. მეეზოვედ მუშაობის განმავლობაში ერთხელაც არ უსარგებლია დასვენების უფლებით. მუზეუმიც უნდა დაჯარიმდეს! კანონის დარღვევისათვის თითოეული სამეურნეო სუბიექტი ვალდებულია, ჯარიმა გადაიხადოს! ეს კი – დასვენების შემდეგ

უნდა დაუბრუნდეს სამუშაოს, დაოჯახდეს, შეიძინოს ბინა, გაზარდოს შვილები... მოკლედ, იცხოვროს ღირსეული ადამიანივით. მოვითხოვ, ფიქრიც კი აეკრძალოს ამ სულელურ ანტიადამიანურ პროექტზე. ჩვენი დაცინვა ხომ არ გადაწყვიტა? თან – ვინ? – მეეზოვემ? ასეთი უცნაურები რუსეთში მრავლად არიან. ყველამ კარგად იცის, რომ სულელი ჭკუანაკლულს ნიშნავს, როგორი საოცრებაც არ უნდა მოუვიდეს მას თავში. ასეთები ან ციხით ამთავრებენ სიცოცხლეს, ან ალკოჰოლიზმით, ან განუკურნებელი ფსიქიური აშლილობით. თქვენო ღირსებავ! მე მსურს, თქვენთან ერთად, გადავარჩინო მოკრძალებული, უბოროტო ადამიანი, კარგი მუშაკი ამ ნაკლოვანი და აკვიატებული იდეისაგან. თუმცა, ნება რომ მისცე, ლიცენზიით უზრუნველყო, ყველას დაახსრჩობს! არც პატარებს შეიცოდებს, არც მოხუცებს! თუ ჩემი რწმუნება რამედ გილირთ, ბატონო მოსამართლევ, ვაცხადებ: კარამანოვი მეტისმეტად საშიშია რუსული საზოგადოებისათვის. მოვითხოვ, მისი კვლევები სასამართლოს ძალით აკრძალოთ! მოვრჩი. მე დავამთავრე“. სი-

ჩუმემ დაისადგურა. თითქოს თითოეული თავის სარწმუნო არგუმენტებს არჩევდა, მეხსიერებაში იქექებოდა. ისინი უფრო მეტად ლევ ტოლსტოისა და მიხეილ ბულგაკოვის რომანთა პერსონაჟებს წააგავდნენ, ვიდრე წარმოსახულს. პროკურორი აქეთიქით იხედებოდა, დაუინებით იფერთხავდა პიჯაკიდან ქერტლს და ყურს თითით იჩიჩქნიდა. ადვოკატს ბეჯითად გამოჰყავდა ასოები, როგორც ჩანს, გამოსვლის ტექსტს ბლოკნოტში იწერდა, ან ასწორებდა რეპლიკებს, რომლებიც პროცესის მონაწილეთათვის სახეში უნდა მიეხალა და თან დაუფარავი სიბრაზით ემზირა მათთვის. მილიციელს, პირიქით, თვალები დაეხუჭა, რითაც აშკარად გამოხატავდა, რომ ფრიად სასიამოვნო გრძნობებს მოეცვა. თითქოს ის, რაც სასამართლოზე ხდებოდა, მას არ ეხებოდა. მაგრამ ეს ასე არ იყო: უბნის რწმუნებულს მარჯვენა ხელით მაგიდის ქვეშ სამი თითის კომბინაცია შეეკრა და ადვოკატისკენ მიემართა. დაფიქრებული მოსამართლე ლოყაზე საჩვენებელ თითს იტკაცუნებდა, თითქოს ცდილობდა, სიმშვიდე და სიბრძნე შეენარჩუნებინა. ის,

ძირითადად, დუმდა. მისი მოწყენილობა ჩემში სიფრთხილეს იწვევდა. „ნუთუ ვერ ხედავს, რა ვულკანი ფეთქავს ჩემს ცნობი-ერებაში!“ დაბოლოს მან გამჭოლი მზერა მესროლა, თითქოს გონს მოეგოო და გა-ნაცხადა: „სიტყვა ეკუთვნის ბრალდებულს. გთხოვთ, ბატონო კარამანოვო. რას გვეტ-ყვით არსებითს სარჩელის შესახებ?“ – „თქვენო ღირსებავ, მთავრით დავიწყებ: არც სასამართლოს ვუმალავ და არც რუსე-თის მოსახლეობას, რომ უკვე დიდი ხანია მაწვალებს ადამიანის სწრაფი გენეტიკური ცვლილების იდეა; საამისოდ მრავალი მიზეზი მაქვს“. – „თქვენ არ გაქვთ უფლე-ბა, მამა ღმერთივით, ან ქვეყნის პრეზიდენ-ტივით ილაპარაკოთ! თქვენ მეეზოვე კარა-მანოვი ბრძანდებით! პროტესტს ვაცხადებ! ბრალდებულს არა აქვს ამგვარი განცხა-დებების უფლება – თითქოს მას ადამიან-თა მოდგმის შეცვლის მიზეზი გააჩნია. მსგავსი საჯარო გამონათქვამი, შეიძლება შეფასდეს სასამართლოს შეურაცხყოფად!“ – შემაწყვეტინა პროკურორმა. „თქვენო ღირსებავ, – წამოხტა ადვოკატი, – ან მივ-ცეთ ბატონ კარამანოვს აზრის გამოთქმის

უფლება, რათა შედგეს სასამართლო განხილვა, ანდა ამ აბურდულ საქმეზე ვერაფერს გავიგებთ“. – „გეთანხმებით!“ – თქვა მოსამართლემ. განაგრძეთ, ბრალდებულო“. მილიციელს გავხედე: მაგიდის ქვეშიდან ადვოკატისკენ კვლავ მიმართული იყო მსხვილი ბრანწი. „ნეტა, რა უნდა ამით, რომ ითქვას? – გავითვიქრე მე. – თუმცა ვნახოთ, პროცესი ხომ ახლა დაიწყო“. გამოსვლის წინ აზრის მოკრება მინდოდა. თავში ერთი მეორის მიყოლებით ათასობით ექსპრესიული გამოგონება მიციმციმებდა, მაგრამ გონება მათ გულგრილად ახარისხებდა, როგორც რეჟისორი ახარისხებს ხოლმე გადაღებულ კადრებს, იქვე ინუნებს უსარგებლოს და ინახავს საუკეთესოს. ამიტომ გონებითა და აზროვნებით ცივი გახლდით, თუმცა არგუმენტები – მწველი მქონდა. „თქვენი ღირსებავ, როდესაც მეცნიერები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების – სიმინდის, ხორბლის, სოიოს, შაქრის ჭარხლის და ა.შ. – გენებს ცვლიან, საზოგადოება რატომ არ აპროტესტებს ამას? რატომ დუმს? და არა მხოლოდ დუმს, არამედ მშვენივრად

სარგებლობს ამ პროდუქტებითა და კვების რაციონშიც იყენებს. რამ აიძულა ისინი ცივილიზაციის ისტორიაში ასეთი უპრეცენდენტო საქციელი ჩაედინათ – მარცვლეულის, ხილისა და ბოსტნეულის ათასწლობით გამომუშავებული გენეტიკა შეეცვალათ? და რა – პურის გემო იგივე არ არის? რა – კარტოფილი ვეღარ იხარშება? რა – ვეღარ იღებენ ჭარბლიდან შაქარს? რა – რაფსისგან ზეთს აღარ ხდიან? რა – წინიბურას ველებზე ფუტკრები ნექტარს ვეღარ წოვენ? არა! პრობლემა ისაა, რომ ყველაფერი ისევეა, როგორც შორეულ წარსულში! აი, ეს გახლავთ ყველაზე დიდი უბედურება! თქვენო ლირსებავ, მას შემდეგ, რაც ხელისუფლება ეკონომისტების ხელში გადავიდა, ადამიანურ გენურ ანსამბლზე რენტაბელობის სისტემატური თავდასხმა ხორციელდება. რენტაბელობის ზრდა კი, თავის მხრივ, მოთხოვნილების დინამიკაზეა დამყარებული. რამდენადაც აქტიურია მოთხოვნილება, მით უფრო მცირეა დანახარჯი და მით უფრო მაღალია რენტაბელობაც. ამრიგად, ეკონომიკურმა კანონებმა ჩემი მარტივი

ბიძაშვილების ისედაც განუვითარებელ გენურ არქიტექტურას დეფორმაცია განაცდევინა. **მათმა** ინტელექტმა დაცემა იწყო. პოპსამ გაანადგურა ამ ბიოლოგიური სახეობის საფუძვლები. ადამიანთა რიცხვი იზრდება, მაგრამ **მათი** გონიერება უფრო და უფრო მცირდება. ის იფიტება. აი, სად არის ძალლის თავი დამარხული! იმისთვის, რომ ხორბალმა მცირე დანახარჯით დიდი მოსავალი მოგვცეს, რომ ჰექტარიდან ოთხს კი არა, ათ ტონა რაფსის მოსავალს ვიღებდეთ, რომ სოიოსგან გამოხდილმა ზეთმა ორმოცდასამს კი არა, ოთხმოც პროცენტს მიაღწიოს, საჭიროა მისი გენური მოდიფიცირება. ამიტომ აუცილებელია ადამიანის ცვლილებაც! იმისთვის, რომ მან უმაღლესი გონის გამოწვევა მიიღოს და ტელევიზორის ეკრანით კი არა, თვითონ შესძლოს კოსმოსის ათვისება, რომ მისმა ინტელექტმა არა მხოლოდ საკუთარი თავი შეინახოს, არამედ ოჯახიცა და სხვა მრავალი დამშეული, გაუბედურებული ადამიანიც, რომ ნაკლები ჭამოს, სვას და ისუნთქოს, რომ ნებისმიერი არახელ-საყრელი ტემპერატურის პირობებში თავი

კომფორტულად იგრძნოს, დაბოლოს, განსაკუთრებულად მაღალ რენტაბელობას მიაღწიოს, გენეტიკურ შეკეთებასა და განახლებას უნდა დაექვემდებაროს“. გამუდმებული, მაგრამ ერთმანეთის მსგავსი ბინძური ხლართები, რამაც ადრეულ ასაკში **მათ** მიმართ ჩემი სიძულვილი გამოიწვია, აღარ მიტაცებდა. „ეს ალბათ იმით არის გამოწვეული, – ვფიქრობდი მე, – რომ უკვე იშვიათად განვსჯი **მათ** საქციელს. საბოლოოდ დავასკვენი, რომ **ისინი** სასწრაფოდ საჭიროებენ ჩემს ჩარევას და ნაკლებ ინტერესს ვიჩენდი **მათი** ცხოვრების წესის მიმართ. დიაგნოზი აშკარაა და ამ ბიოლოგიური სახეობის შემდგომმა შესწავლამ ყოველგვარი აზრი დაკარგა. განა გამოჩენდება ვინმე, ვისაც თვითკმარი გონება გააჩნია, რომ კონცეპტუალურად შემეკამათოს, ვინც განაცხადებს, რომ დედამიწელს ეს არ სჭირდება და ყველაფერი ეს სისულელეა? ადამიანებს შორის საუკეთესოთა ტომებს გადახედეთ, ჩაუკვირდით **მათ** აზრებს და ყოფითი რეალობა აბსტრაქციის ჭრილში გაისიგრძეგანეთ. ის ხომ ასეთი ყალბი და საძაგლობამდე აღ-

ვირახსნილია... თქვენო ღირსებავ! ბუნებაში არ არსებობს ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც შეაფერხებს ჩემს სწრაფვას – შევქმნა ახალი ბიოლოგიური სახეობა – *cosmicus*-ი! ვერავინ იპოვის მტკიცებულებას, რომ დამარწმუნოს ჩემი გეგმის დანაშაულებრიობაში, რომ პროგრამის განხორციელება შეუძლებელია, იდეა უზნეო. რომელი ასპექტი შეიძლება გამოვაცხადოთ მანკიერად, თუ ბიოლოგიური არსების სრულყოფაზე, თვითკმარობასა და გონის ახალ სიმაღლეზე ვსაუბრობთ?! მე გელაპარაკებით პუტივლელებზე, ზეკაცებზე, რომელნიც მთელ სამყაროში განსახლდებიან. თვითონ ადამიანებს არ სურთ თავისი შესაძლებლობების მიღმა გადაბიჯება. რატომ? აი, ამას ვეძიებ მე. მოთხოვნილებისა და მოხმარების გენით ქანცგანყვეტილებმა ჩემი დახმარებით უნდა დაალწიონ თავი ამაზე დამოკიდებულებას. ამისათვის ხომ არავითარი წინაღობა არ არსებობს. **მათ** მხოლოდ ძიებისა და წარმატებაში დარწმუნებულობის თამამი სურვილი აკლიათ. თქვენი ვერნადსკი წერდა: „*Homo sapiens*-ი დასრულებული ქმნილება

როდია. ის არ ფლობს სრულყოფილ სააზ-როვნო აპარატს. ის არსებათა გრძელი ჯაჭვის შუალედური რგოლია. მას აქვს წარსული და უეჭველია, ექნება მომავალიც!“ ციოლკოვსკი კი განაგრძობდა: „ორგანიზმთა პროგრესი განუწყვეტლად მიმდინარეობდა და ყოვლად წარმოუდგენელია, ადამიანზე შეჩერდეს“. თქვენო ღირსებავ, თუ მხარს დაუჭერთ ჩემს პროექტს, თქვენ გეწვევათ შორეული მომავალი არა ოდესმე, არამედ დღესვე, სიცოცხლეშივე. იმედს ვამყარებ თქვენზე და ამაყი გახლავართ ამ დიადი საქმის გამო“. „ჰომ! ძალიან ჩაახვიეთ, ახალგაზრდავ, – მითხრა საგონებელში ჩავარდნილმა მოსამართლემ. – რა მაქვს სათქმელი? მაგარია! სარჩელის განხილვის გაგრძელება მომინევს. ჯერჯერობით სურათი ბუნდოვანია. ბატონო პროკურორო, სიტყვა თქვენ გეკუთვნით“. პროკურორმა ტუჩი გადმობერა და თითქოს სკამიდან წამოდგომა არ სურსო, დაუინებით მოათვალიერა დამსწრენი, ბოროტად დამაშტერდა და ხმამაღლა წამოიწყო: „ბატონებო! სამსახურებრივი საქმის გამო ხშირად მიხდება ფსიქიატრიულ კლინიკებში ყოფნა. არაერ-

თხელ შევხვედრივარ სულიერ ავადმყოფებს, საკუთარ თავს ნაპოლეონად, ჰეგელად, სტალინად, ქრისტეს მოწაფეებად, უირინოვსკად რომ აცხადებენ! უფრო სარწმუნოა, რომ ბატონი კარამანოვის სახით, სწორედ მსგავს მანიაკალურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. სასამართლო განხილვა რომ გავაგრძელოთ, მოვითხოვ ფსიქიატრიულ ექსპერტიზას. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ჯანმრთელ თუ ავადმყოფ განსასჯელთან გვაქვს საქმე?“ – „კარგი აზრია! – წამოხტა მოსარჩელე. – პროკურორს სავსებით ვუჭერ მხარს! შემოსავლის ცნობაც წარმოადგინოს ასევე“. – „თქვენო ღირსებავ! – სკამიდან წამოდგა ადვოკატი. – მე ხელთ მაქვს ფსიქიატრის დასკვნა, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩემი დასაცავი პირი სრულიად ჯანმრთელია. ნება მიბოდეთ, გადმოგცეთ ეს დოკუმენტი“. – „აი, ცნობას საქმეს მივაკრავ... ბატონო პროკურორო, დაასრულეთ?“ – ჰკითხა მოსამართლემ. „არა, არა!“ – „მაშ, განაგრძეთ...“ – „ყველამ მშვენივრად ვიცით ასეთი ცნობების ფასი! დაასახელეთ აღნიშნული საბუთის გამცემი დისპანსერი და

მე გავამხელ ამ სამედიცინო დასკვნაში გადახდილ თანხას. ის ყალბია! მიუხედავად ამისა, საჭიროდ ვთვლი, განვაგრძო გამოსვლა. ამრიგად, ჩვენს წინაშეა ახალგაზრდა კაცი. დოკუმენტებით ის ოცდაცამეტი წლისაა, ფაქტობრივად, ოცდაათის და აქედან ექვსი პატიმრობაში გაატარა. განა შეიძლება ასეთმა მოქალაქემ სასამართლოს ნდობა დაიმსახუროს? მინდა გკითხოთ: გაგიათ ამგვარი რამ, რომ უბრალო მოსკოველმა მეეზოვემ ადამიანთა მოდგმის გენეტიკური მოდიფიკაციის აუცილებლობის შესახებ განაცხადოს? ა? დაუსვით ეს კითხვა ჩვენი ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს და თქვენ მიიღებთ ერთმნიშვნელოვან და კატეგორიულ პასუხს: არა! ამგვარი მიდრეკილებების აბსურდულობა და ავადმყოფურობა აშკარაა, პატივცემულობა ბატონებო. უკვე ათას წელზე მეტია რუსეთი არსებობს. აქედან ოთხასი წელი იმპერიაა და ახლა, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, ვიღაც უსიფათო წითურამ, თუნდაც ტანადმა და ძლიერმა, მაგრამ გაუნათლებელმა, უცებ განაცხადოს, რომ სურს ჩვენი ფასეულობების,

ტრადიციების, რელიგიის, ფოლკლორისა და ბოლოს, სამზარეულოს განადგურებაც! როგორ უნდა იარსებოს რუსმა კაცმა არყის, კარტოფილის, ქაშაყის, კომბოსტოს ღვეზელისა და ბორშჩის გარეშე? ჩვენს წინ ღვთისგან შეჩვენებული, გადაგვარებული არსებაა!“ – „ვაპროტესტებ, თქვენ ლირსებავ! მსგავსი სალანძღავი სიტყვებით მიმართვა სასამართლო განხილვაზე აკრძალულია! – ისევ წამოხტა ადვოკატი. – პროკურორი სცდება პროცესუალური კოდექსით დადგენილ ჩარჩოებს“. – „ბატონო პროკურორო, გთხოვთ ნორმალური ლექსიკა გამოიყენოთ საუბრისას. გმადლობთ! განაგრძეთ!“ – „ბოდიშს გიხდით! დავუბრუნდეთ საკითხის არსს: მოქალაქე კარამანოვი გამუდმებით ეძებდა ხერხს, რათა ეიძულებინა რუსეთის მოქალაქეები გამქრალიყვნენ. ხან სურდა, როგორც ჩანს, ვედების ძალით, ყველა ოთხმოცი წლის ასაკამდე დაებერებინა; ხან ცდილობდა უცხოური ტექნოლოგიების გამოყენებით, ქალებისთვის რეპროდუქციის უნარი დაეკარგვინებინა; ხან რუსი მამაკაცების სტერილიზაციის გამოცხადება და

გამრავლების ორგანოთა ნაცვლად ისეთი ჯირკვლების გადანერგვა უნდოდა, რომ-ლებიც კრემებსა და დელიკატესებს გამოიმუშავებენ. — სასამართლო დარბაზში ყვირილი და აპლოდისმენტები ისმოდა. — ხანაც ყველას ღია კოსმოსში გადასახლებას უპირებდა, რომ ჩვენი უმდიდრესი მიწები სხვა ხალხს დარჩენოდა. თუ კარამანოვი ჭკვიანია, გიუ არ არის, ესე იგი, ვიღაცის მტრული სცენარით მოქმედებს. იქ, მთის გადაღმა, ჯერ კიდევ ივანე მესამის დროიდან თვალი ეჭირათ ჩვენს ნაყოფიერ ტერიტორიებზე — ჩვენს შავმიწა ნიადაგზე, ნავთობისა და გაზის საბადოებზე, ურალისა და კოლიმის ოქროზე. ის დამსმენია, ბატონებო, დივერსანტი, მარიონეტი ჩვენი მართლმადიდებლური ქვეყნის მტრის ხელში. ეს გარემოება კი ამძიმებს მის ქმედებას და რუსეთის სისხლის სამართალის კოდექსით გასამართლებას მოითხოვს. თქვენო ღირსებავ, ყველა მისი ცოდვა ჯერ კიდევ არ ჩამომითვლია. ის მუშაობდა ახალი არსების კონცეფციის შექმნაზე ადამიანის, ვირთხისა და ღორის ბიოლოგიური ბაზის საფუძველზე. „პუტი-

ვლელთა ვირთხისგან შექმნა“ უნდოდა – ეს ქმედება კი 177-ე სტატიას – „უკანონო საქმიანობას“ – ექვემდებარება და ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. ბრალდებული თავის თავს ზეკაცად თვლიდა – ამ ფილოსოფიის პროპაგანდა „რასობრივი მტრობის“ მუხლით ისჯება. თავის ექსპერიმენტებზე ფული რომ დაეზოგა, გვამების ორმოში გადაყრას ქადაგებდა. ეს მოწოდებები 224-ე სტატიას – „მიცვალებულთა გვამებისა და დაკრძალვის ადგილების შეურაცხყოფას“ – ექვემდებარება. სასჯელი ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას მოითხოვს. კარამანოვი მკრეხელია; ის არათუ არ აღიარებს ღმერთს, არამედ დასცინის მორწმუნებს, მისი გამონათქვამები ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევაა, დისკრედიტაცია და დისკრიმინაციაა. სისხლის სამართლის კოდექსში გვაქვს ასეთი სტატია – 136-ე, რომელიც დამნაშავეებს ხუთი წლით ამწესებს სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში. მას დიადი რუსული ენის აკრძალვა უნდა, ენის, რომელზეც მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ქმნილე-

ბებია შექმნილი, დოსტოევსკის, ტოლ-სტოის, შოლოხოვის, პუშკინის ენის. ეს 248-ე სტატიით „სინდისის თავისუფლების უფლების შეზღუდვით“ – ისჯება. ამ სტა-ტიით ბრალდებულები თავის სასჯელს შესაძლოა სამი თვეც ელოდონ.“ მინდოდა შეწინააღმდეგება, მაგრამ გადავიფიქრე. „სასამართლო განხილვა ალბათ დილამდე გაგრძელდება. დაე, ასე იყოს, – დავიმ-შვიდე თავი, – მთავარია, საჭირო ვერდიქ-ტი მივიღო... თქვენო ლირსებავ! – მივ-მართე მოსამართლეს. – გთხოვთ, გარეთ, სუფთა ჰაერზე გასვლის ნება დამრთოთ. სული მეხუთება! სხდომის დარბაზის მი-ტოვება დაუშვებელია. აქ დარჩით. წინა-აღმდეგ შემთხვევაში, თქვენთვის ხელ-ბორკილის დადება და დაცვის მოხმობა მომიხდება“. – „ვეჭვობ, რომ ის მხოლოდ მეეზოვედ მუშაობს, – განაცხადა აღშფო-თებულმა მოსარჩელემ. – დარწმუნებული ვარ, რომ სოლიდურ კაპიტალს ფლობს. აღიაროს, სად ინახავს მას!“ – „ეგ ხომ არ ფიქრობს, გარეთ გასვლა იმიტომ მინდა, ჩემი სიმდიდრის დაცულობა რომ შევაწმო?

რა აბსურდამდე შეიძლება მივდეს **მათი** სიბრიყვე!“ – გამიელვა თავში. „მიმაჩნია, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის ავადმყოფური რეაქცია ბატონი პროკურორის ზედმეტი ემოციურობით აიხსნება...“ – ადგილიდან ისევ წამოხტა დამცველი. გთხოვთ, ზედმეტად თავს ნუ გამოიდებთ, პატივცემულო ადვოკატო, – თავზე ჭაღარა პარიკი გაისწორა მოსამართლემ. – სხდომა მე მიმყავს და არ დავუშვებ ჩემი უფლებების შელახვას“. დარბაზში სიცილი გაისმა. ამას ვიღაცის ხველება მოჰყვა. ერთ-ერთმა კი დაიძახა: „დროა, დავასრულოთ კარამანოვის საქმე!“ რამდენიმემ კი ერთად წამოიძახა: „განაგრძეთ, ჩვენთვის ყველაფერი ჯერ კიდევ ნათელი არ არის!“ ამ დროს უბნის რწმუნებულმაც ამოილო ხმა: „ვის ვასამართლებთ, ბატონებო! კარამანოვი ხომ ჭკუასუსტია და ფსიქიატრის ვერავითარი დასკვნა ვერ დამარწმუნებს საწინააღმდეგოში. მე მას რამდენიმე წელია, თვალს ვადევნებ. ის არასოდეს სვამს, ქალებს არ ეტანება, ალტერნატიული ურთიერთობებიც არა აქვს. ამგვარ ქცევას

ადამიანურს ვერ უწოდებ. მოდით, თვითონ მას ვკითხოთ: ვინ არის? რომელ ჯიშს განეკუთვნება? კანონები ხომ ჩვენი თანამემულებისთვის იწერება, რუსი ადამიანებისთვის. ეს კი ვინ არის? საკუთარ თავს პუტივლელს ეძახის. იქნებ მეცნიერებათა აკადემიაში გაგვეგზავნა შეკითხვა? დაე, აგვიხსნან, რა არსებაა ეს პუტივლელი“. გვაქვს კია მის მიმართ ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო ან სისხლის სამართლის კოდექსის გამოყენების უფლება? რუსები ხომ დასაბამიდან თავისი ჰუმანური იდეებით იყვნენ ცნობილნი. ამ ტრადიციის ჩარჩოებში იქნებ ეს სულაც მეტად უბრალოდ გამოიყურება: უნდა ჩავსვათ გალიაში და ნატალია დუროვას ცხოველთა თეატრს გადავცეთ. მას საკმაოდ ბევრი ეგზოტიკური ცხოველი ჰყავს და არც ერთი მათგანი თავისუფლებას არ ითხოვს. იღებენ აუცილებელ საკვებს, ემსახურებათ ვეტერინარი, თავისუფლად, ადმინისტრაციული ცენზურის გარეშე ხვდებიან თეატრში მომსვლელებს და მათ კანონიც იცავთ. რა უნდა შესთავაზო უკეთესი დაუდგენელი ბიოლოგიური სახეობის არსებას? თუმცა

მე წმიდა ადამიანური საკითხი მაინტერესებს: რამეზე თუ იდარდებს კარამანოვი? – სიგარეტებზე? უკვე მოგახსენეთ, რომ არ ეწევა. – ქალებზე? – ესეც აღვნიშნე, რომ ისინი არ აინტერესებს. არაყი მოენატრება? სამწუხაროდ, არც სვამს. მაინც რა მოენატრება ჩვენს კარამანოვს? უნდა, რომ იფიქროს ფსევდომეცნიერულ პრობლემებზე? ოცნებობს ადამიანთა გადაშენებაზე? არ სჯობია, იმტვრიოს თავი მეტალის გალიაში. რით არის ეს ცუდი? ყველა პირობაა შექმნილი ჭკუის ვარჯიშისათვის! თან, საამისოდ მდიდარი გამოცდილებაც აქვს: არაერთი წელი გაუტარებია გისოსებს მიღმა. თქვენო ღირსებავ, რას ფიქრობთ ჩემს წინადადებაზე, შევწყვიტოთ სასამართლო განხილვა და მეცნიერებს ექსპერტიზის ჩატარება ვთხოვთ: რა ხილია ეს თქვენი ბრალდებული? რა ჯიშს ეკუთვნის? მითუმეტეს, რომ ერთი კვირაა, არ მიბანავია და აბანოში მეჩქარება. ხომ იცით, სამუშაო... მისი ქონება კი მიღიციის განყოფილებას გადმოეცით. ტექნიკური მოწყობილების საქმე ცუდად გვაქვს.“ – „პროტესტს ვაცხადებ! – ადგილიდან წა-

მოხტომისას ამოიძახა ჩემმა ადვოკატმა. – ბრალდებულის ვინაობა დადასტურებულია რუსეთის ფედერაციის პასპორტით, ნომრით 45 03 120347 და აგრეთვე – შრომის წიგნაკით. საქმეს თან ერთვის ვა-სილი დანილოვიჩ კარამანოვის დაბადების მოწმობა და სხვა დოკუმენტები. მთელი ქონება სახელმწიფოს ანგარიშზეა. ასე რომ, გადასაცემი არაფერია“. – „კომპი-უტერი, ლაბორატორია?“ – „მოვითხოვ, განხილვის ჩარჩოებს არ გასცდეთ, – ხელი აიქნია თავმობეზრებულმა მოსამართლემ.. – ახლა თქვენ მოგეცემათ სიტყვა, ბატონო დამცველო, ოღონდ საქმეზე ისაუბრეთ“. ამ მომენტში მე შევამჩნიე, რომ უბნის რწმუნებულმა მაგიდის ქვეშ ორივე ხელის სამი თითის კომბინაცია პირდაპირ მო-სამართლისკენ მიმართა. „თქვენო ღირსე-ბავ! პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო! – საზეიმოდ წარმოსთქვა ად-ვოკატმა. მივიხედ-მოვიხედე და: დარბაზში ქალები ვერ დავინახე. „რა არის ეს? გაზე-პირებული პროფესიონალური ფრაზა, თუ მან იცის, რომ მამაკაცის ჩაცმულობის ქვეშ ქალები იმალებიან? ოჰ, ეს ადამიანე-

ბი, მათთან ურთიერთობისას ყოველთვის უნდა ელოდო უსიამოვნებას! ადვოკატი აგრძელებდა: „რუსეთში ყოველწლიურად მილიონობით მამაკაცი ცხოვრობას გისო-სებს მიღმა ატარებს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ციხეები აღარ შევაკე-თოთ, სამხეცეები ან მგლების, დათვების და გარეული ფრინველებისთვის თეატრები ავაგოთ, ჩვენი პატიმრები კი გარეულ ცხო-ველებთან ერთად მოვათავსოთ. – ამ დროს ადვოკატმა თვალი მოჰკრა უბნის რწმუ-ნებულის ბრანწებს, ნერვულად გააქნია თავი და წარმოსთქვა: უპირველეს ყოვლი-სა, ჩვენს მოწმეს ვგულისხმობ. ის თვითონ გახლავთ სამხეცის კანდიდატი!“ – „ვაპრო-ტესტებ!“ – ადგილიდან არ განძრეულა, ისე თქვა პროკურორმა. „შენ თვითონ, შენს დასაცველთან ერთად უნდა მოგათ-ავსონ ზოოპარკში. მე კი ორცხობილებს მოგიტანთ ხოლმე, ჰა-ჰა-ჰა!“ – მიუგდო სიტყვა მილიციელმა. „ეს რა უნესრიგობაა დარბაზში? დამცველო, წესიერად მო-იქცით, თორემ სიტყვას ჩამოგართმევთ! – დუნედ წარმოსთქვა მოსამართლემ. – განაგრძეთ, ოღონდ წრეს ნუ გადახვალთ!

წესრიგი დარბაზში, მე მგონი, ყველას  
მოეთხოვება! ვიმედოვნებ, სიმშვიდეს შეინ-  
არჩუნებთ!“ – „ვასილი კარამანოვს დადებ-  
ითად ახასიათებენ ძირითად სამუშაო  
ადგილზე, – განაგრძო დამცველმა, –  
სამუშაოს მიმცემი აცხადებს, რომ მას  
შრომითი კანონმდებლობა არასდროს და-  
ურღვევია. ხელთ მაქვს ორი წახალისე-  
ბაც... ერთი – საიუბილეო – ახალი რუსე-  
თის ათი წლის ზეიმის ძალზე მან ათას  
მანეთიანი პრემია დაიმსახურა, მეორედ,  
ის ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის გადად-  
გომასთან დაკავშირებით დააჯილდოვეს.  
ზოგმა სპონსორმა დედაქალაქის ცენტრა-  
ლური უბნების მეზოვეებს, რომლებმაც  
გამგზავრებული პრეზიდენტის კვალიც კი  
წაშალეს, ისე დაასუფთავეს ქუჩები, სამი  
ათას – სამი ათასი მანეთი გადასცა. მათ  
რიცხვში იყო ბატონი კარამანოვიც. შრომის  
წიგნაკშიც გვაქვს შესაბამისი ჩანაწერი.  
გთხოვთ, საქმეს მიაკრათ ცნობები გადა-  
სახადის არქონის შესახებაც. ვგონებ, ამით  
დაკმაყოფილდება მოსარჩელის არაჯანსა-  
ლი ცნობისმოყვარეობა. სახელმწიფო ბიბ-  
ლიოთეკის ცნობით, ბატონ კარამანოვს

რეგისტრაციის განმალობაში ათას ხუთასზე მეტი ტომი წაუკითხავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კვირაში ორ-სამ წიგნს კითხულობდა. ავტორებს, რომელებსაც ის წასაკითხად არჩევდა, ჩვეულებრივ ბიბლიოთეკაში ვერ ნახავ, – გთხოვთ ამ საქმეს დაურთოთ წიგნების სიაც, რომელიც სამკითხველო დარბაზის ადმინისტრაციის მიერ არის დამოწმებული. კარამანოვი წიგნებს შეიწავლიდა რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. მათ შორის 97 ავტორი ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს წამყვანი გენეტიკოსია, 83 – ცნობილი ფიზიკოსი, 75 – მათემატიკოსი და ასტრონომი, 65 – ბიოლოგი, 46 – ისტორიკოსი, 37 – ფილოსოფოსი, 29 – ეკონომისტი, 21 – ანთროპოლოგი, 17 – მედიკოს-ანატომი, 9 – ზოოლოგი, 8 – პალეონტოლოგი. მას წაკითხული აქვს ასობით მხატვრული წანარმოები, სამეცნიერო სტატიები უურნალებსა და აკადემიურ კრებულებში. ზემოთ აღნიშნული წიგნებიდან ზოგს რამდენჯერმე იწერდა. განა შეიძლება ასეთი ბეჭითი მკითხველი უწიგნურად, გაუნათლებლად, ბოგანო მეეზოვედ ჩაითვალოს?

მას არასოდეს დაუფარავს, რომ ადამიანთა ინტელექტის, *Homo sapiens*-ის ფიზიოლოგიური შესაძლებლობების მოდერნიზებაზე ოცნებობს. ბატონებო, განა ჩვენ თვითონ არ გვსურს შვილები ჩვენზე ჭკვიანები, მდიდრები და ჯანმრთელები იყვნენ? მეეზოვის ფარდულის სიჩუმეში, სიმარტოვეში, რომელიც მის თანამგზავრად იქცა, მან თითქოს ისმინა ჩვენი ოცნებები და დამოუკიდებლად დაიწყო ამაზე ფიქრი. თან – აკადემიურად! მაგრამ მისი ქმედება მხოლოდ პროექტების შექმნით შემოიფარგლებოდა. როგორც თავისი ქვეყნის კანონმორჩილი მოქალაქე, გთხოვთ, მისცეთ ნება კანონიერ საფუძველზე აკეთოს დიადი საქმე. თქვენო ლირსებავ, ის პირადად თქვენ გთხოვთ, გასცეთ ლიცენზია, რომ ადამიანური მატერიის განახლებას შეუდგეს. მას სჯერა, რომ ყველაფერი გამოუვა. ის დარწმუნებულია, რომ *homo sapiens*-ის შემცვლელად მოდიფიცირებული არსება, *cosmicus*-ი მოვა, ტრადიციული მანკისაგან თავისუფალი, მანკისგან, რომლისგანაც ვერაფრით ვთავისუფლდებით. არც ეკლესია, არც კონსტიტუცია, არც მაღალზნეობ-

რივი იდეალების პროპაგანდა ხელშესახებ შედეგებს არ იძლევა. დაუფიქრდით: ექვს-ნახევარი ათასი წლის წინ შეიქმნა ჩრდილოეთ და სამხრეთ ეგვიპტის სამეფოები, რომლებიც შემდეგ გაერთიანდა. ამ სამეფოებმა თითქმის ოთხი ათას წელს იარსება. ძველი ეგვიპტის ფარაონები და ქურუმები ოცნებობდნენ ადამიანებში ზნეობრივი საწყისი ჩაენერგათ. ოთხი ათასი წლის, ე. ი. ორმოცი ასწლეულის განმავლობაში, 160 თაობის სიცოცხლეში, მათ ეს ვერ შეძლეს. ეგვიპტე დაეცა, ხალხი თითქმის მთლიანად გაქრა, შეერია სხვა ტომებს და დღეს მათი აღმოჩენა შეუძლებელია. საამისოდ ერთადერთი გზაა: მუმიების დნმ-ის მეშვეობით რეკონსტრუქცია. ათას წელზე მეტია ამ მიწებზე არაბები დასახლდნენ. ისინიც იმავე ადამიანური მასალით ახალ ცივილიზაციას აშენებენ. რატომ? ყველაფრის დასასრული ხომ ისე-დაც ცხადია! ხუთ-ნახევარი ათასი წლის წინ შეიქმნა მოხენჯო-დაროს სამეფო. მის-მა მმართველებმა დიადი ხარაპული კულტურა შექმნეს. და – რა? მხოლოდ ხუთასი წელი – თხუთმეტი საუკუნე, 60 თაობის

მანძილზე – იარსებეს. თითქოს არც არა-ფერი ყოფილა. მათი მიწები არიელმა ტო-მებმა აითვისეს. მოხენჯო-დარო განად-გურდა, არსებობა შეწყვიტა, მისი ხალხი გაქრა, კულტურაც მხოლოდ ნაწილობრივ შენარჩუნდა. ისიც – არქეოლოგიური ნივ-თების სახით. ხუთი ათასი წლის წინ ტი-გროსისა და ევფრატის ნაპირებს შორის შეიქმნა სახელმწიფო აკადი. ზოგიერთი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ ედემი – სა-მოთხის ბალი – სწორედ ამ მშვენიერ სამე-ფოში მდებარეობდა. თანაც ათას წელზე ოდნავ მეტ ხანს იარსება. დაახლოებით 40 თაობის განმავლობაში ცდილობდნენ მისი მმართველები, სიკეთე და ზნეობა აემაღ-ლებინათ ხალხში. ეს მტანჯველი ბრძოლაც უშედეგოდ დასრულდა. სამეფო გაიძარცვა და განადგურდა. მოსახლეობა გაქრა. თითქმის სამ-ნახევარი ათასი წლის წინ ურარტუ შეიქმნა. ამ სამეფომ, დაახლოე-ბით, შვიდასი წელი იარსება. მათაც იგივე განზრახვა ჰქონდათ. ოცდაათი თაობა ცდილობდა ჭეშმარიტი ფასეულობების შეცნობას. ბარბაროსების შემოტევის შე-დეგად ურარტუ დაეცა და სრულად გა-

ნადგურდა. ძირძველი ხალხის შორეულ შთამომავალთა პოვნა მხოლოდ დაღესტნის ტომებში თუ შეიძლება. პლატონის თანამედროვენიც ცდილობდნენ ბოროტების ამოძირკვას. არაფერი გამოვიდა. ბოროტება უფრო გამრავლდა! რომის იმპერიის მოქალაქენიც ცდილობდნენ ნაციის კულტურის ამაღლებას. ესეც კრახით დამთავრდა. მათაც ვერაფერი შეძლეს! იესო ქრისტეს მოწაფეებსა და მიმდევრებს – უკვე ორი ათასი წელია – ადამიანების მანკიერებათაგან გათავისუფლების რწმენა მოაქვთ. და რა? მიაღწიეს რამეს? რამდენი წიგნი დაიწერა, რომ ხალხის ზნეობა შეეცვალათ, რამდენი ლოცვა წარმოითქვა, რამდენი წესი აღსრულდა ეკლესიებში, სინაგოგებსა და მეჩეთებში, რამდენი ლექცია წაიკითხა, რამდენი ლექსი, სიმღერა, მუსიკა მიეძღვნა ამ თემას! ადამიანში შეიცვალა რამე? შეიცვალა მათი ზნეობრივი სტატუსი, მათი გენური არქიტექტურა, მათი გონება, გული? განა ის უფრო კანონმორჩილი გახდა? არა! უფრო ჰუმანური? – არა! უფრო მოწადინებული სწავლის მიმართ? – არა! განა შეიყვარა მთელი

გულით? – არც ეს მომხდარა! გააკეთა მან რამე იმისთვის, რომ მარადიულ ცხოვრებას მიახლოებოდა? – არა! მოისურვა კოსმოსში გადასახლება? – არა! გახდა ის უფრო კეთილი, მეოცნებე, კითხვისა და ცოდნის მოყვარე? – არა! არა! არა! არ გახდა! და თუ თანამედროვე ცივილიზაციის დონის მიხედვით ვიმსჯელებთ, არც გახდება არასოდეს! ძველი ეგვიპტელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ისინი მარადიულები არიან. მოხენჯო – დაროს მოქალაქენი თვლიდნენ, რომ მათი ქვეყანა მუდამ გაბრწყინებული იქნება. აკადის მცხოვრებნი საკუთარ ერს დაუმარცხებელს უწოდებდნენ. ურარტუს მკვიდრთაც სწამდათ თავისი ჩაუმქრალი ბედის ვარსკვლავის. ძველ ბერძნებს – საკუთარი თავი ამოუძირკვავი, რომაელებს – დაუმჭკნარი ეგონათ! თავის თავს რუსებიც ყოველ დროში ჭვრეტდნენ. რა სამწუხაროა! ამ აზრში, ამ განწირულ იმედში გონიერების ერთი წვეთიც არ ჩანს. ჩახედეთ პაპირუსებსა და პერგამენტებს – მათ ამაში ყველა გონიერი ადამიანის დარწმუნება შეუძლიათ. ამრიგად, ძველი ეგვიპტიდან

მოყოლებული დღემდე სამასი თაობა მოვიდა და წავიდა, ატლანტიდის დროიდან – ექვსასი, კრომანიონელთა ორი ათასი თაობა შეიცვალა. და არავითარი ფუნდამენტური შედეგი ამას არ მოჰყოლია! მიუხედავად გენიოსთა მცდელობისა, მიუხედავად დიად მებრძოლთა თავდადებისა, მიუხედავად კეთილშობილთა შეჭირვებისა, არაფერი ხელშესახები არ გვაქვს. ადამიანი ისეთივე რჩება, როგორიც კარმელზე, კრო-მანიონზე, შუამდინარეთის მიწებზე იყო! ბიოლოგიურ ჯიშს თავისი თავის შეცვლა თვითონ არ შეუძლია. მოდით, თქვენო ღირსებავ, მივენდოთ ვასილი კარამანოვს. ის შემთხვევით ხომ არ გამხდარა ქუჩების დამსუფთავებელი. კაცობრიობის მანკიერებისა და გენური არქიტექტურის სუსტი რგოლების შეცვლით მას „მეეზოვის“ სამსახურის განგრძობა სურს. და ამ სფეროშიც ის ახლებურად იმუშავებს. ჩინებისა და ტიტულების, მილიციის ორგანოებში ანგარიშისა და ფისკალური სტრუქტურის წარდგენის გარეშე. მოდით, მივცეთ მას მანდატი კვლევის, მოქმედებისა და ახალი ბიოლოგიური სახეობის – cosmicus-ის, ან

„პუტივლელის“ შესაქმნელად. თითოეული ჩვენგანი შინაგანად გრძნობს საკუთარი თავის სრულყოფის აუცილებლობას. მაგრამ ბიძგის გარეშე წინსვლა შეუძლებელია. ცივილიზაციის ისტორია არაერთ ათას წელიწადს გვარწმუნებდა: ადამიანები დამოუკიდებლად ამას ვერ შესძლებენ! ახლა კი დისკუსია ამ თემაზე საბოლოოდ დასრულებულია. ბრალდებული განაჩენს ელის! შევიდეთ, შევაღწიოთ შევფრინდეთ გენეტიკოსთა ეპოქაში! გადავცეთ მათ ხელისუფლება. მე, პირადად, დარწმუნებული ვარ, რომ კარამანოვი ყველაფერს შესძლებს! „ბრავო, დამცველო! ისინი გამიგებენ და მომცემენ მოქმედების უფლებას!“ – გონებაში ტაში დავცხე მე. ამ მომენტში ძალიან მინდოდა ამის დაჯერება. პროკურორმა დემონსტრატიულად დაამთქნარა, არც არაფერი აუფარებია მეტალის გვირგვინებით გატენილ პირზე, ზანტად ასწია ხელი და განაცხადა: „თქვენო ღირსებავ, ვერაფერი გამიგია, სასამართლო განხილვაზე ვართ თუ სპექტაკლზე, ნება მომეცით, რამდენიმე სიტყვა ვთქვა“.

– „ბრძანეთ!“ – „როგორ შეიძლება მოქა-

ლაქე კარამანოვს რუს კაცზე ექსპერიმენტების ჩატარების ნება დავრთოთ, როცა ის მათში მხოლოდ ნეგატივს ხედავს? მისი შეხედულებები რუსებზე იმდენად უარყოფითი და სუბიექტურია, რომ გიკვირს: როგორ გაიზარდა ის ჩვენს საზოგადოებაში? ჩვენში ხომ კარგიც ბევრია! უფრო მეტი, ვიდრე სიბინძურე, ვიდრე ნაგავი. მაგალითად, მან მიატოვა სამუშაო დიდ თეატრში იმიტომ, რომ ადმინისტრაციამ დამდგმელ ბალეტმეისტერს ყვავილის გედები არ გადასცა. განა ეს მიზეზია! სასაცილოა, პირდაპირ! რატომ არ მიაქცია მან ყურადღება იმას, რომ დირექციამ ყველა პირობა შეუქმნა იური გრიგორიევს გენიალური ბალეტის შესაქმნელად? ასეთი შემოქმედებითი ორგანიზმის მართვა, როგორიც დიდი თეატრია, მეტად შრომატევადი საქმეა და ამისთვის დიდი ნიჭია საჭირო. რატომ არ შეუნიშნავს მენეჯერთა ტალანტი, რომელიც უზრუნველყოფს მთელი კოლექტივის წარმატებულ მუშაობას? რა შუაშია აქ ყვავილის ფიგურები? კარამანოვის ცნობიერებაში მხოლოდ ეს უმნიშვნელო ფაქტი აღიბეჭდა. ან ის, თუ

როგორ დასცინა მსახიობსა და კინორეჟისორ მიხაილოვს... მაგალითად, რატომ არ აღაფრთოვანა მისმა გამორჩეულმა ტალანტმა? დიდი ამბავი, რვა წყვილი ფეხსაცმელი იყიდა! ჯერ კიდევ არ ვიცით, რა ხარისხის იყო ისინი! ან წაულო თუ არა მიხაილოვმა ფეხსაცმელები ქალიშვილს, თუ შინამოსამსახურეს მისცა ან ნაგავში ისროლა? მოხვდა კი ისინი მის ხელში, თუ სხვებმა მიითვისეს? როგორც ნიჭიერ კაცს, შეეძლო სულაც დავიწყებოდა ფული: რა არის მისთვის რვაასი დოლარი? თითოეულ ჩვენგანს ავიწყდება რაღაცის დაბრუნება, მეც ხშირად მემართება ასე და ვალს არ ვაბრუნებ. მაგრამ ადამიანებში ეს აგრესიულ რეაქციას როდი იწვევს! ეგ არის, ხანდახან შემახსენებენ ხოლმე. მიხაილოვმა გადაიღო რამდენიმე შესანიშნავი ფილმი, რომელიც მაყურებელმა შეიყვარა. მაგრამ ამის შესახებ არაფერია თქმული, თითქოს არც არაფერი გაუკეთებია. კარამანოვი მეტად ტენდენციურია! ისეთ რთულ ექსპერიმენტს მას არ ვანდობდი, რომელზეც აქ საუბრობენ. მაგალითისთვის ავიღოთ თეატრი იაუზაზე. გიორგი

ნელუბოვი მთელი ეპოქაა რუსულ თე-ატრალურ ხელოვნებაში. დიდი ამბავი თუ ყვავილები არ გაიტანა! ან მან თვითონ გააკეთა ეს? იქნებ მეხანძრე ჩაერია, ან დაცვა? შეხედეთ, რამდენი აფეთქება ხდება მოსკოვში! ორი კვირის წინ ჩეჩინეთის პრეზიდენტიც ააფეთქეს! რა საჭიროა თე-ატრებში ყვავილების არქიტექტურული ფორმებით მიტანა? მიართვი ყვავილები ისე, როგორც ყველა ჩვენი მოქალაქე აკეთებს – პრობლემებიც არ იქნება! თუნდაც რომ აეკრძალა სცენაზე ყვავილის სირჩის გატანა. ის ხომ არტისტია, იქნებ ეს სირჩა მას არაყს ან პორტვეინს ახსენებდა! იქნებ მხოლოდ ერთი კვირა გავიდა, რაც სმა აიკრძალა! აქ ყველაფერი ისე მარტივად არ უნდა იყოს! უცნობია, რა მიზეზით არ გაიტანეს ეს აყროლებული ყვავილები სცენაზე. ასე ცალმხრივად რუს კაცზე მსჯელობა არ ეგების! ჩვენ ნიჭიერი ადამიანების ცხოვრების უმნიშვნელო ეპიზოდებს გვიყვებიან და იქვე ასკვნიან: ადამიანთა გენეტიკა უნდა შეიცვალოს. მოქალაქე კარამანოვო, რატომ არ უნდა დაფიქრდე საკუთარი გენეტიკური ანსამბ-

ლის შეცვლაზე? შენ ოცდაათი წლის ხარ და, რას მიაღწიე? რაღაც წიგნებს კითხულობდი, თუ სტუდენტ გოგონებს ათვალიერებდი? იქნებ კაბის ქვეშაც უყურებდი. გაქვს თუ არა სამეცნიერო შრომები, სტატიები ჩვენს პრესაში, ან საჯარო ლექციები წაკითხული? შენ ცხოვრებაში არაფერი გაგიკეთებია. შენი სამუშაო იარაღი ცოცხია! არავინ აპირებს შენთვის ამის წართმევას! კეთილი ინებე და მოსკოვის ქუჩები და ეზოები დაასუფთავე, შეაგროვე ნაგავი, მოაშენე ყვავილები, გაკრიჭე გაზონები. თუმცა ამ საქმის კეთება საპატიმროსა და ბანაკებშიც შეგიძლია! მაგრამ ისეთი სახიფათო და არაფრის მომცემი პროექტების საკუთარ თავზე აღების უფლებას, როგორიც ადამიანის გენეტიკური ცვლილებაა, ჩვენ არ მოგცემთ! არა და მორჩა! თუკი უცხოელების შეცვლა გინდა, ახლავე გავაუქმებ ჩემს კატეგორიულ მოთხოვნებს. უფასო რჩევასაც მოგცემ: პოლონელებით დაიწყე! აუცილებლად, პოლონელებით! ან ლატვიელებით. ისინი შენი რეცეპტით ხომ არ აძევებენ რუსულ ენას სკოლებიდან? ა? შენ ჩვენი მოქალაქეების

პუტივლიზაციაზე ოცნებობ, ისინი კი – ყველა რუსულენოვანი ადამიანის ლატი-შიზაციაზე. თქვენს შორის უცნაური კავ-შირია! მეტად საეჭვოა! მე ვთხოვ სასა-მართლოს რუსული სამართლის არეალში აგეკრძალოს ამ ფაშისტური ექსპერიმენ-ტების ჩატარება. დიდი არჩევანი არა გაქვს: ან დადებ ხელწერილს, რომ უარს ამბობ შენს იდეებზე, ან გაემგზავრები საზღვარგარეთ, ან დაისჯები და გაემგზავ-რები შორეულ მივლინებაში ჩრდილოეთ დვინაზე ტყის საჭრელად. იქ თვითონ ცხოვრება გაიძულებს, დაივიწყო გენეტიკა და კიბერნეტიკა. მორჩა!“ საკუთარი მნიშ-ვნელოვანი გამოსვლით თავდაჯერებულმა პროკურორმა ჩაიცინა, თითი დამიქნია, თითქოს მეუბნებოდა: გიჩვენებ სეირსო! – და დადუმდა. მისი აღფრთოვანებული გა-მომეტყველება იმაზე მიუთითებდა, რომ გრძნობებით პირთამდე იყო სავსე. პუტივ-ლელთა შეურაცხყოფით პროკურორი ანა-თემას გადასცემდა გონს: თითქოს ფეხქვეშ ისროდა, თელავდა მას და ლრიალებდა: „ჩვენ ჩვენი ჭკუა გვაქვს და სხვისი არაფერ-ში გვჭირდება!“ მე ვდუმდი და სულ სხვა

რამეზე ვფიქრობდი. სასამართლო განხილვის მონაწილებზე დაკვირვება არც ისე იოლი აღმოჩნდა. მილიციელი გამუდმებით იცვლიდა პოზასა და გამომეტყველებას, მანიპულირებდა თითებით, აწყობდა გამოუცნობ ფიგურებს, ვიღაცას რაღაცას ანიშნებდა.. პროკურორი ხან ჩაიცინებდა, ხან იჭმუხნიდა შუბლს, რომელზეც ნაოჭები მკვეთრდებოდა, ხანაც შეშინებული კარკლავდა თვალებს და წამნამებით წარბებს ეხებოდა; მისი შესახედაობა ცხადყოფდა, რომ განდიდების სურვილით იყო შეპყრობილი და ცხვირს მაღლა სწევდა. ადვოკატი გაუჩერებლად იწერდა რაღაცას, თუმცა დროდადრო წამოხტებოდა და რეპლიკებს ისროდა; ხანდახან ავინყდებოდა, რა უნდა ეთქვა და დიდხანს გაშტერებული იდგა. მოსამართლე თითქოს აუღელვებლად იჯდა. მხოლოდ ყურადღებით აკვირდებოდა პროცესის მონაწილეთა სახეებს და ხანდახან ლუპასაც იმარჯვებდა, თითქოს დაფარულის დანახვა, გაგება და დამახსოვრება სურდა. მერე რაღაცას ინიშნავდა და კვლევის ახალ ობიექტს არჩევდა. წმიდა ადამიანური გასართობი

გახლდათ ყოველივე. მაგრამ მე მათი ყოფის ამსახველი სურათები სულაც არ მამხიარულებდა: როგორც პუტივლელთა მთავარ დამპროექტებელს, მხოლოდ მაინტერესებდა. პროცესის მონაწილეებზე დაკვირვებით პირველად დავეჭვდი. საწყისი მასალა სუსტია, შესაძლებელია კი მათგან პუტივლელის შექმნა? – ვფიქრობ-დი მე. – რამხელა ხმაური წამოვიწყე ამ პროცესით... და იქნებ არც არაფერი გამოვიდეს? ამ დროს ბატონი სპესივცევი მომიახლოვდა და ყურძი ჩამჩურჩულა: „რად გჭირდება ყველაფერი ეს? ოღონდ არ მითხრა, რომ მეცნიერებისთვის, ბიოლოგიური გარღვევისთვის. ამ უაზრობის მოსმენა არ მინდა. აღიარე, რამდენის მოგება შეიძლება აქედან და მხარს დაგიჭერ. უფასოდ არ ვიმუშავებ. ნებისმიერი საქმიდან ოც პროცენტს ვითხოვ. თუ ჭკუაში დაგიჯდება, ნიშანი მომეცი, გელოდები!“ როგორც კი გამცილდა, ჩემმა მახვილმა სმენამ დაიჭირა მოსარჩელის თავისთვის ნათქვამი რეპლიკა: „იქნებ ფირმის გახსნას ფიქრობს, რაღაც ყალბი ტაბლეტები რომ გამოუშვას და მოსახლეობიდან ფულის

მოტეხვა დაიწყოს. მაშინ წილიც უნდა გაიღოს!“ „ნეტა, რას ბოდავს? – გამიკვირდა მე. რა ოც პროცენტს მთხოვს? ალბათ გენური ანსამბლის მოცულობიდან. კი მაგრამ, როგორ უნდა მოვახერხოთ ამის გამოთვლა, ან გადაცემა? რა შეუსაბამო თხოვნაა. ტაბლეტებზე რა თქვა? ნეტა, რა დაემართა? როგორც ჩანს, სერიოზულად არავინ მოეკიდა ჩემს იდეებს, რომლებითაც პროცესის მონაწილეთა დაავადება მსურდა. მხოლოდ ბუნდოვანი, ირონიული, მომთხოვნი გამოხედვით მიმზერდნენ ჩემი მარტივი ბიძაშვილების თვალები. გაურკვეველი განწყობა მეუფლებოდა: მათ ან ჩემი გათათხვა უნდოდათ, ან რომელიდაც კომერციულ პროექტში გამოყენება. ნიკოლაი ფედოროვის აზრი გამახსენდა homo sapiens-ების არასრულწლოვანების შესახებ. გამეღიმა: პუტივლური მოთმინება მავალებდა, მომესმინა კრიტიკა. „სიტყვა მთავარ მოწმეს ეძლევა, – განაცხადა მოსამართლემ. – გთხოვთ, მილიციის ოფიცერო, ბრძანეთ“. – „ჩვენს განყოფილებაში არა გვაქვს კომპიუტერი, დამნაშავეობა კი იზრდება. ჰოდა, მეც ვიფიქრე: კარამანოვი

შეიძლება დავაჯარიმოთ და ელექტრონული მანქანა ჩამოვართვათ. მართალია, მისი კომპიუტერი ძველია, მაგრამ უბნის ინსპექტორებს გამოგვადგება. აქ ამბობდნენ, რომ ბრალდებულს საკუთარი ბიოლოგიური ლაბორატორია აქვს. ბიოლოგია და კრიმინალისტიკა ახლო მდგომი პროფესიებია. თქვენო ღირსებავ, თუ თქვენ კარამანვს აუკრძალავთ გენური ინჟინერიის კვლევას, სასამართლოს დადგენილებით, ჩვენ მოგვაკუთვნეთ მისი ტექნიკა. ჩვენ ყოველი ამ შუშისა და კოლბის ნაკლებობას განვიცდით. თუმცა ამის შესახებ უკვე ვილაპარაკე, ახლა კი სხვა რამ უნდა გითხრათ. ჩვენი ადვოკატი გამუდმებით რაღაცას იწერს. მე მგონი, ის საგაზეთო ფელეტონს ამზადებს. წარმოგიდგენიათ, ხვალ „ვესტის“ გავშლით და ჩვენს თავს გროტესკის სინათლეზე ვიხილავთ. შეიძლება ვითხოვო სასამართლოს დადგენილება, რომ ჩანაწერები ჩამოვართვათ მას? თან, არავითარი ფელეტონი არ დაიბეჭდება“. — „განსახილველ საქმეზე ილაპარაკეთ, თუ შეიძლება!“ — ძლივს გასაგონად შეაწყვეტინა მოსამართლემ. „მაშ, ადვო-

კატს რა ვუყოთ? სულაც არ მინდა კარი-კატურულ სტატიაში მოვხვდე. თქვენც არ გირჩევთ!“ – „მთავარ საქმეზე განაჩენის გამოტანისთანავე მოდით ჩემთან. კიდევ რამე გაქვთ სასამართლოსთვის სათქმე-ლი? ოღონდ მხოლოდ საქმეზე“. – „არა, მე დავამთავრე“. მაშინ გთხოვთ, დატოვოთ დარბაზი. თქვენ კი კარამანოვო, დარჩით. სასამართლოს მიერ ვერდიქტის გამოტანამ-დე მოკლე ინტერვიუ უნდა ჩამოგართვათ. სასამართლოს განაჩენის მოსმენა ყველა მსურველს შეუძლია“. – „ეს როგორ? რა-ტომ უნდა გავიდეთ დარბაზიდან? – აღშ-ფოთდა პროკურორი. „რა, რუსეთში ახალი კანონები შემოიღეს?“ – მოსამართლესთან მიიჭრა ადვოკატი. „მოსამართლე მოს-ყიდულია! სიურპრიზებს უნდა ველოდოთ!“ – ჩაიჩურჩულა მილიციელმა. „თუ ჰონო-რარი არ იქნება, უმაღლეს ინსტანციაში გიჩივლებთ!“ – ყურში მიჩურჩულა ბატონ-მა სპესივცევმა. – რუსეთში საქმეები ასე არ კეთდება. თუ მომატყუებ, სასჯელი გე-ლის! რამდენს შეპპირდი მას?“ – „თვითონ მომეცით კომპიუტერი, თორემ ძალით წა-ვიღებთ! ყველაფერს წაგართმევთ!“ – გა-

ნაცხადა უბნის რწმუნებულმა. „თუ ახლა არ დაგაპატიმრებთ, მეორედ აუცილებლად გაგგზავნით ტყის საჭრელად! ხუთი – რატომ ხუთი, ათი წლით! მთელი სიცოცხლით!“ – ბოროტად ჩაიცინა პროკურორმა. „გამაგრდით, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კეთილად დასრულდება!“ – ხელი ჩამომართვა ადვოკატმა. ყველამ დატოვა დარბაზი; და მოსამართლის ხმა შემომესმა: „კარამანოვო, მომიახლოვდით, თქვენთან დალაპარაკება რომ შევძლო!“ ჩემს ცხოვრებაში ეს მესამე სასამართლო გახლდათ. მკაცრი სიტყვები ზეპირად ვიცოდი: „თქვენს აზრებში სიახლე იგრძნობა, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა: ლუპის აღებაა საჭირო, რათა არსებითი დავინახოთ. ფრანგი ფილოსოფოსი კონდორსე 1795 წელს თავის ნაშრომში „ადამიანის სულის განვითარების ისტორიული სურათის ესკიზი“ წერდა, „კაცობრიობის განვითარებისა და სრულყოფის მანძილზე ადამიანის სიცოცხლის ვადა სულ უფრო და უფრო გაიზრდება და შესაძლოა უკვდავებასაც მიაღწიოს“. რას იტყვით?“ – „ბატონო მოსამართლევ, ადამიანთა შორის არა

ერთი უჭკვიანესი პიროვნებაა. ფილოსოფოსი კონდორსე ერთ-ერთი მათგანია. არ გაგაჩნდეს სულიერი ძალა, მოაახლოვო, განახორციელო, მაგრამ წინასწარმეტყველებდე რაღაც მოვლენას და შეეცადო ამ პროგრამის რეალიზაციას – ეს ორი სხვადასხვა რამაა. მის თანამემულე რენანს დასაშვებად მიაჩნდა აღდგომის შესაძლებლობა. ის წერდა, რომ განუწყვეტელი ევოლუციის პროცესში სამყაროს აითვისებენ ახალი და გამქრალი ცივილიზაციები. იმმორტალიზმის<sup>1</sup> ერთ-ერთ წინამორბედთან, გერცენთან, ამგვარ აზრსაც შეიძლება შევხვდეთ: „სიკვდილი ცოცხალი ორგანიზმის გაგებაში არ არსებობს, ის მის მიღმაა, მის გარეთ მდებარეობს.“ რადიშჩევი ამბობდა: „შენი ნეტარება, შენი სრულყოფა შენი მიზანია...“ მაგრამ ჩვენს შორის ის განსხვავებაა, რომ მე შემიძლია, მინდა და აუცილებლად დავიწყებ ამ პრობლემის გადაჭრას, პრაქტიკაში დანერგვას. გამიგეთ, როგორც კი პუტივლელები უკვდავების კონცეფცია.

<sup>1</sup> იმმორტალიზმი – ადამიანის ფიზიკური უკვდავების კონცეფცია.

დავებას მიაღწევენ, მაშინვე მიატოვებენ დროსა და სივრცეს, მათთვის პირობითობა აღარ იარსებებს, არ ექნებათ მიდრეკილება სხეულისმიერი სიამოვნებისაკენ, საგანთა კულტისა და პოპსისკენ. ფული აზრს დაკარგავს და ერთადერთ ფასეულობად გონი იქცევა. დიახ, გონი, რომელიც შებორკილი, პოლუსივით გაყინული, დარღვეული და საბჭოთა მანეთიანივით გაუფასურებული არ იქნება. გონი, შესაძლოა, სამყაროსეულ სივრცეს დავუპირისპიროთ. ბატონო მოსამართლევ, მატერიას არა აქვს დასასრული. ეს უბრალო მოსაზრება თქვენთვის დიდი ხანია ცნობილია. თუმცა ყველა ფილოსოფოსი წინასწარმეტყველებდა „იმ სანუკვარი დროის“ ინტელექტუალურ ძიებას და მეც დაბადებიდანვე შევიმეცნე ჩემი დანიშნულება ისე, რომ არაფერი ვიცოდი მათი შრომების შესახებ. აი, ეს გახლავთ განსხვავება. მე გთხოვთ, მომცეთ მოქმედების საშუალება. ბევრი საუბრობდა ახალ გენეტიკურ, ევოლუციურ შესაძლებლობებზე – დეკარტი, ოგიუსტ კონტი, პრისტლი, რადიშჩევი, სოლოვიოვი, გერცენი და ასე შემდეგ. მაგრამ

მხოლოდ ვასილი კარამანოვი – თქვენი ნებართვით, რა თქმა უნდა – ნამდვილად მოჰკიდებს ხელს ამ დიად საქმეს! ჩემი შინაგანი სამყაროს სანდოობა მომცემს შორს მიმავალი გეგმების დაწყობის საშუალებას“. ერთხანს მოსამართლე დუმდა. მერე ნელ-ნელა ალაპარაკდა: „თქვნ თვითონ ამბობთ, რომ გონიერმა ადამიანმა გარკვეული განვითარების გზა – ორი ათასი თაობა – განვლო. მაგრამ ეს ხომ არც ისე ბევრია, თითქმის არაფერი! მეორე მხრივ, კემბრის ეპოქიდან, როცა პირველად გაჩნდა ცენტრალური ნერვული სისტემის ნიშნები, თავის ტვინის წარმოქმნამდე, თანამედროვე გაგებით, ხუთას მიღიონზე მეტი წელი გავიდა. თუმცა საკუთრივ, ამ პროცესს უფრო შორს, გეოლოგიურ ეპოქათა სიღრმეში მივყავართ. ამიტომ შეიძლება თუ არა ადამიანს ზედმეტი მოვთხოვოთ? ის ჯერ აკვანშიც კი არ არის, დედის საშოშია! მითხარით, გეთაყვა, რატომ ხართ ასე არამეცნიერულად მოუთმენელი? თქვენს სურვილებს თუ გავაანალიზებთ, გამოდის, რომ ოცნებობთ არა ადამიანის სრულყოფაზე, არამედ გინდათ

თვით ბუნება გამოიწვიოთ შეჯიბრში. მატერიას, როგორც ჩანს, თავისი გრაფიკი აქვს. რამდენად შორსმჭვრეტელურია მასში ჩარევა, თუნდაც თქვენთვის, პუტივლელისთვის? ეს თითქოს მსოფლიო გონის გამოწვევაა: მატერიის ერთ-ერთი საწყისი პროდუქტი ხომ თქვენ თვითონ ხართ და ამავე დროს, ეკამათებით უნივერსუმს. ფოთოლი ეკამათება ხეს, თმა – ადამიანს, ეშვი – ტახს, ბუმბული – ფრინველს. რამდენად პერსპექტიულია ეს, ან ბოლოსდაბოლოს, რამდენად მეცნიერული? თქვენ თვითონ შეგიძლიათ ერთი ადამიანის ჩარჩოდან დააკვირდეთ, რა კოლოსალურ ცვლილებებს განიცდის პლანეტის გეოგრაფიული სურათი. თუ თეთრები, ან კავკასიელები, იუნესკოს მონაცემებით, 2000 წლისთვის პლანეტის მოსახლეობის 25 პროცენტს შეადგენდნენ, 2025 წლისთვის მათი რაოდენობა 13-ს, ხოლო 2050 წლისთვის მხოლოდ 9 პროცენტს შეადგენს. განა ეს არ არის იმის მაჩვენებელი, რომ თვითონ მატერიაში კოლოსალური ცვლილებები ხდება, როგორც მთელი უნივერსუმის მასშტაბით, ასევე მის შემადგენელ

ადამიანებშიც? ბატონო კარამანოვო, თქვენ ავტობუს vita-ზე მოგვითხრობდით, რომელიც გარკვეული სვლაგეზით მიდის. მე არ შეგეკამათებით, თუ თქვენ სხვა სვლაგეზს შემოგვთავაზებდით. მაგრამ თქვენ გსურთ ყველა მგზავრის უცნობი სახეობის ტრანსპორტში გადასხმა. განა ეს ჭკვიანურია? რა იცით, რომ კაცობრიობა თქვენს სწრაფმავალ მანქანაში არ დაიღუპება?“ – „თქვენო ლირსებავ! დრო – ეს უპირველეს ყოვლისა, ჰარმონიაა. თუ მას დღევანდელობის პოზიციებიდან, 2004 წლის მაისიდან შევაფასებთ, ყოველი მიმავალი ხუთი წუთი წარმოადგენს აღმავლობის დამუხრუჭების პროცესს. თუკი მომავალში გადავიხედებით, მხოლოდ ნგრევის ეპოქა ილანდება, იმდენად ფიზიკური კატაკლიზმები კი არა, რამდენადაც სამყაროს სახის გარეგნული ცვლილება. აღმშენებლობათა და ნგრევათა შორის ყოველთვის სინამდვილე, დღევანდელობაა განფენილი. მრავალი თანამედროვე ფილოსოფოსისა და ეკოლოგის – ეკოსოფების – მთავარი შეცდომა ის გახლავთ, რომ ისინი მხოლოდ ორგანული მა-

ტერიის ნაწილთან, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, ფოთოლთან ან უფრო სწორად, ფოთლის პატარა ძარღვთან აიგივებენ ადამიანს. ზოგიერთი **მას** კარტოფილს, ზოგი – ჭარხალს, ან სხვა ცოცხალ ორგანიზმს ადარებს. გადამწიფებული კომბოსტო ლპება, ზუსტად ასე ლპებიან ადამიანებიც. აი, **მათი** აზრი. ესე იგი, **მათ** სურთ, კრომანიონელები „ერთი პლანეტის შესაძლებლობებს“ მიუსადაგონ, სხვა ბიოლოგიურ სახეობებთან ერთად, რომლებიც მთავარი სუბსტანციის – გონის გამო არიან ჩაგრულნი, საერთო ნუსხაში შეიყვანონ. **ისინი** გონს არაფრად აგდებენ და მიაჩნიათ, რომ ადამიანი უნივერსუმში ჩაკარგული მღილია. მისი ადგილი მხოლოდ დედამიწაა, ან სულაც – ერთი ქვეყანა, სახელმწიფოთა თანამეგობრობა და მეტი არაფერი. როგორ უნდა დაეთანხმო ამგვარ თეზისს? ასე როგორ უნდა დაბრმავდე? სხეული, რა თქმა უნდა, შეიძლება მღილს შეადარო და მე ვეთანხმები ამას, რადგან თვითონ დედამიწაც მღილია და არა მხოლოდ ის, მთელი მზის სისტემა წააგავს მღილს უკიდეგანო სამყაროში.

მაგრამ არა გონი! გონი უნიკალურია, ის უნდა გამოზარდო და მაშინ მთელ უსაზღვრო მატერიას დაიმორჩილებს. პუტივლელი კარამანოვი ახალ ჭეშმარიტებას გაზიარებთ: ადამიანთა ყველა ბიოლოგიური სახეობა თვით მატერიის შემადგენელია და მასთან ერთად ვითარდება. და არა მას შემდეგ, არა ფეხდაფეხ, ან მარჯვნიდან თუ მარცხნიდან, არამედ პარალელურად, ერთობლივად, როგორც მთლიანობა. ადამიანები ჭკვიანები არიან იმდენად, რამდენადაც მატერია გონიერია! მაგრამ, რადგან ადამიანებს შორის გონი არათანაბრადაა განაწილებული, თუმცა ისევე, როგორც ბუნებაში, მე ჩემს თავზე ვიღებ ვალდებულებას გავზარდო მისი შემადგენლობა თითოეულ თქვენგანში“. – „მაპატიეთ, მაგრამ არ მესმის, რა გაქვთ მხედველობაში, როცა მატერიაში გონის არათანაბარ განაწილებაზე საუბრობთ? – ჩაერთო მოსამართლე. როცა თქვენ ადამიანებზე საუბრობთ, კაცი შეიძლება დაგეთანხმოთ. მე მახსოვს თქვენი მოსაზრებები ინტელექტის საშუალო დონის შესახებ, მაგრამ... მატერია?“ – „მთვარე მატერიის ნაწილია?

— დიახ! მისი ფუნქცია მსოფლიოს განვითარებისა და სრულყოფის პროცესში მეტისმეტად მცირეა. და პირიქით, მზე — მთლიანად არყევს სამყაროს! უნივერსუმში კი თავისუფლად არანაკლები პარაზიტი დაიარება, ვიდრე ჩვენი მოსკოვის ქუჩებში. სრულიად უსარგებლო მკვდარი ვარსკვლავები უაზროდ მცხოვრებ ადამიანებს შეიძლება შევადაროთ. მითუმეტეს, პოპ-კულტურისა და პოპსას მიმდევრები. **ისინიც** იწვიან, მაგრამ უსარგებლო ალით. —არც ათბობენ და არც ანათებენ. თქვენო ღირსებავ, გადავიხედოთ მომავალში. ერთი შეხედვით, ყოველივე უაზროში, პრიმიტიულში მშვენიერი საშენი მასალის აღმოჩენა შეიძლება! თუკი დედამიწელთა გონი სამყაროს გონის ტოლფასი იქნება, ყველას მიეცემა საკუთარი თავის შეცვლის უფლება. ჯერჯერობით მილიარდ დედამიწელთაგან მე ერთი გამოვირჩევი. ერთადერთი cosmicus-ი გახლავართ. მიეცით გენეტიკოსებს ნება თავისუფლად მართონ ადამიანები და ოცდაათ წელიწადში უკვე იგრძნობთ, როგორ შეიცვალა **მათი** სამყარო! ადამიანთაგან **მე** — პუტივლელები გაჩნდით!

დებიან. ხოლო წარსულის ფილოსოფოსთა და წინასწარმეტყველთა ყველა ნაშრომი ის კულტურული საძირკველი იქნება, რომელზეც აღმოცენდება ახალი ბიოლოგიური სახეობა – *cosmicus*-ი. მომეცით ლიცენზია თუნდაც პირველი ექსპერიმენტის ჩასატარებლად: მე შემიძლია მოსკოვში, ფრუნზეს სახელობის სანაპიროზე, გავხსნა ადამიანთა მოდერნიზაციის გენეტიკური ცენტრი. რუსეთში რამდენია ჭკუის მოძულე? მაგალითად, პოპსას მიმდევარნი, რომელთაც ინტელექტუალების შურთ? არ იცით? **ისინი** – ყველა – ღიად თუ შეფარვით დამიწყებენ თხოვნას, გავზარდო **მათი** გონიერება. რიგი დაუსრულებელი აღმოჩნდება“. – „იქნებ ასეც მოხდეს, იქნებ“, – დადარდიანდა მოსამართლე. მერე რატომლაც თავის ლუპაში, როგორც სარკეში, დაიწყო ყურება: თავისი პარიკის შესწორებას შეუდგა, მოიწმინდა თვალები, ხელი ნიკაპზე ჩამოისვა. – თქვენს პიპოთეზაში არის რაღაც, რაც ცივილიზაციის რეალურ განვითარებას ეწინააღმდეგება. მაგალითად, რელიგია. რატომ უარჰყოფთ მას? თქვენ თვლით, რომ ბიბლია რჩეულ-

თათვის არის შექმნილი. არაფერიც! ის ყველასთვისაა!“ – „Einspruch!“<sup>2</sup> – აღმომხდა მე. – იცით, რას აპროტესტებდა ლიუთერი? ყველაფერთან ერთად, მას აღაშფოთებდა ვატიკანის აკრძალვა ბიბლიის გერმანულ ენაზე თარგმნის შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ მეჩვიდმეტე საუკუნემდე ბიბლია მხოლოდ ლათინურ ენაზე გამოიცემოდა. ევროპაში ვის შეეძლო მისი კითხვა, გამორჩეულ ინტელექტუალთა და კლერიკალების გარდა? რა, უბრალო გერმანელმა, ფრანგმა, ან ინგლისელმა ლათინური იცოდა? რუსეთში როდის აეხსნა ბიბლიის თარგმნას აკრძალვა? მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაიბეჭდა ის რუსულად! აი, ეს მქონდა მხედველობაში. ბატონო მოსამართლევ, დედამიწელები თავისი განვითარების სხვადასხვა პოქაში სხვადასხვა სიმბოლოებს სცემდნენ თაყვანს: მზეს, ზღვას, კლდეებს, მცენარეებს, ვარსკვლავებს, ღმერთს! სოფოკლემ და პომეროსმა თავისი ნაწარმოე-

---

<sup>2</sup> Einspruch – პროტესტს ვაცხადებ (გერმ.).

ბები ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე შექმნეს. რა, მათში არის ანტიქრისტიანული აზრი და მოწოდება? ანდა, საბჭოთა მწერლები თავის სიუჟეტებს ანტიქრისტიანულ დოგმებზე აგებდნენ? აიღეთ შოლოხოვი: მშვენიერი მწერალია, მაგრამ ათეისტი... თქვენ აღმოაჩენთ მის ნაწარმოებებში ღვთის გმობასა და მკრეხელობას? ქრისტიანობა, მუსულმანობა, იუდაიზმი, სხვა რელიგიები – ეს ინტენსიური სავარჯიშოებია გონების განვითარებისთვის, მისი ფუნდამენტური ეთიკური საფუძველი. ისინი ცნობიერების ამაღლების უნივერსალური სასუქია! განა ასე განვითარდებოდა გონი, თქვენი მოძმენი სულში და აზრში ღვთის გარეშე რომ დარჩენილიყვნენ? არა! არასოდეს! სწორედ რელიგიამ გახსნა საკუთარი თავისა და სამყაროს შემეცნების სიღრმეები. და თუმცა ქრისტიანული რენესანსის ხანა გასულია, მრავალი თქვენგანი ათეულ თაობაში შეინახავს „ანონიმურ ქრისტიანობას“. ჩემთვის კი რელიგია გონების სიმწიფის სკოლაა, უნივერსიტეტია, რომელშიც ყველა პუტივლელს შეეძლება შეხედვა. და მეტი არა-

ფერი! თუკი პუტივლელი ოცნებობს, შექმნას ახალი ბიოლოგიური სახეობა და მასში თითოეული ღვთაებრივი ნიჭით იქნება დაჯილდოებული, მაშინ რელიგია თითოეული *cosmicus*-ის **მე** გახდება. თუ **მე** ღმერთი არ იქნება, მაშინ ის უნივერსუმში ადგილს ვერ დაიკავებს! ჩემი ოცნებები სწორედ ამ დიდებულ პროექტში უნდა აღსრულდეს! შეგიძლიათ გამიგოთ და დამეტანხმოთ ამაზე? ერთი შეხედვით, მისი მიღწევის შესაძლებლობას ცოტა ვინმე თუ გაიზიარებს. თუმცა აქ მარჩიელობა საჭირო არ არის: გონი თვითონ გვიკარნახებს. როცა მე ვამბობ **მეს** – ეს არც ალტრუიზმია და არც ეგოიზმი. პუტივლელის ფილოსოფია ნიკოლაი ფედოროვის აზრებს ეთანხმება: „უნდა იცხოვრო არა შენთვის და სხვებისთვის, არამედ ყველასთან ერთად და ყველათვის!“ ამიტომ მეჩეარება თქვენი ვერდიქტის მიღება“. – „დაფიქრდით, კაცობრიობა, ან მისი უდიდესი ნაწილი მაინც, სარგებლობს იმავე ლექსიკით, გრძნობს იგივეს და ფიქრობს იმავე ზნეობრივ პრობლემებზე, რაზეც თქვენ. მაშ, რაშია განსხვავება თქვენს შორის?“ – მკითხა

მოსამართლემ ისე, თითქოს გამოსავალს ეძებსო. „**თქვენ** თქვენი პრობლემები ღმერთს აჰკიდეთ. მოხდება რამე თუ არა – ვინმესთან გარიგებისას, ქალთან შეხვედრისას, სამსახურში მიღებისას, საფეხბურთო მატჩის წინ, სამორინეში შესვლისას და ნებისმიერი სხვა ყოფითი პრობლემისას უფალს მიმართავთ, შეწევნას სთხოვთ! ამგვარად, თქვენ საკუთარი თავი დაკარგეთ. თუკი ადამიანს სურს უფალი სულში ჰყავდეს, რა უნდა მქონდეს საწინააღმდეგო, მაგრამ თქვენ ყველა ცხოვრებისეული შემთხვევისთვის, როგორც ჯადოსნური კვერთხი, ისე გჭირდებათ ის. ესე იგი, სხეულისა და სულის მონებად გარდაიქმნებით. საკუთარი **მეს** გარეშე, რომლითაც მან დაგაჯილდოვათ, პუტივლელთათვის **თქვენ** უინტერესო არსებებად იქცევით. ღმერთმა თავის მსგავსად და ხატად შეგქმნათ **თქვენ**, მან სულიც კი ჩაგბერათ! სწორედ ეს ანიჭებს დედამინელებს განსაკუთრებულობას მთელ უნივერსუმში. ო, როგორ დაიღალა ყველასი და ყველაფრის მამა **თქვენი** ლოცვებით! შეწყვიტეთ გამუდმებით დახმარების

თხოვნა მისთვის, თვითონ გახდით საკუთარი გონის ბატონ-პატრონნი! მოიპოვეთ **თქვენი** მე. სწორედ მაშინ შეიცნობთ მამა ღმერთსაც! ის ხომ **მე** არის. არ ვიცი, დაგარწმუნეთ თუ არა იმაში, რომ გარდაუვალის ევოლუციის გადავადება უპირველესად თვითონ ადამიანისთვის არის დამლუპველი“. – „რითი გინდათ დაწყება? – თითქმის ჩურჩულით მკითხა აქეთ-იქით მზირალმა მოსამართლემ. – რამე უკვე დაგეგმეთ?“ – „ადამიანთა გენური არქიტექტურიდან მატერიალური უზრუნველყოფისა და მოთხოვნილების გენს აღმოვფხვრი“. – „მერე?“ – „სულიერი მოთხოვნილების გენს გავზრდი, რომ უსწრაფესად განვითარდეს მათი გონი“. – „კიდევ რას იზამთ?“ – „თქვენ ხომ მშვენივრად იცით მთელი ჩემი პროგრამა! მომეცით სასამართლო გადაწყვეტილება. დარწმუნებული იყავით, რაც ჩავითქმი, შევასრულებ!“ – „ბოლო კითხვა: მითხარით, დამცველის მიერ ნარმოდგენილი ფსიქიატრიული ექსპერტიზა ნაყიდია?“ – „რატომ გადაწყვიტეთ ასე?“ – შევფიქრიანდი მე. „ასეთი დროება დაგვიდგა. ახლა...

განაჩენის გამოტანისთვის აუცილებელია დაგტოვოთ. ჩემი მითითებით, პროცესის ყველა მონაწილეს დარბაზში დაბრუნება სთხოვეთ. განაჩენს წავიკითხავ!“ მუზეუმის ეზოში გავედი. ბინდი და სიგრილე შემომეფეთა. კრემლის კურანტებმა ზუსტი დრო ჩამორცეკა: დილის სამი საათი იყო. მოუთმენლად ველოდი ვერდიქტს. ნეტავ, სწრაფად, სწრაფად გამოაცხადებდეს!“

მოსკოვი, 2004 წლის მარტი-მაისი

მთარგმნელი  
 მხატვრული  
 რედაქტორი  
 გაფორმება  
 კომპიუტერული  
 უზრუნველყოფა

ნინო ქუთათელაძე  
 მარიამ ხუბულური  
 იგორ რეზნიკოვისა  
 ლია მოსეშვილი

წიგნის გამოცემა დააფინანსა  
 მარიამ კუბლაშვილმა